


F- 749  
1977



# ప్రపంచం

సంకలనం  
సంకలనం

1977 2





ეროვნული  
ბიბლიოთეკა

2013  
12  
12

**მთავარი რედაქტორი: კონსტანტინე ლორთქიფანიძე.**

**ხარედაქციო კოლეგია: მზია ბაქრაძე, ბაჩანა ბრეგვაძე, ნანა  
დარჩია (პასუხისმგებელი მდივანი), მაგალი თოდუა, ნოდარ  
კაკაბაძე, კარლო კალაძე, მისეილ კვესელავა, ზურაბ  
კიკნაძე, ვახუშტი კოტეტიშვილი, რომან მიმინოშვილი,  
ოთარ ნოდია, ნიკო ყიასაშვილი, თამაზ ჩხენკელი.**

# სტუდენტ



(17)  
მარტი  
აკრილი

## მსოფლიო ლიტერატურის ორთვიური ალმანახი

მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერ-  
თობების საქმეთა მთავარი სარედაქციო კოლეგია

# 1977

### შინაარსი

#### პროზა

- ფრანსუა რაბლე. ბარბანტუსა და პანტაბრუელი.  
რომანი. თარგმნა გურამ გოგიაშვილმა 5  
მხატვრობა გუსტავ ღორესი
- იური ნაგიბინი. სულის მოთქმა. მოთხრობა. დასაწყისი.  
რუსულიდან თარგმნა სოლომონ დემურხანაშვილმა 130
- რასულ გამზათოვი. ჩემი დაღესტანი. დასაწყისი.  
თარგმნეს თამარ ჩიჭავაძემ და შოთა ნიშნიანიძემ 178

#### პოეზია

- შუა საუკუნეების ესპანეთში მოღვაწე ებრაელი  
პოეტები. ძველებრაულიდან თარგმნა ჭემალ  
აჯიაშვილმა 160

#### ლიტერატურული მემკვიდრეობა

- პომეროსი. ილიადა. გაგრძელება. ძველბერძნულიდან თარგმნა  
რომან მიმინოშვილმა 207

#### კრიტიკა, კუბლიცისტიკა

- მიხეილ კვესელავა. ინტეგრალური კოეზიის  
ფილოსოფიური საკითხები 224
- უცხოური იუმორი. შეკრიბა და თარგმნა  
შოთა ამირანაშვილმა 238



საქართველოს  
ქრონიკა



დავით აღმაშენებელი

საქართველოს ენციკლოპედია



# შპს "საქსი" და

# კონსტრუქციული კონტაქტების

საქსი სახარული ცხოვრებისა  
კონტაქტების მართვის  
დიდი კონსტრუქციის,  
თქვენს შემთხვევაში  
მაგისტრ ალკოვნიკას ნაწილსაგან,  
რომელიც იყო კონსტრუქციისა გამოცდელი  
წილი, აღვსილი კონტაქტებისთვის

## როგორ


თარგმნა გურამ გომიზაშვილმა

### წამოთხვევა მიხედვით

მკითხველო ჩემო, ავსა და ბოროტს  
ნუ ეძებ რასმე ამ წიგნსა შიგან,  
ყველაფერს წვლილად შეიტყობ ბოლოს,  
უკეთუ მართლად ჩახვდები იგავს.  
ხინჯსაც უპოვი, მსაჯული იყავ,  
თღონდ უწყოდე, გულით გაცინებს  
და გაგიქარვებს ჭმუნვას აწინდელს,  
ყურთ არ დაგიღლის ფიცით და მტკიცით.  
სიცულის ძაფით იმად ავკინძე,  
დანატრული ხარ რამეთუ სიცულის.

### ამა წიგნისა მომღვაწისაგან

**ს**ახელმორჭმულნო მემთვრალენო და ღირსად პატივცემულნო  
ცუდჭირშეყრილნო (რამეთუ თქვენდა ძღვნად, და არა ვინმე  
სხვისად, დამიწერია წიგნი ჩემი), ნადიმად სახელდებულ პლატონისა დია-  
ლოგში ალკიბიადემ როს ქება შეასხა თვის მოძღვარს სოკრატესა, ჭეშმარიტად  
ყოველთა ფილოსოფოსთა ფილოსოფოსსა, თანვე სილენეს შეადარა იგი. სილენე  
უწინ იმისთანა კიდობანაკს ანუ გვადრუცს ერქვა, აწ მეთვითაქეთ რომ უდგათ;  
ზედ სუყველას ათასნაირი საცინარი და საამოვნო რამ ეხატა: ჰაი ჰარპიაო, სა-  
ტირიო, ჰაი დაღამული ღერღეტიო, რქიანი კურდღელიო, ჰაი პალნიანი იხვიო,  
ფრთიანი ვაცო, ჰაი უღელდადგმული ირემიო, და სხვა ბევრსა შემაქცევარსა



სურათსაც შეამჩნევდა კაცისა თვალი, სიცილისა მომგვრელსა (დასტურ ესეგვა-რი თვისებისა იყო სილენეც, ქველი ბახუსის მზრდელი); სამაგიეროდ ამა კიდობანაკთა შიგან დია ჩინებულ სუნელ-საკურნებელთ ინახავდნენ, სახელდობრივ კი: მექურ ბალზამსა, ამბრსა, ამომსა, მუშკსა, ციბეტსა, სპეკალთ ნაფხვენ-ნუფხვენსა და მისთანათა. ალკიბიადეს სიტყვით, ამნაირი იყო სოკრატეცა: მართო გარეგან თუ მიაქცევდით ყურადღებასა და შეხედულებით შეაფასებდით, ერთ ჭიან ტყემლადაც არა ღირდა — ისეთი პირნასი ვინმე იყო და ისე სასაცილოდ იქცეოდა. ცხვირი პაჭუა, ჩაჭყლეთილი ჰქონდა, ცქერა ქვეშ-ქვეშ იცოდა, გამონედვა აბუეტს უგავდა, ზნე მდაბიური მოსდგამდა, ტანთ ჯვალთ ემოსა, სული სიღარიბეში ამოსდიოდა, დიაცთ თავს ვერ აწონებდა, სახელმწიფოს საურავ-სამსახური არცრა ხელეწიფებოდა; ჩაკუჭკუჭება გულიანი უყვარდა, ღვინოსა პირზევით არ იცილებდა, მიწყივ ვილაცას აქიაქებდა, ბასრავდა და ამა თავსაცილში თავის ღვთაებრივ სიბრძნესა მალავდა. მაგრამ აბა მიდით ახადეთ კიდობანაკსა ამასა — შიგნიშიგან უცილოდ მოიხილავთ საკვირველსა და აუწონელ საკაზმ-სანელეებელსა: აზრისა სიმკვირცხლეს ზებუნებურსა, სათნოებას საოცებელსა, სიმამაცეს უდრეკსა, სიფხიზლეს სახელდაუდებელსა, ხალისს უცვალე-ბელსა, სულისა სიმხნეს ურყევსა და ზიზლსა უჩვეულოს ყოვლისა მიმართ, რისა გამოც სიკვდილისა შვილნი ესდენ ცოდვილობენ, ფუსფუსებენ, რუდუნებენ, ზღვაოსნობენ და ლაშქრობენ.

მაინც რა იაზრეთ, რას უკაკუნებს ეს წინასიტყვა და პირველსათქმელი ჩემი? რას უკაკუნებს და, ეხლავ ჩაგიწიგნავთ ჩემთა კეთილთა მოწაფეთ და სხვა ოხერ-მამაძალთ. უკეთუ ჩემგან შეთხზული რომელიმე წიგნისა ლათაიური სათაური წაგიკითხავთ, მაგალითადრე: გ ა რ გ ა ნ ტ უ ა, პ ა ნ ტ ა გ რ უ ე ლ ი, ფ ე ს პ ე ნ ტ ი, ღ ი რ ს ე ბ ა ნ ი ს ა ბ ი ძ ლ ი ს ა ნ ი, დ უ მ ი ა ნ ი ც ე რ ც ვ ი cum commento<sup>1</sup> და სხვ., ძალზედ ნაადრევად ასკვნით, ვითომცოდენ ნაზღაპრსა, სახუმარსა და ნაირ-ნაირსა საცინელ ამბავსა გყვებოდე ამა წიგნთა შიგან; სხვარიგად თუ ვიტყვი, მხოლოდ გარეგნულ ნიშანსა რასმე (ანუ აბრასა) უყურებთ, არსსა არა სწვდებით საქმისასა და ეგრევე ჩვეულებითად იცინით და იღბენთ. გარნა კაცისა ხელით ქმნილსა ესრეთ ქარაფშუტულად ნუ შეხედავთ. აკი თავად თქვენგანა თქმულა, ხუცესი ჭილობშიც იცნობათ, ზოგ-ზოგსა კაცსა სამოსელი ბერისა შეუმოსავს, ბერობისა კი არა სცხია რათ, ანდა რამდენია, მოსასხამი ესპანური ასხია, მაგრამ ესპანური გულოვნობისა ნატამალიც არ ატყვიათ. მაშ, აბა გადაშალეთ წიგნი ჩემი და გულისხმაჰყავით წაკითხული. აი მაშინ ალბათ ჩახვდებით, აქ სულ სხვა რამ სანელეებელი ყოფილა, ვინემ კიდობანაკი გვეპირებოდათ, და არცათუ ისე უსაზმნო საგანთ დაინახავთ, ვაითუ ვისმე სათაურისა წაკითხვისას რომ გეგონათ.

და უკეთუ ბევრსა თავშესაქცევსაც იპოვნით, პირდაპირ ვიტყვი, თუნდაც სათაურისა შესაფერსა, სირინოზისა ხმა მაინც ნუ წარგიტაცებთ, უმჯობესია უფრორე ღრმად ახსნათ ყოველივე, რასაცა იბედივ მწერლისა ალალ ნათქვამად მიიჩნევთ.

პირდაცობილი ბოთლი გაგიხსნიათ როსმე? ძალღუმადური საქმეა! მაგრამ აბა ერთი გაიხსენეთ, რა ამო რამა მდგარა შიგან! ან არადა, ძალღი არ გინახავთ, ტვინით გატენილ ძვალსა ჩაფრენილი? მოგეხსენებათ, პლატონი (De rep.

<sup>1</sup> ახსნა-განმარტებითურთ (ლათ.).

II წიგნი)<sup>1</sup> ძალსა დედამიწისა ზურგზედ ყოვლისა უფრო ფილოსოფიურ ცხოველად იტყვის. და თუკი გინახავთ, ალბათ შეამჩნევდით კიდევ, რარიგ დაჰქვრიანავს, რარიგ დაჰკანკალებს, რარიგ უბყრია, რარიგ ფრთხილად ჰკიდებს პირსა, რა გემრიელადა ძგნარავს და ხრავს, რა გულდაგულა სწუწნის იმ ძვალსა. რა არი, რა ატანს ძალასა, ეგრე მოიქეციო? რის მოიმედება? რა სწადს, რას გამოელის? რასა და სრულებით არცრასა, თვინიერ ერთი ბეწო ტვინისა. თუმცა ის ერთი ბეწო სხვა ბევრად-ბევრ რამეზედ უტკბილესია, რამეთუ, გალენის თქმისა არ იყოს (Facu. natural<sup>2</sup>, III წგნ. და De usu parti<sup>3</sup>, XI წგნ.), ტვინი უებარი რამ საზრდელია ბუნებისაგან ბოძებული.

ზემორეხსენებულ ძალსავითა თქვენცა ბრძნულად უნდა მოიქცეთ, რათა ალლო აართვათ, გემო გაუგოთ და ფასი დასდოთ ამა ჩინებულ, მაწიერ წიგნთა, დასატანებელსა ისრისა უმაღლესად უნდა დაეტანოთ და შესაბამელსა თავდათავ უნდა შეებათ. შემდგომად ბეჯითი კითხვისა და გრძელყამიერი განსჯისა ადექით და გამოხარით ძვალი იგი, გამოსწოვეთ ტვინისა სუბსტანცია ანუ რასაცა ამა პითაგორული სიმბოლოთი ვგულისხმობ, და სრულიად დარწმუნებულნი ბრძანდებოდეთ, რომა ესეგვარი კითხვა კიდევ უფრორე ქველსა შეგქმნით და ჭკუაში ჩაგაგდებთ, რამეთუ წიგნსა ჩემსა შიგან ჰპოვებთ ერთობ უჩვეულო აზრსა და ოდენ რჩეულთათვის მისაწვდომელ, უცხო რამ სწავლასა, რომელიცა მრავალსა საიდუმლოს გაზიარებთ დაუჯერებელსა და მრავალსავე დაფარულ საქმესა შესაზარსა, რელიგიას რომ ეხება ჩვენსას, აგრევე პოლიტიკასა და სახლოსნობასა.

თქვენ რა, მართლა ხომ არა გჯერათ, რომ ილიადასა და ოდისეასა გამოთქმის ჟამსა ჰომეროსი სულ იმ ალეგორიათა ფიქრში იყო, რაიცა პლუტარქემ, ჰერაკლიდე პონტოელმა, ევსტათიმ, კორნუტუსმა მიაწერეს და რაცა მერმე ამათვე ამოარიდა პოლიციანომ? თუ მართლა აგრე გჯერათ, მაშ ერთი გზა არა გვქონია, რამეთუ ჰომეროსი, ვგონებ, ისევე იყო ამ ალეგორიათა ფიქრში, ვითარცა ოვიდიუსი წმინდა რამ ქრისტიანულ საიდუმლოს დასტრიალებდა თავის მეტამორფოზათა შინა, ერთი ცუდმადი ანაფორიანი კი, რომლისთანა თითლიბაზი ჯერეთ არ დაბადებულა, პირუკულმა უმტკიცებდა სუყველასა, მაგრამ სხვა ისეთი აფრაკი ვინმე, როგორაც იტყვიან, ფერი ფერს რომ მოვიდოდნენ, არცვინ შეჰხვედრია.

და თუკი სხვარიგადა სჯით, კაცმა რომ თქვას, ვითომ რატომ ესრეთვე არ უნდა შეხედოთ ჩემგან შეთხზულ გამორჩეულ და სამხიარულო ამბავთაც, თუმცა, როს ვთხზავდი, ამაზედ იმოდენსავე ვფიქრობდი, რაოდენიც თქვენ გიფიქრიათ, და თქვენ კი, უკეთუ ჩაღლევაზედ მიდგა საქმე, დავიჯერო, ჩემდენს ვერ ჩაღლევთ? ჯერ არს გამოტეხილად ვთქვა, რომ ამა იგავმიუწვდომელი წიგნისა შეთხზვასა სწორედ ის ხანი და ჟამი მოვანდომე, რა ხანიცა და ჟამიც ჯან-ლონისა შესანარჩუნებლად ანუ ჭამაზედ და სმაზედ დამეხარჯა. დრო-ჟამი ესე პირდაპირ მისწრებაა ეგზომ დიდ-დიდ ამბავთა და არცთუ მცირე საქმეთა დასაწერად, რაც უკვე მშვენივრად ესმოდათ ჯერ იყო და ჰომეროსსა, მისაბამველსა ყოველთა ფილოლოგოსთათვის, და შემდგომ ენიუსსა, ლათინთა მოლექსეთა მამასა, ვითარ ამასა ჰორაციუსი გვიმოწმებს, თუმცა ვილაც ტვინფრატუნაძლექსი დაუწუნა, ზეთისა სუნზედ მეტად ღვინისა სუნი ასდისო.

<sup>1</sup> „სახელმწიფოსათვის“ (ლათ.).  
<sup>2</sup> „ბუნებისა ძალთათვის“ (ლათ.).  
<sup>3</sup> „გვამისა ნასხამის დანიშნულებისათვის“ (ლათ.).



მაგანმა ქეციანმა ეგვევე წართქვა ჩემთა წიგნთა გამოც. ჯანდაბას იმის თავი, ერთხელაც იქნება, კუკუს უჭერენ კუკუზნაქში! წართქვა, თორემ სუნი ღვინისა უფრორე დამათრობელი, დამატკობელი, გამათბობელი, გამართობელი და ამო არ არის, ვინემ სუნი ზეთისა! და უკეთუ ჩემზედ იტყვიან, ღვინოზედ იმოდენს ხარჯავს, რაოდენსაც ზეთზედ არაო, თავს მოვიწონებ და ისეგვარად ვიამაყებ, ვითარცა დემოსთენე ამაყობდა, ოდეს ასმენდნენ, ეგ ზეთზედ უფრო მეტსა ხარჯავს, ვიდრე ღვინოზედაო. რაჟამს ჩემზედ ლათაიობენ და უბნობენ, სმის ჭირია, საღვინეში შიგა ძვრებაო, სხვა რამ ქება არცრა მწადს. სწორედაც ამ ჩემის სახელოვნობის ბრალია, პანტაგრუელელნი უჩემოდ არსად სუფრას რომ არა შლიან. ერთმა მოლაღე მამამაღლმა დემოსთენეს წასძახა, შენგან თქმული სიტყვა ზინზლიანი მეზეთის არდაგსავითა ყარსო. თქვენ კი ადექით და ჩემი სიტყვა-პასუხი და ნაქმნარი სულ კარგი და კარგი აზრით გაიგეთ, პატივი ეცით ახაჭოებულსა ტვინსა ჩემსა, რამეთუ ამ ნაირ-ნაირი შესაქცევარი ამბით გართობთ, და შეძლებისამებრ ესდენ მხიარულ გუნებაზედ მამყოფეთ.

მაშ, გაერთეთ, გენაცვალოთ ჩემი თავი, გართობა ჯანსაც უხდება და ჭაჭებსაცა, აბულბულეთ წიგნი ესე, ილიდინეთ და ილხინეთ. ოლონდ უდღეგრძელებელი არ დამტოვოთ, თქვე სალაგათდასაქცევნო, თქვენა, მე კი აბა ისე რას გაგიშვებთ!

თავი I

**პარგანტუას მეგვარტომობისა გამო და მოღგმისა სიძველისათვის**

ვის გარგანტუას მეგვარტომობისა და მოღგმის სიძველისა გაგება სწადს, უნდა დიდ პანტაგრუელისეულ ქორღნიკონსა ანუ წლისმრიცხველობას ჩახედოს. იქ დია წვლილად არის ნაამბევი, რარიგ გაჩნდნენ ქვეყნად ბუმბერაზნი და ვითარ წარმოიშვა იმათგან გარგანტუა, მამა პანტაგრუელისა. და ნუ დამძრახავთ, უკეთუ აწ ამაზედ სიტყვას არღა გავაგრძელებ, თუმცაღა ამისთანა რამ ამბავსა რაც ხშირ-ხშირად გავიხსენებდი, მით უფრორე ეამებოდა მოწყალე გულსა თქვენსა. ნათქვამისა საბუთად პლატონის ფილებოსსა და გორგიას მოვიშველიებ, და აკი ფლაკუსიც ბრძანებს, ზოგ-ზოგსა ნაუბარსაო, ამ ჩემი ნაუბრისა არ იყოს, მალიმალ განმეორება ფრიად საამოვნოსა ხდისო.

ღმერთმა ნეტამც ყოველსა კაცსა ესდენ დანამდვილებით აცოდინოს ძველ-გვარი თვისი და გასაგისი ნოეს კიდობნით დღეს-აქამომდე! ბევრად ბევრნი აწინდელნი იმპერატორნი, ხელმწიფენი, დუკა-ჰერცოგნი, თავადნი და მღვდელმთავარნი, ვგონებ, ვილაც-ვილაცა მკრეხელთა, ვაჭრუკანათა ანდა მეგოდრეთა ჩამომავალნი არიან, ხოლო სამადლო სახლთა შინა შეყრილ მრავლისუმრავლესთა გლახაკთა და უპოვართა წინაპარნი დიდ-დიდნი ხელმწიფენი და იმპერატორნი იყვნენ, — საკმარია მოვიგონოთ, რა ხაფად შეენაცვლნენ ჟამთა ტრიალში

ასირიელთ — მიდიელნი,  
მიდიელთ — სპარსნი,  
სპარსთ — მაკედონელნი,





მაკედონელთ — რომაელნი,  
რომაელთ — ბერძენნი,  
ბერძენთ — ფრანგნი.

და თუ ჩემსა ამბავს იკითხავთ, უსაცილოდ რომლისამე მორჭმული მეფისა ანდა ძველთუძველესი შემძლე მთავრისა მისხის მისხი ვარ, რამეთუ მზისა ქვეშე ჯერეთ არცვინ დაბადებულა ჩემზედ მეტად მოსურვე გამდიდრებისა და გამეფებისა; აი, მოგეცეთ ჭამისა მადა, მე მაშინ ჩავლევდი და მივირმევიდი, თითსაც არ გავანძრევდი, ჩხირს არ გადავაბრუნებდი, ყელამდე ავაგსებდი ჩემთა მოყვარე-მეგობართ და ყოველსა პირწყლიანსა და განსწავლულსა კაცსა. გარნა თავს იმითლა ვინუგეშებ, იმქვეყნად მაინც ჩავიგდებ ტახტსა და, ტყუილია, სხვა ჩემებრ დიდი ხელმწიფე სადმე იყოს. მოდით, შეჭირვებისა ჟამსა თქვენცა მოიგონეთ ესეგვარი ანდა უკეთესი რამ გულისა დამამებელი და ყელი თუ გიშრებათ, გადაჰკარით, ღმერთმა შეგარგოთ.

აწლა კვალად ჩვენი ცხვრისა ამბავს მივუბრუნდები და გეტყვით, რომა ძველთაგან მოაქჟამამდე ყოვლისა უფრორე სრულად ღვთისა წყალობით ერთი მარტო გარგანტუას საგვარტომო ნუსხა შემოგვრჩა, მესიისა საგვარტომო ნუსხას თუ არ ჩავაგდებთ სათვალავში, თუმცა იმაზედ ვერაფერს მოგახსენებთ, რამეთუ ჩემი საქმე არ არის და თანაც კიდევ ეშმაკნი არ მანებებენ ლაპარაკსა (ანუ ცილისმწამებელნი და პირმოთენნი-მეთქი, უნდა მეთქვა). ხსენებული საგვარტომო ნუსხა გარგანტუასი ჟან ოდომ იპოვნა თავის საკუთარ სათიბსა შინა გოლოს მახლობლად, ოლივის ცოტა ქვემოთ, ნარსეს მხარესა. მიწისა მთხრელთ ლამიან არხთ აწმენდინებდა, და იბედივ ისინი ერთ უზარმაზარსა აკლდამასა წააწყდნენ, თხარეს, ატრიალეს ბარ-ნიჩაბნი, მაგრამ იმსიგრძე იყო, ბოლო ვერა და ვერ მიუკვლიეს — ნაგებ-ნაშენი სადღაც მდინარე ვიენას ჯვბირთ იქით იკარგებოდა. ბევრი უარეს თუ ცოტა უარეს, ბოლოს ადგნენ და ზედ იმ ადგილას შეტეხეს, სად სასმისი იყო გამოსახული და გარეშემო კი ეტრუსკულ ასოთა დასხმით ეწერა: *Hic bibitur*<sup>1</sup>. შეტეხეს და ცხრა ჭინჭილა ერთიმეორეზედ ისერიგად მიწყობილი ნახეს, ვითარ გასკონელთ კეგლთა ჩარიგება იციან. შუალა ჭინჭილისა ქვეშე წიგნი რამ იდო ვეებერთელა, თვალთმიმზიდველი, ქვედამზიდველი, მწვირიანი, კოხტა, კოკროჭინა და ობიანი, სუნი ვარდის უმეტესად სდიოდა, ოღონდ, ვაგლახ, ვარდისა სუნი არ იყო.

აი სწორედ ამა წიგნსა შინა მოიხილეს ჩართული ზემორეუწყებული ნუსხა გვარტომობისა, სულ ერთიანად მრგვალი ხელით ჩამოწერილი არა ეტრატზედა, არა ქალაღზედა, არა ცვილოვანზედა, არამედ თელისა ქერქსა ზედა, მაგრამ უკვე ისეგვარად დაფხავებულიყო, თითქმის ვერცრასა გაარჩევდით.

და მიხმეს მრავალცოდვილსა, მოდი აღმოგვიკითხეო. მეც მოვივარგე სათვალე, მოვიმარჯვე ხერხი წარხოცილ ასოთა აღმოკითხვისა, არისტოტელე რომ გვასწავლის, და ყოველივე გავარჩიე, რასაცა თავად ირწმუნებთ, უკეთუ უმაღ ხელსა მიჰყოფთ პანტაგრუელობასა ანუ ჭაჭანაურისა წრუპვასა და პანტაგრუელისა საზარო ამბავთა კითხვასა.

წიგნისა ბოლოში საკურნებელ წიკონაკოდ სახელდებული მიიჩრე რამ პირობისა წერილი მოიძიეს. წერილისა თავი სხვათა და სხვათა მავნებელ სულდგმულთ წაედრღნათ. დანარჩენსა კი, საბუთისა სიძველის პატივებისა გამო, აქავე ვურთავ.

<sup>1</sup> აქა ღლევენ (ლათ.).



თავი II

**საკურნებელი წიკოვაკო, ნაკოვარი კველთუკველეს  
ნაოხართა შიგან**

ეგ არი, ეგა, ვინცა კიმვრნი შემუსრა ხაფად,  
... აგრამ აწ უკვე ცვარს გაურბის, შეჰყურია ფეთი.  
... ალხმა რა თვალი მოატანა ჰაერში ჯაბანს,  
... უყველა ორე და ქვაფორე დაავსო ზეთით.  
... უა შარაზედ გამომდგარა ბებერი ერთი  
და გაიძახის: „დაიჭიროთ ისა სჯობია,  
კიბე შეუდგით ან არადა ესროლეთ კეტი,  
წურწურით გასდის, ჩასვრილია, ნეხვის გობია“.

ზოგმა სამთხვევლად მიაშურა, ზოგი გარბოდა,  
ზოგსაც წურწურში ულოდნელად დაუდგა ხსნილი;  
და საიდანღაც, სად ბევრია ტბაში ნაფოტა,  
მოვიდა კაცი ცრუპენტელა, ალალო პირი,  
ისიტყვა: „ზეცამ აგაშორეთ, უფალნო, ჭირი!  
ჩანს, უწმინდურმა მოგალორათ, ჭკუა დაგტყუათ,  
რამეთუ ავად ამოსვრილხართ მახვრალნი მწვირით  
და ბოროტეულს დაუხურავს ნოქრის ბარტყულა“.

და მაშინ ერთი ჩაიკითხეს ბოლომდე კარი,  
რომელს არ აკლდა აზრთა სიღრმე, ვით რქანი ქოლიკს,  
და მან იყვირა: „შემომხსენით ტიალი კრკალი,  
თავი გამისკდა, გამეყინა, წამერთვა გონი“.  
უეცრად იქავ მოიხილა მცირე რამ ბოლი  
და სუნი ეცა შემოდგმული ცეცხლზედ თალგამის,  
რა დასთბა, ფრიად გაიხარა მოსულმა შორით,  
რაკი უგუნურთ პირთა უდევთ კვალად ლაგამი.

მერმე ნაპრალი გაიხსენეს წმინდა პატრიკის,  
გიბრალტარისა და სხვაც ბევრი ახსენეს ხვრელი,  
ბრალი ეძებეს დედამიწის ამა სატკივრის  
და გამთელება ხვრეტილთაგან დაასკვნეს ხმელის.  
უფსკრულთა გმინვა მიწის შვილის ჯავრია ძველი,  
აფორიაქებს, არ ასვენებს არცროს ის ჯავრი,  
უკეთუ სადმე ამოივსო ჯურღმული ბნელი,  
წამერთ ეგრევე ნაწილ-ნაწილ გასცემს იჯარით.

და თითქო ქარმა გადმოაგდო, ჰერაკლე უმაღ  
გაჩნდა ღიბიით, ცოცხლად გაბდღვნა, აჩხავლა ყვავი.




„ვაჰ! — დასცდა მინოსს. — მასპინძელი არ მინდა სტუმარს? ვილამაც, ვიცი, მწარედ უნდა წააგოს თავი; მაშ ზედ შემახმეს, ნურც მქონია ამიერ მკლავი, თავად ეშმაკი დამემოყვროს, გამიხდეს სვინად, თუ გველ-ბაყაყით არ აგავსოთ, არ დაგცეთ ზვაგი და ნართიანად საჩეჩელთან არ დაგსხათ შინა“.

მავანმა კოჭლმა, რომელს პ. ბ. ერქვა სახელად, დააცხრო ხალხი, თვით შაშვთაგან მომაქვსო საშვი. ციკლოპის ქვისლი ძველმა ბოლმამ რა გაახელა, მოსრა ყოველნი და უკლისად გაგზავნა ცაში. ვინცა სათრიმლავს მაკინტალი მიადგა მაშინ, გააქიაქეს, განაქიქეს პირუტყვთმავლობა; ერთხმივ დაჰკივლეთ სოდომელთა ცოდვიან კავშირს, კარგი არცარა მოჰყოლია იმათ მრავლობას.

იუბიტერის მოევლინათ არწივღ უცებ, ნაძლევს დავდებო, მიმოავლო მიდამოს მზერა და სამოთხისა შემუსვრილი ეჩვენა ფუძე, რაჟამს გარშემო მოიხილა სიბილწის კერა. და მეთევზენი სად ქაშაყით ვაჭრობენ ველად, იქით გაიჭრა, მოინატრა ცეცხლი ციური, ვით მასორეტნი ქადაგებდნენ ოდესმე ძველად, ლაჟვარდში ნახა მეუფება მარადიული.

პირობა დადეს, გარიგების იმძლავრა ნიჭმა, ბორგნეულ ატას შეუტიეს, შეჰკადრეს ბაყი, და დედაბერი, რომელიცა ჰყიდიდა წიწმატს, პენტესილეას მიაგვანა სუყველამ სახით. მისცვივდნენ საწყალს და დასჭყივლეს: „ახია, ახი! აწ არც იფიქრო, თვალად ნასო, კვალად არამი, შენა ხარ, ვინცა რომაელნი ეშმაკის მახით აცდუნე ფიცხლივ და წარსტაცე ტყავის ალამი!“

იუნონამ კი მიმოხედა ცად გარემოსა, ხელთ ბუ ეჭირა, მეჩიტია, ფრინველთა ზარად, არ გიხდებო, დაუწუნეს, რაც გარემოსა, ჯერ ექილიკნენ, ბოლოს სულაც ჩააგდეს არად. თუ პროზერპინას წაართმევდა ორ კვერცხსა ძალად, პირიანობა უსაცილოდ დია არგებდა, არადა მთის წვერს დააკრავდნენ ზოგ-ზოგთა დარად და ქვეშ კი კუნელს დაუგებდნენ ტურფა საგებლად.



ოდეს თხუთმეტი თვე გამოხდა, იჩქითად მზისით  
გამოჩნდა კაცი, კართაგენი რომელმან სძლია,  
სამკვიდრებელი მოითხოვა, ქონება თვისი,  
სიტყვას უბნობდა კანონიერს, ნაღდსა და გზიანს,  
არცარვის ცუდსა უპირებდა, არცარვის ზიანს,  
თანახმა იყო გაყოფისა თანაბრად, სწორად,  
ვით მეზარგულნი შუადღისას იყოფენ წვნიანს  
და რარიგ წულის ლიანდაგი ლიანდაგს შორავს.

მაგრამ ერთხელაც არნახული დადგება ხანა  
და ქვეყნად დედის არ შერჩება ხორციელს ხსენი,  
ყარყუმის ბეწვექვეშ აუტყდება ხელმწიფეს ფხანა,  
სირცხვილეულთა საშინელი დააღპობს სენი.  
ვაი იმ დღესა! ნუთუ ერთი პირფერას ენით  
ამდენმა უნდა ჩაიაროს ნაოფლმა ფუჭად?  
ნიღაბს მოეშვით, გაიქეციტ! ძმა მოგდევთ გველის,  
ქვეწარმძრომელსა ალესილი ნესტარი უჩიანს.

და როს წელიწადს გასავლელი გაუვა ყავლი,  
მზის ქვეშ მშვიდობა იზეიმებს, იხარებს გული,  
აღარ იქნება მძულვარება, ტაცება, ჯავრი,  
პატიოსნების დამკვიდრდება სუფევა სრული,  
ვინცავინ სოფლად ცოდვის შვილი ვიდოდა კრული  
და ვინცა გუშინ უბედობამ ატარა რღვნაში,  
თავს დაადგება შარავანდი სხივთაგან წნული,  
თავისუფლებას მიანიჭებს მეუფის რაში.

და გაგრძელდება ჟამი ესე, სანამდის მარსი  
ჯაჭვით აბია და არ ძალუმს არცვისი ვნება.  
შემდგომ კი მოვა გმირთა გმირი, ლომგული, ხასი,  
რომელს ფოლადის უმტკიცესი ექნება ნება.  
არა და არა, არ მოიკლო ლხინი და შვება,  
სულ იღიღინე, მეგობარო, მწუხარე ნუ ხარ,  
დედისა მუცლით გაჩენილი სუყველა კვდება,  
დაბრუნებული ჯერეთ არვინ უნახავთ უკან.

ბოლოს იმასაც შეუკრავენ ანაზღად ხელ-ფეხს,  
ვის კაცობისა არა სცხნია, ცვილისგან ქმნილა.  
მუსუს მეზარეს აღარავინ შერაცხავს მეფედ  
და დამქაშობა დაუჯდება თანამდგომს ძვირად,  
სატევარს ვინმე თუ აართმევს თავისდა წილად,  
იცოცხლე, არცა ხერხი გვინდა, არცალა ფანდი,  
მაშინ ხელდახელ მივიყვანდით სიკვდილის პირას  
და ერთი თოკით შეიკვროდა სუყველას დარდი.

## თავი III

პირველი გარბანტუა თერთმეტი თავი  
დედისა წილნი

გრანგუზიე თავისა დროზედ დიდი დარდიმანდი ვინმე იყო, იმჟამინდელ ადათ-წესისამებრ უსაცილოდ ძირამდე სვამდა და ზედ მარილიანსა რასმე აყოლებდა. ამად მიწყვივ შაშხსა ქვეყნისას ინახავდა, მაინცურსაცა და ბაიონურსაცა, არცა ბოლში გამოყვანილსა ხარისა ენას გამოილევედა, საზამთროდ უზღვავსა ინაგრებდა ძეხვეულსა და მარილში ჩადებულსა ძროხის ხორცსა თავის მდოგვიანად. თუ ვინცობაა დაეჭირვებოდა, ხიზილა და კუპატიცა ბლომად მოეძევებოდა, ოღონდ ბოლონური კი არა (რამეთუ ლომბარდული სამსალისა ეშინოდა), ბიგორული, ლონგონეური, ბრენული და რუარგული.

უკვე კარგად მოწიფული ვაჟკაცი ეთქმოდა, ოდეს საპეპლეთის ხელმწიფისა ასული შეირთო, თვალმშვენიერი, დოყდოყა გარგამელა. იმა დღიდან მოკიდებული ისინი მალიმალ ორზურგა ხვადაგად გადაიქცეოდნენ ხოლმე, ეხახუნებოდნენ, ეფშვნიტ-ექლიშებოდნენ ერთმანეთსა, და არ გასულა ჟამი მრავალი, გარგამელამ მუცლად იღო, თერთმეტი თვე მიდგომილმა იარა და წილით ატარა კოხტა ბიჭი.

თუმცა თერთმეტი თვე რა სათქმელია, როცა დედანი ხან მეტსაც ვლიან პირმუცელმიდგმულნი, მეტადრე თუ იმისთანა ვინმე უნდა გაჩნდეს, ვისაცა საქმეთა საგმირთა ქმნა უწერია. აკი თავად ჰომეროსიცა ბრძანებს, ნიმფამ რა ნებტუნუსისაგან მუცლად იღო, ყრმა იგი სრულად ერთი წელიწადის ანუ თორმეტი თვისა მერმე იშვაო. როგორაც ავლუს გელიუსი ნათელყოფს (III წგნ.), ესევითარი ჟამგრობელობა ზუსტად შეჰფერის ნებტუნუსის სიდიადესა, ვინათგან ნებტუნუსისა ყრმასა მხოლოდ ესდენ მყოვრად ძალედვა ხორცისა შესხმა ტერფით თხემამდე. ამავე მიზეზით იყო, იუპიტერმა ორი დღელამის ოდენი რომ გახადა ალკმენესთან გატარებული ერთი ღამე, რადგან სხვა-რიგად ვერც გამოსჭედავდა ჰერკულესსა, ქვეყნიერებისა დამხსნელსა ურჩხულთაგან და მტარვალთაგან.

უფალნი ძველნი პანტაგრუელელნი დასტურსა ჰყოფენ ნათქვამსა ჩემსა და აცხადებენ, სავსებით შესაძლოა დედაკაცმა ბავშვი დღიდან მამის სიკვდილისა თერთმეტი თვისა უკან შობოსო და, უსაეჭვოა, სჯულიერ შვილად მიიჩნევენო:

პიპოკრატე, De alimento<sup>1</sup>,

პლინიუსი, წგნ. VII, თავი V,

პლავტუსი, in Cistellaria<sup>2</sup>,

მარკუს ვარონი ან დერძნამაგად წოდებულ სატირაში არისტოტელეს შესაბამისი დამოწმებით,

ცენსორინუსი, De die natali<sup>3</sup>,


არისტოტელე, De nat. animalium<sup>4</sup>,

<sup>1</sup> „ჭამადისა გამო“ (ლათ.).

<sup>2</sup> „კომედია კიდობანაკისა“ (ლათ.).

<sup>3</sup> „დაბადების დღისა გამო“ (ლათ.).

<sup>4</sup> „პირუტყვთა ბუნები [სათვის]“ (ლათ.).



გელიუსი, წგნ. III, თავი XVI,  
სერვიუსი ეკლოგათა თარგმანებაში, როს ვერგილიუსის ლექსს  
განმარტავს:

Matri longa decem<sup>1</sup> და ა. შ. —

და ბევრიცა სხვა დამთხვეული, რომელთა სათვალავი დია გამრავლდებოდა,  
უკეთუ სჯულისა მეცნიერთაც დავუმატებდით: ff. De suis et legit., l. Intes-  
tato<sup>2</sup> § 13, აგრეთვე: Autent., De restitut. et ea que parit in undecimo  
mense<sup>3</sup>. ამისა თაობაზედ ერთი მამაძალღური კანონიც შეითითხნა: Gallus  
ff. De lib. et posthu. et l. septimo ff. De stat. homin<sup>4</sup>., და კიდევ ზოგ-ზოგ  
სხვა კანონსაც მოვიშველიებდი, ოღონდ ჯერხნობით რაღაც გული არ მიშვებს.

ესევეითარი სამართლისა წყალობით ქვრივ დედაკაცთ უშიშად ძალუძთ  
თავიანთ ნებისად აიშვან თავი მთელი ორი თვე ქმრის მიცვალებისა შემდგომ.

მისმინეთ აჯა, ნუ დამზარდებით, კეთილნო ნაბოზარნო, და უკეთუ საღმე  
ქვრივ დიაცთ გადაეყრებით, ვისი გულისთვისაც ხვანჯრისა გახსნა ღირდეს,  
ჯერეთ თავად გაიხსნიდეთ და მერმე მეც მომგვრიდეთ. მესამე თვეზედ რომც  
დაორსულდეს, ბავშვი მაინც გამოტირებულ მამისად ჩაითვლება, და ქვრივ<sup>4</sup>  
დიაცი რაკი ერთხელ მუცლად იღებს, გათავდა, მერე გზა უკვე ხსნილია! ესე-  
გვარად იქცეოდა, მაგალითადრე, იულია, იმპერატორ ოქტავიანეს ასული: თა-  
ვიანთ კარისა მედაფდაფეთ ფეხთ მხოლოდ მაშინ აუშვერდა ხოლმე, ოდეს  
თავსა მძიმედ იგრძნობდა, ვითარცა მეხომალდეთ იციან — წინწინ დაგმანავენ  
ხომალდსა, კარგა მაგრად დაუდებენ და იალქანს მას უკან აუშვებენ. თუ ვინ-  
მე გამოვა და დასძრახავს ქვრივ დედაკაცთ, ფეხმძიმობისა ჟამსა თავს არ უნ-  
და იბაყლიანებდეთო, ძუკნა რომ ძუკნაა, მაკე ისიც კი არ იკარებს ხვადსაო,  
დედანი უმალ პირში ბურთს ჩასჩრიან, ძუკნა სხვაა, ქალი სხვაა, რომელმან  
კარგად უწყის ფასი სუპერფეტაციისაო, და პოპულიამაც ხომ ოდესღაც ეგე-  
ვე წართქვა მაკრობიუსის სატურნალიის II წიგნსა შინა.

და უკეთუ ეშმაკი მუცელქმნილს არ გადაგყრის კაცსა, ჯერ არს სარგილი  
ადგილსა მოარგო და კრინტი არ დასძრა არცსად.

თავი IV

**პითარ ამოიყორა გარგამელამ შიგანურითა გუცელი,  
ოდეს მიღგოვილ იყო გარგანტუაზედ**

ქვემოთ ყოველივეს წვლილად გაუწყებთ, რაგვარ მოიყარა მუხლი გარ-  
გამელამ, და უკეთუ არ ირწმუნებთ, უკანტანიმც გადმოგბრუნებიათ!

გარგამელას კი ზედ თებერვლისა სამსა გადმოუბრუნდა უკანტანი. გად-

<sup>1</sup> „დედას ხანგრძლივმა ათმა...“ (ლათ.).

<sup>2</sup> [დიგესტები], საკუთართა და სჯულ[იერთათვის], კა[ნონი] „უანდერძოდ გადაგებულ-  
თათვის“ (ლათ.).

<sup>3</sup> ნოველები, [უფლებათა კვალად მინიჭები]სათვის და აგრეთვე მეთერთმეტე თვეზედ  
გაჩენისათვის (ლათ.).

<sup>4</sup> ვალუსი, [დიგესტები], შვილთათვის და სიკვდილი[საშემდგომ დარჩენილ მემკვიდრე-  
თათვის] და [დიგესტები], ადამიანის ქონებისათვის, კა[ნონი] „მეშვიდე [თვეზედ]“ (ლათ.).

მოუბრუნდებოდა, აბა, რა კეთილი დაეყრებოდა, ქვეყნის გოდბიო მი-  
 ირთვა სადილად. გოდბიო შიგანურია ნაპატივარი კუაროსი. კუ-  
 არო ბაგეზედ და გიმოზედ ნასუქარი ხვასტაგია. გიმო სათიბია,  
 ზაფხულში ორგზის ითიბება. ესერიგად დაკლეს სამას სამოცდაშვიდი ათას  
 თოთხმეტი საკლავად გასუქებული უსხი და ყველიერისა სამშაბათს მარილად  
 ჩადება დაასკვნეს, რა არი გაზაფხულზედ ულევად ჰქონოდათ ყალი, რომ ღვი-  
 ნო მლაშე რამ მისაჭმელით ესვათ და წყურვილადრულთ დრო-ყამი ნადიმო-  
 ბათა შინა განცხრომაში გაეტარებინათ.

საკლავთ შიგანურისა, თავად უწყით, მთა დადგა, და თანაც კიდევ ისეთი  
 გემრიელი იყო, სჭამდნენ და ძლომას ვერ იკიდებდნენ. ოლონდ ვაი რომ მა-  
 ლიად სუნი შეეპარა და იმოდენსა გრძელყამიერ რა შეინახავდა! არადა, გადა-  
 საყრელად ენანებოდათ. ბოლოს, გაოხრებას ისევ ერთბაშად შეჭმა ამჯობინეს  
 და უხმეს ახლომახლო მსახლობელთ. მოვიდნენ, მოჯარდნენ სინეელნი, სე-  
 იელნი, ლაროშკლერმოელნი, ვოგოდრიელნი, კუდრემონპანსიელნი, ვედის-  
 ფონელნი და არცა სხვა მეზობელნი დაჰკლებიათ. ყოველნი სულ დარჩეულნი,  
 ტალიკ-ტალიკნი, დოგა-დოგანი, მოლხინენი და დიაცთა კუდში მადევარნი  
 იყვნენ.

ზნექველმა გრანგუზიემ დია გაიხარა და ბრძანა, ჭამა ძლომამდისაო და  
 ღვინო თრობამდისაო, თანამწოლს კი წასჩურჩულა, ნამეტურსა ნუ იზამ, რა-  
 მეთუ თვეში ხარ და შიგანი ძნელად მოსანელეებელიაო. მერმე ისიც უთხრა,  
 ემანდ უწმინდურსა რასმე კბილი არ გაჰკრაო, მაგრამ გარგამელამ არცრა შე-  
 ისმინა, თექვსმეტი კარგა მოზრდილი კასრი, ორიც მომცრო კოდი და ექვსი  
 ხალანი შიგნეული ეგრევე შექანქლა. შექანქლა და, მოგეცათ ლხენა, იმას მუ-  
 ცელი დაადგა!

და ქეიფ-ხადილსა როს მორჩნენ, სოსეს მიაშურეს, ტკბილად ააჟღერეს  
 ფლაჟოლეტი, გაბერეს სტვირისა გუდა და აბიბინებულ მოლსა ზედა იმისთა-  
 ნა ცეკვა-თამაში გაახურეს, ასი თვალიც ცოტა იყო საცქერლად.

თავი V

**სილოდა ანუ მთვრალთაგან უხნობა**

როკვით რა გული იჯერეს, მერმე კვალად სუფრა მოესურვათ, ბარემ პუ-  
 რი აქავე ჰაერზედ ვჭამოთო. თქმა და სუფრის გაშლა ერთი იყო. შეიქნა  
 ბოთლთა ბზრიალი, ფრთა-კურტუმ-ბარკალთ ტრიალი, სასმის-საწდეთა  
 წკრიალი.

- დამისხი, დამალევინე!
- სული ნუ დამალევინე!
- სუფრას არ აგარევინებ!
- არცა წყალს გაგარევინებ!
- წყლიანი აქეთ დაასხი!
- ეგრე იყოს, მომე სასმისი!
- ჰა, მიდი, ჩემსაში კლარეტი ჩამოუშვი! წვეთი არ დამაკლო, იცოდე!
- ვისაცა სწყურის, ღმერთმა შეარგოს!



- თავსა აქაც არ გამანებებ, ციებასავით რო ჩამაცივდი!
- რა ვქნა, რალაც ყელში არ ჩამდის, რა ჩემი ბრაღია!
- ვითომ რა, უქეიფოდა ხარ, გენაცვალე?
- შენმა მზემა, კარგად ვერა ვარ.
- თარალალი, თარანანო, ღვინის ჭირიმეო!
- პაპის ჯორისა არ იყოს, ვიცი, როდის უნდა ვსვა და დავლიო.
- მე კი იმ ჩვენი ბერივითა ვარ, გინდა ღვინო ჩამირაკრაკებია, გინდა ჟამნი.

— ნეტავი მაცოდინა, რა უფრო ადრეა გაჩენილი: მწყურვალეა თუ სამწყურვილო?

— მწყურვალეა თუ არა, ისე ვინ დალევდა, როცა უწინდელი ხალხი ბაღსავით უმანკო იყო?

— სამწყურვალეო, ვუწყვი, უსწრებდა, ვითარმედ *privatio presupponit habitum*<sup>1</sup>. მღვდელთაგანი ვარ.

*Foecundi calices quem non fecere disertum?*<sup>2</sup>

- ჩვენცა ბაღნი ვართ, უმანკონი, უმწყურვალეოდა ვცლურწავთ.
- თქვენი არ ვიცი და მე, ცოდვილი, ღმერთმან დამიფაროს მაგისაგან. ეგების არცა მწყურის ხოლმე, მაგრამ ცოტაცოტაობაში მინდება კიდევ. თუ არ დალევ, რა მოგწყურდება? გამიგე, გენაცვალე? სიფხიზლე უჭკუობაა, სიცოცხლე ღვინოშია!
- მაშ, დაასხი, დავლიოთ! ჩვენი წუთისოფელი სულ ღიღინში გავლიოთ!
- დაიცა, ძმაო, ყანწი რა მექნა, ვინ ამაწაპნა?
- ყანწსა ვინა ჩივის, მე ღვინოსაც აღარ მისხამენ!
- შენა ყელისა სიმშრალე ხომ არა გჭირს? მაგას სისველე მოუხდება, ნაღდია.
- მაგდენი არღა მესმის, ოღონდ სმა თუა, სმა იყოს!
- მიდი, დაასხი, მიდი!
- სიკვდილი ჩავკლათ ჯამშია, არ შემოვუშვათ ჯანშია!
- ვინცა ცოტა სვა, ისიც მოკვდა!
- გინა სიკვდილი ყოფილა და გინა უღვინობა, ერთი მაგრა ჩავბუყბუყდეთ. მოკლას ხარი თივამა.
- აბა, ჰა, მერიქიფენო, ჩვენი ხელობისა დავლიოთ, მსმელობისა! ვინცა არა ღლევს, კისრით დაალევინეთ!
- კუჭნაწლავისა გვალვა მჭირს, ერთი კარგა უნდა დავიყო.
- ეგ რალაც იბრუნწკება. ჰაი, დედასა, ვირმა რა იცის, ხურმა რა ხილია!
- ღვინო, გენაცვალე, სუ სისხლში მიდის, ფეხსადგილისთვის სად არი!
- დილას გაწმენდილნი ნაწლავნი თუ არ გავალაღლაღე, ისე არ გამოვა.
- ღმერთმანი, უკვე ფაშვი დამედო!
- ე ჩემი სათამასუქე ქალაღნიც რო ჩემსავითა სვამდნენ, აი მაშინ გენახათ სეირი. ნაყლურწნი ასონი, გიყვარდეს, ყირა-ყირა გადავიდოდნენ და სასამართლოსაც ავცდებოდნი.
- რაკი ხელი ღვინისკენ გაგირბის, ცხვირიც იმად გიწითლდება!
- ამდენ ღვინოსა დალევა არ უნდა!

<sup>1</sup> რაცა არა გვაქვს, ის გვინდა (ლათ.).  
<sup>2</sup> ვისაცა უსვამს ბევრიო, ვინ არ გამხდარა მჭევრიო? (ლათ.).



- რაღა სათით ხმევა და რაღა ბელურისა ზიარება!
- ბარემ ბოთლიანად მოვიყუდებ.
- აბა თუ მეტყვი, რა განასხვავებს ლამაზმანისგან ბოთლსა?
- სხვაობა დიდია: ერთნაირად ვერ დაუცობ.
- რაც სწორია, სწორია!

— სმა ძველებისა გენახა, ჩაღლევა იმათ იცოდნენ.

- ძველებურად ვიღიღინოთ, არ მოვიკლოთ ცივი ღვინო!
- წყალზედ რა მინდა? ნაწლავთ ამისთანად რა წყალი გარეცხავს!
- კი არა ვსვამ, ღრუბელივითა ვსრუტავ!
- მე ტამპლიერვით მივირთმევ.
- მე, შენი ჭირიმე, *tanquam sponsus*<sup>1</sup>.
- მე კი — *sicut terra sine aqua*<sup>2</sup>.
- არა, მაინც რა არი შაშხი?

— რა არი და, სუფრის ცხონებაა, მარნის კიბეა, ზედ ღვინისა კასრთ რომ აგორებენ, აბა სტომაქში ისე რა ჩაიყვანს!

— მაშ დავლიოთ, დავლიოთ, ჯერ ტვინში არ ასულა! *Respice personam; pone pro duos; bus non est in usu*<sup>3</sup>.

— ყოყინიც რომ ისე ვიცოდე, რარიგ ბოყინი ვიცი, მე და ჩემმა მზემ, კარგი ყოყინა ვიქნებოდით.

- ჩვენი ჟაკ კერი უღმერთოდ სვამდა.
- ჩვენც ისე რიგად გვეხმია, ჰხამდა.
- ბახუსმა სუფრა გაშალა ინდთან.
- ღლეულმა ჯარმა დასცა მელინდა.
- სადაცა წვიმს, ჩვენც იქა ვართ, გვიყვარს კოკისპირული!
- აბა, მიდი, აზნაურიშვილო, ერთი კიდევ ჩამოასხი, თორემ საჩივარო წამოვიდა!

— თქვენ დაღევა შეიძელით, ღვინო ბევრია. ვისხდეთ დილამდე და ვცალოთ ძირამდე.


— შენ რა გინდა, მე ჩემსა მწყურვალეებას ვუჩივი. ნაჩივარი არ გამომიყვანო, აზნაურიშვილო!

- ერთი, თუ ძმა ხარ, ა ეგ ნაჭერი გადმომაწოდე!
- დაცლით წინათაც ვცლიდი, აწ წვეთსა არღა ვუშვებ.
- შინ ბავშვი არცვის გვიტირის, ვჭამოთ, რაც შესაჭმელია!
- ი ჭრელი მოზვრისა ჯიგარი რომ იყო, ტყუილია! კარგა მოგისუფთავებია, ძმავე. პირისა გემოც ეგრეთი უნდა!
- ჰა, გადაუშვი, არადა...
- დაძალევა არ იყოს!
- კი არ გადალებ, გვედრი!
- მაშ, სანამ მაგრა არ შემეხვეწები, წვეთს არ ჩავუშვებ. თავპატიყო მიყვარს, რა ჩემი ბრალია!

<sup>1</sup> დანიშნულსავითა (ლათ.).

<sup>2</sup> ვითარცა მიწა ურწყავი (ლათ.).

<sup>3</sup> ნუ გავიწყდება, ვისთანა გაქვს საქმე, ორისა ჩამოასხი (ლათ.).





- *Lagona edatera*<sup>1</sup>. ორი დღეც რო მასხა, ამ ღვინით მაინც ვერ გაგძლები.
- მეც რაღაცა უფრო მწყურდება.
- მე კი გამოვიბრუე და თქვენი არ ვიცი.
- ღვინო თუ არღა გწყურის, შენსა თავს უნდა დააბრალო, წარამარა ნუნუას ოყნა სად გაგონილა!
- ღმერთმა შექმნა ხმელი, ფეხთდასადგმელი, ვაი ამ დგომასა!
- ნუმც მომშორებია ბაგეთაგან სიტყვა უფლისა: *Sitio*<sup>2</sup>.
- ალბათ ქვას უფრორე ადვილად მოერევა კაცი, ქანსელად სახელდებულსა, ვინემ მე მწყურვალებასა, რასაცა ეგზომ განიცდის მაღალღირსება ჩემი.
- მადა ჭამაში მოდისო, უთქვამს ანუე მანელსა. მაშ, წყურვილი სმაში გაივლის.
- არი რამე წამალი მწყურვალებისა?
- არი, ოღონდ ძაღლისა კბენას რო გადაგარჩენს, იმის საპირისპიროა. უკან ადევნებულსა თავის დღეში ძაღლი კბილსა ვერ გაგკრავს, მოწყურებამდისა წინწინ თუ დაღევ, წყურვილსა რაღა ჭირი გაგიჩენს!
- მერიქიფევ, ჩანჩალო, ჩამოასხი ჩქარ-ჩქარაო! მწდე ხარ, მწედ გვექმენ, საწდე არ დააშრო! არგუსსა სიფხიზლისთვის ასი თვალი ესხა, მერიქიფეს კი, ბრიარესი არ იყოს, ასი ხელი უნდა, აბა ისე სუფრას რა აუვა!
- რაც მეტს დავლბებით, უფრო ჩავტკბებით!
- თეთრი დაასხი, თეთრი! სულ ჩამოასხი, გულმუცელი მეწვის, გაალიციციე!
- ჰა, არ მივუჯახუნოთ, რას იტყვი, მოსაგრევ?
- მივუჯახუნოთ და მივუჯახუნოთ! შენი გამარჯვებისა იყოს!
- გავიტენე, გავიჰყიპე, შენმასიციოცხლემ, გავტყვრები!
- ო, *lacryma Christi*<sup>3</sup>
- ეს დევინიერია, ეგ პინოა!
- ღმერთივით ღვინოა!
- ღვინო კი არა, ნამდვილი ხავერდია!
- ოჰ, ოჰ, ოჰ, ამისთანა ტყუილია! ჩადის, მაგრამ რა ჩადის! ცალყურაში ჩამოასხი, იმაში ბევრი ჩადის!
- მიდი, რაც არი, არი, ერთიც შევუტოთ, ბიძაშვილო!
- შენ მარტო გვითხარ, დანარჩენი ჩვენ ვიცით!
- *Ex hoc in hoc*<sup>4</sup> გადასხმა-გადმოსხმა და მამაძაღლობა ნუ იქნება. ზალხია მოწმე, ჩემდენი არცვის არ დაუღევია!
- წინა ვართ, წინა, შენ სმაში, მე სიმღერაში.
- მსმელნო, ძველნო, მწყურვალენო, მაგ წყურვილში გენაცვალეთ!
- აბა, ჰა, აზნაურიშვილო, ისე ჩამოუშვი, სასმურს გვირგვინი დაადგეს!
- კარდინალის სკარამანგსავით წითლისა დაასხი!

<sup>1</sup> დავლიოთ, ძმაო (ბასკ.).

<sup>2</sup> მწყურის (ლათ.).

<sup>3</sup> ქრისტეს ცრემლია (ლათ.).

<sup>4</sup> აქედან — აქა (ლათ.).

- Natura abhorret vacuum<sup>1</sup>.
- ფრჩხილზედ დავიწურე, ისიც შეევსვი, მეტი რაღა ვქნა!
- ეგრე, ეგრე, ბრეტონულად ვცლუპოთ!
- მოყუდება და დაცლა ერთი იყოს!
- დალიე, დალიე, პირდაპირ მალამოა! .

თავი VI

**პითარ გასაოცრად გაჩნდა გარგანტუა**

მთვრალნი ჯერეთ ისევ ჯაჯლანებდნენ, გარგამელას მუცელმა რომ დაჰგვრიმა, და გრანგუზიე მსწრაფლ ზეწამოიჭრა, ჰგონებდა, ჟამი შობისა დაუდგაო. მიეფერა, მიელაციცა, ემანდ სადმე ტირიფთა ქვეშე მოლზედ წამოწეჭი, სულ მალე ახალი ფეფები წამოგეზრდებო, ოღონდ ახალშობილს ყოჩაღად უნდა მიეგებო. ეგ საქმე, უწყოდე, გაგამწარებს, სამაგიეროდ ჩვილისა სიხარული ძველსა სიმწარეს დაგავიწყებსო.

— გითხრობ და დასტურვყოფ კიდეცა, — გულზედ ხელი დაიდო გრანგუზიემ. — იოანეს სახარებისა XVI თავსა შინა მაცხოვარი ჩვენი ბრძანებს: „დედაკაცი რა ჟამს შობს, მწუხარეა, რამეთუ მოიწია ჟამი მისიო, ხოლო რა ჟამს შვის ყრმაი, არღარა მოეხსენოს ჭირი იგიო“.

— რა კარგად უბნობ, შენსა ენა-პირს კი ვენაცვალე, — მიუგო გარგამელამ. — სახარებისა მოსმენა უფრორე მიყვარს, სულსაც არგია და გულსაცა, ვინემ წმინდა მარგარიტას ცხოვრებისა ანდა სხვა რამ სათნევისა.

— ნუ შიშნეულობ, შე შაქო, შენა! — გაამხნევა გრანგუზიემ, — მიდი, განთავისუფლდი, მალე უკვე ახლისა შექმნა გვმართებს.

— გაჟკაცო რა გენაღვლებათ რა! — გაეპასუხა გარგამელა. — ღვთისა შეწევნით აწ როგორმე გავირჯები შენის გულისთვის. ისე კი, დამბადებელსა ვფიცავ. შიგ ძირში უნდა მოგაჭრას კაცმა.

— მაგას რაზედ უბნობ? — ჰკითხა გრანგუზიემ.

— აბა, აბა, თავს ნუ იკატუნებ, — უთხრა გარგამელამ. — ძალიანაც კარგად უწყი, რაზედაც ვუბნობ.


— რახან ეგრე გაუჯავრებიხარ ამ მგლის ლუკმასა ამასა, თუგინდ ეხლავ მოატანინე სატევარი, — თავი არ დაიზოგა გრანგუზიემ.

— უწინამც დღე არ გამითენდეს! — ამწვიტინდა გარგამელა. — მომიტევე, უფალო, რამეთუ შეგცოდე. ჭირი ენასა ჩემსა, მართალი არ გეგონოს. ღვთისა იმედითა ვარ, თორემ, ვუწყი, რა შავი დღეც მომელის, სულ მაგის ბრალი კია, ძაან ანებივრებ.

— ფიქრი ნუ გაქვს, თოლიგე! — დააიმედა გრანგუზიემ. — ნულარაფრი-სა გეშინის, საძნელო უკვე განვლილია. წავალ, ერთსაც გადავკრავ. უკეთუ გასატკივარდე, აქავ ახლოს ვიქნები. ტაში შემოჰკარ და წამერთ შენთანა ვარ.

პატარა ხანსა უკან გარგამელას კვნესა-კივილი მეცხრე ცას მისწვდა. მოცვივდნენ უმაღ სრულიად იმა ქვეყნისა დედათმოურავნი ანუ ამქმნელნი

<sup>1</sup> ბუნება სიცარიელეს ვერ იტანს (ლათ.).



ყრმათა, დაუწყეს ტლოყთა შუა სინჯვა, უფათურეს, უტრიალეს და სინჯვა-ფათურში ხელთ დია მქისე ნაგლეჯი მოხვდით ტყავისა; ეს იყო პირი დაადეს, ვაშობინეთო, უნდა ეყვირათ და ყიტაწელი კი შერჩათ: ვითარცა ზემოთ იუწყეთ, სულ იმ შიგანურისა ბევრმა ჭამამ უყო, პირმუცელმიდგმულსა ფაღარათი შეჰყარა და უკანა დიდი ნაწლავიც იმად გამოუვარდა.

ადგა მაშინ ერთი უწმინდური დედაბერი, პირველ ჯანაოზად სახელქებული, იმა მხარეში ბარე სამოცი წლის წინათ ბრიზპაილიდან მოსული, სენ-ჟუსს ახლო რომ არი, და რაღაც საშინლად შემკვრელი რამ წამალი შეასვა. უნდა გენახათ, რა დღეში ჩავარდა საწყალი დედაკაცი! მთელი უკანა ტანი მოეფხუწა და მოეპრუწა, ტყუილია, გინდ კბილითაც ჩაჭტრენოდით, პირს მაინც ვერა და ვერ უჩენდით. რაღა თავი შეგაბეზროთ, სწორედ ისევე მოხდა, ეშმაკს რომ მოუვიდა, როს წმინდა მარტინის პარაკლისისა ჟამსა ორი მეჭორე დედაკაცი-სა ნაჭორალი იწერა და მერმე კი ეტრათი კბილითაც ვერ გაშალა.

ამა ერთსა უბედურებასა მეორეც ზედ დაერთო — ჭინტვა-ჭიფხვაში მშობიარესა საშვილოსნოს ძარღვთა შესართავნი დაებერა და ყრმამ შიგ სისხლძარღვში დურთა თავი. კარგა ხანს აღმა-დაღმა იძვრინა, გაიარა შუასაძგიდსა შიგან და, რაჟამს იქ მიაღწია, სად ხსენებული სისხლძარღვი ორად იტოტვის, ხელმარცხნივ გაუხვია და ყურში გაძვრა. აქაოდა ქვეყნად გავჩნდიო, სხვა ჩვილთა დარად კი არ ჩაბჟირებულა: „აღუუ! აღუო!“ პირიქით, კაი ლაზათიანი ღრიალი მორთო: „ნუ-ნუა! ნუ-ნუა! ნუ-ნუაო!“ თითქო ქვეყანას სასმელად უხმობსო, და ძახილი მისი ბიოსიდან ვივარემდე ისმოდა.

ვინ იცის, ეგებ არცა გეჯერებათ ამისთანა რამ დაბადება. ნება თქვენია. საშულარი რა მაქვს, ოღონდ არ დაგავიწყდეთ, წესიერთა და კეთილად განმსჯელთ ყველაკა სჯერათ, რასაც გაიგონებენ ან წაიკითხავენ. განა თავად სოლომონი არ გვაუწყებს იგავთა წიგნის XIV თავსა შინა: *Innocens credit omni verbo*<sup>1</sup> და ა. შ.? ანდა განა მოციქულმა პავლემ არა ბრძანა კორინთელთა მიმართ პირველი ეპისტოლეს XIII თავსა შინა: *Charitas omnia credit*?<sup>2</sup> მაშ, ვითომ თქვენ რატომღა არ უნდა დაიჯეროთ? იმიტომაო, ალბათ იტყვიო, რომა ამბავსა ამას სიმართლისა ნატამალი არა ეტყობა რაო. მეც სწორედ მანდა ვარ და აი მაგიტომაც უნდა მერწმუნოთ, რამეთუ სორბონელნი პირდაპირ აცხადებენ, რწმენა უჩინო საგანთა გამჟღავნებააო. ნუთუ აქა რამეა საწინააღმდეგომო ჩვენი სჯულ-კანონისა, ჩვენი სარწმუნოებისა, საღი აზრისა, საღმრთო წერილისა? თქვენი არ ვიცი და, ჩემის ჭკუით კი, ამგვარს დაბადებაში სრულიადაც არ არის რა საპირისპირო დაბადებისა. უკეთუ ესეგვარი იყო ნება ღვთისა, რომელი თქვენგანი მოჰყვება მტკიცებასა, უფალსა არა ძალედვა ეგევითარი საქმის ქმნაო. ნუ, ნუ აიტკივებთ, თუ ხალხნი ხართ, აუტკივარსა თავსა. უფლისათვის არცრა არს შეუძლებელი და თუ მოინებებდა, დედანი სულ ყურთაგან შობდნენ ყრმათა.

ბახუსი რა, იუპიტერის თეძოდან არ იშვა?

როკტალიადი განა დედის ქუსლიდან არ დაიბადა?

კროკმუში ძიძისა ფეხსაცმლიდან არ გაჩნდა?

მინერვა განა იუპიტერის ტვინსა შიგან არ ჩაისახა და ყურიდან არ გამოუძვრა?

<sup>1</sup> უმანკო სარწმუნოდ მიიღებს ყოველსა სიტყვასაო (ლათ.).

<sup>2</sup> სიყვარულსა ყოველი სწამსო (ლათ.).



განა აღონისი მირონმდინარი ხისა ლოპოდან არ გამოვიდა? ხოლო კასტორი და პოლუქსი რა, ლედას კვერცხით არ გამოვიყენებ? და განცვიფრება და გაკვირვება თქვენ მერე გენახათ, რომ ავმდგარიყავ და ეხლავ ბოლომდის ჩამებულბულებინა პლინიუსის ის ერთი წერილი, სად წვლილად არის თქმული ამბავი უჩვეულო და არაბუნებური მშობიარობისა! მაგრამ იმასავით წარამარად ლაპარაკს ვერ დავიწყებ. აიღეთ, თავად წაიკითხეთ ბუნებისმეტყველება მისი, VII წიგნის III თავი, და დამეხსენით, გული ნუ გამიწვრილეთ.


თავი VII

**პითარ ღაარქვეს სახელი ბარგანტუს და რარიზ იწყო მან წრუპვა ღვინისა**

ქველი გრანგუზიე შუა ქეიფში იყო, საშინელი რამ სხავილი რომ შეესმა ახალშობილი შვილისა. „ნუნუა! ნუნუა! ნუნუაო!“ ქვეყანას აქცევდა ახალდაბადებული. „ქე გრან ტუ ა!“ შესძახა მაშინ გრანგუზიემ, ე რამხელა გქონიაო, ყანყრატო, შვილო, შენ დაიტრაბახეო. ამის თქმა იყო, და მეინახენი ერთხმად აყაყანდნენ, ძველთა ისრაელთა დარად და მაგალითებრ ყრმას უცილოდ გარგანტუა უნდა დავარქვათ, რამეთუ ძისა გაჩენასა მამა ამა სიტყვით შეხვდაო. გრანგუზიე თანახმა გაუხდა, დედასაც ფრიად მოეწონა პირმშოს სახელი. მერმე, ეგების ცოტა დაშოშმინდესო, კარგა ბლომად ნუნუა გადააყლურწეს და მოიღეს ემბაზი, ჩასვეს და დალოცვილი ქრისტიანული წესისამებრ მირონი სცხეს.

მას უკან პონტილიდან და ბრეემონიდან ჩვიდმეტი ათას ცხრაას ცამეტი რქა მეწველი ფური მორეკეს, რადგან მთელ იმოდენა ქვეყანაში არცვინ არ იყო იმისთანა მეძუძური, ვინცა ყრმისა მარჩენლად გამოდგებოდა. თუმცაღა ზოგ-ზოგნი სკოტელნი მწიგნობარნი იტყვიან, დედა აწოვებდაო, ერთ ჯერზედ ძალედვა ძუძუთაგან ათას ოთხას ორი კასრი და ცხრა კოჭობი რძე გამოეწველაო, მაგრამ სორბონამ ესევითარი აზრი საძრახისად შერაცხა, ღვთისმოშიშ სასმენელთ შეურაცხყოფს და მწვალელობისა სუნი ასდისო.

და რა გამოხდა წელიწადი და ათი თვე, ექიმთა რჩევა ჭკუაში დაუჭდათ და ბავშვისა გარეთ გაყვანა იწყეს. შეაბამდნენ აზავერთ კოხტა ოჭიორაში, რომელიცა მავანმა ჟან დენიომ გამართა, ზედ ყრმასა წამოასკუპებდნენ, და დაჰქროდა ისიცა აღმა-დაღმა, გამვლელსა და ჩამვლელს სუყველას თვალსა სტაცებდა: დაბუა ბიჭი იყო, ტოტყი, დაბაბი რატო ორი ცხრა ნაკეცი მაინც არ ეკიდა! ჩხავილითა იშვიათად ჩხაოდა, ჩასვრით კი, ღმერთმან იცის, წამდაუწუმ ისვრებოდა. აბა რას არ ჩაისვრებოდა, მთელი უკანტანი ვაგლახად მოლორწოებოდა საცოდავსა. რისი ბრალი იყო და, ჩემი ჭირიმც შეგყრიათ, ცოტა აგებულებისა, ცოტაც კიდევ სხვა გარემოებისა ანუ ჭაჭანაურის ნამეტანი ყლურწვისა. დაღათუმცა, მართალი თუ გინდათ, უმიზეზოდ და უსაბაბოდ არცროს პირში წამლად არ ჩაუშვებდა. უკეთუ გააჯავრებდნენ, აწყენინებდნენ რასმე, გამიზეზდებოდა ანდა კრუსუნებდა და ვიშვიშებდა, როს აღარა ეს-



მოდა რა, იჭაჭებოდა და იკვლანჭებოდა, აი მაშინ ეგრევე მოაწაფებინებდნენ, და დაცხრომაც ზედ იყო, კვალად ისევ უწყინარი და ხალისიანი ხდებოდა.

ერთმა დედამძუძემ პირისწყლისა ფიცილით მითხრა, წრუპვა-ყლურწვაში სმასა ისერიგად მიეჩვია, ჩაფი ან ჭაფრუკა თუ გაჟღარუნდა, ტარაბუა ესხმის და აღარცრა ახსოვს, იტყვი, სამოთხისა კარი გაეხსნათ. ძიძა-გამდელთ დია მოსწონდათ ყრმისა ესეგვარი ღვთაებრივი ზნე-ხასიათი და ამა ვითარებისა გამო დილდილით მართოდენ იმით ართობდნენ, რომ კულასა დანით აკაკუნებდნენ, საწდესა საწდით აწკარუნებდნენ, ჭინჭილასა ჭინჭილაზედ აჭახუნებდნენ და, რა კაკუნ-წკარუნ-ჭახუნს მოჰკრავდა ყურსა, ყრმას სიამისა ჟრუანტელი დაუვლიდა ხოლმე, აკვანსა თვითონვე ირწევდა, ხან ერთსა თითს იტკაცუნებდა, ხან მეორესა და ტაკუას უცხო რამ საკრავსაებრ ატკრციალებდა.

თავი VIII

ვითარ შეეოსნა გარგანტუა

მამამ ჯერეთ ისევ ყრმა შვილისთვის შეაკერინა სამოსელი საგვარეულო ფერისა: თეთრმორეული ცისფერი. შესამოსელსა ამას დიდი დავიდარაბა დასჭირდა, ვინემ გამოსჭრიდნენ და შეჰკერავდნენ შესაბამად იმუამინდელი მოდისა. ქალაქ მონსოროს წერილთსაცავსა შინა შემონახულ ძველისძველ სიგელ-გუჯართა მოწმობით ნიშანდობლივ ვიტყვი, რარიგადაც შემოსეს გარგანტუა.

პერანგსა მისას ცხრაასი წყრთა შატელროდის ტილო მოუხდა, ხოლო ილლიათა ქვეშ ჩაკერებულ ორ პერანგის ბარტყსა — ორასი. კვართი იგი ნაოჭაუსხმელი იყო, რამეთუ ნაოჭასხმული მხოლოდ მას უკან მოიგონეს, ოდეს თეთრეულისა მკერვალთ ნემსთა წვერნი წაემტვრათ და ყუნწითლა იწყეს კერვა.

ქუქუნაკსა მისას რვაას ცამეტი წყრთა თეთრი ატლასი დაახარჯეს, თასმაკოპი კი ათას ხუთას ცხრანახევარი ძაღლის ტყავისა დასჭრეს, რაკი იმუამად უკვე საწმერთულს სახლართავით იკრავდნენ ქუქუნაკზედ და არა ქუქუნაკსა საწმერთულზედ, რაიცა ფრიად არაბუნებურია, როგორაც ოკამმა ცხადყო მაგისტრ შალვარის Exponibilia<sup>1</sup>-ს თარგმანებაში.

საწმერთულსა, არცა მეტი, არცა ნაკლები, ათას ას ხუთი წყრთა და კიდევ წყრთისა მესამედი თეთრი შალისა ნაჭერი დასჭირდა. ტოტნი სვეტებრ გამოუყვანეს და უკან, ზედ წელთან, აქეთ-იქეთ ორ-ორი ჩაქი დააყოლეს, რათა ყმაწვილსა თირკმელნი არ ჩაჰხურებოდა. ამ ერთი ხელისდადება გახსნილ ადგილთ სულერთიანად ცისა ფერი დამასკური ხრა ამშვენებდა შესაფერი ზომისა. არ დაგავიწყდეთ, ბარე ერთსა და ორს შეშურდებოდა ლამაზად ჩამოსხმულნი და ტანისა ტოლფარდნი ბარკალნი ყრმა გარგანტუასი.

ნიჯგორ-საბიძალსა ანუ საჭუჭუესა თექვსმეტი წყრთა და წყრთისა მეოთხედი მოუხდა იმავე შალის ნაჭრისა, ესე იგი სკლატისა, და ოდრიკალსავით

<sup>1</sup> „ახსნანი“ — (ლათ.) შუა საუკუნეების ლოგიკის ერთ-ერთი ნაწილი, რომელიც ვარკვეული ტიპის მსჯელობათა ანალიზს ახდენს.

გამოჭრილი კოხტად იყო ორი ენამინანქრიანი ოქროს მამალი დუგმით და-  
მაგრებული. იმა ორსავე დუგმაში ორი ფორთოხლისოდენა ზურმუხტისა ქვა  
ჩაესვათ, ზურმუხტისა ქვა კი, ვითარ ორფევისი (De lapidibus<sup>1</sup>) და პლინიუსი  
(libro ultimo<sup>2</sup>) იტყვიან, დიდად აღძრავს და აქვარკინებს სარცხვინელსა კა-  
ცისასა.

ბუდე საბიძლისა წყრთანახევრით წინ იყო გამოწეული, და საწმერთულ-  
სავით ამისთვისაც ალაგ-ალაგ ჩაქი დაეყოლებინათ სულ ისევ დატალღებუ-  
ლი, ცისფერი დამასკური ჭიჭნაურით დამშვენებული, და უკეთუ თვალს შე-  
ავლებდით ნაოქროხელარ ოქრონემსულსა და ოქროქსოვილს, ხალასი ლალ-  
ანდამატით, ზურმუხტ-ფირუზითა და სპარსული მარგალიტით გაწყობილსა,  
საბიძალსა მას უცილოდ იაჯავარ სიუხვისა კოკას შეადრიდით, ძველთა ხელ-  
ფურჩთაგან ნაოსტატარსა, რომლისა დარი და მსგავსიც ქალღმერთმა რეამ  
ორსა ნიმფას უბოძა, ადრასტეასა და იდას, იუპიტერისა გამომზრდელთ. და  
მართლაც რაღა კოკა სიუხვისა და რაღა ოქრომოთვალული საბიძალი იგი,  
მიწყვიც აყვავებული, გალაღებული, გათქვირებული, მიწყვიც პოხიერი, მიწყვიც  
ნოყიერი, მიწყვიც ღონიერი, ნაყოფმდიდარი, სიტკბოჩამომდინარი, მიწყვიც მცი-  
ნარი, სიკეთითა და სიამით აღვსებული, თავად ღმერთთა მოწმე, რა დიდებუ-  
ლი რამც იყო! თუმცა უფრორე წვლილად ამას წიგნი ჩემი დირსებანი  
საბიძალისანი მოგიტხრობთ. ერთი კია, საბიძალი ისი მარტო უმეტეს  
ზომისა წარზიდული და ბლომი როდი იყო, შიგნიშიგაც ბლომად მოიძვევებოდა  
ყოველივე და სულაც არა ჰგავდა პრანჭვას გადაყოლილთა პირფერ საბი-  
ძალთ, დიაცთათვის დია დასაკლისად ოდენ ნიავ-ქარით გამოტენილთ.

წალა-წულას გარგანტუასას საპირედ ოთხას ექვსი წყრთა ცისფერი ხა-  
ვერდი მოუნდა. ხავერდისა ნაჭერი ზუზივ-წუწვივ შუაზედ გასჭრეს და ცალ-  
ცალკე მრგვლად ამოკერეს. საპირეზედ ათას ასი ძროხისა ტყავი დახარჯეს  
მუქი წაბლისფერი და ჭვინტნი ნემსებრ წაუწვეტიანეს.

ახალუხსა ათას რვაასი წყრთა დია ლურჯი ხავერდი მოანდომეს. ფათანა-  
კერ ხავერდსა გარეშემო ფოთოლგამოტანილი ვაზისა რქა-ლერწი ჰქონდა შე-  
მოვლებული, შუაგულში კი ფრიად შვენოდა ვერცხლისა კლაპიტონის სამ-  
წდუურნი, შემკულნი ურიცხვი პეტალითა და მარგალიტით. მთელს ამა ბი-  
ლიბტონში გადაკრულად ის აზრი იყო, რომა ოდესმე გარგანტუა უაღრესი  
მსმელი დადგებოდა.


სარტყელი სამასნახევარი წყრთა აბრეშუმისებრი სარყისა შეუკერეს. სარ-  
ყი იგი ნახევრად თეთრი და, უკეთუ არ მეშლება, ნახევრად ცისა ფერი იყო.

დაშნა ვალენსიური არა ჰქონია, არცა ხანჯალი სარაგოსული, რამეთუ მა-  
მამისსა თვალისა დასანახავად სძაგდა იქაურნი შებრუყებულნი იდაღონი,  
ესპანელთა და წყეულ ურჯულოთა ნარევნურენი. დაშნა-კალდიმი გარგან-  
ტუასი ხისა იყო, ოღონდ ჩინებული, ხანჯალიც გაპოხილი ტყავისა ეკიდა;  
ორივე ერთად კი, ფერადოვანი და ოქროცურვებული, ავისა თვალით არ ინახ-  
ვოდა.

ქისა სპილოს ჭანჭლისა ჰქონდა, ჭანჭალი ესე ლიბის პროკონსულსა  
ჰერ პრაკონტალს ებოძებინა.

<sup>1</sup> „სპეკალთათვის“ (ლათ.).

<sup>2</sup> ბოლო წიგნში (ლათ.).



ლაბადას მისას ცხრა ათას ხუთას ოთხმოცდაცხრამეტი და კიდევ ორი მესამედი წყრთა მხიარული ლურჯი ხავერდი დასჭირდა. ხავერდსა ზელა გეზად და აღმაცრივ მრავალი რამ სახე იყო მალათით ამოქარგული, და თუ უჭვრეტდი, უცხოოდ ლივლივებდა და ბზინავდა, ვითა გვრიტისა ყელი, თვალგასახარად მნახველისა.

ქუდი თეთრი ხავერდისა შეუკერეს, სულ სამას ორი წყრთა და ორი გაბაჯანი მოუნდა. ფართო და მრგვალი ქუდი იყო, შესაფერი თავის მოყვანილობისა. ხოლო ყანასაებრ აბიბინებულ თავსარქმელთ, ყოველთა გამავრებულ ძაღლთა და მამაძაღლთა რომ ახურავთ, მამამისი კარგი თვალთ არ უცქეროდა. მაგათ უბედურება მოაქვთო, იტყოდა ხოლმე, თვისთა შუბლაპარსულ პატრონთათვისაო.

თომარ-ჯილად უშველებელი ლამაზი ცისა ფერი ფრთა შვენოდა ვარხვისა, რომლისა ჯიშიც ჰირკანიის უდაბურ ადგილთა შინა ბუდობს. ფრთა იგი ზედ მარჯვენა ყურთან დია კოხტად გადმოჰვენოდა.

ქუდისა ნიშანი ოქროსი ეკეთა სამოცდარვა მარკის წონისა და ზედ კუკი იყო მიკრული მინანქრისა. კუკსა მას თავი ორი ება, ერთმანეთისაკენ პირმიქცეული, ხელი ოთხი ესხა, ფეხიც ოთხი და საჯდომი ორი უჩანდა, რამეთუ, პლატონის თქმისა არ იყოს ნადიმსა შინა, ესეგვარია ბუნება კაცთა და საბამიერი იღუმალი არსით. კუკისა ამის გარეშემო იონურ ასოთა დასხმით ეწერა:

**H ΑΓΑΠΗ ΟΥ ΖΗΤΕΙ ΤΑ ΕΑΥΤΗΣ.<sup>1</sup>**

ყელზედ ოქროს ფარღული ეკიდა წონით ოცდახუთი ათას სამოცდასამი მარკა ოქროსი და სულ მუშტისოდენა თვალსა და თვალს შუა უცხოოდ ელავდნენ დიდრონ-დიდრონი მწვანე იასპის გველეშაპნი, რომელთა დარნი ესხა ოდესღაც თვით მეფე ნეჰეფსსა. ფარღული იგი გულისა კოვზამდე სწვდებოდა, რისა მარგებლობაც, რაიცა კარგად უწყოდნენ ბერძენ მკურნალთ, მთელი სიცოცხლე არ მოჰკლებია გარგანტუას.

თათმანთათვის ოთხში ამოღებული თექვსმეტი ჰინკისა ტყავი დახარჯეს, ხოლო ქობისთვისა სამი დევქაჯი გაატყავეს და ყოველივე ისე აღასრულეს, ვითარ სენლუანელნი კაბალისტნი ბრძანებდნენ.

ბეჭედნიც უხვად აესხათ (ვინათგან მამასა სწადდა აღედგინა დიდგვაროვანთა ძველისძველი ჩინებულება ესე): მარცხენა ხელის საჩვენებელსა თითზედ ოფაზის კოხტა ქულიჩიანი წითელი ლალი ჰქონდა წამოცმული, სირაქლიმას კვერცხისა ოდენა: იმავე ხელის უსახელო თითსა უცხო რამ ბეჭედი უმშვენებდა — ჯერაქამომდე არნახული და გაუგონარი ოთხთა ილეკროთა შენადნობი, რომელსა შიგან ფოლადი ოქროსა არა სთხრიდა, ვერცხლი კი სპილენძსა არა ბინდავდა, იშვიათი რამ ნაოსტატარი იყო კაპიტან შაპუისა და მისი დარბაისელი მოსაქმის აღკოფრიბასისა; მარჯვენა ხელისა უსახელო თითზედ ხვეული ბეჭედი შვენოდა, ბეჭედში ბადახში იყო ჩასმული, ღია მოწითალო ფერისა, აგრეთვე თავგამწვეტებული ბრილიანტი და ზურმუხტი ფიზონური, რომელთაც უღირალი ფასი ედო, რამეთუ ჰანს კარველი, მელინდისა მეფის უებრო ოქრომჭედელი, სამოცდაცხრა მილიონ რვას ოთხმოცდათოთხმეტი ათას თვრამეტ „ფაცახმატყლიან სადგამად“ აფასებდა, ამავე ფასსა სდებდნენ აუგსბურგელნი ფუგერნიც.

<sup>1</sup> სიყვარული არა ეძიებს სარგებელსა (ბერძნ.).



## გარბანტუას შესამოსლისა ფერთა გამო

ვითარცა ზემოთ იუწყეთ, გარბანტუა თეთრ-ცისფრად იყო შემოსილი. მამისი ამით ხალხსა გულისხმაში აგდებდა. შვილი ზეგარდმო სიხარულად მომევილინაო, რადგან თეთრი ფერი მის თვალში სიხარულსა, სიამესა, შვებასა და ლხენასა ნიშნავდა, ხოლო ფერი ცისა — ყოველსავე ციურსა. ვიცი, ამა ადგილს წაიკითხავთ თუ არა, თავსიცილს დამაყრით ძველსა ლოთ-მებრუვესა. სად გაგონილა ფერთა ესერიგად უფერული და უსაზმნო წართქმაო, და სიტყვას გამიტრიზავებთ, თეთრი ფერი იგივე მორწმუნეობააო, ცისა ფერი კი — გულმოუდრეკლობაო. უკეთუ გსურთ, გამიტრიზავებთ, რა ვქნა, ოღონდ გულსა ნუ გადმოიბრუნებთ, ნუ გაჯავრდებით, დინჯად, გაუბრაზებლად იუბნეთ (სხვა არა იყოს რა, საფრთხილო დროში ვართ!). ღმერთი, რჯული, სულაც არ ვაპირებ ვინმეს დათათბირებასა. თუ კაცნი ხართ, სველი საღვინე არ დაგავიწყდეთ, და ერთი კი უნდა გკითხოთ:


აზრა, მაინც რა ცეცხლი წაიკიდეთ? რას გაცოფდით? ვინ ჩაგჩიჩინათ ეგ აზრი, თეთრი ფერი იგივე მორწმუნეობაა და ცისა ფერი — გულმოუდრეკლობაო? ვინა და, ერთმა არღა საკითხავმა წიგნმაო, მეტყვით, ფერთა ჰერალდიკად სახელდებულმაო, ფერეზიკნი და მეწვირმალენი რომ ჰყიდიანო. მერედა ვინ შეთხზა წიგნი იგი? ვინაც უნდა იყოს, დედა ვაცხონე იმისი და მამა, ძაან წინდახედულად კი მოქცეულა, ოდეს ზედ სახელი არ წაუწერია თვისი. დაღათუმცა დაბეჯითებით ვერ ვიტყვი, ცუდმედიდობით მოუვიდა თუ სიბრყვიითა.

ჩანს, უფრორე ცუდმედიდობა სჭირდა, რამეთუ არცა საფუძველსა იშველიებს რასმე, არცა საბუთსა და მიზეზსა, მარტოდენ ვარაუდსა ეფუძნება თვისას და ადგენს, ამა ფერსა ესე უნდა განვმარტავდეთ, იმა ფერსაო ისეო. ამგვარია წესი და ჩვეულება მტარვალთა, ისინი საღ აზრსა უმაღლ თავიანთ ნება-წადილს ანაცვალევენ და არა უგავთ რა მეცნიერთ, საბუთიანი აზრისა ფრიად პატივისმდებელთ.

ან ეგებ სიბრყვემაც უყო, რადგან ჰგონია, უსაფუძვლოდაც და უსაბუთოდაც მერწმუნებიანო, კვალში არცვინ არ ჩამიდგება და ყოველთა კაცთ მარტო ცარიელი ჩაგონებით შევათხზვევინებ ზედწერილთა ანუ დევიზთა თვისთაო.

და აკი (მართალი თქმულა, ალხანას ჩალხანა არ დაეღვევან) იპოვნა კიდევ ვიღაც-ვიღაცა ჟამგარდასულნი, მოლაყრუნი, რომელნიცა ერწმუნენ, მართლა კარგი რამ დაგიწერიაო. მერმე ადგნენ და იმის წიგნისდა კვალად მრავლისმრავალი ბრძნადნაკაზმი ლექსი და შეგონება შეაკოწიწეს, ზოგით თავიანთ ჯორთა მოკაზმულობა და შინაკაცთა სამოსი მორთეს, ზოგით საწმერთულნი მოიხატეს, ზოგი ხელთათმანთა ზედა ამოაქარგინეს, გავალაკთა ზედა ამოანემსინეს. ღერბთა ზედა წაგლისეს ანდა სიმღერათა შიგან თაფშურმად ჩატმასნეს და ზოგითაც (სათქმელადაც კი მიჭირს) ცოტანი როდი შებლალეს ალალმართალნი ოჯახისა დედანი.

აი, რარიგ აერიათ ჟამკარი სასახლისა კარის სალუქთა და მზმელ-მოლაყ-



ბეთ. უკეთუ ზედწერილად ნადიმსა ირჩევენ, უსაცილოდ ნადირსა ახატვინებენ, ბედსა აბედს უთანადებენ, ქიროს — ქილასა, ქორწილს ქორისა წილად წარმოიდგენენ, სირაქლემას — სირად და აქლემად, ბერკვიცას — ბერად და კვიცად, ენასა და ძელსა კი ენძელად სახავენ. ვინცა ამა ყოვლად უკბილოსა და ყოვლად უგვანსა, ყოვლად ბედითსა და აბდაუბდა მაჯამა-შეყრილთ ხმარს, ოდეს კაზმული სიტყვა კვალად აღორძინდა ფრანგთა ქვეყანასა შინა, იმას მელის კუდი უნდა მიაკეროს კაცმა საყელოზედ და თავპირსა ზედა ძროხისა პატივი უნდა დასდოს.

მეცა ესე რიგად რომ ვსაზრავდე (თუმცა, რა საზრი, რის საზრი, აქა აზრი რა მოსატანია), ავდგებოდი და ხერხს დავახატვინებდი ნიშნად ჩემის ხერხიანობისა, მოლხენა თუ მენდომებოდა, მაშინ მოლი და ხენთ ზედგამოჭრილი იქნებოდა, ხოლო ძალღნიორათი ქვეყანას ვამცნობდი, ძალღმა ნიორი შემიჭამა-მეთქი, ვარშამანგით ფარშავანგს ვიგულვებდი, დევატაფით — ტაფიან დევსა, ოფოფსა ფილას დავაჭერინებდი, ოფიციალად მოვნათლავდი, ხვანჯარსა ხანჯალს დავარქმევდი და ჩემსა მყვარსა ანუ მყვარებელსა მყვარად მოგაჩვენებდი.

ძველეგვიპტელნი ბრძენკაცნი კი სრულიად სხვარიგ იქცეოდნენ. ისინო აზრთა თვისთა საცნობებლად სახეთა და ნიშანთ რასმე იყენებდნენ, იეროგლიფად წოდებულსა. წერა იგი ძნელად მისახვდომი იყო და მხოლოდ იმას გაეგებოდა, ვისაც იეროგლიფით გამოსახული საგნისა თვისება, თავისებურება და ბუნება ესმოდა. ამა სახე-ნიშანთა გამო ჰორუს აპოლონმა ორი წიგნი დაწერა ბერძნულად, ხოლო უფრორე წვლილად შეეხო პოლიფილი სატრფიალო ზმანებათა წიგნში. ფრანგთა ქვეყანასა შინა მსგავსი რამ ბატონ ადმირალის ზედწერილშია თქმული, რაიცა მან თავის მხრივ ოქტავიანე ავგუსტუსისაგან გადმოიღო.

აწლა კვალად იმავ ნავსაყუდელს უნდა მივაშურო, საიდანაც დავიძარ, თორემ ესდენ საშიშარნი ბრაგა-უფსკრულნი კარგსა არას გადამყრის. ოდესმე ალბათ ზედმიწევნით გადმოგცემთ და რარიგადაც ფილოსოფიურ სიტყვათა დამტკიცებით, ისე სახელგანთქმულ ძველთა ბრძენთა თანხმობით, უსაეჭვოდ ნათელვყოფ, რაოდენია ფერი ბუნებაში, რა არს ფერთა არსი და რისა აღნიშვნა ეგების თვითეულისა ფერთა. ოლონდაც, მაღალსა ღმერთსა ვენაცვალე, მხრიდან არ ჩამომვარდეს შესადგმელი არახჩინისა ანუ ჩარექიანი, ვითარცა ცხონებული დიდედაჩემი იტყოდა.

თავი X

**თეთრისა და ცისა ფერისათვის**

დიახ, უსაეჭვოდ სიხარულსა, შვებასა და ლხენასა ნიშნავს თეთრი ფერი, და არცრას ვაზვიადებ, ყოველივე სინამდვილეა, რასაცა თავად ერწმუნებით, უკეთუ წინაზრახვაზედ უარს იტყვიოთ და ეხლავ სასმენელთ მომაპყრობთ. არის ტოტელე ამტკიცებს, ერთმანეთისა მოპირისპირე ცნებანიო, ვთქვათ,



სიკეთე და ბოროტება, სათნოება და უკეთუროება, ცივი და ცხელი, თეთრი და შავი, ნეტარება და ტანჯვა, სიხარული და მწუხარება და მისთანანი, თუ მრჩობლად ანუ წყვილ-წყვილად ისე რიგად შევაერთეთ, რომ ერთი წყვილისა საპირისპირო ცნებათაგანი აზრით შეესაბამა მეორე წყვილისა ცნებათაგანს, მაშინ პირველი წყვილისა მეორე საპირისპირო ცნებაც შეეფარდება მოსაზღვრე წყვილისა მეორე ცნებასაო. მაგალითი: სათნოება და უკეთუროება საპირისპირო ცნებანია ამა წყვილისა; ესეგვარია სიკეთე და ბოროტებაც; უკეთუ ზედა წყვილისა პირველი ცნება ეთანადება მოსაზღვრე წყვილისა პირველ ცნებას, როგორაც სათნოება და სიკეთე, რამეთუ სათნოება თავისთავად კეთილად მიჩნევაა, ეგრევე ზედმიწევნით შეეფარდება ერთმანეთსა ორი დანარჩენი ცნებაც, ანუ ბოროტება და უკეთუროება, რადგან უკეთუროება იგივე ბოროტის ქმნაა.

და თუ ლოგიკური დასკვნა ესე ნათელია, მაშ აიღეთ ჯერეთ ორი საპირისპირო ცნება: სიხარული და ნალველი, მერმე კიდევ ორი: თეთრი და შავი, ვინაიდან თავიანთი ბუნებით ესენი ერთმანეთისა მოპირისპირე ცნებანია; მაშასადამე, უკეთუ შავი მწუხარებასა ნიშნავს, თეთრიც, იმავე მიზეზით, ნიშნავს სიხარულსა.

ამა მნიშვნელობათა დამსაფუძვლებელი მავანთა და მავანთა თვითნებური ახსნა-თარგმანება არ გეგონოთ, რამეთუ ესეგვარია ყოვლად საზოგადო აზრი, რასაც ფილოსოფოსთა ენით *jus gentium*<sup>1</sup>, საყოველთაო, ყოველგან მოქმედი კანონი ჰქვია.

სუყველამ კარგად უწყით, ყოველი ხალხი, ყოველი ქვეყანა (ძველთა სირაკუზელთა და ზოგ-ზოგთა ტვინგადაბრუნებულ არგიველთა გარდა) და ტომი ყოველი ძაძა-ფლასით იმოსებიან, ოდეს ნალვლისა და კაეშნის გამოხატვა გარეგნული რამ ნიშნითა სურთ, რამეთუ შავი ფერი ძაძისა სამგლოვიარო ფერია. ამა წეს-ჩვეულებამ ფეხი ყოველგან მხოლოდ და მხოლოდ იმად მოიკიდა, რაკი თვით ბუნება განმარტავს და ასაბუთებს ამგვარსა საქციელსა, რასაც სულ ადვილად ჩავხვდებით სხვათა შეუწევნელად და აი სწორედ ამას ვეტყვით ბუნებურ უფლებასა.

ბუნებისა ამავე შეგონებით მიიჩნიეს ყოველთა კაცთ თეთრი ფერი ნიშნად სიხარულისა, ლხენისა, სიამისა; ტკბობისა და ნეტარებისა.

ძველთაძველ დროში თრაკიელნი და კრეტელნი ბედნიერსა და სასიხარულო დღესა თეთრის ქვითა სდებდნენ ნიშანსა, სამჭმუნვაროსა და უსიხარულოსა — შავითა.

განა ღამე ბედითი, მჭმუნვარე და მახვრალი არ არი? მერე რა ბნელია, რა ლუსკუმი. განა ბუნება ერთიანად ნათელს არ შესტრფის? ნათლისა უთეთრესი ხომ არცრა არის რა. ნათქვამისა დასტურად ლორენცო ვალას წიგნს მოვიშველიებდი, ბარტოლისა წინააღმდეგომ დაწერილსა, მაგრამ, ვგონებ, მახარებლისა დამოწმებაც იკმარებს. მათეს სახარებისა XVII თავსა შინა, სადაც თქმულია ფერისცვალება მაცხოვრისა წინაშე მოციქულთა თვისთა, გკითხულობთ: *Vestimenta ejus facta sunt alba sicut lux*, სამოსელი მისი ექმნა სპეტაკ, ვითარცა ნათელიო, და ამა თვალის მომჭრელი სისპეტაკით წარმოიდგინეს მისთა სამთა მოციქულთ საუკუნო ნეტარება. ნათელს შეჰფრფი-

<sup>1</sup> ხალხთა უფლება (ლათ.).



ნავს და შეჭხარის ყოველი სულდგმული, და ალბათ გეხსომებათ დედაბერი იგი, — კბილი არც ერთი არღა შერჩენოდა და მაინც გაიძახოდა: *Bona lux!* ხოლო დაბრმავებულმა ტობიამ (თავი V), რაფაელი როს მიესალმა, მწარედ შესძახა: „რა გამახარებს, თუ ვერა ვხედავ ნათელსა ცისასა?“ ამავ სპეტაკი ფერით გამოხატეს ანგელოზთ სიხარული სრულიად ქვეყნიერებისა ქრისტეს აღდგომისა დღესა (სახარება იოანესი, თვ. XX) და ამალღებისა დღესაც (საქმე, თვ. I). სპეტაკი სამოსლითვე შემოსილნი იხილა წმინდა იოანე ღვთისმეტყველმა ყოველნი მორწმუნენი მიუწვდომელსა და სანატრელსა ქალაქსა იერუსალიმსა (გამოცხადება იოანესი, თვ. IV და VII).

აიღეთ და წაიკითხეთ უძველესი ჟამთააღწერანი, მათიანე საბერძნეთისა, რომისა. წაიკითხეთ და შეიტყობთ, რომა ქალაქი ალბა-ლონგა (ამჟამინდელი რომის პეპერა) თავის გაჩენასა თეთრსა დედალორს უნდა უმადლოდეს.

და კიდევ იმასაც შეიტყობთ, რომ ძველთა რომაელთ წესად ჰქონიათ: ოდეს ძღვევამოსილსა ვინმეს რომს ტრიუმფით შესვლა ელოდა, იგი უცილოდ თეთრცხენიანსა ეტლზედ უნდა ყოფილიყო ამხედრებული. ეგრივე იქცეოდნენ მცირე რამ ზეიმისა ჟამსაც, რამეთუ გამარჯვებულთა გამოჩენის სიხარულსა სხვა ვერავითარი ნიშანი ანუ ფერი ვერ გამოხატავდა უფრორე ცხადად სითეთრისა.

შეიტყობთ, რომ პერიკლეს, ათენისა გამგებელსა, უბრძანებია: ჯართაგან ჩემთა, რომელს წილისყრით თეთრი ცერცვი ერგოს, მთელი დღე ილხინოს, გაიხაროს და განისვენოსო, ხოლო დანარჩენთ იბრძოლონო. მაგალითსა კიდევ უამრავს ვიტყოდი და წიგნსაც ბევრს დავიმოწმებდი, გარნა აქ ამის ადგილი არ არის.

ესეოდენი ცოდნისა წყალობით სულაც არ გაგიჭირდებათ გადაჭრა იმისა, რაიცა ალექსანდრე აფროდისიელს გადაუჭრელად მიაჩნდა: „რისათვის თრთის და კანკალებს ლომი მართოდენ წინაშე თეთრი მამლისა, ოდეს შიშისა ზარსა სცემს ყოველთა ცხოველთ?“ ვითარცა პროკლე ბრძანებს (*De sacrificio et magia*<sup>2</sup>), თურმე თვისება მზისა, სრულად ამქვეყნიური და ზეციური ნათლის სათავისა და დასატივენელისა, ლომისა უფრორე უმეტესად უდგება და ეშვება მამლის თეთრსა მამალსა, უკეთუ ანგარიშს გავუწევთ ფერსა, თავისებურებასა და ზნესა მამლისასა. და იგი კიდევ იმასაც გვამცნობს, ეშმაკნი ხშირად ლომისა ტყავით იმოსებიანო, მაგრამ თეთრი მამლისა დანახვისას მსწრაფლად ქრებიანო.

დიადაც სითეთრისა სიყვარულის ბრალია, რომ Galli<sup>3</sup> (ანუ ფრანგნი, რომელთაც ესე იმად უხმობენ, რაკი რძისებრ თეთრნი იბადებიან, და რძესა კი ბერძნულისა ენით *gala* ჰქვია) თავსარქმელთ თეთრი ფრთით იმშვენებენ, რამეთუ ბუნებით გულმხიარულნი არიან და სიმბოლოც თვისი ყვავილთაგან უთეთრეს ყვავილში, სახელდობრივ შროშანში უცვნიათ.

უკეთუ მკითხავთ, ბუნება რარივ გვახვედრებს, თეთრი ფერი სიხარულსა და ლხენას რომ ნიშნავსო, მეც ავდგები და გეტყვით, შესაბამობა და შესატყვისობაა ამგვარი-მეთქი. როგორაც თეთრი რამის დანახვისა ჟამსა ადამიანს თვალი უჭრელდება, უკრთის და უციმციმებს, რადგან თეთრი ფერი

<sup>1</sup> ჩემო სინათლევ! (ლათ.).

<sup>2</sup> „ზორვისა და გრძნებისათვის“ (ლათ.).

<sup>3</sup> Galli — ლათინურად ნიშნავს მამლებსაც და გალებსაც. — რედ.

თვალისმომჭრელია, რასაც ჯერ კიდევ არისტოტელე აღნიშნავს თავის პრობლემათა წიგნში, და უნარსა მხედველობისასა ასუსტებს (თვალისმომჭრელია მთა თუ გადავივლიათ, თავად გამოსცდიდით, რარიგ უფუჭდება კაცსა თვალთახედვა; აგრე დამართნიათ ქსენოფონტეს მოსაგრეთაც, რაიცა თვითონვე აღუწერიათ, და ამასვე წვლილად გადმოგვცემს გალენი (De usu partium, წგნ. X), სწორედ ეგევე მოსდის ადამიანის გულსა, რაჟამს დიდი სიხარული შეემსჭვალვის: კრთის, ციმციმებს, უნარი სიცოცხლისა ერთმევა, ძალა არღა ჰყდფნის საძგერლად და ხან ჩერდება კიდევ; რალა გავაგრძელო, დიდსა სიხარულსა ჟამითი ჟამად ხორცთაგან სულისა განშორება მოსდევს, რასაც გალენიც აღნიშნავს (Metho<sup>1</sup>, წგნ. XII, De locis affectis<sup>2</sup> და De symptomaton causis<sup>3</sup>, წგნ. II), ხოლო ესევეთარი რამ ძველადაც რომ ხდებოდა, ცხადსა ხდიან მარკუს ტულიუსი (ib. Quaestio Tuscul<sup>4</sup>, წგნ. I), ვერიუსი, არისტოტელე, ტიტუს ლივიუსი (კანის ბრძოლისა შემდგომ), პლინიუსი (წგნ. VII, თავი XXXII) და ა. გელიუსი (წგნ. III, XV და სხვ.), აგრეთვე დიაგორე როდოსელი, ქილონი, სოფოკლე, დიონისე, სიცილიელი ტირანი, ფილიპიდე, ფილემონი, პოლიკრატე, ფილისტიონი, მ. იუვენციუსი და სხვანი მრავალნი, და ხოცილნი სიხარულისაგან ანუ, ვითარცა ავიცენა ბრძანებს სჯულდების II ტრაქტატსა და გულისა ძალთათვის (De viribus cordis<sup>5</sup>) დაწერილ წიგნსა შინა, ზაფრანისაგან, რომლისა დიდი დოზაც ისე რიგად აღაგზნებს ადამიანსა, რომ უმაღ გული უსივდება, უსკდება და კვდება. ამასვე უნახავთ ალექსანდრე აფროდისელსაც (Problematum<sup>6</sup>, წგნ. I, თავ. XIX) და ცხადსაყოფელი, ვგონებ, აღარა დარჩა რა.

ისე კი, თავდაპირველად სულაც არ ვაპირებდი ამდენ ლაპარაკსა. აწლამართლა უნდა დავუშვა აფრა, სჯას მერმე გავასრულებ, ოდეს წიგნს დავწერ საგანგებოსა და ორიოდ სიტყვით ნათელვყოფ, რომა ცისა ფერი ნიშნავს ცასა და ყოველსავე ციურსა და აქაც იმგვარივე კავშირია სიმბოლური, როგორიცა, ერთისა მხრივ, თეთრსა ფერსა და, მეორეს მხრივ, სიხარულსა და ტკბობას აკავშირებს.

## თავი XI

### სიყვავილე გარგანტუასი

სამიდან ხუთ წლამდე, ნებისამებრ მამისა, გარგანტუას ყოველი წესითა და რიგითა ზრდიდნენ და წვრთნიდნენ. და დროსა ისიც იქაურ ყრმათა დარად ატარებდა, სამი რამ ახსოვდა და სამი რამ უწყოდა: სმა, ჭამა და ძილი; ჭამა, ძილი და სმა; ძილი, სმა და ჭამა.

ყოველჟამ ტალახში გორაობდა, რაც ხელთ მოხვდებოდა, ცხვირპირზედ

<sup>1</sup> „ხერხ[თათვის მკურნალობისა]“ (ლათ.).


<sup>2</sup> „მოწყულულთა ადგილთათვის“ (ლათ.).

<sup>3</sup> „ნიშანთა და მიზეზთათვის“ (ლათ.).

<sup>4</sup> „ტუსკუ[ლისა] სწავლანი“ (ლათ.).

<sup>5</sup> „გულისა ძალთათვის“ (ლათ.).

<sup>6</sup> „პრობლემათა გამო“ (ლათ.).



ისვამდა, წალა-წულა გვერდ-გვერდ დაჰქონდა გადარეცილ-გადაბრეცილი, ხან ბუზთა ჭერაში იყო და ხანაც მამის ქვეშევრდომ პეპელთა სდევდა ენაგადმოგდებულს. შარდვით ფეხთსაცმელსა ზედა იშარდავდა, დღენიადაგ შარვალში ისვრებოდა, ცხვირსა სახელოთი იწმენდდა, მოხოცვით დასხმულ ჯამში იხოცავდა, წუმბესა და გუბეს არ ერიდებოდა, შიგ დატანტალებდა, სმა ხამლით უყვარდა, მუცელი თუ ექავებოდა, გოდრით იქავლებდა, კბილთ ჭოპოსნის ტარით ილესავდა, ხელს შეჭამანდით იბანდა, თმას ჭიჭლით ივარცხნიდა, დაჯდომით ორ სკამსა შუა ძირსა ჯდებოდა, საბნად სველ ტომარას იხურავდა, წვნიანსა კერძსა ზედ წყალს აყოლებდა, რასაც ჩასძახებდნენ, ქვევრსავით იმას ამოიძახებდა, სიცილ-სიცილში იკბინებოდა და კბენა-კბენაში იცინოდა, ჭასა ჩაუფურთხებელსა არ გაუშვებდა, ქონი ყელში აწვებოდა, ტყვრებოდა და სკდებოდა, შინაურთ ზედ აჯდებოდა, წვიმასა წყალში ემალებოდა, პურსა ცივ თონეში აკრავდა, ცად ციხე-კოშკთ აგებდა, თავი მამა-აბრამის ბატკნად მოჰქონდა, სიმღერითა, მტერს, ის რომ მღეროდა, ლოცვითაც ცხვირში ჯიჯღვინებდა, წამსა და წამს თავიანთ ცხვართ ახსენებდა; რწყილსა აქლემს ამობინებდა, ძალსა სცემდა, ლომს ასმენდა, ცხენზედ იჯდა და ცხენს ეძებდა, რძისა შეშინებული დოს უბერავდა, საცა არა ესაქმებოდა რა, ცხვირს იქა სჩრიდა, არამკითხედ უბნობდა, ერთჟამიერად ორი კურდღლისა მადევარი იყო, დღევანდელი კვერცხი ხვალისა ქათამს ერჩივნა, იწვა მხართეძოზედ და სარცხვინელ წყვილში მახათს იყრიდა, სხვამ რათ უნდა მილუტუნოსო, თვითონ ილუტუნებდა, ჯამში გამკეთებელი ამოჰყავდა, ორივე ყბით იღმურძლებოდა, ღვთისთვის ჭიანი ტყემალიც არ ემეტებოდა, იანვარში მარწყვისა ნდომობდა, მწიფეს ესროდა და მკვახეს აყრევიანებდა, მიწყვიე პაპლაყვერაობდა, იდგა და როდინში წყალსა ნაყავდა, ქალაღლი ფხეკა-ფხეკაში სიქაზედ გაჰყავდა, ეტრატზედ ვირს აგორებდა, დაჰკრავდა ფეხსა და ფხაჭას გაადენდა, საღვინესა ეგრევე იყუდებდა, ჯერ წყალში შედიოდა, ფონსა მერმე კითხულობდა, ბევრჯერ მშრალზედ ჯრჩებოდა, შაშვსა ლაგამსა სდებდა, ბულბულსა უნაგირს ადგამდა, თითო ხარსა ორპირ ტყავს აძრობდა, მშვილდსა მალავდა, ისარს ისროდა, დღეში ცხრა პარასკევი ჰქონდა, წყალსა საცრით ეზიდებოდა, ზორბალსა ქათამსავით კენკავდა, ნაჩუქარ ცხენსა უცილოდ კბილს უსინჯავდა, ტაშსა ცალი ხელით უკრავდა, ერთხელ ზომავდა და ათჯერა სჭრიდა, არცა ფიცი სწამდა, არცა ბოლო აკვირვებდა, მთვარესა ყარაულად ედგა — მგელთ არ შეჭამონო, სულ იმას ჩიოდა — რასაც ჩემი კბილი არ მოხვდა, ჩემსა მუცელში არ მოხვდაო, საბანი როგორცა სწვდებოდა, ისე იფარებდა, რასაცა ხელზედ უსხამდნენ, წვერზედ ისიც იმას უსვამდა, ცა ქუდად არ მიაჩნდა და დედამიწა ქალამნადა, დილდილით ყურთასმენა მიჰქონდა, მამისა ლეკვნი ჯამში პირს უყოფდნენ, იგი იმათ ყურთა ზედა ჰკბენდა, ისინი კი ცხვირს აკაწრიდნენ, ის კუდქვეშ სულს უბერავდა, ისინი თავ-პირს ულოშნიდნენ.

და იცით, რა გითხრათ, შვილნო ჩემნო? ისემც გიქნიათ, ღვინოში ჩამხრჩვალხართ! პატარა მემრუშესა ამასა თვალი მიწყვიე სიძვაზედ ეჭირა, ძიძათ ხან წინ უყოფდა ხელსა, ხან უკანა. მიტრიალებულსა ვისაც დაინახავდა, ზედ ჩოჩორსავით მიადგებოდა და მიაღირებდა სიბიძალსა. ძიძანი მიწყვიე ამა საბიძლისა რთვაში იყვნენ, გარშემო თაიგულთ, ბაბთა-აბრეშუმთ, ნაირ-ნაირ ყვავილთა და ლამაზ-ლამაზ ფუნჯთ ავლებდნენ შესამკობად, თანაც ხელში ჭუჭულას ათამაშებდნენ, ვითარცა სალბუნის ჩხირსა რასმე, და როს იგი თავს

წამოსწევდა, სიცილ-კისკისით იყუყუებოდნენ, თითქოსდა იმის უკეთესი სათა-  
მაშო არც რამ უნახავთო. ზოგ-ზოგი ჭინჭილაქს უხმობდა, ზოგი — მარჯნის  
შტოსა, ზოგიც — ცუცურასა, კუტალსა, ციბრუტასა, სარგილსა, კიტრანასა,  
ჭიპრანასა, კონკილასა, პოლორჭიკსა, პოჭოჭიკსა, ჩილიკასა, ჭიპლიკასა ანდა  
თავწითელა ჩიტის სახელსა სდებდნენ.

ჩემიაო, ჩემულობდა ძიძათაგან ვინმე.

— შენი კი არა, ჩემია! — არ ანებებდა მეორე.

— მე რა, აღარას მახვედრებთ? — წიკვინებდა მესამე. — თუ ეგრეა, სუ-  
ლაც ძირში მოვჭრი.

— რას მოსჭრი? ხო, გაგიყდა ბიჭი, ქალბატონო! უიმისოდ ვილას რათ  
უნდა!

აქაოდა სხვა ყრმანი, ტოლ-სწორნი გარგანტუასი, დღეყოველ ქარწისქვი-  
ლაობენო, ადგნენ და მირბალეს ქარისა წისქვილის ფრთათაგან იმასაც ჩინე-  
ბული ქარწისქვილა გაუმართეს.


## თავი XII

### ბარბანტუას სამღერალ ცხენთათვის

მერმე, ზეითობას სიყრმითგანვე მიეჩვიოს და ცხოვრებაში უჯობნელი  
შოჯირითე დადგესო, ზორბა, ჯავარსრული ხის ცხენი მოჰგვარეს, და ისიც  
აღმა-დაღმა დააჯირითებდა, დააგელვებდა, დააჭენებდა, ადგილზედვე ატრია-  
ლებდა, ტლინკო აკვრევიანებდა, აკუნტრუშებდა და ყოველსავე ერთყამიერად  
ახერხებდა; წამსა ნაბიჯით დაჰყავდა, წამსა — ჩორთითა, ტარებითა, ქევქევი-  
თა, წამსა ფერხთ აარევიანებდა, წამსა დააოთხებდა, თოხარისკა გაარეკინებ-  
და, გაანავარდებდა, გააგოგმანებდა, გზასა აქლემისაებრ შეუყენებდა, ვირსაებრ  
ააჩქჩაქებდა. ფერსაც თავის გუნებისად უცვლიდა, ვითარცა მწირველნი ბერ-  
ნი იცვლიან კვართსა შესაბამად უქმე-დღესასწაულისა, და აჩუა იგი ხან ქუ-  
რანი იყო, ხან ყომრალი, ხან აბრაში, ხან ლეგა, ხან რახსი, ხან ლურჯა, ხან  
ლუში, ხან ზერდაგი, ხან საღარი, ხან ამლაკი, ხან შავრა და ხანაც თეთრონი.

თავად გარგანტუამ თავისი ხელით გაიმართა სანადირო რამ ბედაურად  
უშველებელი ძელი და თვალთა ზედა შეაყენა, საწნახლის მორი საჯაგავ ცხე-  
ნად დაიგულა, ხოლო ვეებერთელა თელა შინ სათამაშო ჯორად აქცია და  
ასალ-ყაჯრით მორთო. ამათ გარდა, კიდევ ათამდე ფეხმაგარი სინიბი მარქათად  
ჰყავდა, შვიდსაც ფოსტისად ინახავდა, და სუყველას თავისთან იწვევდა.

ერთხელ ჰერცოგმა დე ჭამპურამ და გრაფმა დე ჯამლოკიამ შემქმნელი  
მამა გარგანტუასი ზედ იმა დღეს მოინახულეს, ოდეს რიცხვმრავალი ამალით  
სენიორ დე წუწურაქაც სწვეოდა. სტუმარნი მრავლად მოგროვდნენ და, რა-  
და დაგიმალოთ, ხალხის დატევაც გაჭირდა, არათუ თავლა-საჯინიბონი ჰყოფ-  
ნოდათ. ამა ვითარებისა გამო ზემორეხსენებულ სენიორ დე წუწურაქას სახლთ-  
უხუცესმა და მეჯინიბეთუხუცესმა ცარიელ ხინდახორთ დაუწყეს ძებნა და,  
რა უსუარ გარგანტუას მოჰკრეს თვალი, დია გაუხარდათ; ბავშვი არცრას  
დაგვიმალავს, მართალს გვეტყვისო, იფიქრეს და სიტყვა შეაპარეს, ჩვენთა  
ტაიჭთათვის ეგებ სადგომი რამე გვაპოვნინო.



გარგანტუაც აღგა და სეფე-კიბით გაუძღვა, აატარა ზევითა დიდი დარბაზი, გაჭიმული დერეფანი და ერთსა უზარმაზარ კოშკში მიიყვანა. როს გზას მერმე ისევ ზევითა და ზევით გაუყვნენ, მეჯინიბეთუხუცესმა სახლთუხუცესს მიუთხრო, ყმაწვილსა ამას ტყუილი სცოდნია, აბა ზემოთ თავლას რა უნდაო.

— შემცდარი ხარ, — შეესიტყვა სახლთუხუცესი, — დასტურ ვიცი, ლიონში, ბამეტში, შინონში და სხვაგანაც, სახლთ ისე აგებენ, თავლა მაღლა ჰყვება. აქაც ალბათ სადმე უკანა მხრიდან ექნება საგანგებო რამ გასასვლელი დასაჯდომელად. აი კიდევ ვკითხავ, ვნახოთ, რას იტყვის.

და სახლთუხუცესმა ხმა დაადევნა წინწასულ გარგანტუას:

— მაინც სად მიგყევართ, ყმაწვილო?

— სადა და, რაშნი სადაც მიყენია. აქავ ახლოა, ერთ-ორ კიბეს ავივლით და მივალთ.

გარგანტუამ კიდევ ერთ დიდ დარბაზსა შინა გაატარა ისინი, თავისა ოთახს მიაყენა, კარი შეაღო და უთხრა:

— ამ თავლაზედ გეუბნებოდით. აგერ ისი ჩემი ესპანური ულაყია, ცოტა გვერდზედ ინგლისური მერანი მიბია, მერმედ ღარდასმული გასკონური აჯილღაა, აქეთა კი თოხარიკმაჭენებელია.

ამისა თქმა იყო, და გარგანტუამ ვეება ნამორი მიაჩეჩა სტუმართ, ფრიზული დოდისა ცხენი ესე თქვენთვის მიჩუქნიაო, ფრანკფურტიდან ჩამომიყვანეს, მაგრამ თქვენი ფეშქაში იყოს, კეთილმოსიარულეა და დია მუხლმაგარიაო.

ბოლოს მიაყოლა: ბარემ სონდულიც გაიჩინეთ, ხუთიოდ ესპანური მეძებარი და ორიოდ მწევარი დაგეშეთ, გადით და საკურდღლეთსა და კაკაბეთს სრულად ამოაგდებთო.

— წმინდაო იოანე! — შესძახეს შეჭირვებულთ. — ვაი ჩვენს თავსა! ეგრე მიედ-მოედე, ყმაწვილო?

— განა ვისმე მოგედეთ? — კითხვითვე მიუგო გარგანტუამ.

თავად განსაჯეთ, რა დღეშიაც ჩაცვივდებოდნენ ამა ამბისა გამო სახლთუხუცესი და მეჯინიბეთუხუცესი. არღა იცოდნენ, რა უფრორე უჯობდათ: სირცხვილით მიწა გასკდომოდათ თუ გულიანად ეცინათ.

და როს თავრეტდასხმულნი კიბე-კიბე დაბლა დაეშვნენ, გარგანტუამ ხაფად გასძახა:

— ნელა, არ დაგიცდეთ ფეხი!

— რაო? — ერთხმევ იკითხეს იმათ.

— რაო და, წაიჭამეთ ნეხვი, — გაელაზღანდარა გარგანტუა.

— მეტი აღარცა ხმევა გვწადს და აღარცა ჰმევა, ყელამდე ვართ, — ჩაიქირქილა სახლთუხუცესმა, — ყოჩად, ვეყო, ყოჩად, კარგად მოგვალორე! შენგან ოდესმე უწმინდესი საჭეთმპყრობელი დადგება!

— ეგ მეც ვუწყი, — თავი მოიწონა გარგანტუამ. — მაგრამ ჩემი უწმინდესობა შენსა უწმინდურესობასა ვერას უშველის! ეგ კი რაღაც ქვეშ-ქვეშ იცქირება, დიდი ქვეშქვეშა იქნება.

— კაცნი ვართ, — მიუთხრო მეჯინიბეთუხუცესმა.

— აბა, მაშ ერთსაც გეტყვი, ოლონდ, გატყობ, საპასუხოდ არა ხარ მზადა, — თავს არ ანებებდა გარგანტუა.



— არა, მზადა ვარ; არცა ეგრეა საქმე, — იხტიბარს არ იტეხდა მეჯინი-ბეთუხუცესი.

— კიდევ კარგი, შენის პირითა წართქვი, არამზადა ვარო, — სიტყვა მოუჭრა გარგანტუამ.

— რაო, რაო? — ჰკითხა მეჯინიბეთუხუცესმა.

— რაო და, სასკორავში ქვაო, — გაილექსა გარგანტუა. — არცა ჩემი დაგავიწყდეს, საცა შენი თქვაო.

— ღმერთო, შენ გვიშველე, ვის გადაგვყარე ამასა! — შეიცხადა სახლთუხუცესმა. — რა ლაზღანდარა ვინმე ყოფილხარ, ვეჟო, რა კვიმატი!

და ფათიფუთში მეჯინიბეთუხუცესსა და სახლთუხუცესს კიბეზედ დაუგორდათ გარგანტუას ნაბოძვარი მორი.

— ვაი თქვენისთანა მხედართ კი რა ვუთხრა! — ქოქოლა მიაყარა გარგანტუამ. — ჯაგლაგზედ უნდა ისხდეთ, მეტის ღირსნი არა ხართ. კაიუზაკში რო მიდიოდეთ, ნეტავ რასა იზამდით: ბატსა ზედა ამხედრდებოდით თუ თოკ-გამობმულ ღორსა გაიგდებდით წინა?

— რას ვიზამდი და, ერთი კარგა ჩავლევდი, — წართქვა მეჯინიბეთუხუცესმა.

და ამა ლაპარაკ-ლაპარაკში ქვედა სეფე-დარბაზს მიადგნენ, სად ამხანაგნი ნახეს თვისნი, ყველაფერი წვლილად უამბეს, რაც გარდახდათ, და ლამის სიცილით დაიხოცნენ ყოველნი.

თავი XIII

**ვითარ საცნაურყო გრანგუზიემ უმბრო ჭკუა  
გარბანტუასი, ოღეს გან გაგოსაწმენდი მოიგონა**

გრანგუზიემ, კანარიელთა ძლევისა შემდგომ შინმობრუნებულმა, მეხუთე წლისა თავზედ მოიხილა ძე თვისი გარგანტუა. მოიხილა და დიდად გაიხარა, ვითარცა უნდა გაეხარა ეგევითარ მამასა ესევითარი შვილისა ხილვითა: ამბორსა უყოფდა, გულში იკონებდა და ამბავთა ჰკითხავდა. თანაც კიდევ ხელად იქავ ხელადით ღვინო მოატანინა, შესვა და იმასაც შეასვა, ძიძა-გამდელთ უხმო, იმათაც დააღვეინა, მერმე კი წვლილად გამოჰკითხა, რასა იქმთ, რარიგ უვლით ძესა ჩემსაო, სისუფთავესა და სიფაქიზეს აჩვევთ თუ არაო. ამისა გამო პასუხი გარგანტუამ სხვათ არღა დააცალა და მიუთხრო, მე თავად ისეთი რამ ვიღონე, დედამიწისა ზურგზედ ჩემისთანა პეწინიკი ვინმე არცვინ დადისო.

ეგ როგორაო, გაიკვირვა გრანგუზიემ.

როგორა და, შემდგომად მრავალი ცდისა და რუღუნებისა დასტურ იშვიათი ხერხი მოვიღონისძიე გამოწმენდისაო, მიუგო გარგანტუამ, რომლისა უმჯობესი და მეფეთა უფრორე საკადრი ქვეყნად სხვა არცა მეგულვისო.

რა არი, მაგისტანა მაინც რა ხერხიაო, დაეკითხა გრანგუზიე.

— რა ხერხია და, ეხლავ გიამბობ, — უთხრა გარგანტუამ. — ერთხელობას, სხვა რომ ვერა ვიპოვნე რა, ერთსა შენსა სეფექალსა რიდეში წავწვდი და, რის რიდი, რა რიდი, ეგრევე ჩამოვგლიჯე, ურიდად გამოვისვი. სწორე

გითხრა, დია მეამა სახსენეში რბილი ხოირისა გამოსმა. მეორედ მეორე-სეფექალი-ლისა საბურავით გამოვიწმინდე და მაშინდელსავითა კვალად ჟრუანტელმა დამიარა. მერმე საბლარდნელი მოვივარგე. სტავრისა მანდილმა კი მთლად გადამაყვლიფა საჯდომი. რა ვიცოდი, ოქროსკილიტიანი იყო თურმე ის ოხერი-ხორცთა მძოვარი სენიმც შეჰყრია უკანტანში, ვინცა ოქროს კილიტა მოიგონა და ვისაცა მანდილი ეხვია იგი ჩემდა გასამწარებლად! კინაღამ გამაგიჟა, ისე რიგად მეწვოდა, სანამ მავანი და მავანი პაჟისა ქუდი არ გამოვისვი, შვეიცარიულად სულ ფრთით გაწყობილი.

მერმე, ერთხელაც, მარტი იდგა, ერთ ჯაგქვეშ მივჯექ, ხელთ ამძუნებულ-ლი კატა მომხვდა და იმით გამოვიწმინდე, მაგრამ ვაი იმ გამოწმენდასა, დამ-კაწრა და დამასისხლიანა.

მეორე დღესა ძლივ დამიამდა ნაკაწრ-ნაკბენი ღუმანი და ცოტა სულიც მოვითქვი, ოდეს დედიჩემისა თათმანი გამოვისვი, სუნელ-საკმელ-ნაკმევი.

და გამომიწმენდია კიდევ სალბითაც, კამითაც, ანისულითაც, მაიორანი-თაც, ვარდითაც, გოგრისა კავითაც, ჭარხლისა ძირითაც, კომბოსტოსა თუ ვა-ზის ფოთლითაც, ტუხტითაც, ხან მუზარადა ბალახიც შემხვედრია, გამომისვამს და გავა დამდაგვია. გამოსასმელად არცა ღორისა ქადა დამიწუნია, არცა ისპა-ნახი, ოღონდ ხეირი კი არა მინახავს რა. ბევრჯერ ტყისურაც მიხმარია, ჟალ-ტამიცა, ჭინჭარიცა, დეზურაცა და ამდენ გამოსმა-გამოწმენდაში სისხლისა დენა ამიტყდა, კიდევ კარგი, საბიძალი გამოვისვი და იმან მიშველა.

გამოსასმელად ჩარსავიც გამომდგომია და საბანიცა, თუ კრეტსაბმელი, თუ ბალიშ-მუთაქა, თუ სუფრა, თუ ფარდაგი, ჩვარი, ხელმანდილი, ჩითმერ-დინი და ღამისა პერანგი. გამომდგომია და, რაც სიამე მე მიგრძენია, ალბათ მუნთანსა ფხანა ისე არ ეამება.

— კარგია, კარგი, — მოუწონა გრანგუზიემ. — მაგრამ ყოვლისა უმჯობე-სი გამოსაწმენდი, შენისა ფიქრით, მაინც რომელია?

— მეც სწორედ მანდა ვარ, — მიუგო გარგანტუამ. — აწ ყოველსავე წვლილად შეიტყობ. გამოსმით თივაც გამომისვამს და ჩალაცა, ხელთ ხან ძენძი მომხვედრია, ხანაც ბალანი, მატყლი, ქაღალდი ანუ ქარტა, ოღონდ

ვინც გამოისვამს ქაღალდსა,  
ახად მოჰყვება ღაღაღსა.

— ერიჰაა! შაირსიტყვითაც უწყი ლაპარაკი, შე ეშმაკის ფეხო, შენა? — დაიბაყბაყა გრანგუზიემ. — რა გაქლესილხარ, გალექსილხარ!

— ცოტა-ცოტას ვახერხებ, ჩემო ხელმწიფევ! — თავი მოიკატუნა გარ-განტუამ. — შაირი ხან შარად მექცევა ხოლმე და ზმა-სიტყვაობას მაინც არ ვიშლი. უკეთუ ინებებ, ფეხსალაგში ზედწარწერა როა, იმასაც ვიტყვი:

ქვეშაფსიავ,  
ქვეშაქციავ,  
ქვეშა გცვივა,  
უკანაც.  
აგრუხუნებ,  
აბრუხუნებ,  
არუხრუხებ  
უკანალს.

მთვრალო,  
მყრალო,  
ვა საბრალოვ,  
გნახავ უჭმელ-უსმელსა!  
სრსვილი,  
ჭირი,  
გასაჭირი  
გჭირდეს გამოუსმელსა!

- კიდევ ხომ არა გწადს?
- ძალიანაცა მწადს, — უთხრა გრანგუზიემ.
- მაშ, გეტყვი, — კვალად გაილექსა გარგანტუა:

რონდო

სასკორავი, ვითა სტვირი,  
ბუნების ხმას ავაყოლე,  
არემარე ავაყროლე,  
სულ არ მებას ნეტავ ცხვირი.  
იმას ველი, მისთვის ვსტირი,  
ვისას თვალი გავაყოლე  
გავასა!

მოიხილავს მტილსა სირი,  
დავაგანებ,  
დავაყოვნებ;  
აღერსს ამბორს დავაყოლებ,  
როს გამომწმენდს  
ვარდად შლილი  
გავასა.

— არა იცის რაო, აწ ჩემზედ, მგონი, ენა არცვის მოუბრუნდება! ლუსკუ-  
მისა მადლმა, ამა ლექსთა მალექსებელი მე არა ვარ, ერთსა ბანოვანსა უკით-  
ხავდნენ და ყურით მოვინადირე, მახსოვრობისა ამბავია.

— მოდი, კვალად წედანდელსა საგანს მივუბრუნდეთ, — წართქვა გრან-  
გუზიემ.

— რა საგანსა? — ჩაჰკითხა გარგანტუამ, — მოსკორვასა?

— არა, გამოსაწმენდსა, — უთხრა გრანგუზიემ.

— ერთსა გოზაურ ბრეტონულსა ხო არ გაექცევი, ორთავ ბეჭზედ თუ  
დაგდე?


— ეგრე იყოს, — დაჰყაბულდა გრანგუზიე.

— გამოწმენდა მოსკორვისა მერმე ეგების, — ისევ აიბყრაღა პირი გარ-  
განტუამ. — თუ არ მოსკორე და სასკორავი სკორით არ გამოგეგლისა, არცა გა-  
მოწმენდა გმართებს.

— ცარიელი ჰკუა ხარ, შე ცუგრუმელავ, შენა! — გულზედ ხელი და-  
ირტყა გრანგუზიემ. — სწორედაც სასკორავში გატყობ, მალე სორბონაში გა-  
მომიხვალ შეყრილობაზედ და ჰკუამხიარულობის დოქტორობასა ეგრევე გა-  
მოჰკრავ ხელსა. ერთხელ დაბერებულხარ და მეორედ გაჯიელებულხარ! და-  
ლათუმცა მიდი, ბოლომდე ჩადი, გამოსაწმენდისა სჯა გაასრულე. და ამა  
წვერ-ულვაშისა მზემა, ერთი გოზაურისა წილ სამოც კოკა სულ სათავითაო  
ბრეტონულს ჩამოვატანინებ, ოლონდ ბრეტანიდან კი არა, დალოცვილ ვერო-  
ნაში დაწურულსა და დაყენებულსა.

— რა ვიცი, რილათი არ გამომიწმენდია, — უბნობდა გარგანტუა. — დოლ-  
ბანდითა, ყურთბალიშითა, კარაჭინითა, მონადირისა აბგა-ფარგითა, და კიდევ  
გიდელ-კალათითა, მაგრამ გამოტეხილად გეტყვი, გამოსაწმენდად არ უქნია  
ღმერთსა! ბოლოს თავსაბურავთაც მივადექ. მოგეხსენება, ზოგი გლუა, უმჭი-  
სო, ზოგიც მქისეა და ხაოიანი, ანდა აბრეშუმისა, ან ფარჩისა. ყოვლისა უმ-  
ჯობესი მაინც მქისე თავსაბურავია, შალისა, გამოისვამ და გამოგაკრი-  
ალებს.

ჟამ-ჟამად დედალიც გამომისვამს და მამალიცა, ვარიაცა, ხბოს ტყავიცა,  
კურდღელიცა, მტრედიცა, თევზიყლაპიაცა, ვეჭილისა გუდა-ნაბადიცა, ყაბა-  
ლახიცა, ჩაჩიცა, ჩიტისა თავრიელიცა.



ბოლოში კი ერთი რამ უცილოდ უნდა ვთქვა: გამოსაწმენდად ბატისა-  
ნა, ტყუილია, ქვეყნიერებაზედ არა არის რა, ოღონდ გამოსმის უამსა ლაჭთა  
შუა თავით უნდა გეჭიროს. დახუჭულ თვალსა იმჟამად დია ეამება, რაკი, ჯერ  
ერთი, ბატისა გერმა ნაზი რამ არის და, მეორეცა, თვითონ ბატია თბილი და  
უკანტანითა თუ კუჭ-ნაწლავით სითბო პირდაპირ გულსა და ტვინში გარბის.  
ტყუილად ჰგონებთ, რომა ელისეს მინდორთა გმირნი და გმირთა გმირნი თა-  
ვიანთ ნეტარსა ყოფნასა ასფოდელოს, ამბროზიასა და ნექტარს უნდა უმად-  
ლოდნენ, ვითარცა ჩვენებურნი დედაბერნი ჩმახავენ. ჩემისა ჭკუით, ბატს რო-  
ისვამენ და იმით იწმინდებიან, სულ იმის ამბავია და სხვა არაფერი, და აკი  
ამავ აზრისა მრავალმეცნიერი იოანე სკოტიც.

თავი XIV

**ვითარ ასწავლიდა გარგანტუას მავანი  
ღვთისმეტყველი ლათინურსა**

უსმინა ზნექველმა გრანგუზიემ, უსმინა გარგანტუას ესევეთარ სიტყვა-  
პასუხსა და, რა ყოველი მოისმინა, ცათაფრენა შეუდგა, ისერიგად გაიხარა  
შვილისა დიდგონიერებითა და საოცებელი გულხმიერებითა. მერმე ძიძათ მი-  
უბრუნდა და უთხრა:

„ფილიპემ, მაკედონიისა მეფემ, თავისა ძესა, ალექსანდრესა, ჭკუა და  
გამჭრიახობა ცხენისა მარჯვე ტარებაზედ შეატყო. ცხენი იგი ფიცხი იყო და  
ავზნე, ზედშემჯდომი აღარცვინ ჩანდა, რამეთუ კაცი არ ღარჩა გადმოუგდე-  
ბელი; ზოგსა კისერი მოსტება, ზოგსა — ფეხი, ზოგსაც კიდევ თავი გაუპო ან  
არადა ყბა უღრძო. ალექსანდრე ყოველსავე ამას იპოდრომზედ უცქერდა (ეს-  
რეთ უხმობდნენ ცხენთსარბიელსა ანუ საჭენებელსა ასპარეზსა, სად ცხენთ  
წურთნიდნენ და ხედნიდნენ) და ბოლოს გულისხმაში ჩავარდა, ცხენსა უცი-  
ლოდ თავისავე ჩრდილი აფრთხობს და აგიჟებსო. გაქანდა, ფიცხლად ზურგ-  
ზედ მოექცა და იცხენმალითა, დოსტოლრივ მზისკენ წაიყვანა, ჩრდილი უკან  
აადევნა და მანამ არბენინა, სანამ არ დაიურვა. და აი მაშინ ირწმუნა მამამის-  
მა, ძე ჩემი დასტურ ღვთიური მადლით მოსილი ყოფილაო, და მოძღვრად  
ვინმე სხვა კი არ აუყვანა, არამედ — თავად არისტოტელე, რომლისა უმჯო-  
ბესი ფრლოსოფოსი ბერძენთაგან იმჟამად არცავინ იყო.

მე კი, უნდა გითხრათ, რაიცა ეხლა თქვენისა თანადასწრებით შვილსა  
ჩემსა, გარგანტუას, ველაპარაკე, მარტო ამ ერთმა ლაპარაკმაც დამაჯერა, რო-  
მი ჭკუა-გონი ზეგარდმო ძალით გააღმასებია, ისე სხარტია, ენამეტყველი,  
ხერხიანი და საზრიანი; აწ ჯერ არს სწავლასა დავაწაფო და განსწავლისა შემ-  
დგომად უსაეჭვოდ ბრძენთა უბრძნესი დადგება. ამად მსურს მწიგნობარსა  
ვისმე მივაბარო, რათა ყველაგვარ ცოდნასა ეზიაროს, რისი შეთვისებისაც ძა-  
ლი შესწეფს, და არას ამისთვის არ დავიშურებ“.

და მართლაც ერთი კეთილად სწავლული ღვთისმეტყველი, მაგისტრი ტუ-  
ბალ ოლოფერნი ცუყვანეს ყმაწვილსა დასამოძღვრებლად. და მაგისტრმაც  
ისერიგად ასწავლა ანბანი, რომ იგი სულ სხაპასხუბითა უბნობდა წინაუკმო  
ანუ ბოლოუკულმა და ამას ხუთი წელიწადი და სამი თვე მოუხდა. მერმე წე-

რილთ ოსტატმა დონატი წააკითხა, აგრეთვე ფაცეტი, თეოდოლე და ალანუსისა პარაბოლანი, რასაცა ცამეტი წელიწადი, ექვსი თვე და ორი კვირა დასჭირდა.

ბარემ აქავე ვიტყვი, ოსტატი იგი ერთჟამიერად გოთიკურ ასოთაც ასწავლიდა გარგანტუას, და ისიც იდგა და იწერდა, რაც კი რამ სასწავლო წიგნი ჰქონდა, ვინათგან ხელოვნება წიგნთა ბეჭდვისა იმჟამად ჯერეთ არ უწყოდნენ.

ვეება საწერელი გარგანტუასი, ჩვეულებითად გაკვეთილზედ რომ დაჰქონდა ხოლმე, წონით შვიდი ათას კვინტალს აღებატებოდა, საკალმე სიდიდით ენეს სააბატოს ბოძ-სამყართ არ ჩამოუვარდებოდა, ხოლო სამელნე მსხვილი რკინისა ჯაჭვით ეკიდა და დატევითა ერთი კასრისოდენს იტევდა.

შემდგომ ტუბალ ოლოფერნმა De modis significandi<sup>1</sup> წააკითხა თარგმანება-განმარტებითურთ ტარატურასი, აფრაკელისა, ხოხონიკასი, ჟან ბოხოლასი, ჩირადარადირელისა და მრავალთა სხვათა, რასაცა თვრამეტი წელიწადი და კიდევ თვრამეტ თვეზედ მეტი დრო-ჟამი მოუხდა. გარგანტუამაც ყოველივე ისე კარგად გაიგო და შეისმინა, რომ გამოცდისა ჟამსა ერთიც არა შეშლია რა, ადგა და ბოლოდან დაიწყო, ზეპირად წააყარა და წინაშე დედისა თვისისა ხუთი თითივით ცხადყო, ვითარმედ De modis significandi non erat scientia<sup>2</sup>.

მას უკან ტუბალ ოლოფერნმა სათვეო აღრიცხვათა წიგნი წააკითხა, რამაც სრული თექვსმეტი წელიწადი და ორი თვე მოითხოვა, და აღესრულა კიდევ ხსენებული ოსტატი, რამეთუ

წელსა ათას ოთხას ოცსა  
სიძვის სენმა ავნო ხორცსა.

იგი კვალად ერთმა გადაყრუებულმა მაგისტრმა შეცვალა, აბუეტო ბენტერამ, და მან ყმაწვილსა წააკითხა ჰუგუციო, ბერძნული ენა ებერარისა, დოქტრინალი, ნაწილნი მეტყველებისანი, Quid est, Supplementum, სააბდაუბდო, სენეკას De moribus in mensa servandis, De quatuor virtutibus cardinalibus, პასავანტისა cum commento, დღესასწაულისა ჟამსა კი Dormi secure და კიდევ ცოტ-ცოტა ესევეითარი რამ, რისა გამოც გარგანტუა ისერიგად ჩავარდა ჭკუაში, რომ, ტყუილია, იმასთან სუყველას კოჭი მოგვისხლტება<sup>3</sup>.

<sup>1</sup> „აღნიშნულობისა ხერხთათვის“ (ლათ.).

<sup>2</sup> „აღნიშნულობისა ხერხთათვის“ არა არს მეცნიერება (ლათ.).

<sup>3</sup> აქ ჩამოთვლილია იმდროინდელი სასკოლო სახელმძღვანელოები: ჰუგუციო პიზელის (XIII ს.) ლათინური ლექსიკონი; ებერარ ბეტიუნელის (XII ს.) „ბერძნული ენა“, ალექსანდრე ვილდიელის (XIII ს.) „სწავლანი ვაჟთათვის“ („დოქტრინალი“) — გრამატიკული თხზულება; „ნაწილნი მეტყველებისანი“, „რა რა არს?“ (ლათ.) — კატეხიზმისებური რომელიღაც სახელმძღვანელო; „დამატებანი“ (ლათ.). სულპიციო დევეროლის ტრაქტატი (XV ს. მეორე ნახევარი) „რაგვარ უნდა გვეჭიროს სუფრაზედ თავი“ (ლათ.); „ოთხი მთავარი სიქველი-ბა გამო“ (ლათ.). ფლორენციელი იაკობო პასავანტის (XIV ს.) კალამს ეკუთვნობდა წიგნი „სარკე ჭეშმარიტი მონანიებისა“ „Dormi secure“ („იძინე მშვიდად“. ლათ.) — ქადაგებათა კრებული (სახელწოდება ნიშნავდა, რომ ამგვარი კრებულის პატრონს, მღვდელსა თუ მოძღვარს ქადაგებათა შეთხზვით თავი არ უნდა შეეწუხებინა და მშვიდად სძინებოდა).



**პითარ ვიაპარეს სხვა გამზრდელთ გარგანტუა**

ამაობაში მამამ ისიბრძნა და გულისხმაჰყო, რომ ძე მისი სწავლით მართლაც ბევრსა სწავლობდა, მაგრამ ცოდნისა ბევრი არა ეტყობოდა რა, და ის კი არა, გაშტერდა, აზრი წაერთვა, თანდათან სულ უფრორე ბნდუ და ჭკუადაფანტული ხდებოდა.

გრანგუზიემ ამისა გამო დონ ფილიპე დე მარეს შესჩივლა, პაპელიგოსას ქორიკოზსა ანუ ხელმწიფის მონაცვლესა, და იმანაც სიტყვა არ დაუჭირა, სჯობს კაცმა სწავლაზედ სულაც ხელი აიღოსო, უთხრა, ვინემ ემაგისტანა წიგნთ ჩასჩინოს და ეგევიტარ მოძღვართ დაემოწაფოსო, რამეთუ სწავლა მაგათი აბდაუბდაა, ნასწავლობა კი მტკნარი სისულელეაო, რაიცა ყოველთა კეთილშობილ მოაზრეთ თავ-გზას უბნევს და რჩეულ ყრმათა ჩვენთა ღუპავსო.

— რახან საქმემ მოიტანა, — განაგრძო ქორიკოზმა, — უხმე აწინდელთაგან რომელსამე ჭაბუკსა, ვისაც ორ წელიწადზედ მეტი არ უსწავლია და, უკეთუ კეთილგანმსჯელობით, ფხიანობითა, თავაზიანობითა და ზნეკეთილობითა ვერ აჯობა ძესა შენსა, წარამარად მოლაპარაკე ყოფილხარ-თქო, მითხარ.

გრანგუზიეს ჭკუაში დაუჯდა, კარგი აზრიაო, ჰრქვა და თანხმობა განუცხადა.

საღამოთი, ვახშობის ხანსა, მოვიდა ზემორეხსენებული დე მარე, თან ერთი ყმაწვილი მოიყვანა, თავისი პაჟთაგანი, ვილგონჟიელი ევდემონი, კოხტად თმადავარცხნილი, მორთული, ვარაყდაწმენდილი, ზრდილი, ადამიანიშვილზედ მეტად ანგელოზსა შენამსგავსი, და რა მიეახლა გრანგუზიესა, უთხრა:

— ყრმასა ამას რომ უყურებ, ჯერეთ თორმეტისაც არ გამხდარა. ვნახოთ ერთი, ვის მეტი გაეგება, იმ ძველ ცრუპენტელა გამზრდელთ თუ აწინდელს ყმაწვილობასა.

გრანგუზიე ყაბულს გაუხდა და პაჟსა უბრძანა, დაიწყეო. მაშინ ევდემონმა დასტური სთხოვა თავისა ბატონსა, ხელმწიფის ნაცვალსა, ქუდი დაბლუჯა და წამოდგა, სახეგაბადრულმა ალალი მზერა მოწიწებით მიაპყრო გარგანტუსა, გახსნა მეწამულნი ბაგენი და ბალღური კრძალვით აქო და ადიდა, ცათამდე აიყვანა იგი: ჯერ ერთი, სიქველისა და სიმშვიდისათვის, მეორეცა, განსწავლულობისათვის, მესამეცა, კეთილშობილებისათვის, მეოთხეცა, თვალტანადობისათვის, და თანაც ტკბილი სიტყვით ჩააგონებდა, მამასა გამორჩეული პატივი უნდა მიაგო, რამეთუ შესაძლებელი არა დაგაკლო რა და გასწავლაო. ევდემონმა მუდარით შესთხოვა გარგანტუს, შენს უერთგულეს მსახურად მიგულეო, რადგან ზეცას აწ სხვასა არას ვევედრები, ოღონდაც ღვთისა შეწევნით გაამო რამე და გასიამტკბილოო. ამასა ყოველსავე კაფიად და ხმამაღლა წარმოთქვამდა ფრიად ნატიფი ლათინურისა ენითა და ხელთ ისერიგად იჭნევდა, თითქო თავად ზნეწვრთნილი ძველი გრაკხუსი, ციცერონი ანდა ემილიუსი ლაპარაკობსო და არა ნინველი ვინმე აწინდელი.

გარგანტუამ კი თავისა ჯერად ერთი ძროხასაებრ დაიბღავლა, თავ-პირი ქუდში ჩარგო, და ვით მკვდარსა სახედარსა არა დასძვრება რა, იმასაც კრინტი არ დაუძრავს.

გრანგუზიე ისე განრისხდა, კინალამ იქავ სული გაათრთობინა მაგისტრ აბუეტოსა. მაგრამ ზემორემოხსენებულმა დე მარემ მჭევრი სიტყვით დაითათ-ბირა, და ისიც დაცხრა. გასამრჯელოსა ნუ დაუჭერთო, ბრძანა, ღვთისმეტყვე-ლისა საკადრად ჩააცეცხლეთო, და ჯანდაბამდისაც გზა ჰქონიაო.

— ისემც უქნია, ინგლისელსავით გაღეშილა და გამტყვრალა, — წართქვა გრანგუზიემ. — მაშინ სულ იაფად გამოვალთ!

ოდეს მაგისტრი აბუეტო იქაურობას განშორდა, გრანგუზიემ ქორიკოზსა ჰკითხა, რას იტყვი, გარგანტუას მოძღვრად ვის მირჩევო, და ერთმანეთში მო-ილაპარაკეს, რომ საქმესა ამას პონოკრატი გაუძღვებოდა, გამზრდელი ევდე-მონისა, და ისინი ერთად გაემგზავრებოდნენ პარიზსა, რათა სრულად გასცნო-ბოდნენ ფრანგ ყრმათა ამჟამინდელ განსწავლასა.

თავი XVI

**ვითარ გაამგზავრეს პარიზსა ბარბანტუა,  
უზარმაზარსა ფაშატჯუდ ამხედრებულს, და იმა  
ფაშატისგან ბოსეთისა ბუზანკალთა გაქლეტა**

ზედდატანებით ფაიოლმა, ნუმიდიისა მეოთხე მეფემ, გრანგუზიეს აფრი-კით აახლა ერთი საზარლად დიდი და უშვერად მაღალი, აყლაყულა ფაშატი, რომლისთანაც ჯერეთ არ გაჩენილა ქვეყნად და, სასწაულიაო, სწორედაც იმაზედ ითქმოდა (მოგეხსენებათ, აფრიკაში ყველაყა დია უჩვეულოა). ტანითა ექვსი სპილოსოდენა იყო, ფეხთ თითნი ესხა, ვითარცა იულიუს კეისრისა სი-ნიბსა, ყურთაც ისე აპარტყუნებდა, ვითა ლანგედოკურნი ვაცბოტნი და გა-ვაზედ კი მცირე რამ რქა ამოსვლოდა. ფერთა ამლაკი იყო, თეთრ-რუხად დაწინწკლული. მაგრამ ყოვლისა უსაზარლესი მაინც კუდი ება: ლანყეს ახ-ლორე რომ წმინდა მარსის სვეტია, უმეტნაკლებოდ იმსისხო და იმასავით ოთხკუთხედი, და აწეწილი ძუა პურისა თავთავთ უგავდა.

უკეთუ კუდმა ამან გაგაკვირვათ, მაშ აბა უფრორე გაჰკვირდებოდით, რომ გენახათ რამხელა ღუმანი ჰკიდიათ სკვითურ ერკემალთ, თითოსა ოცდა-ათ ფუნტზედ მეტი, ანდა სირიულ ვერძთ, რომელთაც (ტენოს თუ დავუჯე-რებთ) იმოდენა და იმსიმძიმე მუცელთ მფარველნი დასთრევთ, უკან ურემსა რასმე უდგამენ საზიდრად. თქვენ კი არცარა კუდი გიჩანთ და არცარა ღუმა, თქვე უკუდო ამპარტავანნო, თქვენა!

ჰოდა, ფაშატი იგი სამ ხომალდსა და კიდევ ერთ ზარბუნაზედ შეესვათ და, ტალმონდუაში რომ ოლონია, იმა ნავთსაყუდელში ჩამოიყვანეს ზღვითა.

გრანგუზიემ თვალი შეავლო თუ არა, შესძახა:

— როგორც გვენატროს, ისეა! ძე ჩემი მაგით წაბრძანდება პარიზსა და, ღმერთმანი, საქმე დამში მოვა, თავისა დროზედ ფრიად საჩინო მეცნიერი დადგება. სწავლასა დიდი თავი უნდაო, სწორი უთქვამს პატარა თავიან ზალხსა.

მეორე დღესა გარგანტუამ, მოძღვარმა მისმა პონოკრატმა თავიანთ ქულ-ფათიანად, და აგრეთვე ყმაწვილმა პაჟმა ევდემონმა. თითო-თითო წასვლისა გადაჰკრეს, ვითარ წესია, და გზას გაუდგნენ. ამინდი კარგი დაუდგათ, მზიანი.



გრანგუზიემაც ამად თადარიგი დაიჭირა, და გარგანტუას ფერხთ მოგვი ჩა-  
 ოცვეს ყვითელი ფერისა, ბაბენი წულას ანუ სამოგვისა ფერხსაცმელს რომ  
 უხმობს.

მთელი გზა ორლენამდის დიდინ-დიდინით იარეს და სულ ჭამა-ყლაპვა-  
 ში იყვნენ. მერმე ერთ ღურღუმ ტყეზედ ვლეს, სიგრძით ოცდათხუთმეტი მი-  
 ლი იყო და სიგანით ჩვიდმეტი მაინც იქნებოდა. ტყესა მას შიგან ბუზანკალ-  
 თა და ბუზალაკთ დაედოთ ბუდე, ავად ირეოდნენ, შავად გაჰქონდათ ბუვი-  
 ლი და გამწარებულნი ჰყავდათ საბრალო ფაშატნი, კარაულნი და ულაყნი.  
 გარნა გარგანტუას ფაშატმა სრულიად თვისი ჯილაგისა ჯავრი სახელოვნად  
 ამოიყარა და თან ისეთი რამ ხერხი იხმარა, რასაც სულ არ ელოდნენ მწერ-  
 მწურნი. როგორც კი უწყებულ ტყესა მისცეს თავი და ბუზანკალნი დაეხვივნენ,  
 ფაშატმა კუდისა ქნევა ატეხა და იმდენი იქნია, ამა ქნევა-ქნევაში ბუზანკალ-  
 თაც შავი დღე აყარა და ტყეც ზედ მიაყოლა. გაუსვა და გამოუსვა კუდი, ხან  
 წაღმა იქნევდა, ხან უკუღმა, ხან აღმა, ხან დაღმა, ხან სიგრძივ, ხან გარდიგარდ-  
 მო და, ვით მთიბველმა ბალახი, იმოდენა უღრანი სულ ძირს დასცა. რალა გა-  
 ვაგრძელო, ტყეც ამოაგდო და საბუზანკლოცა, იქაურობა კი ტრიალ მინდვრად  
 იქცა.

გარგანტუას დია ეამა ხილვა ამისა, მაგრამ არ გაყინჩულა, ისე უთხრა  
 თანამყოლთ, მორჩა, ამოწყდა ბუზეთ-ბოზეთიო, და იმ დღისა მერმე შეერქვა  
 მხარესა მას ბოზეთი ანუ ბოსეთი.

ჭამა-სმისა საქმეც იქავ გაარიგეს, რწყილნი დახოცეს და სულ მწვადად  
 ააგეს, დანაყრდნენ და დალაღდნენ. ამა ამბისა კეთილმოსაგონრად აზნაურნი  
 მოაქყამამდე მიირთმევენ რწყილსა, გემრიელად ახრამუნებენ, აკნატუნებენ  
 და ჭამითა ვერა ძღებიან.

მგზავრნი ბოლო-ბოლო ჩავიდნენ პარიზსა, და გარგანტუა ერთ-ორ დღე-  
 სა განცხრომაში იყო, ტოლ-ამხანაგში ილხენდა, განისვენებდა და ჰკითხავდა,  
 ვინა არიან აქა მეცნიერნი და თქვენებურნი უმეტეს პატივისა რომელ ღვინოსა  
 სდებენო.

თავი XVII

**რარიზ მიაგო გარგანტუამ კარიზელთ დახვედრისათვის  
 და რაგვარ წარიტანა მან ღვთისმშობლისა ტაძრის  
 დიდ-დიდნი ზარნი**

ორიოდ დღე რა განისვენეს, გარგანტუა ქალაქისა მოსახილავად გავიდა  
 გარეთ, და ყველანი დიდისა განცვიფრებით უჭვრეტდნენ, რამეთუ პარიზში  
 იმისთანა ხეტნი, ცეტნი და მოლაყრუნი სახლობენ, რომა მაოცარი ვინმე,  
 მეძველმანე, ეყვანასხმული ჯორი თუ მესაკრავე უფრორე მეტ ხალხსა შე-  
 ჰყრიან იქა, ვინემ კარგი მქადაგებელი.

გარგანტუასაც ეგრევე აედევნენ და იმდენი სდიეს, იძულებულ იქმნა  
 ღვთისმშობლისა ტაძრის კოშკთა ზედა ჩამომჯდარიყო. და როს ძირს თვალი  
 გარდმოავლო ზღვასაებრ მოზიმზიმე ბრბოსა, ყოველთა გასაგონად დაიბაყ-  
 ბაყა.

— ამ ოხერ-მამაძაღლთა ჰგონიათ, ჩამოსვლისასაც მოგვაგებს და დახვედ-



რისასაცაო. რახან აგრეა, ეხლავ სულ სასმელში ვაყურყუმელავებ, რა დროს დარიღება და ფარიზია!

და ჩაიცინა, თავისი უებრო საბიძალი გაიხსნა, ამოაძვრინა საფსმური და გადაახევა, მაგრამ რა გადაახევა: ორას სამოცი ათას ოთხას თვრამეტი კაცი ერთობლივ ამოახრჩო ქალთა და ყრმათა ჩაუთვლელად.

მუხლისა სიმკვირცხლისა წყალობით მხოლოდ ზოგ-ზოგიღა გადაურჩა დიდროას ანუ ფსელდილობასა ამასა, და ოდეს ისინი უნივერსიტეტისა ზედა მხარეს განშორდნენ პირზედ ოფლგადამდინარნი, გულამოვარდნილნი და სულთქმაშეკრულნი, ფურთხვა-ქოშინით მოჰყვნენ ზენარსა და ფიცილსა, ვიეთნი — წყრომითა, ვიეთნი კიდევ — სიცილითა:

— პირდაქცეულმა მიყოს პირი, თუ კოკა არ იყოს ჰეშმარიტი, ზედაც შეჰხმობია, ვინცა ტყუილი წართქვას, ლუსკუმისა მადლმა, *po cab de bious, das dich Gots leiden shend, pote de Christo<sup>1</sup>*, წმინდა კენეს წიაღსა ვფიცავ, ღმერთო, შენი სახელისა ჭირიმე, წმინდა ფიაკრ ბრიელისა ლხენამა, წმინდა ტრენიანს ვენაცვალე, წმინდა ტიბოა მოწმე, საუფლო დღისა და შობის მადლმა, ჩემი თავი ჯანდაბას, წმინდა მორსა ვფიცავ და წმინდა ქროდეგანგსა, რომელსა შემწვარი ვაშლი დაუშინეს, წმინდა მოციქულსა ვფიცავ, ბილწელად სახელდებულსა, წმინდა ნასხამსა ვფიცავ გვამისასა, ტურფა სათნომყოფელსა შემოვევლე, კარგა მაგრა კი დაგვალტო ეგ რაღაც ფარიზია.


ის დღე იყო და ქალაქსა მას შეერქვა ფარიზი ანუ პარიზი, მანამ კი, ვითარცა სტრაბონი ბრძანებს (IV წგნ.), ლევკოთია რქმევია, ესე იგი ბერძნულისა ენითა ფ ე რ თ ო ვ ლ ა, ვინაიდან იქაურ დიაკთ ფერთოვლად უქათქათებთ ბარძაყნი. დარადგან ქალაქის გადარქმევისა ჟამსა ყველანი თავიანთ სამწყსოსა წმინდანთ იფიცებდნენ, რამეთუ პარიზელნი ჭრელი და არეული ხალხია, ბუნებით მარტო ჩინებულნი მერჯულენი კი არა, ჩინებულნი ურჯულონიც არიან და არცა ცუდმზვაობრობა აკლიათ, იოანანუს დე ბარანკოც იმიტომ ამტკიცებს (წგნ. *De copiositate reverentiarum<sup>2</sup>*), სიტყვა პ ა რ ი ზ ე ლ ნ ი ბერძნულ პ ა რ ე ზ ი ა ნ ე ს ა გ ა ნ წარმოდგება და ენაჭარტლობასა ნაშნავსო.

შემდგომ გარგანტუამ ტაძრისა კოშკთა ზედა ჩამობმულნი დიდრონნი ზარნი გასინჯა და დია ხმატკბილად ჩამორეკა. ამა რეკვა-რეკვაში კი ფიქრმა გაჰკრა, მოდი, რაც არი, არი, ჩამოვხსნი და ფაშატსა ჩემსა ზარაზინთა წილ დავიკიდებო; ფაშატი სწორედ იმჟამად მამასთან უნდა გაეგზავნა არცათუ მცირე ბრიული ყველითა და ნედლი ქაშაყით დასაპალნებული, და რაკი ერთი იაზრა, ზარნი უნდა ჩამოვხსნაო, ქმნაც არ გასჭირვებია, ადგა და თან წარიტანა.

სად იყო, სად არა, ზედ იმხანად პარიზსა წმინდა ანტონის ორდენის შაშხ-აპოხტისა კომანდორი ეწვია ღორისა ხორცის მოსაშოებლად. ჩუმჩუმად ზართა ხელში ჩაგდებასა ისიც ეპირებოდა, რათა შორითვე აეტეხა ხოლმე რეკვა და ემცნო, მე მოვდივარ, კომანდორიო, და გლემურძი საოსტიგნოში შიშით წინწინ ათიმთიმებულიყო, ვაჰმე, ჩემდა წასაღებად მოდიანო; მაგრამ

<sup>1</sup> თავო ღვთისაო (გასკ.), უფლისა ვნებავ, არრისა გრცხვენის (გერ.), ქრისტეს თავო (იტალ.).

<sup>2</sup> „უმეტესი კრძალვა-მოწიწებისა გამო“ (ლათ.).



კაცი იგი პატიოსანი იყო და ზართ ხელი აღაღო, და იმად კი არა, რომ წამუს-  
მა არ გაუჭრა, არამედ ფრიად ემძიმა და ვერ მოერია.

ოღონდ ამა კომანდორსა ნუ აურევთ ბურგელ კომანდორში, რომელიცა  
ძმაკაცია ჩემი.

და ქალაქი სრულად ფეხზედ დადგა, აირ-დაირია, რამეთუ კარგად იცით,  
რა მაშფოთარნიც არიან აქაურნი: სხვაგნებურთ ტყუილად როდი უკვირთ  
მრავლისა მოთმინება ანუ, მართალი თუ გინდათ, სიყვეყნე ფრანგთა ხელ-  
მწიფეთა, რომელთა თვალწინაც დღეყოველ ათასი რამ ოხრობა ხდება და  
ისინი მაინც ბევრს არასა ღონობენ ავისა და ბოროტის აღსაგველად. ოჰ, ნე-  
ტავი ერთი მაცოდინა, სად იყრიან თავსა მწვალებელნი და ბოროტგანმზრახნი  
ესე, ავდგებოდნი და ყოველსა გამხილებდი წინაშე ჩემისა მრევლის ძმათა ერ-  
თობისა!

ჰოდა, ტყვია მომხვდეს, თუ ტყუილს ვამბობდე, იხუვლა ამოდენა გა-  
ცოფებულმა ხალხმა და მიაწყდა სორბონასა, სად მაშინ მისანი იდგა (აწ უკვე  
იქ არღა მყოფობს) ლევკოთიასი. მისანსა მას ყოველივე წვლილად აუხსნეს  
და მოახსენეს უჯეროვნება ზართა მიმძლავრებისა.

მერმე, როს ყველაფერი pro და contra<sup>1</sup> აწონ-დაწონეს შესაბამისად Ba-  
ralipton-ის ფიგურისა, ადგნენ და გადაწყვიტეს, მოდით, გარგანტუას სა-  
ღვთისმეტყველო ფაკულტეტისა უხუცესი და ღირსებული წარმომადგინებე-  
ლი წარუუგზავნოთ და ვაუწყოთ, რა უაღრესი უჯეროვნებაც მოჰყვა ზართა  
დაკარგვასაო. და თუმცა ზოგ-ზოგნი მოღვაწენი უნივერსიტეტისა ამტკიცებ-  
დნენ, რწმუნება ესე ღვთისმეტყველზედ მეტად რიტორს შეშვენისო, მაგრამ  
არჩევანი მაინც ღირსადპატივდებულ მაგისტრ იანოტუს დე ბრაგმარდოზედ  
მიიტანეს.

თავი XVIII

**პითარ წარუგზავნეს გარგანტუას იანოტუს  
დე ბრაგმარდო დიდრონ ზართა გამოსართმევად**

მაგისტრმა იანოტუსმა ქოჩორი იულიუს კეისრისა დარად გადაივარცხნა,  
თავზედ ღვთისმეტყველისა სარქმელი დაირქვა, ღენდერსა ანუ სტომაქს კარ-  
გაძალი კომშისმურაბიანი ღვეძილი ჩააყარა, მარანში ნადგომი ნაკურთხი წყა-  
ლი დააყოლა და გარგანტუასკენ მიმავალ გზას გაუდგა, თანაც წინ მანდატურ-  
ნი გაიძლოლა, სამნი, თავპირწამოჭეხებულნი, რომელთა გადაკიდებასა მტერ-  
თაც არ ვუსურვებ, უკან კი ხუთიოდ ცალმოგვი მაგისტრი აიღვენა, არცარა  
დიდსაჩინონი და ერთი-ერთმანეთზედ მურდალნი.

შესავალთან პონოკრატი გამოეგებათ, და იგი ფრიად განაცვიფრა ამა  
ხალხის შესახედაობამ; ბოლოს იფიქრა, ალბათ ბერიკებრ საცთური სამოსე-  
ლი აცვიათო, და ზემორეხსენებულ მაგისტრთაგან ერთ-ერთ ბედასლსა  
ჰკითხა, რა არი, რას ნიშნავს სახიობა ესეო. რა არი და, ზარნი დაგვიბრუნე-  
თო, მიუგო იმან პასუხად.

<sup>1</sup> ასეც და ისეც (ლათ.).

ამისა თქმა იყო და პონოკრატი გარგანტუას გასაფრთხილებლად გაეჩქარა, რათა იმას წინწინ სცოდნოდა, რა პასუხიც უნდა გაეცა, და საქმხელიც მყისვე გადაეწყვიტა. ყოველივე რა იუწყა, გარგანტუამ განზედ გაინმო მოძღვარნი თვისი პონოკრატი, სახლთუხუცესი თვისი ფილოტომიუსი, მეჯინბეთუხუცესი თვისი გიმნასტი, მერმე ევდემონსაც მოუწოდა და სუყველას ერთად რჩევა ჰკითხა, რა ვქნა, რა ვიღონო ან რა მივუგოო.

ცოტა ითათბირეს თუ ბევრი, ყველანი ერთ აზრზედ დადგნენ, ჯერ არს სტუმარნი საოსტიგნოში დავსხათ და ღვინო საკადრად ვასხათო. ხოლო რა არი იმ ყრანტ ბებერსა არ ეტრაბახნა, თუ მე არა, ზართ არავინ მოგვატილებდაო, ადგნენ და, ვინემ იგი განცხრებოდა, ქალაქისა პრეფექტის, ფაკულტეტისა მოძღვართ-მოძღვრის და ქორეპისკოპოსისა მოსაყვანად კაცი აფრინეს, რათა დაესწროთ და ზარნი მანამ დაებრუნებინათ, სანამ ღვთისმეტყველი იგი თავის სათქმელს იტყოდა. შემდგომ კი ნება ვუბოძოთ და დიდებული სიტყვა თვისი ხსენებულ პირთა წინაშე წარმოთქვასო.

მართლაც, როს ყველანი შემოკრბნენ, ღვთისმეტყველი ხალხით გაჭედულ დარბაზში შეაბრძანეს და იმანაც ხველებ-ხველებით მოხსნა გუდასა პირი.

თავი XIX

**სიტყვა მაგისტრ იანოტუს დე ბრაბარდოსი,  
ოღმს მან ზართა დაბრუნება სთხოვა  
ბარბანტუას**

— უჰუ, უჰუ, ჰმ! *Mna dies*<sup>1</sup>, მოწყალეო ხელმწიფევე, *mna dies, et vobis*<sup>2</sup>, მოწყალენო ხელმწიფენო! რა კარგი იქნებოდა, ზართა ჩვენთა რომ დაგვიბრუნებდეთ, რამეთუ დია გვიჭირს უმაგათოდ! უჰუ, უჰუ, ჰხჰ! დრო იყო, დიდძალ ფულადაც არ დავუთმეთ ეგენი კავორელ ლონდონელთ, აგრევე არცა ბრიელ ბორდოელთ, რომელნიცა წარმატებულნი იყვნენ მაგათი ელემენტური ანაგობის სუბსტანციური ღირსებანიტა, რაიც დაფუძნებულია თავად სარეკელთა კვიდიტატიური ბუნებისა ქვეყნიურობაზედ, და შემძლებლობა, ამა ღირსებათაგან შობილი, განფანტავს ჰალოს მთვარისასა და განარინებს სტიქიონს ვენახთა ჩვენთა ანუ არა ოდენ საკუთრივ ჩვენთა, არამედ გარემომდებარეთა. არადა, ჩასაცეცხლავი თუ გაწყდა, მამულსაც თვალი დაუდგება და ნამუსსაცა.


უკეთუ აჯასა ჩემსა შეისმენთ, როჭიკად ორ ადლ კუპატსა და ერთსაც რინებულ საწმერთულსა მოვიბოჭავ საამებლად ფეხთათვის ჩემთა. სხვაგვარ, ვუწყვი, ცარიელზედ დამსვამენ პირუმტკიცნი, ვინაც წარმომავლინა. კარგ საწმერთულსა, *domine*<sup>3</sup>, ღმერთმანი, არა სჯობიან რა *et vir sapiens non abhorrebit eam*<sup>4</sup> ვაი, ვაი, რომ საწმერთული, ჩემი არ იყოს, ყოველსა კაცსა როდი აცვია! ჩვარში

<sup>1</sup> დილა მშვიდობისა (ლათ.).

<sup>2</sup> დილა მშვიდობისა, თქვენცა აგრევე (ლათ.).

<sup>3</sup> უფალო ჩემო (ლათ.).

<sup>4</sup> და კაცი ბრძენი არა მოიძულეებს (ლათ.).



ნუ გამომკრავთ, domine, თვრამეტი დღე ვირუდუნე, ვინემ ამა საბრძნოსა სიტყვასა ვისიბრძნებდი. Reddite que sunt Cesaris Cesari, et que sunt Dei Deo. Ibi jacet lepus<sup>1</sup>.

ღმერთთან სწორი სჯობს, domine, უკეთუ ვახშამსა ჩემთან ერთად მიერთმევთ in camera, ფუ ეშმაკსა, charitatis, nos faciemus bonum cherubin. Ego occidi unum porcum, et ego habet bon vino.<sup>2</sup>

კაი ღვინისგან კი უხეირო ლათინურსა ვერ დააყენებ.

ესრეთ, de parte Dei, date nobis clochas nostras<sup>3</sup>.

სრულად ჩვენი ფაკულტეტისა სახელით ძღვნად მოგართმევთ sermones de Utino, utinam<sup>4</sup> დაგვიბრუნეთ სარეკელნი ჩვენნი. Viltis etiam pardonos? Per Diem, vos habebitis et nihil poyabitis.<sup>5</sup>

მოწყალეო ხელმწიფევე, o domine, clochidonnaminor nobis!<sup>6</sup> ჭეშმარიტად est bonum urbis<sup>7</sup>. ყოველნი ისაკლისებენ. უკეთუ ფაშატმა თქვენმა მოიხდინა ეგენი, მაშ ფაკულტეტიც მოიხდენს ჩვენი, que comparata est jumentis insipientibus et similis facta est eis psalmo nescio quo<sup>8</sup>, სადღაც ქარტისა ნაგლეჯზედ უნდა მეწეროს, et est unum bonum Achilles<sup>9</sup>. უჰუ, უჰუ, ქხჰ!

ეხლავ დავაჭეშმარიტებ, რამეთუ უცილოდ უნდა გამატანოთ. Ego sic argumentor:

Omnis clocha clochabilis, in clocherio clochando, clochans clochativo clochare facit clochabiliter clochantes. Parisius habet clochas. Ergo glus<sup>10</sup>.

ჰა-ჰა-ჰა! თქმა უნდა, ბატონო, თქმა! სწორედ in tertio prime<sup>11</sup> გამოდის, შესაბამად Darii<sup>12</sup> ანდა კიდევ სხვამებრ. დრო იყო, ღვთისა მადლმა, ენაზედ ჭალი არ წამომედებოდა, კაცი ვერ მაჯობებდა დავა-კამათში, ახლა კი, რა ვქნა, ვატყაჭუნებ, ძველი წისქვილივითა ვროხავ, და, მიწამ მიყოს პირი, უკეთუ რამის მოწადინე ვიყო, თვითნიერ კაი ღვინისა და რბილი ლოგინისა. ზურგს ცეცხლი ეცხუნება, მუცელს — ტაბლა, ზედ ჩაყრილი ჯამი და იმისი ჯანი!

ეჰ, domine, გეაჯებით, in nomine Patris et Filii et Spiritus Sancti amen<sup>13</sup>, დაგვიბრუნეთ სარეკელნი ჩვენნი, და აგრემც მამაზეციერმა და დედაზე-

<sup>1</sup> მიეცით კეისარსა კეისრისა და ღვთის ღმერთსა. აი ყოვლის უკეთესი საბუთი (ლათ.).

<sup>2</sup> სამადლო ვანსა შინა, ფუ ეშმაკსა, ერთი გემრიელად შევუბერავთ. ღორი უკვე წავახაკლავე, კაი ღვინოსაც ვიშოვნე (შერყვნილი, მაკარონიკული ლათინური შუა საუკუნეებისა (რედ.).

<sup>3</sup> იწამეთ ღმერთი, დაგვიბრუნეთ ზარნი ჩვენნი (შუა საუკ. ლათ.).

<sup>4</sup> ქადაგებათა წიგნსა უდინისას, ოლონდაც (შუა საუკ. ლათ.).

<sup>5</sup> განტევება გსურთ? ღმერთთან იცის, შეგინდობთ და თანაც ფასისა გამოურთმევლად (შუა საუკ. ლათ.).

<sup>6</sup> უფალო ჩვენო, გაგვაზარიანე (ლათ.).

<sup>7</sup> ქალაქისა საკუთრებაა (ლათ.).

<sup>8</sup> რომელიცა შეიმსგავსეს ჭაკთა უგუნურთა და იგიცა გაუტოლდა იმათ. იხილე ფსალმუნი, არკი ვუწყვი, რომელი (ლათ.).

<sup>9</sup> რაიცა დიდებული აქილევსია (შუა საუკ. ლათ.).

<sup>10</sup> ისე არ გეგონოთ, საბუთიანად ვსჯი: ყოველი სარეკელი დასარეკელი, რეკვა-რეკვით გასასარეკლებელი სამრეკლოზედ ისარეკლებს და გასასამრეკლოებელ სამრეკლოსაც გაასამრეკლობს. პარიზსა შინა არს სარეკლნი, რაიცა უნდა ცხადმეყო. (შუა საუკ. ლათ.).

<sup>11</sup> პირველი ფიგურისა მესამე მოდუსისამებრ (ლათ.).

<sup>12</sup> სახელწოდება ამ მოდუსისა. — (რედ.)

<sup>13</sup> სახელითა მამისაითა და ძისაითა და სულისა წმინდისაითა, ამინ! (ლათ.).



ციერმა გიხსნათ ყოვლისა სენისაგან, დღეგრძელნი გყოთ მრავალჟამიერ, qui vi-  
vit et regnat per omnia secula seculorum, amen!<sup>1</sup> უჰუ, უჰუ, ქსეპ, აჰა, ქსეპ!

Verum enim vero, quando quidem, dubio procul, edepol, quoniam, ita certe, meus Deus fidus<sup>2</sup>, რალა უზარო ქალაქი და რალა უარგნო ბრმა, საძუე-  
ამოუდებელი კარაული, ანდა უზანზალაკო ფური. ვინემ არ მოგვცემთ ზართა ჩვენთა, დღენიადაგ ღალადგყოფთ, ვითარცა ბრმა არგანდაკარგული, ვიყოყინებთ, ვითარცა კარაული უსაკუდრო, ვიზმუვლებთ, ვითარცა ფური უზანზალაკო.

ერთმა მავანმა მელათინურემ, სასნეულოსა ახლორე მსახლობელმა, ერთხელ შაირთმთხზველ პანტანუსისა ლექსნი მოიშველია, ერისკაცისა, — დასწყევლის ეშმაკი, პონტანუსი უნდა მეთქვა, — და ინატრა, ნეტავი თავად ზარნი ბუმბული-სა ქნა, ხოლო დასარეკი ენანი მელის კუდისაო, ვინათგან ზართა ზრიალი თურ-მე ტვინსა სტკენდა, ოდეს თვისთა შაირ-ლექსთა თხზავდა. ინატრა და დედაც ეტირა. რის ბუმბული, რა მელიაო, მწვალებლისა მყვარებელიც მწვალებელიაო, სარწმუნოებისა განმწვალებლად შერაცხეს. ეგრეა, ბატონო, ჩვენში სარეკელთ ვრეკავთ, ვრეკავთ და მწვალებელთ წიწილებსავითა ვრეკავთ. ამის შემდგომ კი, ვითარ ნათქვამია: „თავისუფალი ბრძანდებით, მოწმეო!“ Valete et plaudite. Calepinus recensui<sup>3</sup>.

თ ა ვ ი X X

**ვითარ წარიტანა ღვთისმეტყველმა თვისი სკლატი და ვით წაეღავა დანარჩენ მაგისტრო**

რა გაასრულა ღვთისმეტყველმა სიტყვა თვისი, პონოკრატსა და ევდემონს იმისთანა გულიანი ხარხარი აუტყდათ, ფეხზედ ძლივს იდგნენ და მუცელნი ხელით ეჭირათ ჩაბჟირებულთ, — სწორედ ისევე, ვითარცა კრასუსი ჩაბჟირდა, ოდეს კუროსთავისა მკვნეტელი ვირი იხილა, ანდა ფილემონი რომ კინალამ სიცილით გაიგუდა, რაჟამს სადილზედ დასაყოლებელი ლეღვი სახედარმა შეუჭამა. იმათ შემყურეს, მაგისტრ იანოტუსსაც სიცილი წასკდა, თანაც არავინ უწყის, ვინ უფრო ხაფი ხმით იცინოდა, — და ბოლოს სუყველას ცრემლი მოერიდა, რამეთუ ესდენ ლაყლაყში ტვინისა ნივთიერებას თვალისა წყალი წარმოსდინდა, იდინა და სახედველთა მგრძნობელ ძარღვთ მიადგა. რალა ბევრი გაავარძელო, ზედგამოჭრილი გაჰერაკლიტებული დემოკრიტე და გადემოკრიტებული ჰერაკლიტე დაგიდგებოდათ თვალწინ.

როს ყოველთ სიცილით გული იჯერეს, გარგანტუამ შინაკაცთ რჩევა ჰკითხა, აწ როგორღა მოვიქცეო. როგორ უნდა მოიქცე და, პირმეტყველსა მაგას ერთხელ კიდევ ჩავაცეცხლოთო, განსაჯა პონოკრატმა, მერმე კი, რახან თავად სონჟეკრეს უკეთესად შეგვაქცია და გაგვართოო, ჩვენც ავდგეთ და

<sup>1</sup> ნუმც დასრულებულა მეუფება უფლისა, ამინ! (ლათ.).  
<sup>2</sup> გარნა სხვებრ, ვინათგან, უსაეჭვოდ, პოლუქსისა მზემა, ოლონდ, ვინიცობაა, ღმერთია მოწამე (ლათ.).  
<sup>3</sup> დაგვემშვიდობეთ და ტაში შემოჰკარით. კალეპინო ვარ, შესწორებას მოვრჩი (ლათ.).



წელან რო თავის მხიარულ სიტყვაში ახსენა, ვუწყალობოთ ის ორი ადგილი კუპატი და კიდევ საწმერთული, სამასი დიდრონი მორი, ოცდახუთი კასრი ღვინო, ქვეშაგები თავისი სამი ხელი ყურთუკის დოშაკითა და ერთიც კარგადიდი, უძირო ფილჯამიო, მოკლედ, ნურაფერს ნუ დავუჭერთ, რის დამჭირნობაც ამ სიბერისა ჟამსა გასჩენია, როგორაც თავად უბნობსო.

მართლაც, ადგნენ და ყოველივე უწყებული უკლებლივ უწყალობეს, თვინიერ საწმერთულისა, რამეთუ გარგანტუა საგონებელში ჩავარდა, აბა ეგრე იჩქითად სად მოვუძიოთ საწმერთმული შესაფერი ზომისა ამ სიტყვამშვენიერსა და კაი დედმამიშვილსაო. თანაც გარგანტუამ კარგად არც უწყოდა, რანაირი უფრო ეკადრებოდა მაგისტრსა: უკან ჩასახსნელი, ასაწევ-დასაწევი ხიდისნაირი, რაიცა კარში გასვლასა უადვილებს ადამიანს, თუ ზღვაზედ ჩასაცმელ, საფსმელად საადვილო, ანდა შვეიცარიული, პალვისა სათბუნებელი, თუ ჩაქიანი, წელისა საგრილებლად. აკი ამად ბრძანა კიდევ, საწმერთულისა წილ მჭევრსა ამას შვიდი წყრთა შავი სკლატი და სამი წყრთაც თეთრი სასარჩულე მიუბოძეთო. შეშა შინ მებარგულთ წაუღეს; კუპატი და ფილჯამი იმ ცალმოგვ მეცნიერ-მაგისტრთ დაიჭირეს; მაუდი თავად მაგისტრმა იანოტუსმა წარიტანა. ამის დამნახავმა ერთმა ხსენებულმა მაგისტრთაგანმა, სახელად ჟუს ბანდუიმ, ლამის თავი მოიკლა — ღვთისმეტყველს არცა უხდება და არცა შეშვენის სკლატისა ხელთ ჭერაო, და მიუთხრო, ჩვენ მოგვეცი, ბატონო, ჩვენ წამოგიღებთო.

— ჰაი, შე ჩუტრუკო, შენა! — შეუძახა იანოტუსმა. — განსჯისა თავი არა გაქვს *in modo et figura*<sup>1</sup>. გეტყობა, სულ წყალში ჩაგეყარა წინათ განგანზრახვანი და *Parva logicalia! Panus pro quo supponit?*

— *Confuse et distributive*<sup>2</sup>, — მიუგო ბანდუიმ.

— მე იმას კი არ გეკითხები, ჩუტრუკო, *quo modo supponit*, არამედ *pro quo*<sup>3</sup>. რალა თქმა უნდა, ჩუტრუკო — *pro tibiis meis*<sup>4</sup>, მაშასადამე, სკლატიანი ამად გახლავარ, *egomet, sicut suppositum portat adpositum*<sup>5</sup>. — და მან ქურდულად წააცუხცუხა სკლატი, ვითარცა პატლენმა.

თუმცა საქმე ამით არ გასრულებულა. ყრანტმა ბებერმა ერთხელ კიდევ გულმარხიანად მოითხოვა სირცხვილეულთა საფარველი და კუპატი სორბონისა საერთო სხდომაზედ, მაგრამ ეგრევე მტკიცე უარი სტკიცეს, ვითარ ვიუწყეთ, გარგანტუასაგან უკვე ყოველი გებოდაო. მაგისტრმა იანოტუსმა ქვა ააგდო, უკეთუ მებოდა *gratis*<sup>6</sup>, მებოდა გარგანტუას გულუხვობისა წყალობით, რაიცა სორბონელთა აღთქმულისა აღსრულებისაგან არ განთავისუფლებთო. არცა ისინი დაბნეულან, რალა ვირის თავ-ფეხი გინდა, ძალიანაც მართალი სამართლით გაგსწორებიანო, უთხრეს, ჩვენგან ტყუილად ნულარას მოელოო.

— მართალი სამართლით გამსწორებიან? — შეჰბღავლა იანოტუსმა. — ვაი თქვენი სამართალი კი რა ვთქვი, თქვე ფლიდნო, თქვენა! არა, თქვენებრ მზაქ-

1 შესაბამად მოდუსისა და ფიგურისა (ლათ.).

2 მცირე ლოგიკალიები! რას შეიძლება მივუყენოთ სკლატი? — უთავბოლოდ და არაპიროვნულად (ლათ.).

3 რარიგ მივუყენოთ, არამედ რას მივუყენოთ-მეთქი (ლათ.).

4 ჩემთა წვივ-ბარკალთ (ლათ.).

5 ისევე, ვით სუბსტანციას ახლავს აქციდენცია (ლათ.).

6 უანგაროდ (ლათ.).

ვარნი და ბილწნი სხვა არცვინ მეგულვის ქვეყანაზედ. თქვენი მოსაღორებელნი რა მჭირს? ერთად მაინც არ გვეოხრა და არ გვემამაძალდა! წავალ და, ტყირ-პი შემახმეს, თუ თავად ხელმწიფესთან არ დაგასმინოთ, რაც განგიზრახავთ და რა უსჯულოებასაც სჩადიხართ. აი ნახავთ, თუ არადა, კეთრსაც შევუჭამივარ, ცოცხლად დაგბუგავენ, ვითა მამათმავალთ, ბოროტისა შემამთხვეველთ და მაცთუნებელთ, თავად ღვთისა და სათნოებისა მგმობელთ!

ამა სიტყვათა გამო აღგნენ და უჩივლეს, გაგვლანძლა, თავლაფი დაგვასხაო. იმან კი, თავის მხრით, იმდენი ქნა, საქმე არ გაარჩევინა და გადაატანინა. რაღა ბევრი გავაგრძელო, დავა-კრტიმლობა იგი გაჯანჯლდა და დღეს-აქამომდე გაცოდვილდა; რახან ესევეითარი რამ შეგვემთხვაო, სორბონელთ პირი შეკრეს, პირი აღარ დავიბანოთო, ხოლო იანოტუსმა და ძმათა მისთა ერთმანეთს შეჭფიცეს, ცხვირს მანამ ნუ მოვიხოცავთ, სანამ საბოლოო მსჯავრს არ გამოიტანენო.

აღთქმისაებრ ისინი მოაქყამამდე პირუბანელნი და ცხვირმოუხოცელნი ვლიან, რადგან განსამართლებულ საქმესა ჯერაც ბოლო არ უჩანს. განჩინებასა, ეტყობა, უახლოეს ბერძნულ კალანდებს ანუ როდინობისა კვირას მოაყოლებენ,—აბა, რა გესწავლებათ, უჩემოდაც კარგად უწყით, მსაჯულნი გინა ბუნებაზედ იმძლავრებენ და გინა თავიანთ საკუთარ სჯულთა ზედა. პარიზულ სამართლისა წიგნთა თანხმობით მხოლოდ ღმერთია ერთი შემძლებელი უსაზღვროობისა. ბუნება თავისდათავად არასა ქმნის უკვდავსა და ყოველსავე მოვლინებულსა ქვეყნად თავადვე უღებს ზღვარსა და განასრულებს, რამეთუ omnia arta cadunt<sup>1</sup>, და კიდევ ბევრის თქმა შეიძლება. მაგრამ დასტურ უსასრულო და უკვდავია გუნებათაღლითიან კაცთაგან განსასჯელი დავა. ესრეთ ისინი ამტკიცებენ ჭეშმარიტებასა ქილონ ლაკედემონელისა ნათქვამისას, რაიცა ანდაზად იქცა დელფოელთ შორის: სილატაკემ დავა იცის, ყოველნი მოდავენი კი ლატაკნი არიანო. და ალბათ იმათ უფრორე მალე მოეღებათ ბოლო, ვინემ დავა დაუბოლოვდებოდეთ და მართალი და მტყუანი გამოჩნდებოდეს.


თავი XXI

**ამბავი, თუ რასა იქმნდა გარბანტუა თვისთა სორბონელ მოკლვართაგან შედგენილი ცხრილისდა კვალად**

ორიოდ დღისა შემდგომ ზარნი კვალად თავ-თავიანთ ადგილზედ დაჰკიდეს, და ნიშნად მადლიერებისა ესოდენი სულგრძელობისათვის პარიზელთ კალთანი დააგლიჯეს გარგანტუას, რაოდენ ხანსაც ინებებ, ფაშატსა შენსა ჩვენ შეგინახავთ და მოვუვლითო. გარგანტუას დიადაც ეამა ესევეითარი აზრი. ისინიც აღგნენ და ბიერისა ტყეში წაიყვანეს ფაშატი იგი. აწლა, ვგონებ, იქ აღარ უნდა ჰყავდეთ.

ამისა უკან გარგანტუა ფრიად წადიერი შეიქმნა გულმოდგინე სწავლისა პონოკრატისა ზედამდეგობით, მაგრამ პონოკრატმა თავდაპირველად ისევ

<sup>1</sup> რაცა გაჩენილა, უნდა მოისპოს (ლათ.).



უწინდელი წესისა და რიგის მიყოლა ურჩია: შეტყობა სურდა, გარგანტუას ძველთა მოძღვართ ესდენ გრძელუამიერად რა მოილონისძიეს და რარიც გახადეს იგი ახვირაკი, რეგვენი და უგბილიო.

ჟამი გარგანტუასი ისერიგად იყო განწესრიგებული, რომ გარეთ ნათელი იდგა თუ ბნელოდა, ჩვეულებითად მაინც დილის რვასა და ცხრა ჟამსა შუა იღვიძებდა, რადგან აგრე დაუწესეს ღვთისმეტყველ მოძღვართ, რომელნიცა დავითისა ნათქვამს იმოწმებდნენ: Vanum est vobis ante lucem surgere<sup>1</sup>.

ძალ-ღონისა მოსაკრებად მცირე რამ ზანსა ხელ-ფეხთ იქნევდა, ბუტრაობდა, კოტრიალობდა ლოგინში, მერმე წამოდგებოდა და, წელიწადის რა ჟამიც იდგა, იმისდა კვალად შეიმოსებოდა, უპირატესად კი მაინც მჭიმნე ფრიზული ნაჭრისა ლაბადა უყვარდა, მელიისა ბეწვდადებული, განიერი და გრძელი. მას უკანით თმასა აღმენის წმინდაკბილათი ანუ თითებით ივარცხნიდა, ვინათგან მოძღვარნი ნიადაგ ჩასჩიჩინებდნენ, სხვარიგად დავარცხნა, ბანება და გასუფთავება ფუჭად ღროის დაკარგვანო.

შემდგომად კარში გადიოდა, შარდავდა, ახრანტალებდა, აბოყინებდა, აქუხილებდა, ამთქნარებდა, აპურჭყებდა, ახველებდა, ასლოკინებდა, აცხიკვებდა, ცხვირს მთავარდიაკვანსავით იხოცავდა და ბოლოს საუზმედ მოსკალათებდა. საუზმეზედ კი, რათა არცა ნესტსა ევნო და არცა ქარჭვალს განეწონა. მოჰქონდათ და მოჰქონდათ შეგბოლვილი გულ-ღვიძლი, მოხრაკული ხორცი, უებრო შაშხი, თითთა ჩასაკვნეტი ციკნისა მწვადი და კარგა ბლომად პურჩა-ბუჟბუჟებული შეჭამანდი.

პონოკრატმა სიტყვა შეაპარა, რაჟამს საწოლიდან აღგები, ცოტადრე უნდა გაივარჯიშო, პირდაპირ საჭმელს ნუ ეცემიო ხოლმე. გარგანტუას არ მოეწონა და გაუტრიზავა:

— რაო? მე კიდევ გავარჯიშება მინდა? სანამ ავდგებოდე, გვერდს შვიდჯერ მაინც ვიცვლი. ვითომ რა, ცოტაა? პაპი ალექსანდრეც ესევე იქმოდ ერთი ვინმე ებრაელი მკურნალისა რჩევითა და მტრის ჯიბრზედ სიკვდილამდე იცოცხლა. მე ესრეთ ჩემთა ძველთა მოძღვართ მიმაჩვიეს. დილისა ლუკმა მახსოვრობას უხდებო, უბნობდნენ ხოლმე, და როს სასაუზმედ დასხდებოდნენ, არცვის არ უცდიდნენ, ასხამდნენ და ეგრევე სვამდნენ. რა ვქნა, ნუნუა არცა მე მწყინს და უფრო მადიანად გეახლებით. მაგისტრი ტუბალი, უპირველესი ლიცენციატი პარიზისა, ბრძანებდა, საქმე ჩქარად რბენა როდია, საქმე ის არი, ღროით გამოიქცეო. ადამიანსაც უკეთუ ჯანისა სიმრთელე სწადის, მიწყივ იხვსავით კი არ უნდა სვას, საკმარისია სისხამზედვე გადაყლურწოს. Unde versus<sup>2</sup>:

მიდი, დილაადრიანად  
გადაუშვი მადიანად.

კარგა გამობუსკნული გარგანტუა აღგებოდა და ეკლესიისკენ გასწევდა. უკან ვეება გოგროხათი მყის კონდაკს დაადევნებდნენ, სქელსა, გაქონილსა, საცალოში გამოკრულსა, რომელიცა, ქონიან-საკინძურიან-ეტრათიანად, სულ ცოტა, თერთმეტ კვინტალსა და ექვს გირვანქას იწონიდა. ეკლესიაში გარგანტუა ოცდაექვს ანდა ოცდაათ წირვას მოისმენდა. ამოზაში თავიანთი კარისა

<sup>1</sup> ამათა ადგომა თქვენი გაუთენებლივ (ლათ.).


<sup>2</sup> ლექსადაც თქმულა (ლათ.).





მღვდელიც წამოადგებოდა, ერთობ ჩაფუთნული, ქოჩორა ფრინველს მიმსგავსებული, რომელსა ფრიად ეხერხებოდა ზედაშეთი ყელისა ჩაწმენდა. ყოველ ეკტენიას იგი გარგანტუასთან ერთად ჩაარაკრაკებდა და თან ისერიგად დამარცვლავდა, ერთი რა არი, ერთ მარცვალსაც ძირს არ დააგდებდა.

ოდეს გარგანტუა ეკლესიიდან გარეთ გამოვიდოდა, იქავ ერთ ურემ წმინდა კლავდიუსის სავარდსა ანუ კრიალოსანს დაახვედრებდნენ. სათვალავად ასხმუ-



ლი თვითეული მძივი სავარდისა კაცის თავისა ოდენი იყო. გარგანტუა-ვი-ლოდა წინ და უკან, შემოივლიდა სამზარეულოს ეზო-ყურესა, დერეფანთა და მტილთა, ხელთ კრიალოსანს აწკრიალებდა, და ამ სეირნობა-სეირნობაში იმდენ ლოცვას ჩაითვლიდა, რაოდენსაც თექვსმეტი მესენაკეც ვერ წარიტყოდა.

ამის უკან მცირედ უმცირეს ხანსა წიგნში ჩაიციქირებოდა, მაგრამ, იმ ერთი კომიკოსისა არ იყოს, სული მისი სამზარეულოში ტრიალებდა.

მერმე დასათხევს დაათხევდა და სადილად დაჯდებოდა, ხოლო ბუნებით რაკი ერთი ეჩემფეხება ვინმე იყო, გაგება აღარა ჰქონდა, ისე დააცხრებოდა ფელიკ-ბარკალთ, ბოლსა შიგან გამოყვანილ ენას ხარისასა, ხიზილალას, ძეხვსა და კიდევ ბევრ სხვა ჭამადსა, ღვინის დასალევ-მოსანდომებელსა.

იქავ მუდამ ოთხნი მსახურნი იდგნენ და ოთხი ციციხვით მდოგვს აყრიდნენ პირში. მას უკანით, ჭაჭა-თირკმელნი არ გავიმიზებოო, სულს არ მოითქვამდა და წყალთაწყე თეთრ ღვინოს შესვამდა. შემდგომად ხორცსა მიირთმევდა, თანაც წელიწადისა დროისდა კვალად არჩევდა, რაჟამს რა ნაჭერი იყო გემრიელი, და ყბას მანამ არ გააჩერებდა, სანამ მუცელი არ შემოებერებოდა. სამაგიეროდ სმა წართვით იცოდა, არცარა წესსა უყურებდა რასმე და არცარა რიგსა. მსმელისა საზღვარიო, იტყოდა ხოლმე, ის არიო, ოდეს თვალისა ჩინს დაჰკარგავს, დაჟივდება და ფერხსაცმლისა კორპის დაბაშნი შვიდი თითისა დადებაზედ დაუჯირჯვდებაო.

## თავი XXII

### თავაშობანი გარგანტუასი

მერმე გარგანტუა ძლივს წაილულლულებდა სამადლობელი ლოცვის ორიოდ სიტყვასა, საყოველწმინდაოს გადაჰკრავდა, კბილთ ეშვისა ტანტრაბეჩით გამოიჩიჩქნიდა და, ღიზღიზისა გუნებაზედ დამდგარი, მსახურთ გაელაზლანდარავებოდა. მსახურნი ძირსა მწვანე სკლატ-მაუდს დაჰფენდნენ, ზედ მრავალთა უმრავლეს სათამაშო ქაღალდსა გაშლიდნენ, უთვალავ კამათელსა დაჰყრიდნენ და უამრავ დაფა-ფიცარსა ჩაარიგებდნენ კოჭთა სამორინოდ. გარგანტუაც იდგა და თამაშობდა:


თულფობანასა,  
პირველობანასა,  
აღებობანასა,  
ქურდობანასა,  
გამარჯვებობანასა,  
გარჭობანასა,  
ასობანასა,  
ეკლობანასა,  
უბედურქალობანასა,  
მზაკვრობანასა,  
ათიანისა გასვლასა,

იწილო-ბიწილოსა,  
გადაბრუნებულსა,  
გულნაკლულობანასა,  
კარისკაცობანასა,  
რქიან ქმარსა,  
ყბედობანასა,  
ფულობანასა,  
ქორწილობანასა,  
კოჭინჭარასა,  
ეშმაკობანასა,  
ხელგაშლილობანასა,



ოცდათერთმეტსა,  
 პათიოსნობანასა,  
 სამასობანასა,  
 უბედურკაცობანასა,  
 ტყუილობანასა,  
 ჭაპანწყვეტასა,  
 დოყლაპიობასა,  
 ყომარსა,  
 ბაყაყაობასა,  
 ტომრაობასა,  
 გურზაობასა,  
 კეგლსა,  
 ე კ რ ა , ბ ე კ რ ა , ხ ე ლ ს გ ა ე კ -  
 რ ა -ს ა ,  
 გაქვავებულსა,  
 ორმოობასა,  
 ვ ყ ი დ ი შ ვ რ ი ა ს ა ,  
 შ ე უ ბ ე რ ე მ უ გ უ ზ ა ლ ს ა ,  
 კუკუმალობასა,  
 ც ო ც ხ ა ლ მ ს ა ჯ უ ლ ს ა დ ა  
 მ კ ვ დ ა რ მ ს ა ჯ უ ლ ს ა ,  
 ნ უ დ ა ს წ ვ ა ვ შ ა მ ფ უ რ ს ა ,  
 მწყერობანასა,  
 ცრუმასხარობანასა,  
 ცხრა-ცხრა ქვაობასა,  
 კუზლარა კარისკაცსა,  
 წრებურთსა,  
 ქერიჭამიანობასა,  
 ღორობანასა,  
 ხახუნობანასა,  
 რკალობანასა,  
 სალაობასა,  
 კეჭნაობასა,  
 შიშიანობასა,  
 ქუდმურაობასა,  
 ბორბალასა,  
 ომობანასა,  
 ვ ა დ ი დ ე ბ თ წ მ ი ნ დ ა  
 კ ო ს მ ა ს ა ,  
 ლაფტსა,  
 თოკქვეშ გახტომასა,  
 გერობანასა,  
 გამურვასა,  
 ბატონობანასა,  
 გამოცნობანასა,

დავლაობასა,  
 მკითხაობანასა,  
 მისნობანასა,  
 წავებით მოგებასა,  
 გასაღებობანასა,  
 ხურდაობასა,  
 ლუწ-კენტაობასა,  
 ჩილიკაობასა,  
 ცალხაზაობასა,  
 ქურდსა და დარაჯსა,  
 ზემყრელოსა,  
 ხოჭობანასა,  
 დიდმარხვასა,  
 ფუნდურაობანასა,  
 დ ა ჰ კ ა ბ უ რ თ ს ა ,  
 წრებურთსა,  
 ქრცვინობანასა,  
 ჩ ა მ ო ყ ა ჭ ე -ს ა ,  
 ციხე-კოშკობანასა,  
 კომბლობანასა,  
 ბერობანასა,  
 მგელობანასა,  
 გრძელ ჯორსა,  
 მრგვალ ჯორსა,  
 ლახტაობასა,  
 ჩალიჩსა,  
 ციბრუტობანასა,  
 ა ი წ ო ნ ა -დ ა ი წ ო ნ ა ს ა ,  
 საფრთხობელობანასა,  
 კურკობანასა,  
 დედაგმიშვილობასა,  
 მშვილდოსნობასა,  
 თაღდარბენასა,  
 დამფაობასა,  
 შიგჭიდილასა,  
 ძერაკორკოტასა,  
 კუტლაობასა,  
 ჯინკრაობასა,  
 ხელყუმბარობანასა,  
 კურდღლაობასა,  
 მ ე ო რ ე მ ე ტ ი ა -ს ა ,  
 მ ე ს ა მ ე მ ე ტ ი ა -ს ა ,  
 განჯათასა,  
 მარსელურ ბრანწობანასა,  
 კენჭაობასა,



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ჭადრაკსა,  
მელა-ბატობანასა,  
ქალაქობანასა,  
ყურთბალიშობასა,  
თეთრ ქალბატონობანასა,  
იღბლობანასა,  
ა ლ ჩ უ-თ ო ხ ა ნ ს ა,  
მაგიდობანასა,  
მურაბობანასა,  
კოჭობანასა,  
ბორა-ბორასა,  
ნარდსა,  
ჭორობანასა,  
წ რ ე-კ ა კ უ ნ ა ო ბ ა ს ა,  
კ ო ზ ა ლ-მ ო ზ ა ლ ს ა,  
ულმერთობანასა,  
ალაფობანასა,  
შაშსა,  
აპრუწუწუნსა,  
primus, secundus <sup>1</sup>,  
დანაობასა,  
რ ო გ ო რ ც მ ო ხ ვ ა ლ ს ვ ი ნ ა ო,  
ი ს ე წ ა ხ ვ ა ლ შ ი ნ ა ო-სა,  
გაკვრა ბურთსა,  
შეხლა ბურთსა,  
გოთაობასა,  
ხ ე ლ ი-ხ ე ლ ი  
პ რ ა ს უ ნ ა-ს ა,  
ხაზბურთსა,  
ციხისა აღებასა,  
კედელბურთასა,  
გომბეშობანასა,  
ორკაპ მუხასა,  
ოთურმასა,  
მგლის კუდსა,  
წაკუილობანასა,  
პ ი ლ მ ე ნ, შ უ ბ ი  
მ ო მ ა წ ო დ ე-ს ა,  
საქანელობანასა,  
თვალხუჭელასა,  
კაკუნაობასა,  
ბოზობანასა,  
ბაწარმალვასა,

ხამლობანასა,  
ბუობანასა,  
ბაჭიობანასა,  
ყლუპობანასა,  
გოჭობანასა,  
კაჭკაჭობანასა,  
მ გ ე ლ-ჯ ი ხ ვ ა ო ბ ა ს ა,  
მოზვრობანასა,  
ქინძისტაობანასა,  
ა გ ა ნ გ ა ლ ა-გ ა ნ გ ა ლ ა ს ა,  
ძ ი ძ გ ი, ძ ი ძ გ ი მ ა მ ა ლ ა ს ა,  
გ ი ჩ მ ე ტ დ ა ა რ გ ა ი ც ი ნ ო-სა,  
ვირს ნალეები ააძრე-სა,  
ჩხირაობასა,  
ა ჩ უ-ა ჩ უ ს ა,  
ჩაქუქულასა,  
დახუჭობანასა,  
წ ვ ე რ-ნ ე ხ ვ ო ბ ა ნ ა ს ა,  
წულობანასა,  
ღორბლიანობანასა,  
დაჭერობანასა,  
დ ო ი-დ ო ი ს ა,  
ჩხირზედ გადახტომასა,  
ჩილიკა ჯოხსა,  
რ ი კ-ტ ა ფ ე ლ ა ს ა,  
ვირიდლეტაობასა,  
ჯუჯუმახეობასა,  
ქუდობანასა,  
ბინაბურთსა,  
მიპარვასა,  
ღორმუცელობანასა,  
შვრიისა თესვასა,  
ქარწისქვილობანასა,  
სიკინჭილსა,  
ჭიტაკუკუსა,  
თავხტომელასა,  
ც ხ ე ნ ს ა ვ ყ ი დ ი,  
ვ ი ნ ი ყ ი დ ი-ს ა,  
გუთნისდედობანასა,  
თოხობანასა,  
ჭოტობანასა,  
ს კ უ პ დ ა, ს კ უ პ დ ა,  
გ ა დ ა ს კ უ პ დ ა-ს ა,

<sup>1</sup> პირველსა, მეორესა (ლათ.).

ცხრახელობასა,  
 ხიდობანასა,  
 მიზნობანასა,  
 ყვავობანასა,  
 მაძებრობანასა,  
 მათხოვრობანასა,  
 ყავარჯნობანასა,  
 ქულობასა,  
 კორაობასა,  
 კოშლობასა,  
 თოხსაობასა,  
 წკიპურტობანასა,  
 საცრობანასა,  
 ხიბლიხვანჯარასა,  
 წ ვ ი მ ა მ ო დ ი ს,  
 თ ა ვ ს უ შ ვ ე ლ ე თ - ს ა,  
 დახლა-ბურთსა,  
 ჰკა-მაგასა,  
 ბრანწობანასა,  
 ქუხილობანასა,  
 მდოგვობანასა,  
 შეჯდომბურთსა,  
 ჰაკუნსა,  
 ქორაჯინჯილობასა,  
 კაკანათობანასა,

ავადმყოფობანასა,  
 ცოცხობანასა,  
 მკვდარ ნადირსა,  
 ასკინკილასა,  
 კიბეობანასა,  
 უსულადო გოჭსა,  
 მტრედობანასა,  
 მარილობანასა,  
 ა ფ რ ი ნ დ ა, ა ფ რ ი ნ დ ა - ს ა,  
 საბან-ბუმბულაობასა,  
 გუდურაობანასა,  
 ჯაგსურბინასა,  
 ყაჩალობანასა,  
 ზედადგრობასა,  
 კაკლობასა,  
 ზარობანასა,  
 ოღირდილოსა,  
 ყოჩალობანასა,  
 გატანბურთსა,  
 ჯოხბურთსა,  
 ვვიმრობანასა,  
 თულასა,  
 წერობანასა,  
 ყვანჩალობანასა,  
 ტოროლობანასა.


თამაშობით რა გაძღებოდა და ჟამსა თავის გუნებისად გააცხავებდა, გა-  
 ჰფიწლავდა და გასცხრილავდა, გარგანტუა ცოტაოდენს კიდევ გადაყლურ-  
 წავდა, — ერთბაშად თერთმეტსა ჩაფსა ჩაისხამდა, — მერმე კი იქავ საბან-გო-  
 ბანზედ ანდა რბილ საგებელზედ გემრიელად წამოგორდებოდა და ორ საათსა  
 ფეხს აღარ გაანძრევდა, გულიანად ეძინა.

როს გამოიღვიძებდა, იდგა და მცირე რამ ხანსა თვალთ იფშვნეტდა. ამა-  
 ობაში ცივ-ცივ ღვინოს მოურბენინებდნენ და ისიც ეგრევე მოიყარყარებდა.  
 ნამძინარეგზედ ნუ სვამო, ჯანსა ვნებსო, შეაგონებდა პონოკრატი.

მე კი არა, წმინდა მამანიც ესეგვარად ცხოვრობდნენო, სიტყვას შეუბ-  
 რუნებდა გარგანტუა, თანაც იმთავითვე რალაცნაირი მლაშე ძილი ვიცი,  
 თითქო მთელი ღამე შაშხსა ვჭამდეო.

ამისა უკან იგი უნდომანდოდ ჩაუჯდებოდა გაკვეთილთ და უწინარესად  
 ლოცვას მოჰყვებოდა. საქმეში ხელი არ მომეცაროსო, აურაცხელ კრიალო-  
 სანს მოიმარჯვებდა, მოაჯდებოდა თავიანთ ბებერ ჯორსა, რომელიცა ცხრა  
 დიდხელმწიფისა კარზედ იყო ნამსახური, და წავიდოდა, ჯიჯღვინითა და თავის  
 კანტურით გასწევდა მახეში გაბმული კურდღლისა ამოსაყვანად.

შინმობრუნებული კი უცილობლად სამზარეულოში შეივლიდა, აბა, ვნა-  
 ხო ერთი, შამფურზედ რა იწვის, რა შიშხინებსო.



იმან რო ვახშობა იცოდა, იმისთანა, ღმერთმანი, ტყუილია! მერე მარტო არ დაჯდებოდა, მოუხმობდა მეზობელთაგან თავისა ამფსონთ, მოისხამდა გვერდითა და სვამდნენ, ლათაიობდნენ; ზოგსა ძველს იგონებდნენ, ზოგსა ახალსა მოუბნობდნენ. სახლისა წულნი და შინაკაცი მისნი იყვნენ უფალნი დიუ ფუ, დე გურვილი და დე მარინი.

ვახშობისა შემდგომ კვლავ უანგარიშოდ მოჰქონდათ ხისა სახარებანი ანუ კოჭთა სამორინე ფიცარნი, ანდა დასტა-დასტა სათამაშო ქაღალდი, და ფეხსა მოირთხამდნენ მღერად, გაახურებდნენ ბანქოსა, თუ არადა, სადმე შორიახლო გოგოებში გაძვრებოდნენ და გზა-გზა არცა იჭითობას იკლებდნენ პურ-მარილსა, არცა აქეთობასა. მერმე დაწვებოდა გარგანტუა და რვა საათს გვერდს არ იცვლიდა.

თავი XXIII

**ავგაგი, თუ რა ღონე იღონა პონოკრატმა, ოღეს გარგანტუას არც ერთ შავსა უქმად არ აკარგვინებდა**

უყურა პონოკრატმა, უყურა და რა ნახა, გარგანტუას ზნე-ქცევა არ უვარგაო, გარდაწყვიტა სხვარიგ, კეთილმეცნიერებით განესწავლა იგი, თუმცადა პირველჟამად თავისა ნებაზედ მიუშვა, რამეთუ ჰგონებდა, ბუნება შეუძრწუნებლად ანაზღვეულ ცვალებას ვერ იტანსო.

საქმი რათამც წაღმა დატრიალებულიყო, ადგა პონოკრატი და ერთ იმჟამინდელ მკურნალსა, მაგისტრ თეოდორს მიადგა, ვინძლო გარგანტუა ჭეშმარიტ გზაზედ შეაყენო; მაგისტრმაც, წესისამებრ სამკურნალო სწავლისა, მიადებინა გარგანტუას ანტიკირული შხამა ანუ აპუნტრაკი და წამლითა ამით განუკურნა უღები ტვინი და განწმინდა ყველაგვარი სიბილწისაგან. ესევეითარივე ღონისძიებითა პონოკრატმა დაავიწყებინა გარგანტუას ყოველი, რაც რამ უწინდელ მოძღვართ ესწავლებინათ, — სწორედ ესეგვარად ექცეოდა ტიმოთეცა იმ თავის მოწაფეთ, რომელნიცა წინათ სხვა მესაკრავეთაგან იწვრთნებოდნენ.

დასტურ მისაღწევად მიზნისა, პონოკრატმა იქაურ სწავლულთა და მეცნიერთა საზოგადოებას აზიარა გარგანტუა, რათა გვაჯითა და ბაძვით სულიერად ამაღლებულიყო იგი და გასჩენოდა წადილი რუდუნებისა და გამოჩინებისა.

მერმე მან ისერიგად გაარიგა დრო საწვრთნელად, რომ გარგანტუას ერთი ჟამიც უქმად არ ეკარგებოდა, დილით დაღამებამდის დია გამოსადეგ ცოდნას იყო დაწაფებული. ადგებოდა გაცისკრებულისა ოთხ საათზედ და, სანამ გვერდებს უზელდნენ, რამოდენიმე გვერდი უნდა მოესმინა საღმრთო წერილისა. კითხვით ხმიანად და მისახვდომად უკითხავდნენ გამორჩეული კაფია გამომეტყველებითა, რისთვისაც ერთი ყმაწვილი პაჟი ჰყავდათ დაჭირავებული, სახელად ანაგნოსტი, ჩამომავლობით ბაშელი. შინაარსი წაკითხულისა ხშირად ისე ზედმოქმედებდა გარგანტუაზედ, რომ იგი უცხო რამ მოწიწებითა და სიყვარულით იმსჭვალებოდა უფლისა მიმართ, ადიდებდა და ულოცავდა, რამეთუ საღმრთო წერილი თვალთა წინაშე უყენებდა ღვთის სიდიადესა და სიბრძნეს გამოუთქმელსა.

შემდგომ გარგანტუა კარში გადიოდა მოსასაქმებლად და, ვინემ ჩაცუტ-ქული იყო, მოძღვარი ერთხელ უკვე წაკითხულსა ხელახლა უმეორებდა, უხსნიდა, რასაც ვერ ჩაჰხვედროდა ანდა რაიც გასძნელებოდა.

შინ გამობრუნებულნი ცისა სარტყელს უთვალთვალეზდნენ, რა დღეშიაო, ვითარ წუხელ იყო, ისეთივეა თუ არაო, და განსაზღვრავდნენ, მზე აწ რა ბურჯზედ აღმობრწყინდებაო და მთვარე რა ეტლს ამოჰყვებაო.

ამისა უკან გარგანტუასა ტანთ აცმევდნენ, თმასა უვარცხნიდნენ, უხუჭუჭებდნენ, სურნელთ აპკურებდნენ და სრულად ამ ხნისა განმავლობაში წინადლისა გაკვეთილთ ამეორებინებდნენ. იგი ზეპირ უბასუხებდა და თან სულ იმის ცდაში იყო, შემთხვეულობა რამ ცხოვრებისა მოემარჯვებინა. ყველაფერსა ამას ორი-სამი ჟამი უნდოდა და ჩვეულებითად მაშინ თავდებოდა, ოდეს გარგანტუა უკვე გამოიკვანწებოდა.

მას უკანით სამ საათს უკითხავდნენ, ისიც იდგა და უსმენდა.


მერმე ჰაერზედ გადიოდნენ, გზა-გზა წაკითხულსა სჯიდნენ და სატანვარჯიმოდ ბრაკს მიაშურებდნენ ანდა სადმე გაიმინდვრებდნენ, ბურთს გაიგდებდნენ, ჩოგანს ამოჰკრავდნენ, ეცი მაგასაო, მწევარსაებრ დაედევნებოდნენ და ისევ ისე ხერხიანად იწრობდნენ სხეულსა, ვითარცა წელან სულსა იწვრთნიდნენ.

ძალასა აროდეს იტანდნენ, უნდოდათ — ითამაშებდნენ, უნდოდათ — არა, და უკეთუ ოდნავ გაიოფლებოდნენ ანდა დაიღლებოდნენ, უმალ თავს ანებებდნენ ფუნდრუკსა. ტანსა გულდაგულ შეიმშრალეზდნენ, გამოიცივლიდნენ პერანგთ და სეირნობა-სეირნობით სადილისა ამბის გასაგებად გასწევდნენ, უკვე მზად არი თუ არაო. საჭმლისა მოლოდინში კაფიეტად და გამომეტყველად ზეპირ უბნობდნენ, რაც კი იმ დღისა გაკვეთილით დახსომებოდათ.

უკანისად უფალი მადაც მობრძანდებოდა, და ყოველნი შესაბამეჟამად მიუსხდებოდნენ ტაბლასა.

თავში ჯერეთ გარდასულ საგმირო საქმეთა ამბავსა რასმე ხმამაღლა წაკითხავდნენ შესაქცევრად, და მანამ იკითხავდნენ, სანამ უფლისწული ღვინოს არ დაისხამდა. უკეთუ მოინებებდნენ, კითხვასა მერმედაც განაგრძობდნენ, არადა მხიარულ ლაპარაკს გააბამდნენ ერთმანეთში. პირველ ორ-სამ თვესა თან იმის ახსნაში იყვნენ, რას რა თვისებრიობა ჰქონდა, რა თავისებურება, რა მარგებლობა და რისგან შექმნილიყო ყველაკაი სუფრაზედ მირთმეული: პური, ღვინო, წყალი, მარილი, ხორცი, თევზი, ხილი, მწვანილი, ბულდო, და არცა ის გამორჩებოდათ, რა კერძი რაგვარ უნდა განემზადებინათ. გზა-გზა გარგანტუამ მცირე რამ ხანში დაისწავლა პლინიუსის, ათენეოსის, დიოსკორიდოსის, იულიუს პოლუქსის, გალენის, პორფილეს, ოპიანეს, პოლიბიოსის, პელიოდორეს, არისტოტელეს, ელიანეს და სხვათა წიგნთაგან შესაბამად ამონაკრეფნი მუხლნი. ემანდ რამე არ შეგვეშალოსო, მეინახენი ესეგვარი სჯა-ბაასისა ჟამსა უცილოდ ზემორეხსენებულ მომღვაწებელთა წიგნით ჩასცქეროდნენ და გარგანტუას ყოველივე ისე ცხოვლად აღებეჭდებოდა ტვინში, რომ იმეჟამად არ იყო არავინ მკურნალი, ვისაც იმის ნახევარი მაინც ეცოდინებოდა, რაც იმან უწყოდა.

შემდგომად ისევ იმდილანდელ გაკვეთილს მიუბრუნდებოდნენ, მას მერმედ კი, კომშის მურაბით ყელჩაკოკლოზინებული, გარგანტუა დანამასტაკის ტოტითა კბილთ გამოიჩიჩქნიდა, ხელპირსა ცივი წყლით გადაიბანდა და უფალ-



სა მადლს შესწირავდა უცხო ქებისა გალობითა, განადიდებდა კეთილმოწყობასა და მოწყალებასა მისასა. მერე ქალაღი მოჰქონდათ, ოღონდ სათამაშოდ არა შლიდნენ, სულ რაღაც შესაქცევარ ოინთა იგონებდნენ და მახვილგონებიანად რიცხვთათვის სწავლაზედ ანუ არითმეტიკაზედ აგებდნენ.

ამისა წყალობით გარგანტუა დია კეთილად განიმსჭვალა რიცხვთა მიმართ, და დღეყოველ, ნასადილევსაც და ნავახშმევსაც, იმგვარად გატაცებული ჩაუჭდებოდა ხოლმე არითმეტიკასა, ვითარცა უწინ კამათელსა და ქალაღსა თამაშობდა. ბოლო-ბოლო ისე გაიწაფა და გავარჯიშდა ხედვითად თუ საქმითად, რომ თავად ინგლისელი სწავლული ტუნსტალიც კი, ვინაც ფრიად ვრცელი შრომა შესძღვნა არითმეტიკასა, იძულებულ იქმნა გამოტეხილიყო, გარგანტუასთან შედარებით არითმეტიკისა იმოღენივე გამეგება, რაერთიც ზემორეგერმანული ენისაო.

მხოლოდ სწავლა რიცხვთათვის კი არა, გარგანტუას სხვა სამათემატიკო მეცნიერებანიც ემარჯვებოდა, სახელდობრივ: გეომეტრია ანუ სწავლა ადგილის მზომელობისა, ასტრონომია ანუ ვარსკვლავთმრიცხველობა დ მუსიკასახიობა. ვინემ იმათი კუჭ-ნაწლავი საზრდელს შეირგებდა და მოინელებდა, ისინი მრავლისმრავალ გასართველ ნაკვთსა ხაზავდნენ და ზედაც ვარსკვლავთმრიცხველობისა კანონთ შეისწავლიდნენ.

მას უკან ოთხ-ხუთ ხმად დაყოფილნი მუსიკობდნენ, ან არადა ერთი ვინმე იხმატკბილებდა.

დაკვრითა გარგანტუა უკრავდა ბარბითსა, სპინეტსა, ებანსა, ცხრასარქვლიან გერმანულ ფლეიტასა, ვიოლასა და ტრომბონსა.


საქმეთა ესევეითართა ბევრი-ბევრი ერთ ჟამსა ანდომებდნენ. ამ ერთსა ჟამში სტომაქიც უკვე ინელებდა მოსანელებელსა, და გარგანტუა კარში გადიოდა მუცლისა მოსაოხებლად, მერმე კი სამიოდ საათსა ან ცოტა მეტსაც თავის უმთავრეს სამეცადინოსა მეცადინეობდა, ესე იგი იმდილანდელ კითხვისა გაკვეთილს იმეორებდა, კვალად კითხულობდა და ანტიკურ თუ ახალრომაულ ასოთა ლამაზად და სწორად გამოყვანასა სწავლობდა.

როს მეცადინეობას მორჩებოდნენ, ყველანი გარეთ გაიკრიფებოდნენ და თან მეჭინიბესაც გაიყოლებდნენ, ჯიელ ტურენელ აზნაურსა, გიმნასტად წოდებულსა, რომელიცა ცხენოსნობაში წვრთნიდა ბატონიშვილსა.

გარგანტუა ტანთ გამოიცვლიდა და მოახტებოდა აღკაზმულ ტაიქსა, ამხედრდებოდა საჯაგავზედ, ესპანურ ანდა არაბულ ბედაურზედ, არადა სინიბს მოაყვანიინებდა, ხან დააოთხებდა, ხანაც გაჭენებულზედ ვარჯიშობდა, მთხრებლთა და თარჯთა ზედ ახტუნებდა ან, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, კისერსა ჟამ-ჟამად მარჯვნივ მოუღრეჯდა, ჟამ-ჟამად მარცხნივ და კალოს ხარსავით დაარბენინებდა.

ამაობაში იდგა და ლეწავდა, ოღონდ არა ლახვართ, ანდა ვინ სულელი იტყვის, ათი ლახვარი დაცავლეწე ჟამსა ასპარეზობისასა, გინა ბრძოლაშიო, ოდეს ქმნა ამისა ხუროთაც არ გაუძნელდებათ, — და შესხმისა ღირსიც იგია ოდენ, ვინცა ლახვრითა ერთითა მტერსა დალახვრავს ათსა. გარგანტუაც თავისი მაგარი, ბურნუკფოლადიანი, გაუღუნავი ლახვრით დიდთა კარიბჭეთ ლეწავდა, ჯაჭვ-ჯავშანსა მუსრავდა, ხეთ ძირსა სცემდა. ჰაერში ასროლილ რგოლთა ეგრევე აასხამდა, ერთსა დაჰკრავდა და აუტაცებელს არ გაუშვებდა არცა





უნაგირსა, აბჯარსა თუ ხელჯაგსა. მერედა ყველაყას ამას სრულად შეჭურვილი იქმოდა.

უკეთე ჯირითსა ვიტყვით ანდა ცხენმალეობასა, გარგანტუსა ბადალი არა ჰყავდა. თავად ფერარელი ცხენოინბაზი მოჯირითეც კი ქია და ციდამტკაველა იყო იმასთან შედარებით. მეტადრე ცხენით ცხენზედ ხტებოდა სხარტად, თვალისა დახამხამების უმალ და მიწაზედ ფეხის დაუკარებლად (ცხენთა ამათ სწორედაც სახტომთ უხმობდნენ), სულ ერთი იყო, რომელი მხრიდან შეახტებოდა თუ ჩამოხტებოდა ხელშუბიანი, თანაც უზანგ-აგჟანდაში ფეხსა არა ჰყოფდა, არცა აღვირსა ხმარობდა და მაინც თავისა ჰკუაზედ დააჭენებდა, რასაც ცოტაოდენი მნიშვნელობა როდი აქვს სამხედრო ხელოვნებაში.

ზოგჯერ ტარგრძელი აფთითა ხელმარჯვეობდა, ისეთნაირად იქნევდა და ატრიალებდა, ყოველთა კაცთ მხარ-მკლავი უქეს და რაინდად შერაცხეს, ტყუილია სხვა მინაგვანი მეომარი და მოასპარეზეო.

და კიდევ ოროლსა ხმარობდა, ორი ხელით დასაჭერ ორლესულსაც, ფრანგულსა, ესპანურ დაშნასა, ხანჯალსა და სატეგარსა; ბრძოლა აბჯრიანდაც იცოდა და უაბჯროდაც, მარჯვენასა ლაბადით იბლარდნიდა და ხან ფარიანი იყო, ხან დარაკიანი.

ნადირობითა ცხენდაცხენ ნადირობდა ირემზედ, შველზედ, დათვზედ, ჭურციკზედ, ტახზედ, კურდღელზედ, ჭაკაბზედ, ხოხობზედ, სავათზედ. თუ არადა, ბურთაობდა, შეისროდა ტოტოჩინა ბურთსა, ფეხს გაჰკრავდა ან მუშტს ამოჰკრავდა. ჭიდაობდა, რბოდა, ხტოდა, ოღონდ არ გამოქანდებოდა, არცა იასკინკილავებდა, არცა გერმანულად ისკუპებდა, — რამეთუ (გიმნასტისაგან სმენოდა) აგრე ხლტომა უსარგებლოა და ომში გამოუსადეგარიაო, — იშვერდა ფეხსა და საცა ხნარცვსა და ორმოს დაინახავდა, გადააფრინდებოდა, ღობე-ყორეს გადაევლებოდა, კედელსა ექვსიოდ ნაბიჯზედ აირბენდა და შუბისა ტარის სიგრძეზედ დატანებულ სარკმელსა მისწვდებოდა.

ცურაობითა ღრმაში ცურაობდა პირდაღმა, გულაღმა, მხარ-თეძოზედ წამოწოლილი და სრულად გვამისა ნასხამთ ამოძრავებდა ანდა მარტოდენ ფეხთ იქნევდა. სენას ხელწიგნიანი გადასცურავდა, და ერთი ფურცელი რა არი, ერთი ფურცელიც არ დაუსველდებოდა, თან კიდევ კბილით ლაბადა ეჭირა, ვითარცა იულიუს კეისარსა. ხომალდზედ ცალი ხელით აებლოტებოდა, იქიდან კი თავით ისევ წყალში გადაეშვებოდა, ძირამდე ჩავიდოდა, სპონდიოთა და ბრაგათა, ჯილე-ნაპრალთა თუ ბელლოჯთ ცურვა-ცურვით დაივლიდა, ღურღუმელთა და მორევთ ჩაუყურყუმელავებდა. მერმე გემსა შეატრიალებდა, ხან ნელა წაიყვანდა, ხან გააჩქარებდა, ხან აღმა შეუყვებოდა, ხან დაღმა დაჰყვებოდა, სადაც რაბი შემოხვდებოდა, იქ შეაყენებდა, ზედ შუაგულ ადგილას გაიტოქებოდა, ცალი ხელით აფთიონსა მართავდა, მეორეთი უშველებელ ნიჩაბს უსვამდა, წამსა იალქანთ შლიდა, წამსა გემსართავთ ააცოცდებოდა და ანძათ თავზედ მოექცეოდა, ქანდართა ანუ კესთა ზედა რბოდა, ბუსოლს აყენებდა, ბულინსა ქარის წინააღმდეგომ ატრიალებდა, საჭე უცთომლად ეპყრა.

ანაზდეულად წყლით ამოიჭრებოდა და გვერდას აირბენ-ჩამოირბენდა, ხეთა ზედ კატასავით გაძვრებ-გამოძვრებოდა, ციყვსავით იხტუნებდა და, ვითარცა მეორე მილონი, ტოტთა სულ ლაწალუწს აუყენებდა. აიღებდა ორ ბასრსა ხანჯალსა და ორსაც ტარმაგარ სადგისსა და ვირთხასავით მკვირცხლად

ბანისა ბანზედ აძვრებოდა, დაშვებით კი ისეთნაირად დაეშვებოდა, რომ ჩამოვარდნილიყო, არა დაუშავდებოდა რა.

იდგა და ტყორცნიდა ხელშუბსა, რკინისა ძელსა, ლოდისა, ოროლსა ზუფინსა, წათსა; მშვილდ-ისარსა წამზედ მოზიდავდა; სააღყო სამალსა მარტო გამართავდა, სხვათა შეუწევნელად; სიათასა რასმე დაუმიზნებდა; ზარბაზანსა ზედსადგომზედ შეაყენებდა; სანიშნედ მუყაოსაგან ქმნილ ფრინველსა მოარტყამდა და ისროდა და ისროდა აღმა-დაღმა, აქეთ-იქითა, პირპირ, გვერდზედ და ხელუკუღმა, ვითა პართელნი.

ცადაწვდილ კომკზედ ბაგირსა ჩამოაბამდნენ, ძირამდის ჩამოუშვებდნენ და ჩააფრინდებოდა გარგანტუა ბოლოში ბაგირსა მას, ჩააფრინდებოდა და ხელდახელ თავში აცოცდებოდა, მერე კი ისე მარჯვედ და იჩქითად ჩამოხობდებოდა, თავად ვაკე-მინდორზედაც ვერ გახობდებით იმნაირად.

ხესა და ხეს შუა ვიგბა კოჭსა გასდებდნენ, ჩაავლებდა ხელთ იგი, ზედ ჩამოეკიდებოდა და ფეხებჩამოკონწიალებული შურდულსავით გადი-გამოდინოდა წინ და უკან, სიმარდეში მჯობნელი არა ჰყავდა.

გულის ფიცრისა და ფილტვთა გასავარჯიშებლად ისერიგად დაიბუბუნებდა და დაიბაყბაყებდა, ათასი ბაყბაყდგი შემირცხვენია იმასთან. ერთხელ თავად შეეგისწარი, ეგდემონს უხმობდა წმინდა ვიქტორისა კარიბჭესთან მდგომარე, და ხმა იმისი მონმარტრზედ ისმოდა. სტენტორი რომ სტენტორია, იმასაც კი არ უყვილია ტროისა ბრძოლაში ეგრერიგ ხაფად და მჭექარედ.

ხმელ ძაროგთა ანუ თმისაზრდელთა გასამაგრებლად ორი ვიგბა ბრპინისა ზოდი ჩამოუსხეს, თვითიული რვა ათას შვიდასი კვინტალი წონისა, რომილთ იგი სახელად საწონთ ეტყოდა. ერთი ხელით ერთსა დასწოიბოდა, მეორეთი მეორესა, აიტაცებდა და თავზევით გაუნძრევლად ეჭირა სამი მეოთხედი უამისა, ანდა ცოტა მეტი, რაიც ცხადსა ხდიდა უსაზომო ძალ-ლონისა მისას.

ძელობანაში უპირიღლეს თალაიანთ ერკინებოდა და, რა მოუწიგდა ჯერი, კლდესავით დადგებოდა, ერთ ადგილას გაქვაგდებოდა, გასალდებოდა და ვით ოდესღაც მილონი, ისიც მხოლოდ იმას დაუვარდებოდა, ვინცა ვინ ჩაუქიოდა და ძვრას უზამდა, ფეხს მოაკვლევიანებდა. იმაგ მილონისებრ დაიჭირდა მერე ხელთ ბროწეულსა და მოუწოდებდა, თუ ბიჭები ხართ, გადმოდით და წამართვითო.

შემდგომად ესევეთარი სწავლა-ვარჯიშისა უნდა დაეზილათ, გაიოვრიჭათ, ტანთ სამოსი გამოეცვალათ, და წავიდოდა შინა, ნელინელ მოუსვამდა, ფიხს არ ააჩქარებდა. უკეთუ წინ მდელი ედო, მწვანით აბიბინებული, ან მინდორ-მინდორ ვლიდა, ან ლიხნარსა თუ ბუსნარს დაერეოდა, იდგა და ხეთა და მკენარეთ გულდაგულ უღირღიტებდა, თანაც უდარებდა, აბა ერთი ძველთ-უძველესნი მიცნიერნი რას უზნობენო, ვით, მაგალითებრ, თეოფრასტე, დიოსკორიდოსი, მარინუსი, პლინიუსი, ნიკანდროსი, მაკრიუსი, გალენი, და ოდეს იგი და თანამეგზავენი მისნი შინ მივიდოდნენ, ხელთ ბლუჯა-ბლუჯა ბალახ-ბულახი ეპყრათ, და ეგრევე უკლებლივ აბარებდნენ ერთსა რიზოტომად სახელდებულ ყმაწვილ პაუსა, რომელსავე ებარა აგრევე სამარგლავნიც, თოხ-ბარნიჩაბ-ციღვი და სხვა საჭირო იარაღნი ჰერბარიზაციისა.

უკვე შინმისულნი, ვინემ სადილისა მოლოდინში იყვნენ, ჯერეთ წავითხულსა რასმე გაიმეორებდნენ და მერმე მიუსხდებოდნენ სუფრასა.

ჯერ არს აქავ ითქვას, რომ უცვალებლად მცირე და უბრალო სადილზედ



გარგანტუა ცოტას წაიკიკნებოდა, პირსა გაისველებდა. სამაგიეროდ ვახშამი უყვარდა უხვი და გრძელი, სერისა კუდად გადაქცეული, და მაშინ უკვე იმდენსა ცოხნიდა, სანამ ერთი კარგა არ გამოიბუსკნებოდა და არ მოლონიერდებოდა, რამეთუ დასტურ ესეგვარია სწორი წესი პურის ჭამისა, ჭეშმარიტი და გონივრული სამკურნალო სწავლისდა კვალად, ხოლო ცრუბრძნობით ჭკუანაღრძობნი მკურნალნი წინააღმდეგომ ქადაგებენ ამისა.

სერისა კუდზედ კვალად განაახლებდნენ სამხრისჟამინდელ გაკვეთილსა, და ვიდრე არ გაბეზრდებოდნენ, თავს არ გაანებებდნენ. დანარჩენს დროსა და ჟამსა ტკბილად ხადილობდნენ მარგებლად და საამოვნოდ სულისა.

და რა წართქვამდნენ სამადლობელ ლოცვასა, იმღერ-იგალობებდნენ, სამუსიკო საკრავთ ჩამოჰკრავდნენ, რაგინდარა გულისა გადასაყოლებელს მოიგონებდნენ, როგორაც ქალაქსა ან კამათელსა, ხან კი ისე გადაჰყვებოდნენ სუფრასა და ლხინსა, ძილიც ავიწყდებოდათ, ხანაც პურისმტენი ერთად წავიდოდნენ და ეწვეოდნენ მეცნიერთ ანდა მოგზაურთ, რომელთაც უცხო მხარენი მოეხილათ.

უკუნ ლამეში, სანამ დაიძინებდნენ, გავიდოდნენ ყოვლისა უფრორე საშუსუნო ადგილასა და ცას გახედავდნენ, უთვალთვალეზდნენ კუდიან ვარსკვლავთ, უკეთუ სადმე ჩანდნენ, ანდა მთიებთა მღებარეობასა, განლაგებასა, პირისპირ დგომასა და თანამთხვევასა აკვირდებოდნენ.

შემდგომად გარგანტუა მოძღვარსა თვისას პითაგორელთა წესისამებრ მოკლედ უამბობდა, რაც კი რამ იმ დღეს წაეკითხა, ენახა, შეეტყო, ექმნა და გაეგონა.


მას უკანით შემოქმედ ღმერთსა ლოცვასა და სიყვარულს აღუვლენდნენ, რწმენასა განიძლიერებდნენ, განადიდებდნენ უსასრულო წყალობას უფლისასა, გარდასულისა გამო მადლსა შესწირავდნენ და მომავალსაც ღვთისავე სახიერებასა მიანდობდნენ.

მერმე დაწვებოდნენ და დაიძლიქუშებდნენ.

თ ა ვ ი X X I V

**ა ვ ბ ა ვ ი, თ უ რ ა ს ა ი ქ მ ო ლ ა გ ა რ გ ა ნ ტ უ ა  
ა ვ ღ რ ი ა ნ ა ვ ი ნ ღ უ ი**

უკეთუ ავდრობდა და ცრიატი დღე იდგა, სამხრამდე წინანდებურად იქცეოდნენ, ოღონდ ეგ არი, კარგა მაგარ ცეცხლსა ააგიზგიზებდნენ ხოლმე, უამინდობამ არ დაგვზაფროსო, ნასამხრევს კი სატანვარჯიშოდ აღარ მიდიოდნენ, შინა რჩებოდნენ და, აქაოდა ცუდად ჯდომასა ცუდად შრომა სჯობიანო, აპოთერაპიული მიზნითა უცილობლად საქმეს იჩენდნენ: ან თივას აბულულებდნენ, ან შეშას აპობდნენ, ხერხავდნენ, არდგმულში პურსა ლეწავდნენ, ანდა ზატავდნენ, აქანდაკებდნენ, ან სულაც ისევ კამათელსა აგორებდნენ ძველებურად, აღწერისამებრ ლეონიკუსისა და ვითარცა აწ აგორებს პირისა ზიარება ჩვენი ლასკარისი. თამაშისა ჟამსა ძველთა მთხვეველთაგან იმ ადგილთ იგონებდნენ, სად ისინი კამათელზედ უბნობენ ანუ შემსგავსებულსა რასმე ახსენებენ.



ან არადა წავიდოდნენ და უცქეროდნენ, ვითარ აღნობდნენ ლითონსა, ვითარ ასხამდნენ ზარბაზანთა და ქვემეხთა საჭურველთ, იქავ ახლო შეუვლიდნენ მეწეხნაგეთ, ოქრომჭედელთ, სპეკალთა მთრაშველთ, ალქიმიკოსთა და თეთრისა მჭრელთ, მეხალიჩეთ, ფეიქართა და მეაბრეშუმეთ, ინახულებდნენ მესაათეთ, მესარკევეთ, მესტამბეთ, მეორღანეთ, მღებართა და სხვა მუშახელოსანთ, ცოტა-ცოტა ღვინისა ფულს სუყველას ჩაუდებდნენ და სანაცვლოდ ხელობასაც ასწავლებინებდნენ და რაც რამ ამა საქმეში ახლად შემოღებული, ნარუქი იყო, ყველაყას წვლილად შეიტყობდნენ.

საცა სადმე საჯაროდ ვინმე რამესა კითხულობდა, ისინიც იქ იყვნენ დარჭმულნი, არცარა ზარ-ზეიმსა დააკლდებოდნენ, არცარა ენამჭევრთა პაექრობასა, დია უყვარდათ სხვათა სიტყვისა მოსმენა და დადიოდნენ, უსმენდნენ სახელგანთქმულ ვეჭილთ და ოთხთავისა მქადაგებელთ.

მივიდოდნენ, შეადებდნენ საფარიკაო ციხე-კოშკთა და სრა-დარბაზთ, და შეებმოდა გარგანტუა ყოველთა მსპარაზნობელთ. შეებმოდა, შეერკინ-შეეჭიდებოდა და ცხადლივ დაანახვებდა კიდევაც, რა ბიჭიც იყო და იარაღსაც რარივ უფრო მარჯვედ ხმარობდა.

ჰერბარიუმთ გულსა ველარ უდებდნენ და ადგებოდნენ, მიაშურებდნენ ბაზარსა, აუვლ-ჩაუვლიდნენ მეშეშუდეთ და მეზეთ-მემუშკამბრეთ, მებალახბულახეთ, მეწამლეთ, მუშტრისა თვალით სინჯავდნენ ხილ-ხულთ, ძირ-ფესვთ, ფოთოლთ, აგრეთვე უცხო ქვეყნისა მალამოთ და იქავ სწავლობდნენ, ვითარ უნდა შეეზავებინათ რიოშად.

დადიოდნენ ჯამბაზთა, მეოინეთა და მაოცართა მოსახილველად, მოიხილავდნენ, და გარგანტუას თვალს არ გამოეპარებოდა მცირედი მიმოხვრაც ვინმესი, ილეთი რამ, ხრიკი თუ ეშმაკობა, და ყურსა უტკბობდა ენადღეობა იმათი, მეტადრე პიკარდიელ შონიელთ უყურყურებდა, რამეთუ სალაზღანდაროდ იყვნენ ისინი შექმნილნი და კაცთ კი არა, ეშმაკსაც მოალორებდნენ.

შინმობრუნებულნი ვახშმად დასხდებოდნენ, ჭამით კი შეუდარებლივ ცოტასა მიირთმევდნენ, ვინემ ჩვეულებრითად დარიან ამინდში, და კერძსაც მშრალსა და უმსუქნოს ეტანებოდნენ, ვითარმედ განექარვებინათ გვამსა ზედა ნესტიანი ჰაერისა ზედგავლენა და არცა იმა დღის უვარჯიშობა დასტყობოდათ ჯანისა სიმრთელეზედ.

და ესეგვარად იზრდებოდა გარგანტუა, დღითი დღე წარმატებოდა და რაღა თქმა უნდა, მიწყვივ დაუშრომლად წვრთნაში იმოდენს კარგსა და სარგოსა ინაგრებდა, რაოდენისა მონაგრებაც ძალედვა თავისი ასაკისადა კვალად გულხმიერ ყმაწვილსა. პირველ ჟამად კი დია ეძნელებოდა და ენაჯიშებოდა კიდევ ესევითარი წვრთნა-ვარჯიში, მაგრამ მერე და მერე ისერიგად გაუადვილდა, გაუტკბა და ეამა, უფრორე ხელმწიფისა ნებივრობას იფიქრებდა იმის შემყურე კაცი, ვინემ მოწაფისა მეცადინეობასა.

თანვე, ეგების მაშვრალი ტვინი ცოტა შეასვენოსო, პონოკრატი თვეში ერთხელ კარგ, დარიან დღეს გამოარჩევდა ხოლმე, და წაიყვანდნენ გარგანტუას, დილაადრიან გასწევდნენ ქალაქგარეთ; წინ გზა ედოთ დიდი, სულ უნდა მოევლოთ შანტილი, ბულონი, მონრუჟი, პონ-შარატონი, ვანვი თუ სენ-კლუ. იმა დღესა სრულად იქ დაიღამებდნენ და გულისა გასახარელს არას დაიკლებდნენ, დაღევითაც ბლომად დაღევდნენ, ჩაბუჟბუჟდებოდნენ, იფუნდრუკებდნენ, იმღერდნენ, იბუქნავებდნენ, მწვანეზედ იკოტრიალებდნენ, ჩიტისა



ბუდეებს დაერეოდნენ, მწყერთა, მყვართა და კიბორჩხალთ შეიპყრობდნენ დალათუმცა მლაღობელნი მთელ დღესა არას წაიკითხავდნენ, მაგრამ დროსა უსარგებლოდ მაინც არა ფლანგავდნენ, რამეთუ სადმე მოღზედ წამოგორებულნი ზეპირ უბნობდნენ სასიამოვნოდ გასაგონ ტაეპთ ვერგილიუსისა გეორგიკათაგან, ჰესიოდედან, პოლიციანოს „მდაბიონი“-დან, მცირე საგიობელ შაირთ ჯერ ლათინურად თხზავდნენ, მერმე კი რონდოდ ან ბალადად თარგმნიდნენ ფრანგულსა ენაზედ.

პურობისა ჟამსა არაოდეს არ ავიწყდებოდათ სწავლა-რჩევანი კატონისა (De re rust) <sup>1</sup>, აგრევე პლინიუსისა, და, რაღა ჭყაპურტა ვსვათო, ადგებოდნენ და შუაღვინოსა ფათალოს წბილათი გასწურავდნენ, დასაწმინდავებლად წყლიან კასრში გადაიღებდნენ, მასუკან კი ძაბრიან გოზაურში ჩაუშვებდნენ; წყალსა ერთი ჭურჭლიდან მეორეში ასხამდნენ, თუ არადა, მცირე რამ გადასასხმელსა ააგებდნენ, და მოწყობილობა იგი თავისით იძვროდა და ასხამდა.

თ ა ვ ი X X V

**პ ი თ ა რ ა უ ტ ყ ლ ა თ ლ ი რ ნ ე ე ლ ვ ი კ უ რ ი თ დ ა გ ა რ გ ა ნ ტ უ ა ს  
ყ მ ა თ ვ ა ი - უ შ ვ ე ლ ე ბ ე ლ ი დ ა ვ ი დ ა რ ა ბ ა ,  
რ ა ს ა ც ა დ ი ლ ი ო მ ი ო ა ნ ო ბ ა მ ო ჯ ყ ვ ა**

იმხანად, ოდეს რთველი უკვე კარზეა, ანუ შემოდგომისა დამდევს, მწყემსნი გარგანტუასი ვენახთ უდგნენ და თითოს ასი თვალი და ასი ყური ება, ემანდ შოშიებმა ყურძენი არ გაგვიკენკონო.

სად იყვნენ, სად არა, სწორედ ამ დროს, არ ვიცვი, ათი თუ თორმეტი ურმით ლერნეელ მეპურეთ იქავ შარაგზაზედ ქადა-ნაზუქი ჩაატარეს ქალაქში გასასყიდად.

ხსენებულნი მწყემსნი წინ გადაუდგნენ და ტკბილი სიტყვითა სთხოვეს, რაც ბაზარში უნდა მოგცენ, ჩვენც იმდენი გამოგვართვით და ბარემ აქავე მოგვყიდეთო. ჯერ არს უწყოდეთ, რომ შეკრულთათვის პირდაპირ მისწრებაა ახალი ნაზუქი და ყურძენი, მეტადრე კი პინო, ფიერი, მიუსკადო, ბიკანი ანდა ფუარარი, რომლისა თბილ პურთან ჭამა და გაფაღარათება ერთია; ისინიც ისეთ დღეში ჩაცვივდებოდნენ ხოლმე, ფეხსადგილამდე ველარ ასწრებდნენ, წურწურით გასდიოდათ, ქვეშ ისვრებოდნენ და აკი იმიტომაც ქვეშასვრიათ უხმობდნენ.

მეპურეთ არათუ ყურად არ იღეს მწყემსთა სიტყვა, არამედ დალანძღეს, ძაღლთან დააბეს და სულ გადმოუტრიალეს ყველაყა, აი თქვე ასეთებო და ისეთებო, ქარაფშუტებო, კრეჭიებო, წუნკლებო, წუწკებო, წელმოწყვეტილებო, წელანგარებო, აღოღლეტიებო, ვირეშმაკებო, ვირიშვილებო, ხეპრეებო, გაგრიებო, ტეტიებო, ლოთებო, შფოთებო, ბოთეებო, სკლინტიანებო, ტურტლიანებო, კოხტაპრუწებო, თავპირწაჭმულეებო, გველაძუებო, ნაბიჭვრებო, ნატრიკვლებო, ტაკიმასხარებო, ტურღუნებო, მატრაბაზებო, გაღლეტილებო, სულკატიანებო, ნიფხავგამოხეულეებო, დოყლაპიებო, ოხრებო და ოხრისმეტებო, და, ვინ იცის, კიდევ რა არ

<sup>1</sup> „სოფლისა საქმეთათვის“ (ლათ.).

უთხრეს, და რაღა არ უწოდეს. თან ისიც მიაძახეს, ქადა-ნაზუქი ყელზედ და-  
გადგებათ, ქათოს კუტმატსაც კარგად მიირთმევთო.

ამა ლანძღვა-თრევისა პასუხად ერთმა მწყესმა, სახელად ფროჟიემ, სახე-  
ლოვანმა და ჩინებულმა ჭაბუკმა, დინჯად მიუგო:

— რა იყოთ, რა დაგეტაკათ, თქვე კაი ხალხო? პური წინათაც გვითხოვი-  
და უარი არ გითქვამთ, დღეს რა ფეხზედ ხართ ამდგარნი, რაღა დიდგულაობთ?  
სირცხვილია, მეზობელნი ვართ. აბა, თუ როსმე მოსულხართ, ხორბალი მოგვეცი-  
დეთო, და სულ დარკვეული თავთუხი არ წაგიღიათ! ეგრე არ მოქცეულიყავით,  
სართად ყურძენსაც გაგატანდით. არ გინდათ და ნუ გინდათ, ღვთისმშობლისა  
მადლმა, ბევრსა ინანებთ. კიდევ მოხვალთ, დაგჭირდებით და მერე მო-  
მიგონებთ.

რაო, რაოო, სიტყვა გაუტრიზავა მარკემ, მეპურეთა ამქრისა დიდმა კვერ-  
თხისმპყრობელმა, და უთხრა:

— ვითომ რას მამლაყინწაობ, ყმაწვილო? გეტყობა, წუხელ ფეტვით გა-  
მაძღარხარ, ცოტა მეტი მოგსვლია. ერთი აქეთ მოდექი, ნაზუქი როგორი უნდა,  
გაჩვენებ!

ფროჟიემაც მართლა დაიჯერა, ალაღად იფიქრა, მაჩვენებს და კიდევ მომ-  
ყიდისო, სარტყელში ჩაჭედილი თეთრი მოიძია და წინ წადგა. მარკემ კი, არც  
აცივა და არც აცხელა, შიგ ფეხებში ისე მწარედ უშუშხა მათრახი, საწყალსა  
იმავე წამს აებებრა და აებურცა ხორცი; ერიჰაა, აქა დგომა არ გაეწყობაო, გა-  
ივლო მეპურემ და გაპარვა დააპირა, მაგრამ ფროჟიემ გიჟსავით იღრიალა, და-  
იჭით, არ გაუშვათო; მერმე, იღლიაში რო კომბალი ჰქონდა ამოჩრილი, ეგრევე  
შუბლისა ძვლის ნაკერავში სთხლიშა, მარჯვენა საფეთქლისა სასისხართან, და  
მარკე ცოცხალ-მკვდარი გადმოვარდა ჭაკიდან.

ამაობაში მოცვივდნენ მდაბიონი, რომელნიცა იქავ ახლომახლო კაკალთ  
ბერტყავდნენ გრძელ-გრძელი ხალებითა, და სულ ფეხით გაიტან-გამოიტანეს,  
ერთმანეთში ასვრიმეს მეპურენი, ვითარცა ნედლად გაღეწილი ჭვავი. ფროჟიეს  
ძახილზედ მალე სხვა მაძოვართაც მოირბინეს, მამათაც და დიაცთაც, მისდგნენ  
მეპურეთ, ქვა და გუნდა სეტყვასავით მიაყარეს და დაიფრინეს. ბევრი სდიეს  
თუ ცოტა, ბოლოს დაეწივნენ და რატო სამოცი ცალი ნაზუქი მაინც არ გაამე-  
ტებინეს, დაღათუმცა უფულოდ არ წაურთმევიათ, ჩვეულებრივ ფასად უანგა-  
რიშეს, ზედაც ცოტაოდენი კაკალი და სამი გოდორი თეთრი ყურძენი გაიღეს.  
შემდგომად ამისა მეპურეთ ძლივძლივობით შესვეს ცხენზედ კომბალნაკრავი,  
მიმკვდარუნებული მარკე და წავიდნენ, ოღონდ პარელიეში კი არა, უკან  
ლერნეში გაბრუნდნენ; თანაც ერთი მაგრისა შეუთვალეს სეიელ და სინეელ  
მწყემსთა და მდაბიოთ, მუშტი შეკრეს და დაექადნენ, ესე და ისე გვიქენით,  
თუ დედა არ გიტროთო.

მწყემსნი კი არხეინად მიაძღნენ ნაზუქსა და მტევან-მტევან მორჩეულ  
ყურძენსა, მერე გუდასტვირს ჩაჰბერეს, მოილხინეს და ჟამჟამად სიცილით  
იგუდებოდნენ, რომ გაახსენდებოდათ, რა დღეში ჩაყარეს ის თავპირწაჭმულნი  
მეპურენი; ეეჰ, ალბათ დანავსულნი იყვნენ და ბედმაც ამად უმტყუნათო, ჰკი-  
ლავდნენ გულიანად ჩაკუჭკუჭებულნი. ხოლო ფროჟიეს ამბავსა თუ იკითხავთ,  
ნამათრახალნი ჩიტისთვალას წვენით ნებისად მოჰბანეს, და ისიც უმაღ ჩიტი-  
ვით გახდა.

**პითარ განუცხადებლად დაესხნენ  
ღერნემლნი გარბანტუას მწყემსთ,  
წინაპალოლობით პიკროქოლ მეფისა**

მეპურეთ ღერნეს მიაღწიეს თუ არა, არც კი დამსხდარან, ისევე უსმელ-უჭმელნი გაცვივდნენ კაპიტოლიუმში და ცხებულ პიკროქოლ მესამესა შესჩივლეს, აი რა გვიყვესო. მიიტანეს და წინ დაუყარეს დამტვრეულ-დამუსვრილნი გოდორნი, დაღეჭილ-დასრესილნი თავსარქმელნი, დაგლეჯილ-დაფხრეწილნი საწვიმარნი, სულ ერთმანეთში არეულ-დარეული ქადა-ნაზუქი, დაკოდილი მარკეხო, ცოტას გაწყდა, კალთაში არ ჩაუსვეს, ნახე, რა დღეშია კაციო, და აუწყეს, კინაღამ ცემით დაგვხოცეს გრანგუზიეს მწყემსთა და მდაბიორთ, შარაგზაზედ დაგვიხვდნენ, სეიის იქითაო.

ყოველივე ამან ლამის გააგიჟა ხელმწიფე, და განრისხებულმა მიზეზიც არ იკითხა, რა უნდოდათო, მთელს სამეფოში ხალხის დაგზავნა და ბუკისა კვრა ბრძანა, რათა შიშთვილის შიშითა ქუდზედ კაცი გამოსულიყო და სრულად შეჭურვილთ შუადღისას დიდ მოედანზედ სამეფო ციხე-გოდოლთან მოეყარათ თავი.

დასაჭეშმარიტებლად ამა ბრძანებისა მეფემ ქალაქისა შუკა-ფოლორცნი მედაფდაფეებით მოაფენინა, თავად კი, სანამ სადილსა უმზადებდნენ, თადარიგისა დაჭერას შეუდგა, რომ ზარბაზან-ქვემეხნი ზედსადგომზედ შეეყენებინათ, დროშა და ორიფლამა გაეშალათ და ბლომად მოემარაგებინათ ყოველი, საჭურველიცა და საგზალიცა.


სადილზედ მეფე-ბატონმა ბეჭედი დაასვა ბრძანებასა და დანიშნა მეთაურნი. უფალ ლუპუსტაკსა მეწინავე ლაშქარი ჩააბარეს თავისი თექვსმეტი ათას თოთხმეტი მესიათეთი და ოცდახუთმეტი ათას თერთმეტი მოხალისე მოსაგრითა.

ცეცხლსასროლნი საჭურველნი მეჯინიბეთუხუცესს მიანდეს, გვარად შატაბუტასა, რომელსა ხელთა ჰქონდა ცხრაას თოთხმეტი დიდი ბრინჯაოს თოფიარალი, ანუ ზარბაზანი, ქვემეხი, ფილთამეხი, სერპანტინი, კულევრინი, საშავცეცხლე, ზამბულაკი, პასვოლანი, სპიროლი და სხვაც კიდევ ბევრი რამ. მეუკანავე ლაშქარსა მეთაურად ჰერცოგი ჭახრაკა დაუყენეს. დანარჩენთ, უმთავრესთა და რჩეულ სპათ, თვითონ ხელმწიფე და უფლისწულ-სეფეწულნი ჩაუდგნენ.

ლაშქართყრასა რა მორჩნენ და ჯარი ხელჩქარად გააწყეს, ადგნენ და, ვინემ საომრად გზას გაუდგებოდნენ, ასისტავ ღმურძლას მეთავეობით მსუბუქად აღჭურვილი რაზმი გაგზავნეს სამასი ცხენოსნისა, რომელთ ადგილისა მდებარეობა უნდა მოეთვალეებინათ და ენახათ, სადმე სადარხო ხომ არ იყო მტრისა. იმათაც მოათვალეერეს, მიზვერ-მოზვერეს და ამბავი მოიტანეს, არსად ჩამიჩუმი არ ისმის და მხედრობისა ჭაჭანი არ გვინახავსო.

რახან აგრეაო, პიკროქოლმა წინსვლა უბრძანა ყოველთ.

და აირ-დაირივნენ, ერთბაშად მოსწყდნენ ადგილსა, წინ გაიჭრნენ და,



სადაც კი ხელი მიუწვდებოდათ, სპობდნენ და იავარჰყოფდნენ ყველაფერსა, არცა ღარიბსა და უქონელსა ინდობდნენ, არცა მდიდარსა და მქონებელსა. ღვთის სახლთაც აქცევდნენ და კომლეულთაც აჩანაგებდნენ. სულ გაირეკეს და წაასხეს, საცა ერთი ხარი იყო ან ძროხა, აზავერი, მოზვერი, უშობელი, ნერბი, ერკემალი, თხა, ვაცბოტი, დედალი და ყვერული, ვარია, ბატი, ღერ-ღეტი, ჭუჭული, ქოსმენი, ბურვაკი და გოჭი, კაკალთ დაუბერტყავს არ უშვებდნენ, ვენახთ — აუჩეხავსა და ჩხად მიჰქონდათ, მსხმოიარე ხეხილსა არხევდნენ და აყრევიანებდნენ, ზედ მარცვალს არ არჩენდნენ. მტერსა, რასაც ისინი იქმოდნენ! მაგრამ გამკითხავი არვინ იყო და არცა წინააღმდეგობი ჩანდა ვინმე, ყველანი ქედს უხრიდნენ ძლევამოსილთ და ყელგადაგდებით ეაჯებოდნენ, კაცნი არა ხართ, სიბრალული იქონიეთ, ზედ ნუ გადაგვივლითო, გრანგუზიეს ყმანი ძველთაგან კეთილისმდომელნი მეზობელნი ვიყავით თქვენი და აკი აროდეს არა დაგვიშავებია რა და არა გვიწყენინებია რაო, თქვენ კი სამტროდ მოსულხართ, ჩვენ მაგივრად ღმერთი დაგსჯითო. მარბიელნი აინუნ-შიაც არ აგდებდნენ იმათ ლაპარაკსა და თავიანთსას გაიძახოდნენ, ნაზუქისა ჭამა უნდა გასწავლოთო.

თავი XXVII

**პითარ იხსნა მტრისაგან მავანმა სიილვა ბერმა მამული სააბატოსი**

ესე რბევა-რბევითა და ძარცვა-გლეჯით მიადგნენ ისინი სეის და დაერივნენ, მამანიც დაღვარსლეს და დედანიცა, რასაც თვალი შეასწრეს, გაიტაცეს, არცრა უთაკილიათ. ზედ იმჟამად იქა დიდი ჟამიანობა იყო, შავი ჭირი სრავდა ყოველთა სახლ-კარსა. იმათ კი ფეხებზედ დაიკიდეს, ვითომც არაფერიაო, ზალხსა შინ ეჭრებოდნენ, აწიოკებდნენ, მძლავრობდნენ, ყველგან ხელს ურევდნენ და მაინც ერთ ვინმესაც არა შეჰყრია რა და არ გადასდებია, რაც ფრიად საკვირველია, რამეთუ ჭირმა სულ გააწყო, ვინცა ვინ სადმე მღვდელი, ვიკარი, ქადაგი, მკურნალი, ჯარა და მეწამლე ვიდოდა მოსახილველად, საკურნებლად, სალბუნებლად, საადსარებოდ და სანუგეშებლად დასნებოვნებულთა. ამ ოხერ-მამაძალ მეჭერმუცეთა და კაცისმკვლელთ კი არა ჭირი არ მიეკარა. რას იტყვით, რა უნდა იყოს მიზეზი, უფალნო? მაშ, აბა ერთი ცოტა თქვენებურად ჩაუფიქრდით.

სოფელი რა აიკლეს და აიალაფეს, ახლა სააბატოს მიაწყდნენ ზრიალითა და ზრინვითა, მაგრამ დახშულ-დაკლიტული დაუხვდათ. და უპირველესნი სპანი ამად წინ წავიდნენ, ვედისა ფონს მიაშურეს, ხოლო შვიდი რაზმი ქვეითი ჯარისა და ორასიც მეშუბარი იქავ დარჩნენ, რათა გალავანი გაენგრიათ და ბალ-ვენახი აეოხრებინათ.

საბრალო ბერნი თავგზააბნეულნი იყვნენ, აღარ უწყოდნენ, რომელ წმინდანსა მინდობოდნენ. დადგნენ და რეკვა იწყეს *ad capitulum capitulantes*<sup>1</sup>. ამავე საბჭოზედ გარდაწყვიტეს სავედრებელი ლოცვისა გარდახდა,

<sup>1</sup> მისახმობად წევრთა კაპიტულისა კაპიტულზედ (ლათ.).



აგრევე დიდებითა სიარული contra hostium insidias<sup>1</sup> და უცხოლმშენი-  
ერი ქებისა გალობა pro pace<sup>2</sup>.

სწორედ იმჟამად იქავ საბატოში ერთი მავანი ბერი შეესწროთ, მეტსახე-  
ლად ძმა უანი ბდღვირისმდენელი, მართლა ვაჟკაცი, ჩაუქი, მოხდენილი, ლალი,  
ხერხიანი, გულოვანი, მხნე, დაურიდალი, მაღალ-მაღალი, ხმელ-ხმელი, ომა-  
ხიანი, ცხვირკეხიანი, უამნისა ჩამბულბულელებელი, წირვისა ჩამრაკრაკებელი და  
მწუხრისა ჩამკაკანებელი. რალა გავაგრძელო, ყოვლისა უფრორე ნამდვილი  
ბერი იმ მოწესეთაგან, ვინაც ოდესმე აღკვეცილა, გაბერებულა, უბერია და  
ბერობაში დაბერებულა. ყველა-ყველა, მაგრამ მეორე იმისთანა მცოდინარე  
კონდაკისა, ტყუილია.

და შეესმა თუ არა გნიასი, მომხდურთაგან ატეხილი, ბერი იგი გარეთ  
გავიდა, ნეტავ რა ამბავიაო; მეტი რა უნდა ყოფილიყო, ჭურ-მამულსა მტერი  
შესეოდა, ავად გაეკრა ხელი. აებუტულავებინა. და, როს დაინახა ესდენ ნა-  
ავკაცარი მტრისა, ბერს გულ-მუცელი დაეწვა, ვაი წლის მოსავალო, ვაი ულ-  
ვინოდ დარჩენილო ძმანოო, დაიგმინა გამწარებულმა და გაქანდა სამგალობ-  
ლოში, სად მონაზონნი შეკრებილიყვნენ და, თითქო მეზარეთ ყალიბი და-  
მსხვრევიათო, თავპირჩამომტირალნი მოსთქვამდნენ ავაჯითა:

— I-im-pe-e-e-e-e-tu-um i-ini-i-imi-co-o-o-o-o-ru-um...<sup>3</sup>

— ზოგი მერე იდიდინეთ! გნახავთ, რა თქვენი ყველაყისას მიირთმევთ! —  
დასჭყვივლა ბერმა. — მიკვირს, რატო ერთი მაგრა არ შემოსძახებთ:

მორთვლილა მოსართვლელო?

ეშმაკისა კერძიმც გავხდე, უკეთუ ჩვენსა ვენახში არ იყვნენ უკვე, სულ  
ჩხად ასჭრეს, ვაზიანად მიაქვთ. მორჩა! რა ყურძენი, რის ყურძენი, ბარე  
ოთხი წელიწადი წალამი უნდა ვაგროვოთ. ამას რას შეგვასწარი ბეჩავნი,  
უფალო? რალა ვსვათ, რა დავლიოთ? შენი სახელისა ჭირიმე, მოწყალე მექ-  
მენ, da mihi potum!<sup>4</sup>

მაშინ წინამძღვარმა აღალო პირი თვისი:

— ამ ლოთ-მებრუვესა აქ რა უნდა? ეხლავ ბნელში გამოამწყვდიეთ,  
მზე არ დაანახოთ! ვითარ ბედავს და ღვთისა შესხმას არ გვანებებს?

— უღვინოდ არცა შესხმა იქნების და არცა ჩასხმა, — პირში სწვდა ბე-  
რი. — კარგ ღვინოსა, ვიცე, თავადაც არ იწუნებთ, მამაო, ვითარცა ყოველი  
პატიოსანი კაცი. ზნეკეთილთ ღვინისა ძვირი არცვის არ დაგვცდება, წესად  
მოგვდგამს ბერმონაზონთ. აწლა, ღმერთმანი, უდროოა ეგ თქვენი შესხმანი!  
რატო არი, რო უამსა მკა-ნამგალობისასა და სთვლისასა უამნობა მოკლედ  
ვიციოთ, ხოლო ზამთრობითა გრძლადა? რატოა და, ნეტარხსენებული ძმა ჩვე-  
ნი მასე პელოსი, ჭეშმარიტი ქომაგი კეთილმსახურებისა (ეშმაკმა დამლახ-  
ვროს, თუ გატყუებდეთ), მახსოვს, მეტყოდა ხოლმე: ესე იმად ვიქცევით,  
რაკი ზაფხულში და შემოდგომაზედ ყურძენი მოგვყავს, ვწურავთ, ღვინოს ვა-  
ყენებთო, ხოლო ზამთარში ვსვამთო. მაშ ყურად იხვენ, სხვათაც შეასმენინე,  
და მომყევით, ტრფიალნო ჭაჭანურისაო! ცეცხლიმც წამეკიდოს ანტონისა,  
უკეთუ წვეთი გაგასინჯოთ, ვინცა არ ამომიდგებით და ვენახსა არ გადამარჩე-

<sup>1</sup> წინააღმდეგომ მანქანებისა მტერთა (ლათ.).

<sup>2</sup> სადიდებლად მშვიდობისა (ლათ.).

<sup>3</sup> ე. ი. Impetum inimicorum — მტერი მოგვიხტაო (ლათ.).

<sup>4</sup> მიზოდე დასალევი! (ლათ.).

ნინებთ. ეკლესიისა ქონებაა, თქვე მამაცხონებულნო! თლონდ ერთი რამ უწყოდეთ: წმინდა თომა ინგლისელისა არ იყოს, — ფუ ეშმაკსა! — მეც რო- ეკლესიის ქონება-მამულსა შევეწირო, ვითომ რა, წმინდანთა მოდასედ არ შემრაცხავენ? დაღათუმცა სიკვდილსა ჯერეთ არ ვაპირებ, წინ სხვანი მყვანან გასაძლოლნი.

ამის თქმა იყო, და გაიძრო ანაფორა, მალიად იფნისა ჯვრისა ძელი მო- იმარჯვა, შუბისებრ გრძელი და მჯილისებრ მომსხო, რომელსა აქა-იქ ოდნავ- ღა ეტყობოდა დახატულნი ზამბახნი. და რა შეკრა აშურმად ანაფორა თვისი, მსწრაფლ მხარიღლივ მოიგდო და გაიჭრა, ახალუხისა ამარა გავარდა, ჯვრისა ძელის ქნევა-ქნევითა იჩქითად მიუხდა მომხდურთ. მტერი მტრულად ისთვლიდა ვენახსა მოსართლობელს, ცოდვისა რთველი გაეჩაღებინა და არცა დროშასა აფრიალებდა ვინმე, არცა მებუკე და მედაფდაფე ჩანდნენ, რამეთუ დროშისა მტვირთველთ დროშა-ალამნი კედელზედ მიეყუდებინათ, მედაფ- დაფენი ცალგვერდჩაგლეჯილ დაფდაფთა შიგან ყურძენსა აგროვებდნენ, მე- ბუკეთაც კიმპალ-კუფხალ-მტევნით გამოეტენათ ბუკ-ტაბლაკნი და ღოროტო- ტონი; მოკლედ, არღა გავაგრძელებ, ძალისა მომტანთ გაგება არა ჰქონდათ, რას სჩადიოდნენ, — აოხრებდნენ, ატილებდნენ, ავერანებდნენ იქაურობასა. და ძმა ჟანსა ერთი უშმი სიტყვა არ დასცდენია, გაშმაგებულმა შეუტია, საცა მოხვდა, დასცხო და დაუშინა ძველებურად, სულ „ვაი დედა“ აძახებინა, დაკუნტა და მიყარ-მოყარა, ვითარცა კატისა კნუტნი. ზოგსა კინკრიხო გაუპო, ზოგსა ხელ-ფეხი მოამტვრია, ზოგსა კისერი მოსტეხა, ზოგსა წელი მოსწყვი- ტა, კინწიც ზედ მიაყოლა, ვის ცხვირი ბუკივით გაუხადა, ვის თვალნი ჩა- ულურჯა, ვის ყბანი გვერდზედ მოუქცია, ვის კბილნი აღარ შეარჩინა, ანდა ლავიწი ულეწა, ან წვივ-ბარკალნი შეუმუსრა, თედონი უღრძო და იდაყვისა ძვალი ამოუგდო.

თუ ვინმე სადმე ფოთოლშერჩენილ ვაზთ მიეფარებოდა და თავსა იპა- რავდა, იმას იქავ ძალსაგით წელს აათრევიანებდა და კუდუსუნს ჩაუ- ნაყავდა.

თუ ვინმე გაქცევას დააპირებდა, ვაი ოტებულისა ბრალი, უმაღ საქოჩ- რეში სდრუზავდა და ცხავისა ძვალს დაუჩენჩხავდა.

თუ ვინმე ხეზე აძვრებოდა, ეგებისა აქ მაინც გადავრჩეო, იფნისა ძელს შიგ ყიტაწელში შესთხრიდა.

თუ ვინმე ძველ ნაცნობთაგან შეჰლაღადებდა: „ჰეი, ძმაო ჟან, შენი ვარ, ძმაოსან, გბარდებიო“, პასუხად მიახლიდა: „მეტი რა ჩარაა, ბარემ ეგ ეშმა- კის სულიც ჩამაბარეო“, და განგმირავდა.

მავან და მავან შეუპოვარსა, ვინაც გაბედავდა და პირისპირ შეებმოდა, უცილობლად მხარ-მკლავისა ძალას ამსხვერპლებდა თვისას, ანუ ეგრევე გულ-მუცელს შეუნგრევდა. უკეთუ ვინმე ნეკნებჩაუმტვრეველი გადაურჩე- ბოდა, იმას კუჭ-ნაწლავს გადმოუბრუნებდა და იმავე წამსა სულს გააფრთხო- ბინებდა. ზოგ-ზოგსა ჭიპში აძგერებდა და სულ ნაჭყაპურტებს გამოადენდა, თუ არადა წყვილში გაუყრიდა ან უკან გაუქანებდა. ღმერთი, რჯული, ესდენ საშინელი რამ ქვეყნად ჯერ არ მომხდარა და ალბათ არც მოხდება!

ბევრნი ღაღადებდნენ: წმინდაო ბარბარეო!

ბევრნი მოუწოდებდნენ: წმინდაო გიორგიო!

ბევრნი გაიძახოდნენ: წმინდაო კარგუნახავო!

ბევრ-ბევრი ვისლა არ უხმობდნენ: ღვთისმშობელო კიუნოსისაო! ლორე  
ტისაო! ბონ-ნუველისაო! ლენუისაო! რივიერისაო!

ბევრი წმინდა იაკობსა ავედრებდნენ თავსა;

ბევრი მსასოებელი იყვნენ შამბერის გარდამოხსნისა, რომელსაც სამი  
თვის თავზედ, ვგონებ, ცეცხლი გაუჩნდა და სულ ფერფლად იქცა;

ზოგთ კადუისა გარდამოხსნა ეკერათ პირზედ;

ზოგნი იოანე ნათლისმცემელს მინდობოდნენ ანუელიელსა;

ზოგ-ზოგნიც ხელაპყრობილნი ევედრებოდნენ წმინდა ევტროპი სენ-  
ტელსა, წმინდა მესმ შინონელსა, წმინდა მარტინ კანდელსა, წმინდა კლოდ  
სინეელსა, შეუწუხებლად არა რჩებოდათ ჟავარზეულნი სიწმინდენიც და სხვა  
უფრორე მცირე წმინდანთაც შესთხოვდნენ შველასა.

ვინ სულსა ლევდა და ლაპარაკისა თავი არა ჰქონდა, ვინ ენად იყო გაკ-  
რეფილი და სიკვდილსა მაინც არ მიჰყავდა. ვის ლაპარაკი ჰკლავდა, ვის კი-  
დეგ სიკვდილი ალაპარაკებდა.

ვიეთნი ხაფად გაჰყვიროდნენ: „აღმსარებელი! აღმსარებელიო! Confiteor!  
Miserere! In manus!“<sup>1</sup>.

მოწყულულთა კვნესა-გოდება ცად ადიოდა, და წინამძღვარმა ჩქარ-ჩქარა  
გაიყოლა მოძმენი, ვენახს მიაშურა. ღოგორც კი მივიდნენ და იხილეს ის  
უბედურ დღეზედ გაჩენილნი, ძირსა დამხობილნი, სიკვდილისა პირად მისულ-  
ნი, ეცნენ ზოგნი იმასა, ზოგნი ამასა და აღსარებისა სათქმევინებლად დააღე-  
ბინეს პირნი. რახან ხუცეს-მონაზონთ საქმე გამოიჩინესო, გაცვივდნენ შეღე-  
რებულნი მორჩილნი და ძმა ჟანსა მიეხალნენ, რა ვქნათ, რით შეგეწიოთო.  
რა ქნათ და, მიუგო იმან, ვინცავინ ჯერ არ ჩაძალღებულა, მიდით და ჩა-  
აძალღეთო. მაშინ მორჩილთ ღობე-ყორეზედ გადაჰკიდეს თავიანთი ჩაფარ-  
თხუნებულნი კაბანი, მიესივნენ და მიასაკლავეს ისეც უკვე წუთისოფელდა-  
დამებულნი. ახლა არ იტყვიოთ, რაგვარ იყვნენ შეჭურვილნი და შეიარაღე-  
ბულნი? ხელთ მხოლოდ სასხლავნი ეპყრათ ანდა ხანჯლისა შვილნი, რომ-  
ელთ ჩვენებურნი ყმაწვილნი წენგოიანი კაკლისა საკუჭავად ხმარობენ.


მერმე დაადო თავი ძმა ჟანმა და თავისა ძელიანად ზედ იმ ადგილას გამო-  
იჭიმა, სად იგი დუშმანსა შეენგრია. ამას-იმასობაში ზოგიერთსა მორჩილსა  
დრო ეხელთა და დროშა-ალამნი წაეღო, სენაკში დაეგროვებინა, სალექვერ-  
თხედ და საწვივსაკრავედ გამოგვადგებაო. ოდეს ვინმე დაჭრილთაგანი, ვი-  
საც აღსარებისა თქმა მოესწრო, გამონგრეულ კედელს მიადგებოდა, ეგების  
გავძვრე და თავს ვუშველოო, ძმა ჟანი მაშინვე საიქიოში გაგზავნიდა და თან  
მიაძახებდა:

— ეგრე პირდაპირ სამოთხეში მიხვალ, ეგ არი გზა განდობილთა, მონა-  
ნიებულთა და შენდობილთა. უსწორესია, ვითარცა ნამგალი და ძაღლის  
კუდი.

იმისა ვაჟკაცობის წყალობით ესრეთ მოისრა ვენახში შეჭრილი მტერი  
და ამბისა მთხრობელიც აღარავინ გადარჩა. სულ ერთიანად ცამეტი ათას  
ექვსას ოცდაორი კაცი გაწყდა, უკეთუ, წესისამებრ, დედათა და ბაღლთ სა-  
თვალავში არ ჩავალთ.

თავად მეუდაბნოე მოჟისი რომ მოჟისია, რომლისა ამბავი ე მონის

<sup>1</sup> ვინანი! შემინდე! შენ გაბარებ [სულსა ჩემსა!] (ლათ.).



ოთხთა ძეთა გმირობისა წიგნშია მოთხრობილი, ისიც კი თავისი არგან-კვერთხითა ესეგვარად არ შეჰბმია სარკინოზთ და არცა იმოდენი არა უქნია რა, რაოდენიცა ჩვენმა ბერმა ქნა მტერზედ ჯვრისძელმომარჯვებულმა.

თავი XXVIII

**რარიზ დიკჰრო პიკროქოლმა იერიშით ლაროშ-კლერმო, და კიდევ ვითარ მსიკვდილებოდა ბრანგუზიუს ჩხუბისა ატეხა**

როგორაც უკვე იუწყეთ, ბერმა სულ ბღღვირი აღინა მოძალადეთ, და ვინემ იგი იმათ უსწორდებოდა, პიკროქოლმა ამაოზაში თავის ლაშქრიანად ფხოჭა-გლეჯით გაიარა ვედისა ფონი და ხელთ იგდო ლაროშ-კლერმო, სად არცვინ წინ აღსდგომია, არცვინ გასძალიანებია. და რადგან კარგა დაღამებული იყო, ჯარიანად იქავ დადგომა გარდაწყვიტა ლამისა თევით, ჯავრიანი გული ცოტა ხნით დაიციხრო.

ძაღლისა ძილის ჟამსა პიკროქოლმა ქალაქისა ქავ-ციხეს შეუტია, იერიშით შევიდა და ფრიად გაამაგრა, საჭურველიც ბლომად მოიმარაგა, რამეთუ ჰგონებდა, ვინიცოზაა თავს დამესხან, სხვა ამაზედ უკეთეს ადგილს ვერსად ვიპოვნო. და მართლაც არა ოდენ კაცისა ხელს ექცია ისი ქავ-ციხე მიუვალად, არამედ თავად იყო ბუნებითი მდებარეობით მტერშეუვალი.

თუმცა რაც იყო, იყო, აწლა ამას თავი გავანებოთ და მივხედოთ კეთილსა ჩვენსა გარგანტუას, მეცადინსა და მოვარჯიშესა, გულმოდგინებით მსწავლელს ყოველი სარგო მეცნიერებისა. მოვიხილოთ აგრევე მამამისი, ჟამნახული, ქველი გრანგუზიე, რომელსა ეს არი უვახშმია და საყვარლად აგიზგიზებულ ყვერბთან მიმჯდარა, თან თბება, თანაც მუგუზლისა თავის სადებს თავმომწვარ არცისკანას უსვამს და, ვინემ წაბლი შეიწვოდეს, გარდასულ მტკბარ ღროთა ამბავს მიუთხრობს სახლეულსა.

სად იყო, სად არა, თითქო მიწიდან ამოძვრაო, ზედდატანებაზედ მოიჭრა და დიდ ბატონსა წინ გამოეჭიმა მეზვრე მწყემსი პილო, რომელმან წვლილად ჩაუკენჭა, სრულად შენსა სამკვიდრო-საბრძანებელში პიკროქოლ მეფე დაფარფაშებს, ლერნეელიო, ქვეყანა თვალთ არლა ინახვის, ერთობ გაატი-ალა, დააქცია და მოითარეშაო, ერთი მარტო სეიის ბაღ-ვენახილა გადარჩა მცირედ და ისიც თავისი ვაჟკაცობით ძმა ჟანმა გადაარჩინა, ბღღვირისმდენელმაო. ამჟამად მეფე იგი ლაროშ-კლერმოშია და რაოდენადაც შესაძლოა, ციხითა ჯარს ამაგრებს და ჯართა ციხესაო.

— ვაი! ვაი! — დაიბუბუნა გრანგუზიემ. — ამას რას მოვესწარ, ხალხო? სიზმარია თუ ცხადი? პიკროქოლი დამსხმია, ძმად შეზრდილი მეგობარი და მოყვარე, თვისტომი, ჩემიანი! ვის უნდა ექნა, ვინ ამიმხედრა ნეტავ? ვინ აასხმევინა იარალი? ვინ შემეგულიანა? ვის დაუჯერა, იმ ჩემი ცოდვით სავსესა. ოჰ! ოჰ! ოჰ! ოჰ! ოჰ! ღმერთო, მაცხოვარო, მწედ მექმენ, განმანათლე და განმასწავლე ხედვად ჭეშმარიტებისა! ზენარობით ვიტყვი და შენი თანადგომისა ნატრულიმც გამხადე, უკეთუ ან თვითონ განმერისხებინოს როსმე,



ანდა საყმო შემეჭირვებინოს იმისი. ჯერეთ არ მახსოვს, რამეზედ უარი მე-  
 თქვას, არცა ლაშქარი დამიჭერია აროდეს და არცა ფული, მუდამყამ ხელსა  
 აღვუპყრობდი, ნაღდსა ვურჩევდი, მხარში ვედექ და მხარს ვუჭერდი. დას-  
 ტურ არაწმინდას აურევია თავ-გზა, რახან ესდენ გამიმეტა და დამაღონა.  
 უფალო ღმერთო ჩემო, კარგად უწყი, რა გულისა ზრახვაც მალაპარაკებს,  
 რამეთუ არა არის რა შენთვის დაფარული! ვატყობ, ჭკუაზედ შეშლილა და  
 თუ გონს მე უნდა მოვაგო, მაშ შემადლებინე კიდევ, რომ მშვიდობით დავუ-  
 მორჩილო კვალად წმინდა ნებასა შენსა! ოჰ! ოჰ! ოჰ! ხალხნო და ჯამაათნო,  
 შინაურნო და შინაყმანო! ნუთუ ხელი ხმალსა უნდა ვიკრათ? ვაჰმე! სიბერე  
 ტკბილი მეწადა, წუთისოფლით უჩხუბრად წავალ-მეთქი, ვფიქრობდი, მაგ-  
 რამ, ჩანს, მეც უნდა მოვიგდო იალმაგი ამ ჩემსა საცოდავ და ჯანმიხდილ, და-  
 ქანცულ მხრებზედა; ხელებს კი, ამ აცახცახებულ ხელებსა, გოგუთსა და ლახ-  
 ვარს დავაჭერინებ, რათამც დავიცვა და დავიფარო საბრალო ქვეშევრდომნი  
 ჩემნი. მეტი რა ჩარაა! იმათით მიდგას სული, ისინი გვაჭმევენ, გვასმევენ  
 და გვაცმევენ. ისინი ინახავენ მთლად დედაწულ-სახლეულსა ჩემსა. თუმცაღა  
 შებმით მანამ მაინც არ შევებმი პიკროქოლსა, სანამ სუყველაყას არ მოვილო-  
 ნისძიებ სამშვიდობოსა და საზავოსა. რაცა ვთქვი, წყალი არ გაუვა.

მერმე დარბაზსა უხმო, უამბო ვითარება საქმისა და, რა განბჭობას მორ-  
 ჩნენ, ერთპირ დათქვეს, ვინმე განგებიანი ვნახოთ და პიკროქოლს ვაწვი-  
 ოთო, ვითარმედ გამოჰკითხოს და შეიტყოს, რა ეცა, რამ აფიქრებინა სხვათა  
 მიწა-წყლისა დალაშქვრა და რა უფლებისა ძალით გვარბევსო. თანვე ისიც  
 ითქვა, გარგანტუასაც გავუგზავნოთ კაცი და მოვუწოდოთ, თავის ქულფათ-  
 მხლებლებიანად მოხედოს სამამაპაპოსა და ჭირსა განარიდოსო. გრანგუზიე  
 თანახმა გაუხდა დარბაისელთ და ჯეროვნად განაგო განსაგებელი. მსწრაფლ  
 მოაყვანიდა თავისი ბასკი ფარეში, ეხლავ გარგანტუასთან უნდა ფრინდო,  
 უთხრა, და ძესა ქვემორე უსტარი მისწერა.

თავი XXIX

**რა ამცნო ბრანგუზიემ ზირილთა გარბანტუას**

„ისერიგად მუყაითობ სწავლაში, შენმა მზემ, კიდევ კაი ხანს არ მოგიშლი-  
 დი მაგ სიბრძნისა მოყვარებაში მყოფობასა, გარნა ვაი რომ ჩემთა ძველთა მოძ-  
 მეთა და მოსაგრეთ მომალორეს და სიბერე გამიმწარეს. და უკეთუ ბედმა მარ-  
 გუნა იმათი ღალატი, ვისაც ყოვლისა უფრორე ვენდობოდი, შენსა იქით გზა არ-  
 ლა დამრჩენია და ამად მოგიწოდებ, მოდი, მოჰხედე ყმათა შენთა და ბუნებისა  
 ძალით ბოძებულსა სამკვიდრებელსა. რამეთუ ვითა სახლსა არას არგია გარეთ  
 გატანილი საჭურველი, ოდეს თავად სახლ-სამყოფელსა შინა ჭკუა არავის ეკი-  
 თხვის, ეგრევე მსგავსად სწავლაც უქმია და რჩევაც ფუჭი, თუ რომ დროთი არ  
 შეესხმით ხორცი და ფარსაგად არ მოიხმარ.

მე ჩხუბი კი არა მწადას, დაზავებასა ვმცდებო; თავსა არ ვესხმი, ოღონდ  
 ზედაც არ გადავიტარებ; ბრძოლას ვერიდები, მაგრამ ვერცა ჩემთა ერთგულთა  
 ქვეშევრდომთ დავაჩაგვრინებ და ვერცა მამა-პაპათაგან დარჩენილ სამკვიდრო-  
 სა დავანებებ პიკროქოლს, რომელიცა აწ უმიზეზოდ და უსაბაბოდ მომჭრია,



მლაშქრავს, მართოდენ ბოროტსა აპყოლია და ხალხს მიწიოკებს, აროდეს არვის-გან დამონებულსა.

ჩემდა ვალად ვრაცხე როგორადმე დავაცხრო რისხვა მტარვალისა ამისა, გულსავსედ ვქმნა, რითაც შემიძლია, და აკი არაერთგზის ვაწვიე კიდევაც კაცნი სამოყვროდ, ეგების გავიგო, ვინ რა აწყენინა-მეთქი. იმას კი შერიგებისა გაგონებაც არა სურს, ჩემგან სხვა პასუხს ნუ მოელიო, და თვინიერ ალაფობისა, აღარა ახსოვს რა. ეტყობა, მარადის სიმართლისა მოქმედმა ერთადერთ საჭედ მარტოდა საკუთარი გონი და ნება დაუტევა. იგიცა ბოროტისა მეტს აბა რას იქმოდა ღვთის მადლსა მოკლებული, და უფალსა ჩემკენ წარმოუგზავნია, რათა შევასმინო შესასმინარი და ნამუსზედ შევაყენო.

ამა ვითარებისა გამო, საყვარელო ძეო და ჭარუმადათო, ვითარ წაიკითხავ წიგნსა ჩემსა, მყის დაიძარ და გამოეჩქარე აქეთ, ოლონდ ჩემდა შეწევნად კი არა (დალათუმცა შემწეობასა მეც არ უნდა მომაკლებდე მამაშვილობისა ბუნე-ბური გრძნობით), მეოხად ექმენ მოყმეთა შენთა, რომელთა ხსნა და დაცვა მხრებზედ გაწევს. ღვაწლი ესე მცირე სისხლისა ფასად გმართებს, ხელისა ღონეს ჭკუა დაამჯობინე, სიფრთხილით მოიქეც, მოივარგე სამხედრო ხელოვნება-ნი და იქნებ ვუშველოთ სრულად საყმოსა ჩვენსა, ყმანიც დია გაიხარებენ და თავთავიანთ სახლ-კარსა მოიძიებენ ყველანი.

კურთხეული გყოს უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ, უსაყვარლესო ძეო ჩემო. ნახვისა ნატვრით მოვიკითხავ პონოკრატსა, გიმნასტსა და ევდემონსა.

ენკენისთვისა ოცი.

მამაშენი

**ბრანბუზიე“.**

თავი XXX

**ვითარ წარუგზავნეს ულრიუ გალე პიკროქოლს**

საკარნახებელი რა უკარნახა და წიგნთ ხელი მოაწერა, გრანგუზიემ ულრიუ გალეს უბრძანა, თავისი სამწერლოს განმგებელსა, ფრიად საზრიანსა და მადლ-ცხებულსა, რომელსა ბევრი არეული საქმე კეთილად და მარჯვედ განესაჯა, წასულიყო, პიკროქოლს სწვეოდა და წვრილად ეამბნა ყოველივე, რაც იმათ ითათბირეს და განაბჭეს.

ქველი გალე ფიცხლად გაემგზავრა და, როს ფონსა თავში მოექცა, ერთ იქაურ მეწისქვილესა ჰკითხა, პიკროქოლი სად ჩამოხდაო. ნეტაი თვალით სულ არ მენახაო, მიუგო მეწისქვილემ, გამძარცვა და ცარიელზედ დამსვაო, ეხლა ლარომ-კლერმოში დგას და არ გირჩევ იქით წასვლას, ემანდ სადმე მზირთ არ გადააწყდე, ძაღლიც ძაღლია და ისინიც ძაღლნი არიანო. ულრიუ გალემაც დაუჯერა და იმა ღამეს წისქვილში დარჩა.

მტრედისფრად ირიჟრაჟა თუ არა, იგი უკვე ქაც-ციხისა ჭიშკარს მიადგა, ბუკტაბლაკობით აუწყა თავისი მისვლა და გუშაგთ მიეძალა, შემიშვით, მეფეს მიმგვარეთ, დია საჭირო სიტყვა უნდა ვუთხრაო.

მეფეს მსწრაფლ მოახსენეს, ასე და ასეაო, მაგრამ იმან ქვა ააგდო, არას

დიდებით არ შემოუშვათო, და თავად გამოვიდა გარეთ, გალავანზედ გადმოდგა და გადმოსძახა სამოციქულოდ წვეულს: რა ამბავია? რა უნდა მითხროს? მაშინ დესპანმა სათქმელი არლა დააყოვნა.

თ ა ვ ი X X X I


**გ ა ლ ე ს ა გ ა ნ თ ქ ე უ ლ ი ს ი ტ ყ ვ ა პ ი ა რ ო ქ ო ლ ი ს ა წ ი ნ ა უ ე**

„გულისა ტკენა ათასმა რამემ იცის, მაგრამ ყოვლისა უფრორე სამძიმო ის არი, ვისგანაც წყალობასა და სიამტკბილობას მოელი, ავსა და ბოროტს რომ მოგაგებს. მრავალნი არათუ უსაბაბოდ (დაღათუმცა განა სიჭკვიანით) მჭმუნვარედ ქმნილან ამა სიცუდკაცისა გამო, რა გამწარებულან, სასოწარკვეთილთ არად ჩაუგდიათ სიცოცხლე და წუთისოფელზედ ხელი აუღიათ.

ამად არცა საკვირველია, რომ ესეგვარმა შენმა შემოსევამ, მტრობამ და სიავემ შენმა ფრიად დაამწუხრა და შეაშფოთა მბრძანებელი ჩემი, მეფე გრანგუზიე. საკვირველი მაშინ იქნებოდა, უკეფუ თავზარსა არ დასცემდა საშინელი უსჯულოება, სისასტიკით ჯერეთ გაუგონარი, რაიცა შენგან და შენთა კაცთაგან დაგვატყდა ჩვენსა მამულსა შინა. გულიც ნამეტურ გარდამეტად იმიტომ უტირის, ვინათგან დია ებრაღვის ხალხი თვისი და სიყვარულითაც ისერიგად უყვარს, რარიგადაც არაოდეს არცვის ჰყვარებია. მეტადრე კი, უნდა გითხრა, მაინც შენი და შენთა კაცთა ბოროტობა და უმართლობა ვერ აუტანია, რამეთუ მამა-პაპათაგან მოყვრობა მოგდევთ, იმთავითვე თანაზიარნი იყავით ჭირისა და ლხინისა; ვითარცა სიწმინდესა რასმე, ისეგვარად იცავდით და უფრთხილდებოდით დღეს-აქამომდე უვნებელს მეგობრობასა, და არა ოდენ იგი თავის ხალხთან ერთხმევ, არამედ სხვა მიწაწყლისანიც, მაგალითადრე, პუატეველნი, ბრეტონელნი, მანსონელნი, აგრეთვე მსახლობელნი იმიერ კანარის კუნძულთა და ქალაქ იზაბელასი, ჰგონებდნენ და ამტკიცებდნენ კიდევაც, ვითარმედ უმაღ ცა ჩამოინგრეოდა ანუ ქვესკნელი და საქანელნი ცათანი შეერთდებოდნენ, ვინემ დაირღვეოდა თანადგომა თქვენი, ეგზომ საზარო ძვირისა მდომელთათვის, და აკი ვერცვინ ვერას გიბედავდათ, შიშნეულნი იყვნენ, რა ერთს გავაჯავრებთ, მეორეც დაგვემტერებო.

კიდევ მეტი. ამბავი ამა შეურყეველი მოყვრობისა სრულად ქვეყნიერებას მოჰფენია, და ცოტა მეგულვის ხალხი, ხმელეთსა თუ ოკეანის კუნძულთა ზედა მსახლობელი, სახელად რომ არ მიაჩნდეს თქვენთან პირისა შეკვრა, თქვენივე ნაკარნახევი პირობითა და სიტყვის დასკვნითა, და პატივს რომ არა სდებდეს თქვენთა შეერთებულ საბრძანებელთ, ვითა საკუთარ ქვეყანასა და მიწა-წყალსა. რალა ბევრი გავაგრძელო, ჯერხანად არავის ახსოვს, რომე ოდესმე გვირგვინოსანსა ვისმე ანუ ერთად შეყრილ-შეკრულთა ხელმწიფეთ, გაკადნიერებულთა და რისხვით გონდაკარგულთ, თქვენი კი არა, თქვენთა მეპირობეთა საზღვარნი დაელაშქროთ; ხოლო ვინმე თუ გაბრიყვებულა, სხვათა ფეხისა ხმას აჰყოლია და თავდასასხმელად წამოსულა, თანადგომობისა თქვენისა მარტო ხსენებასაც უმაღ გადაუფიქრებინებია განზრახული.

აწ ნეტავ რა ღმერთი გაგწყრომია და რას გაუცოფებიხარ აგრერიგად, რომ დაგირღვევია კავშირი ესე, სულ უარგიყვია ძმობაც, სამართალიც, აგიღია თავი



და ბოროტეულად მოსჭრიხარ, ოდეს არცა თვითონ, არცა ქვეშევრდომთ მისთა არა დაუშავებიათ რა შენთვის და არცარა შენდა წყენად და განსარისხებლად უქმნიათ რამე? სად არს ერთგულება? სად არს სჯული? სად არს გონიერება? სად არს კაცობა? სად არს შიში უფლისა? ვითომ რა, დაჰფარავ შენსა სიაგვაცეს ღვთისა წინაშე მდგომელთა სულთაგან და უზესთაესისაგან, რომელიცა ყოველთა კაცთ კუთვნილად მიუზღავს? ესრეთ თუ ფიქრობ და ესავ, მაშ ამოდ დამშვრალხარ, რამეთუ არრა დაემალვის სამართალსა ცისასა. ეგების ბედისწერამ გიყო ანდა ვარსკვლავთ შეიშურეს დღეკეთილობა და განცხრომა შენი? დიახამც, არა არის რა ქვეყნად უბოლოო და საზღვარდაუდებელი, და რაც რამ უზედაეს წერტილსა აღწევს, მაშინვე უცილოდ ძირსა ეცემა, ვინათგან ამა მდგომარეობაში გრძელჟამიერად ვერა მყოფობს. ესეგვარია ბოლო ბედნიერთა და მორჭმულთა, როცა კეთილგონიერება ეკარგვით და ზომიერება ავიწყდებათ.

გარნა თუ ადრითვე განწირულხარ, სხვა გზა არ არის და უნდა დასრულდეს სვიანობა შენი და განსვენება, ნუთუ საამისოდ საჭირო ქმნილა, რომ ძვირი შეგემთხვია ჩემის ხელმწიფისათვის, რომელმან ტახტზედ დაგსვა და გვირგვინი დაგადგა? უკეთუ სადგურსა შენსა დაქცევა უწერია, ნუთუ იმის სახლ-კარიცა უნდა დაიტანოს, ვინაც დაგიმშვენა სადგომი იგი? არა, ამას ჭკუათმყოფელთაგან ვერავინ გაიგებს და ვერცა ჩახვდება, რამეთუ ყოველივე წინააღმდგომია საღი აზრისა, და სხვაქვეყნიერნიც სანამ თავად არ დარწმუნდებიან და თავიანთი თვალით არ დაინახვენ ყველაფერსა, დამოწმებულსა და დაჭეშმარიტებულსა, მანამ არ დაიჯერებენ, რომ არარაა წმინდა და შეურყეველი ზოგთა კაცთათვის, ვისაც ღმერთი და გონება უარუყვია და ურიგო გულისა წადილს აჰყოლია.

უკეთუ გვევნო შენთა ყმათათვის ანუ დაგვერბია მამული შენი; უკეთუ ვფარვიდეთ ავისა მდომთა შენთა; უკეთუ არ შეგწოდით მოთავეობასა და საქმეში; უკეთუ შევხებოდით ღირსებასა შენსა და სახელსა; უფრორე სწორედ, უკეთუ ეშმაკმა ცოდვისა საქმნელად შეგაგულიანა, მაცდუნებელნი ლანდნი და არდილნი მოგივლინა, გაცდინა და ცილი შეგვწამა, ეჭვი გაგიჩინა, ვითომც ჩვენი ძველისძველი მოყვრობისა უღირსი რამ გვეკადროს, უნდა ამდგარიყავ, უწინარეს სიმართლე გაგეგო, გულნაკლულობა კი მერმე გამოგეთქვა, და ჩვენცა ჩვენსას გეტყოდით, ისერიგად გიმასპინძლებდით, უკეთეს მასპინძლობასა ვერცა ინატრებდი. მაგრამ, ღმერთო დიდებულო, აბა, რა ჰქმენ? ნუთუ სხვა მტარვალთაებრ მართლა მეიავარედ და მაონრებლად მოსულხარ მბრძანებლისა ჩემის? ნუთუ ისე მხდალად და ბრიყვად შეგირაცხავს და, შენის ჭკუით, იმდენად ღარიბია ერთთა, საფასეთი, მზრახველ-მრჩევლებითა და ჯართუფროსებითა, რომე არცა ბრძოლასა ინდომებს და წინაც არ აღუდგება შენსა უმართლო შემოსევასა?

ეხლავ ადექ და გვალე, გვალე, ხანი არ დააგვიანო, ხვალე უკვე შენსა ქვეყანაში იყავ, გზად ნურას აიკლებ, ნურცა იმძლავრებ; ჩვენი ზარალი ათასი ოქროს ბეზანტი დაგიჯდება. ნახევარი ამა ფულისა ხვალავე გამოგვიგზავნე, ნახევარი მერმის წელსა, შუა მაისში, თეთრისა გამოგზავნამდე კი მძევლებად უნდა დაგვიტოვო ჰერცოგნი დე მატაროცა, დე ბაჯაჯგუნა და დე ბლარუნა, აგრეთვე სეფეწული დე ლუდუდა და აზნაური დე ტამაზლუხა“.



**მითარ ბრძანა ბრანგუზიუმ, ჩაოსსაგდგაღ ზაჰისა,  
ქადა-ნაზუქისა უკან მიტანა**

ამით გაასრულა გალემ სიტყვა, და პიკროქოლმა ეგრევე მიუგო:

— მობრძანდით და ინებეთ, მობრძანდით და ინებეთ! მასპინძლობა ჩვენც ვიცით. სულ ქადა-ნაზუქს გაჭმევთ.

მაშინ გალე შინ გამობრუნდა, მიეახლა გრანგუზიეს და იხილა, რომ გვირგვინდაუბურველს მოეყარა მუხლი თავის სამარტოო ოთახში და ღმერთს ევედრებოდა, დააცხრე პიკროქოლი, გონს მოაგე, ძალადობა აგვარიდეთ. გალე რა დაინახა, ზნექველმა გრანგუზიემ ჰრქვა:

— ოჰო, უკვე მოსულხარ? ახალს რას მეტყვი, გეთაყვა?

— კარგს ვერაფერს შეგატყობინებ, — მიუთხრო გალემ. — ჰკუაზედ ვერ უნდა იყოს. მგონი, თავად ღმერთი გასწყრომია.

— მაინც რას ამბობს, რა მინდაო? — ჰკითხა გრანგუზიემ. — ან რისხვისა მიზეზს თუ ასახელებს რასმე?

— არა, არა უთქვამს რა, — უპასუხა გალემ. — მარტო ერთი ეგ იყო, რაღაც ქადა-ნაზუქზედ ჩაილაპარაკა. ვაითუ ჩვენთა მწყემსთ ხაბაზნი გაუჯავრეს.

— ვინემ გადაწყვეტილსა ვიტყოდე, ჯერეთ კარგად უნდა გავიგო, რა მოხდა, — წართქვა გრანგუზიემ.

ხელად იქავე დაავალა გაჩხრეკა ამა საქმისა და მსწრაფლ ეუწყა, გზად მიმავალ ხაბაზთ შენი ყმანი დახვედრიან და ცოტაოდენი ქადა-ნაზუქი წაურთმევიათო, თანვე მარკე შემოლახვიათ, თავში კომბალი დაუშვიათო, ოლონდ საფასური გაუღიათ, მეპურენი უფულოდ არ გაუშვიათო; ისე კი, სულ იმ მარკეს ბრალი ყოფილა, პირველი ის მისჭრია ფროჟიეს და მათრახით აუჭრელებიაო. გრანგუზიემ განმზრახთა საკრებულოს უხმო, და ყოველნი კაცნი ერთ აზრზედ დადგნენ, მტერს თავი უნდა ვაჩვენოთო.

მაგრამ გრანგუზიე მაინც სხვას უბნობდა: რახან ორიოდ ქადა-ნაზუქისა ამბავია, პიკროქოლს მე მოვუვლი, საჩხუბრად არამც და არამც არ დავემტერებო.

მერმე გაიკითხა, რაოდენ ქადა-ნაზუქზეა ლაპარაკიო, და, რა შეიტყო, სამოც ცალზედაო, ადგა და ხუთი ურემი თორნეულის გამოცხობა ბრძანა, ამაღამვე მზად იყოსო. ცალკე, ერთ ურემზედ, ყოვლისა უკეთესი ერბოთი, ახალი კვერცხის გულითა და უცხო რამ სუნელ-სანელებლით გამომცხვარი ნაზუქი დაუდეთ და სათავისთავოდ მარკეს მიმირთვიოთ; ამას გარდა, მარკეს კიდევ შვიდასი ათას სამი ფილიპე მიუბოძა მკურნალ დალაქთა გასასტუმრებლად და ზედ უსასყიდლოდ აგარაკიც მიაყოლა პომარდიერისა მისხით მისხამდე სამუდამო კუთვნილებად. ნაბოძებისა წაღება და მიტანა ულრიშ გალეს დაევალა. ისიც წავიდა, გაუდგა გზასა და სოლეს მახლობლად თანამყოლ მეურმეთ უბრძანა, მიდით, ლერწამი და ლელი დაგლიჯეთ, ურემნიც მორთეთ, ხელთაც დაიჭირეთო, და თავადაც ლერწმით დაიმშვენა ხელი ნიშნად მშვიდობის წადილისა და ზავის ჩამოგდებისა.



ალაყაფისა კარს ვითარ მიადგნენ, ხმა გააგონეს, გრანგუზიესაგან უფლებისა მქონებელნი ვართ, პიკროქოლს უნდა მოველაპარაკოთო. პიკროქოლსა კი არცა ისინი შეაშვებინა და არცა თავად ისურვა სალაპარაკოდ გამოსვლა, სხვათა პირით შემოუთვალა, მე მოუცლელობა მჭირს და, უკეთუ არ დაგიშლიათ, ჯართუფროსს მოახსენეთ, შატაბუტასაო, რომელიცა იმჟამად გოდოლზედ ზარბაზანს აყენებდა. ქველი გალევ მივიდა და სიტყვა უთხრა:

— ბატონო, საჩხუბრად და სადავიდარაბოდ ქადა-ნაზუქს თუ იმიზეზებთ და იმად გამოგვეშალეთ, უკან მოგვირთმევია. ჩვენთა კაცთ სამოცი ცალი გამოგართვეს, ისიც ფულითა, მუქთად არ წაურთმევიათ, მაგრამ მშვიდობის მოყვარებისა გამო ხუთი ურმით მოვსულვართ, და ერთი საკუთრივ მარკესია, რამეთუ იგი უფრორე დაშავებულა და დაზარალებულა. გულს რომ არ დააკლდეს, შვიდასი ათას სამ ფილიპესაც ჩავუჩხრიალებ, ხოლო ჩვენგან ნანახი ზიანისა ასანაზღაურებლად, რაიცა შეუძლია მოგვეკითხოს, უსასყიდლოდ და საშვილიშვილოდ გარდავცემთ პომარდიერის აგარაკსა. საბოძვრისა წიგნი თანა მაქვს. რაც იყო, იყო, ღვთისა გულისათვის, ნუღარას ვერჩით დღეის წაღმა ერთმანეთსა. წადით, გზას გაუტეეთ, ციხე ჩვენია, თავადაც კარგად უწყით, ტყუილად იჩემებთ, დაუტევეთ, და კვალად ვიმოყვროთ და ვიბეგობროთ!

შატაბუტამ ყოველივე წვლილად ჩაუკაკლა პიკროქოლს, და გასაგულსებლად ცეცხლი შეუწითო:

— ხო ვუტირეთ დედა მაგ ოტროველებსა, მაგათ! ღმერთმანი, შიშით ჩასვრილა ეგ ვაგლახი ლოთი გრანგუზიე! დადგეს და წრუპოს ღვინო, ომი რა მაგის საქმეა. ვგონებ, ქადა-ნაზუქი და ფული გამოვართვათ, თავად კი ფიცხლად გავმაგრდეთ და მარჯვე დრო ვიხელთოთ. ვითომ რა, სულელი გნახეს და ქადა-ნაზუქით უნდა მოგიმადლიერონ? რაკი მოწყალე თვალით უცქიროდი და თავსაც უყადრებდი, სულ იმის ბრალია, არრად რო აღარ გაგდებენ. სწორად უთქვამთ, ღორის ტილსა ფეხზედ ნუ დაისვამ, თავზედ აგალოდებო.

— ეგრეა, ეგრე, მაშ! — დასტური დასცა პიკროქოლმა. — თუ კაცი ვარ, შავ დღეს დავაყრი, შავ დღესა. მიდი, რაც მარქვი, აღასრულე!

— ოღონდ ერთი რამ მინდა წინასწარ უწყოდე, — შეაპარა შატაბუტამ. — სასმელ-საჭმელი ცოტაა, დიდხანს არ გაგვტანს. გრანგუზიემ თუ ალყა შემოგვართყა, ავდგები და კბილთ სულერთიანად დავიძრობ, სამიოდ ცალსდა დავიტოვებ, და უმაღლ სხვანიც უნდა ამეყენენ, თორემ რა საჭმელი გაგვიძლებს!

— ცოტა კი არა, — უთხრა პიკროქოლმა, — ყველაყა თავზედ საყრელია. ჩვენ რა, საქეიფოდა ვართ მოსულნი თუ საომრად?

— დიაღაც საომრად, — მიუგო შატაბუტამ. — მაგრამ ცარიელ მუცელს აბა რა ებრძოლება! საცა უფალი შიმშილია, იქ ყოფნა სიკვდილია.

— კარგი, კარგი, ენად ნუ გაიკრიფე, — დაუტატანა პიკროქოლმა. — მოიღეთ, რაც მოუტანიათ.

სამოციქულოდ მოსულთ მყის ჩამოართვეს ფული, ქადა-ნაზუქი, ხარნი და ურემნი, თავად მოციქულნი კი უკან გაისტუმრეს და სიტყვა არა დააბარეს რა. მარტო ეგ იყო, ციხისა ახლომახლო არ დაგინახოთო, უთხრეს, ხვალ

გეტყვით, რატომაცაო. ისინიც გამობრუნდნენ და წამოვიდნენ პირში ჩალაგა-  
მოვლებულნი, ყველაფერი ზუსტად ჩაუკენჭ-ჩაუწიგნეს გრანგუზიეს და თან  
დააყოლეს, ზავზედ ლაპარაკი ზედმეტია, მტერს მტრულად უნდა დავუხვ-  
დეთო.

თ ა ვ ი X X X I I I

**ვითარ დააღვა დია საშიშარ გზასა პიკროქოლი,  
ოღეს ზოგ-ზოგ ჭკუისა მსწავლებელთ ნაჩქარავი  
რჩევითა შაგულიანეს იგი**

მოსულთ ქადა-ნაზუქი ჩამოართვეს თუ არა, მიეახლნენ პიკროქოლსა  
ჰერცოგი შუშუბრიქა, გრაფი შლუ, ჯართუფროსი ტინგიცა და მოახსენეს:

— დღესა, ბატონო, ალექსანდრე მაკედონელისა შემდგომად ყოვლისა  
უფრორე მორჭმულ და ყოვლისა უფრორე უძლეველ ხელმწიფეს გაგხდით.

— დაიხურეთ, დაიხურეთ სარქმელნი! — უთხრა პიკროქოლმა.

— მადლსა გწირავთ, ბატონო, — მიუგეს იმათ. — ჩვენ ჩვენი ადგილი  
ვიციტ. შენდა სარჩევად მოვსულვართ. დააგდე აქა მცირე რამ რაზმი მეცა-  
ხოვნეთა თავის მხედართმთავრიანად. ადგილსა ამას მეტი არ უნდა, ისედაც  
შეუვალია ბუნებითად და შენგან ნაშენი ზღუდითა. დანარჩენი ჯარი ორად  
გაჰყე, ვითარცა გენებოს. ერთნი წავლენ და გრანგუზიეს დაესხმიან, ლაშქართ  
ეგრევე ამოუწყვეტენ. ფულსა, იცოცხლე, დიდძალს მოიშოვებ, ჩეჩქივითა  
აქვს იმ ხებრე-მამაძალსა იმასა. ხებრეს იმად ვამბობთ, ვინათგან კეთილშო-  
ბილ ხელმწიფეთ არაოდეს ერთი თეთრიც არ მოეძეგებათ. ფულისა შენახვა  
გლეხუჭა ხალხის საქმეა. ამოხაში მეორენი მიადგებიან ონოს, სენტონუს,  
ანგუმუასა და გასკონსა, აგრევე პერიგორსა, მედოკსა და ლანდებსა, შეუბ-  
რკოლებლად დაიპყრობენ ქალაქთ, სიმაგრეთა და ციხეთ. ბაიონსა, სენ-ჟან-  
დე-ლუსსა და ფუენტერაბიასა შინა სუყველა ხომალდს ხელთ ჩაიგდებთ და  
გალისია-პორტუგალიისა საზღვართა სისწვრივ სულ ყუაზედ გაიყვანთ მთელ  
სანაპირო მხარესა, თვით ლისაბონამდე, იქ კი უკვე ყველაყას მოიხვეჭთ, რა-  
საცა ბრძოლით მისულნი დაიჭირებთ. ესპანელნი, ღმერთმანი, ხაფად პირს  
დააღებენ, იარაღს დაჰყრიან. მერმე წახვალთ, ცურვით გაივლით სიბილას  
სრუტესა და თქვენდა სამახსოვრო ძეგლად აღმართავთ ორ უფრორე დი-  
დებულს სვეტსა, ვინემ ჰერკულესისაა, და სრუტე იგი აწ და მარადის ზღვად  
პიკროქოლისა იქნება სახელდებული. ხოლო რაჟამს პიკროქოლისა ზღვისა  
წიად გახვალთ, იქავ ბარბაროსა ჩაგივარდებათ ფერხთქვეშ...

— ჩამივარდება და შევიწყალე, — წართქვა პიკროქოლმა.

— ძალიანაც კარგს იზამ, — სიტყვა მოუწონეს იმათ, — ოღონდ უნდა  
გაინათლოს. დაუყოვნებლად ქედსა მოიდრეკენ ძალისა წინაშე შენისა სამეფო-  
ნი ტუნისისა, ჰიპესიასი, ალჟირისა, ბონასი, კირენასი და ბარბარეთი სრუ-  
ლად. შემდგომ დააჩოქებ მაიორკასა, მენორკასა, სარდინიასა, კორსიკასა და  
ლიგურიისა თუ ბალეარის ზღვათა დანარჩენ კუნძულ-ჭალაკთ. მარცხენა ნა-  
პირისა გაყოლებაზედ დაიპყრობ და დაიმორჩილებ მთელ ნარბონის გა-  
ლიასა, პროვანსსა, ალობროგთა წყალ-ადგილსა, გენუასა, ფლორენციასა, ლუ-



კასა და რომიც უკვე იქავეა. ბედასლი უფალი პაპი შიშით უმაღლესულს განუტევეს.

— ჩემი თავისა მზემ, ფერხთ არ ვემთხვევი, — წართქვა პიკროქოლმა.

— იტალიას რა დაერგვით, მოითარეშებთ ნეაპოლსა, კალაბრიასა, აპულიასა, სიცილიასა და ზედ მალტასაც მიაყოლებთ. ნეტავ მაჩვენა ერთი, ვითარ მოიქნევენ ხმალსა ის საცოდავნი რაინდნი, ნაროდოსაღნი, და ვნახავ, რა სამჭედურშიც არიან ნაჭედნი!

— იქითგან სიამოვნებით მივაშურებდი ლორეტოს, — ჩაილაპარაკა პიკროქოლმა.

— არა, არა, — მიუთხრეს იმათ. — ეგ აქეთურობას უნდა ქნა. ჯერეთ უმჯობესია დავლაშქროთ კრეტა, კვიპროსი, როდოსი, ჭალაკნი კიკლადისა და შევუტოთ მორეასა. მერე მორჩა! წმინდა ტრენიანის მადლმა, ზენაარი იხსნის იერუსალიმსა! სად სულთანი და სად შენა!

— რახან ეგრეა, ახალად ავაგებ ტაძარსა სოლომონისასა, — თავი მოიწონა პიკროქოლმა.

— ცოტა დაიცა, — პირში სწვდნენ ისინი, — ერთბაშად ნუ გარდაწყვეტ ხოლმე. არ უწყი, ოქტავიანე ავგუსტუსი რას ამბობდა? *Festina lente*<sup>1</sup>, აჩქარებითა სოფელი არავის მოუჭამიაო. თავდაპირველად მიდი, დაიპყარ მცირე აზია, კარია, ლიკია, პამფილია, კილიკია, ლიდია, ფრიგია, მიზია, ბითვინია, ქარაზია, სატილია, სამაგერია, კასთამენა, ლუგა, სებასტა ვიდრე თვით ევფრატამდე.

— ყველა-ყველა, მაგრამ ბაბილონსა და სინას მთას თუ მოვიხილავთ? — ჭკითხა პიკროქოლმა.

— ჯერეთ რა დროს ეგენია, — მიუგეს იმათ, — ადვილად ხომ არა ჰგონებ პირკანიისა ზღვის გადალახვას, ორი არმენიისა და სამი არაბეთის გავლასა?

— ღმერთმან იცის, ჭკუაზედ ვერა ვართ! — შესძახა პიკროქოლმა. — უბედურება გვჭირს, უბედურება!

— ვითომ რათაო? — გაიკვირვეს იმათ.

— რათა და, ნეტავ რა უნდა ვსვათ იმა უდაბნოსა შინა? ამბობენ, იულიანე ავგუსტუსი იქა უწყლობამ თავის ჯარიანად ამოწყვიტაო.

— სუყველაყა ადრითვე ვიღონისძიეთ, — ისევ თავისას უბნობდნენ ისინი. — სირიისა ზღვასა შენი ცხრა ათას თოთხმეტი საზარლად დიდი ხომალდი მისდგომია, დედამიწისა ზურგზედ ყოვლისა უკეთესი ღვინით დასაპალნებული. იქავ უკვე მირეკილია ორი მილიონ ორასი ათასი აქლემი და ათას ექვსასი სპილო, რომელთ სიჯელმასისა მხარეში ნადირობისა ჟამსა შეიპყრობთ ლიბიაში მისვლასთანავე, და კიდევ უკლებლივ შენია, რაც კი მექას ქარავანი ვლიან. განა იმოდენა რა უნდა იხმიო, იმათ ვერა ზიდონ?

— მე და ჩემმა ღმერთმა, მართალია, — თანახმა გაუხდა პიკროქოლი. — თლონდ ეგ არი, ცივ-ცივი ღვინო არ გვექნება.

— დალაზვროს ეშმაკმა! — აჩოჩქოლდნენ ისინი. — ღვთის ტოლი კაცია, გმირთა გმირი, ლამის სრულად დედამიწას დაეპატრონოს და ხან მაინც

<sup>1</sup> დინჯად იჩქარე (ლათ.).



გულს აკლია. ღმერთსა მადლობა უთხარ, რახან შენი ლაშქრიანად ტიგროსამდე მშვიდობიანად მიხველ!

— ნეტავ ის ჩვენი მეორე ჯარი რაღასა იქმს, იმ ლოთმამაძალ გრანგუზიეს რომ შეუტია?

— ბუზთ არც იქა ყლაპავენ, — მიუგეს იმათ. — ცოტაც და, დავეწევით კიდევცა. შენთა კაცთ უკვე შეგძინეს ბრეტანი, ნორმანდია, ფლანდრია, ენო, ბრაბანტი, არტუა, ჰოლანდია და ზელანდია. ნაწილმა რაინი განვლო, მოლაშქრეთ სულ შვეიცარიელთა და ლანდსკნეხტთა გვამთა ზედა იარეს, ნაწილმა კი დაიპყრო ლუქსემბურგი, ლოთარინგია, შამპანი, სავოია, ლიონშიც შეიჭრა და გზად შენთა ლაშქართ გადაეყარა, ოდეს ისინი შინ ბრუნდებოდნენ ხმელთაშუა ზღვასა ზედა ძლევამოსილნი. ვინემ ბოჰემიაში შეერთდებოდნენ, ორივე ჯარმა წინწინ დაარბია შვაბია, ვიურტემბერგი, ბავარია, ავსტრია, მორავია და შტირია. მერმე თანაზიარად დაესხნენ ლუბეკსა, ნორვეგიასა, შვეციასა, დანიასა, გოტლანდსა, გრენლანდიასა, ისლანდიასა და თავად ყინულოვან ზღვამდის ცეცხლს მოაძოვინეს ყოველი. შემდგომად დაიჭირეს ორკადის კუნძულნი და დაიმორჩილეს შოტლანდია, ინგლისი და ირლანდია. მას უკანით გადაცურეს ქვიშიანი ზღვა, გადავლეს სარმატია და დაერივნენ პრუსიასა, პოლონეთსა, ლიტვასა, რუსეთსა, ვლახეთსა, ტრანსილვანიასა, უნგრეთსა, ზულგარეთსა, თურქეთსა და ამჟამად კონსტანტინოპოლში არიან.

— მაშ ჩვენცა იქით გავწიოთ! — შესძახა პიკროქოლმა. — არცა ტრაპიზონისა იმპერატორობა მაწყენს. ვითომ რა მოხდება, სულ დედაბუდიანად რომ ამოვწყვიტოთ ის ძაღლნი თურქნი და მაჰმადიანნი?

— რატომაც არა? — კვერი დაუკრეს იმათ. — რაც რამ ქონება და მიწაწყალი აქვთ, ადექ და შენთა ერთგულ კაცთ დაურიგე.

— ჩემი გონებაც მაგას მეუბნება და სამართლიანიც იქნება, — დასტური დასცა პიკროქოლმა. — თქვენად გამიხდია ყარამანია, სირია და მთლად პალესტინა.

— ოჰ, რა მოიფე ხარ, მეფეო! — ერთმანეთსა ლაპარაკს არ აცლიდნენ ისინი. — მადლობისა მეტი რა გვეთქმის! მარადჟამს სვიანად გამყოფოს უფალმა.

იქავ იყო ერთი ძველი აზნაური, სახელად ექეფრონი, მრავალჭირნახული და ბევრგამოვლილი კაცი, რომელსა გულმა აღარ მოუთმინა და გახსნა ბაგენი:

— დია მეშინის, იმ ერთ მეწუღესავით არ მოგივიდეთ, ვინაც რძიანი ქილა იპოვნა და გამდიდრება მოინდომა, მაგრამ ქილაც გაუტყდა და სულაც უსადილო დარჩა. მაინც რას მოიშოვებთ ვითომ ესდენ მრავალი დიდებული ძლევა-გამარჯვებითა? რა არი ბოლო თქვენთა ღვაწლთა და საგრობათა?

— რა არი და, რაჟამს დავბრუნდებით, ერთს გემრიელად განვისვენებთ, — წართქვა პიკროქოლმა.

ამისა პასუხად ექეფრონმა მიუგო:

— ვაითუ ვეღარ დაბრუნდეთ, მერე რაღასა იქმთ? დიდმა გზამ დიდი ხიფათი იცის. განა წაუსვლელობა და ეხლავ განსვენება არ აჯობებდა?

— ღმერთმანი, სულელია! — აენტო ულუ. — მაშ მივუსხდეთ ბუხარსა ჩვენთა დიაცთა გვერდით და მთელი სიცოცხლე ვასხათ მარგალიტი და ვარ-

თათ მატყლი, ვითარცა სარდანაპალმა. ვინცა ხიფათსა უფროთხის, ვერცა ცხენს იპოვნის და ვერცა სახედარსაო, უთქვამს სოლომონსა.

— ახლა ისიც მოისმინე, მოროლფმა რა პასუხი გასცა, — მიუგო ექეფრონმა, — ვინცა დიდსა ხიფათს შეეხმის, ცხენსაც დაჰკარგავს და სახედარსაცაო!

— კარგით! — გაჯავრდა პიკროქოლი. — წასვლა გვიჯობს. ოღონდ იმ ოხერ გრანგუზიეს ლაშქართ ვეშიშვი. ვინემ ჩვენ მესოპოტომიაში ვიქნებით, იმათ ზურგში თუ დაგვცხეს, მერმე რაღა ვქნათ?

— საქმნელი ჰქმენ, — სიტყვა ჩაურთო ტინგიცამ, — ადექ და მოკლე, ოღონდ სამუქარო წიგნი მისწერე მოსკოვიტიელთ, და სულ დარჩეული ოთხას ორმოცდაათი ათასი ვაჟკაცი უმაღ აქ გაჩნდება. არა მინდა რა, ერთი შენი მქნა, გაყურებინებდი სეირსა! წიხლქვეშ გავიგებდი, თმით ვათრევდი, ღდინს გავაგდებინებდი, ნიორწყლად ვაქცევდი, სიკვდილს მოვანატრებდი, დედას ვუტირებდი!

— აბა, აბა! — წართქვა პიკროქოლმა. — ჟამი არ ითმენს! ვისაც ჩემი სიყვარული გაქვთ, მომყევით!

#### თავი XXXIV

### ვითარ დაუტევა პარიზი ბარბანტუამ დასაცველად გაგულისა, და რარიზ ბაღამყარა გიმნასტი მტერსა

ზედ იმჟამად, მამისა მიწერილის გადაკითხვისთანავე პარიზით წამოსულმა გარგანტუამ, თავის უზარმაზარ ფაშატზედ ამხედრებულმა, უკვე ნონენის ხიდი განვლო მხლებლობით პონოკრატისა, გიმნასტისა და ევდემონისა, რომელთ ფოსტისა ბედაურნი წამოგყვანათ, რა არი ფეხდაფეხ მიჰყოლოდნენ უფლისწულსა. ბარგის ურემნი ჩვეულებითად ნელა ვლიდნენ, ბევრად-ბევრი წიგნი და ფილოსოფოსურნი იარაღნი მოჰქონდათ გარგანტუასი.

პარილეს რა მივიდნენ, მოიჯარადრე გუგესაგან იუწყა გარგანტუამ, ლაროშ-კლერმოსა შიგან გამაგრებულმა პიკროქოლმა მრავალნი ჯარნი წარგზავნა წინამძღოლობით მხედართმთავარ ტრიპესი ვედისა და გოგოდრის ტყე-ტევრთა ხელში ჩასაგდებად; იმათაც დაიპყრეს დასაპყრობი, დაარბიეს და აიკლეს შემოგარენი, ბილიარის მარან-საწნახელიც არ დაინდესო, უფრორე მეტი ბოროტი ჯერეთ ქვეყანაზედ არავის უქმნიაო. ამა ამბავმა დიდად დააფრთხო გარგანტუა, და შიშნეულსა ვერა მოეაზრებინა რა გზიანი. მაშინ პონოკრატმა ურჩია, წავიდეთ, უფალ დე ლავოგიონს მივადგეთ, ჩვენსა ძველსა მოყვარესა და თანამდგომს, სუყველაფერს წვლილად გვეტყვისო. და არღა დაყოვნებულან, ადგნენ და წავიდნენ. იმანაც მართლა ამცნო საცნობელი, შეწევნა აღუთქვა და უთხრა, უწინარეს დამზვერავნი უნდა გაგზავნოთ, ადგილსამყოფელი გასინჯონ მტრისა, და მერმე უკვე ვითარებისამებრ შეგუტიოთო. მზირად წასვლა თავს გიმნასტმა იღო, და წამს დაასკვნეს — საქმისა წაღმა დასატრიალებლად თან წაეყვანა ერთი იქაური ვინმე კაცი, ვინაც ზეპირ უწყოდა, საცა ერთი გზა, ბილიკი და წყალი იყო.

გიმნასტიც წავიდა, თან მეჯინიბე გაიყოლა ლავოგიონისა, სახელად აფრა-

კუნე, და, რა თვალს მიეფარნენ, მიპარვით გასინჯეს და დაზვერეს სრულად არემარე. ამაობაში გარგანტუამ მცირედ განისვენა, ცოტა დანაყრდა კიდევ თავის ხალხიანად და ბრძანა, ფაშატს მიმიხედეთ, შვრია მიჭმიეთ ერთი საწყაულიო, რამაც სამოცდათოთხმეტი მიუიდი და სამი ბუასო შეადგინა. გიმნასტი კი გზისა კეცვა-კეცვაში თანამყოლითურთ მტერთ გადააწყდა უცაბედად; არეულ-დარეულნი მარბიელნი დაურბეველს არას უშვებდნენ, ალაფობდნენ, სულწმინდად აპარტახებდნენ იქაურობასა და შორით გიმნასტი დაინახეს თუ არა, ეგრევე დუნდგოდ მისცვივდნენ და განძარცვა დაუპირეს. იმან კი დინჯად მიუთხრო:

— უფალნო, შეიწყალეთ ერთი უპოვარი კაცი! სად გაგონილა, უნიფხოსა ნიფხავსა ხდიდეთ. ორიოდ ეკიულა გადამრჩა, ავდგეთ და დავლიოთ, ტყუილად არ დაურქმევიათ aurum potabile<sup>1</sup>, და თუ აქეთ ჩამოვლისასაც მომთხოვთ, მაშინ აბა, ამ ჩემსა ცხენსაც გავყიდი. ნუ გამწირავთ, თქვენად მიგულეთ, რამეთუ ქვეყანაზედ ვერვინ მაჯობოს ვერცა აწაპვნაში, ვერცა გაყვლეფაში, ვერცა გატყავებაში, გაბდღვნაში, გამოწვლაში და თუგინდ ყელისა ჩაკოკლოზინებაში. ჩემი კარგი ფეხით მოსვლის სადღეგრძელო იყოს, სუყველას გაგიმარჯოთ!

ამის თქმა იყო, და მოხსნა გიმნასტმა თავი მათარასა თვისას, მოიყუდა და გემრიელად გადაუშვა. მეიავარენი ზარდაღებულნი და მწევარ ძაღლთაებრ ენაგადმოყრილნი შესცქეროდნენ, როდის გადმოგვაწოდებს და შეგვასმევსო. მაგრამ ზედდატანებაზედ ჯართუფროსი ტრიპე წამოადგათ; შესატყობრად მოვარდა, რა ამბავიაო. გიმნასტმა ნატის სასმისი მიაწოდა და უთხრა:

— შესვით, უფროსო, შიში ნუ გაქვთ, მე უკვე ვიხმიე, თავანკარა ლაფემონყოურია.

— მასხრად ასაგდები თავი ზედ გაბია! — შეუძახა ტრიპემ. — ვინ ოხერი ხარ ნეტავ?

— ერთი საწყალი კაცი ვარ, — მიუგო გიმნასტმა. — ნიფხავიც არ მაცვია. ეშმაკად გავჩენილვარ ქვეყანაზედ.


— რახან ეშმაკი ყოფილხარ, მაშ, აბა გზა მიტევია. — განაბჭო ტრიპემ. — ეშმაკისა გვარისამ არცა ბაჟი უწყის რამე და არც კიდევ ბეგარა. ოღონდ, უფალო ეშმავე, ეგ ცხენი რაღაც საშენოდ არ მემეტება, ჩამო, ჩამოხე და, თუ მხედრად არ მომიხდინა, თავად უნდა შემისვა და მატარო უფალმა ეშმაკეულმა, რამეთუ დია მიყვარს, ოდეს ეშმაკს ვაზივარ.

თ ა ვ ი X X X V

**პ ი თ ა რ ხ ე ლ მ ა რ ჯ ვ ე ლ მ ო ა კ ვ ლ ი ნ ა გ ი მ ნ ა ს ტ მ ა  
მ ხ ე ლ ა რ თ მ თ ა ვ ა რ ი ტ რ ი პ ე ლ ა ს ხ ვ ა კ ა ც ნ ი პ ი კ რ ო ქ ო ლ ი ს ა**

გიმნასტისა თქმულისაგან მთლად დაფრთხნენ ზოგ-ზოგნი, თვალწინ მართლა კაცისფერი ეშმაკი დაუდგათ და ზარხდომილთ ორივე ხელით იწყეს პირჯვრისა წერა. ერთ-ერთმა კი, სახელად ჟოან ქველმა, სოფლისა ხელჯოხიანთ-

<sup>1</sup> სასმელი ოქრო (ლათ.).



უხუცესმა, საბიძლითგან ლოცვანი ამოაძვრინა და ხაფად შეჰყვირა:

— Agios ho Theos! <sup>1</sup> უკეთუ ღვთის მოგზავნილი ხარ, მაშ იუბნე! თუ არადა; განვედ ჩვენგან!

მაგრამ გიმნასტი არც განძრეულა; თავად იმათგან ბევრნი წავიდ-წამოვიდნენ, ის კვალად იდგა, ხმასა კრეფდა და გულის ფიცარზედ იჭდევდა სუყველაფერს.

მერმე, ვითომ ძირს უნდა გარდავხდეთ, მხარმარცხნივ გადაიდრიკა, წელდაშნიანი ცქვიტად შეტრიალდა უზანგში, ცხენს მუცელქვეშ ამოევლო, შეხტა და ორივე ფეხით პირუკულმა დადგა უნაგირზედ. დადგა და, ჰაი დედასაო, შეჰყვილა.

ამა შეყვივლებაში ერთი ცალ ფეხზედ შეითამაშა, ხელმარცხნივ იბრუნა პირი და თვალისა დახამხამების უმაღლეს იმავ მდგომარეობაში მიიქცა, თავდაპირველად რომ იყო. მაშინ ტრიპემ წართქვა:

— ჰმ! სულაც არ მეხტუნავება!

— ფუ! — დასჭექა სანერწყველი სიტყვა გიმნასტმა. — რაღაც არ გამომივიდა. სხვარიგად ქმნა მიჯობს.

ამის თქმა იყო, და ფარსაგი ძალა მოიცა, სიმარჯვითაც დია იმარჯვა და უწინდებურად ჩამოხტა, ოღონდ ეხლა მხარმარჯვნივ გადაეშვირა. მერე მარჯვენა ხელისა ცერი უნაგირის ტახტას გამოსდო, მთელი ტანით აიჭიმა, და, მარტოოდენ ცერი თითისა იოგთა და შეშაძარღვთ დანდობილი, სამჯერ გადატრიალდა ჰაერში. მეოთხედ უკვე არას მიჰკარებია, ისე გადავიდა ალაყ-მალაყსა და ცხენისა ყურებშუა გაჩერდა თავდაყირა. მას უკან მარცხენა ხელისა ცერა თითს დაეყრდნო იმოდენა კაცი და, ვითომ ვფარიკაობ და მტერს ვიგერიებო, წრე დაარტყა დაშნაამოწვდილმა, ბოლოს კი მარჯვენა ხელისგული უნაგირსა შუაში დაჰკრა და ცხენსა გავაზედ მოექცა, დიაცურად წამოჯდა.

შემდგომად ამისა მარჯვენა ფეხი ძალდაუტანებლივ გადაატარა უნაგირსა და გავაზედ ამხედრებულ ცხენოსანს დაედარა.

— არა, არა, — წართქვა, — ტახტასა და ტახტას შუა დაჯდომაა ბიჭობა.

თქმა და ქმნა ერთი იყო, ორივე ხელისა ცერა თითნი ტაიჭისა გავას დააბჯინა, ყირამალა გადატრიალდა და მართლა ტახტათა შუა მოიკალათა წესისამებრ. მერმე ერთი აიქნია ტანი, ზეწამოიჭრა უნაგირზედ, ფეხი ფეხთან მიდგა და გულხელდაკრეფილი რატო ასჯერ მაინც არ გადავიდა ყირას ყვირილთა და ძახილთა:

— თავს ველარ ვიჭერ, ქასქანჯიელნო! აბა, დამიჭით, თუ დამიჭერთ!

ვინემ ის გაჭენებულ ცხენზედ ხლტოდა, მეიავარენი თავზარდაცემულნი უბნობდნენ:

— ლუსკუმისა მადლმა, ან ეშმაკისფერი კაცია, ან კიდევ კაცისფერი ეშმაკი! Ab hoste maligno libera nos, Domine!<sup>2</sup>

ბოლოს ყველანი თავქუდმოგლეჯილნი გაცვივდნენ, ზოგი აღმა გარბოდა, ზოგიც დაღმა და თან უკან იცქირებოდნენ, რარიგადაც ძალღმა იცის, ოდეს ნაქურდალსა ფრინველს რასმე მიარბენინებს.

მაშინ გიმნასტმა ხელსაყრელ ვითარებაში იგრძნო თავი, ცხენიდან ჩა-

<sup>1</sup> ღმერთო დიდებულო! (ბერძნ.).  
<sup>2</sup> მაცდურისაგან გვიხსენ, უფალო! (ლათ.).



მოხდა, დაშნა იშიშვლა და დაერია კუდამოძუებულთ; ვინაც კი წარჩინებულად დაიგულა, ეკვეთა და უგმირა მახვილი, ზედაგორა დადგა მოწყულთა, დაკოდითა და განგმირულთა, რომელთაგან არცვის ხელი გამოუღია და არცვინ წინაღდგომია, რამეთუ სუყველას შიმშილით დაყმენდილი ეშმაკეული ეგონა, რაკილა ესდენ გასაკვირვებლად ხტებოდა დაოთხილ ცხენზედ და ტრიპემაც რომ ეშმაკის გვარისად ახსენა ლაპარაკში; ის კი არა, ცოტას გაწყდა, ტრიპემ თავისა სარჭველი არ გაუპო, ისე მზაკვრულად დაჰკრა თავისი ლანდს-კნებტური გორდა. მაგრამ გიმნასტი ჩაჩქანმა იპატია და ხრმლისა სიმძიმისა გარდა არა უგრძენია რა; დაკვრა შენ ჩემი ნახეო, ფიცხლად მოუტრიალდა და, სანამ ხსენებული ტრიპე მკერდზედ პოლოტიკს ისწორებდა, შიგ მუცელში აძგერა დაშნისა წვერი, აძგერა და ეგრევე გაუგმირა კუჭი, კოლინჯი და ნახევარღვიძლი, რაისა გამოც ტრიპესა მუხლნი მოეკვეთა და გადაიქცა, გადაქცეულმა ბარე ოთხი კოჭობი შეჭამანდი გადმოაქცია და სულიც თან გააყოლა.

გიმნასტი კი იმავე ჟამსა განშორდა იქაურობასა, რადგანაც ჰგონებდა, ბედსა თუ გაუდიდგულდი, ზურგისა შექცევა იცისო, და ყოველსა რაინდსა მართებს გამარჯვებასა თვისას გაუფრთხილდეს, იკმაროს და არა მიჰქაროს რაო; მართლაც და, ხანი არღა დაუხანებია, ფიცხლად მოახტა ტაიჭსა, ჰკრა დეზი, პირდაპირ ლავოგიონისკენ მოქუსლა და აფრაკუნეც უკან აიღევნა.

თავი XXXVI


**პითარ ღააქცია ბარგანტუამ ქავ-ციხე ვედის ფონისა, და პით გავიღწენ ფონსა ემოგარნი მისნი**

დაზვერვითგან დაბრუნებულმა გიმნასტმა წვლილად აუწყა ბატონიშვილს მტრისა ასავალ-დასავალი და არცა თავისი ეშმაკობისა ამბავი დავიწყნია, როგორ გაუმკლავდა მარტოდმარტო უზღვავე ლაშქარ-მხედრობასა, თანვე დასძინა, ყველანი მამაძაღლნი, მძარცველნი და ავაზაკნი არიანო, სამხედრო საქმისა არცრა გაეგებათ რაო, ეხლავ ადექ, წაასხი ხალხი და უშიშად შეუტიეს სულ ადვილად ამოხოცავ, ვითარცა ხვასტაგსაო.


ყოველივე რა მოისმინა, გარგანტუა მსწრაფლ ამხედრდა თავისა უშვერად დიდ ფაშატზედ, გაიყოლა ზემორეჩამოთვლილნი თანამოსაგრენი და გზას გაუდგა. გზად ერთი უშველებელი და განზედ ტოტებგართხმული ხე დაინახა (რომელსა ხალხი წმინდა მარტინისად უხმობდა, რამეთუ იმ ხედ ოდესღაცა წმინდა მარტინისაგან მიწაში ჩარჭმულ კვერთხსა ეხარა) და ტაში შემოჰკრა: რასაც ვეძებდი, მივაგენ, ამ ერთი ხიდან არგანსაც გამოვიყვან და შუბსაცაო. მივარდა და, ვითომც არაფერიო, ძირიანად მოგლიჯა, გასხიპა, თავის გუნებისად გაქერქა, გაათეთრა.

ამაობაში ფაშატსა ფსლისა დათხევა მოუხდა, მიდგა და იმოღენი დაათხია, მალე შვიდ მილზედ დაიტბორა გარეშემონი, და ვედისა ფონს შერთულმა შარდმა ისე აადიდა წყალი, მტერსა თავზარი დაეცა და სუყველა ამოიხრჩო, გარდა თითო-ოროლა კაცისა, რომელთ მარცხნივ ქნეს პირი და სერ-სერ გაიჭრნენ.

ოდეს გარგანტუა ვედისა ტყეს მიეახლოვა, ევდემონმა ყურად მიაწვდი-



ქართული  
ლიტერატურის  
სამეცნიერო ცენტრი



ნა, ზოგ-ზოგნი მტერნი ქავ-ციხეს შეეფარნენო. მაშინ, აბა მართლა იქ არიან თუ არაო, გარგანტუამ ხმა გაიხაფა:

— მანდა ხართ თუ მანდ არა ხართ? თუ მანდა ხართ, ბრალი თქვენი; თუ არა ხართ, რაღა მეტქმის.

ღიაღაც აქა ვართო, ნიშნი მოუგო გარგანტუას ერთმა ოხერმა მეზარბაზნემ, გალავნისა დოლაბთან მდგომარემ, მიაშვირა ზარბაზანი და პირდაპირ

მარჯვენა საფეთქელში მოახვედრა ჭურვი; მაგრამ გარგანტუას არცა სტკენია, თითქოს ყუმბარა კი არა, ქლიავისა კურკა მოარტყესო.

— რა ამბავია! — შეუძახა. — რა ყურძნისა სროლა აგიტყდათ? ავად გამცვრევენებთ, ღმერთმანი!

იმას მართლა ეგონა, ყურძნისა მარცვალთ გვესვრიანო.

მეიავარენი კი ზედდატანებით ნადავლ-ნაძარცვსა იყოფდნენ და, გნისი რა შეესმათ, გალავანთა და კოშკთა ზედან აცვიფდნენ, ააყეფეს ფილთამეხნი და ქვემეხნი, ბათქაბუთქი აუყენეს გარგანტუასა, ცხრა ათას ოცდახუთჯერ და კიდევ უფრორე გარდამეტად ესროლეს, სულ თავში უმიზნებდნენ, და ეგზომ ხშირი სროლით შეღონებულმა გარგანტუამ შეჰყვირა:

— ძმაო პონოკრატ! ეს რაოდენი ბუზი სცოდნია ამ მხარეში, თვალთ მიჭრელდება! მიდი ერთი, ტირიფისა ტოტი ჩამომიტეხე, გავუქშიო.

ბრპენისა და ქვისა ბირთვნი იმან ბუზანკალთ დაადარა, სხვად ვერად წარმოიდგინა, და პონოკრატმა უთხრა, რა ბუზანკალნი, რის ბუზანკალნი, ციხითგან ზარბაზანთ გვესვრიანო. მაშ, რახან ეგრეაო, წინ წადგა გარგანტუა და დაუშინა თავისი ვეება არგანი ქავ-ციხესა, დაუშინა და დასცა, მთლივ დააქცია გოდოლ-კოშკ-გალავნიანად, შიგან მყოფნი კი სრულად ერთმანეთში აღინთა.

მერმე დაავდო გარგანტუამ დაქცეული ქავ-ციხე, წავიდა თავის ხალხიანად და, როს გაშორებით ფონთან წისქვილსა მიადგნენ, ყველანი სახტად დარჩნენ — ვინცა ვინ ფაშატისა ფსელდილობას დაეხრჩო, წყალსა სულ იქ ჩამოეტანა და წისქვილისა სათავე ჩაეხერგა. ერიჰაა, ფონი გასავალს არისო, იფიქრეს, აქ იმოდენი გვამი ყრია, წიად გასვლა გაჭირდებაო. კარგა ხანს განაბჭობდნენ: ზოგი რას უბნობდა, ზოგი რასა და ბოლოს გიმნასტმა გამოუცხადა:

— უკეთუ აქა ეშმაკნი გასულან, მეც ლამაზად გავალ.


— ეშმაკნიც გასულან და სათაელნიც, — მიუგო ევდემონმა. — განსჯილთა სულნიც თან წარუტანიათ.

— წმინდაო ტრენიან! — აძრახდა პონოკრატი. — მაშ, აბა გიმნასტიც გასულა და ეგ არი.

— დარდი ნუ გაქვთ, — მიუთხრო გიმნასტმა. — ისე გავალ, მზე მალლა იქნება.

და ჰკრა ტაიჭსა ქუსლი, ჰაიტ, წიად მყვანებელოო, დასწყვივლა, უკრძალავად შეავდო წყალში, და ტაიჭიც არ დამფრთხალა, მკვდართაგან უკრთომელი გაიჭრა გაღმა, რამეთუ სწავლისამებრ ელიანისა, ისერიგად იყო გიმნასტისაგან გაწვრთნილი, არცა გვამი აშინებდა და არცა სული გარდაცვალებულისა. ოღონდ გიმნასტი ამისთვის კაცთ კი არა ხოცავდა, ვითა დიომედე იქმოდა, თრაკიელთა შემმუსვრელი, ანდა ოდისევსი, რომელიცა, ჰომეროსისა თქმით, მოკვდინებულ მტერსა ფეხით გაატანინებდა ხოლმე თავის ბედაურსა, არამედ ძნა-თივაში საფრთხულს ჩადგამდა და ზედ გადაჰყავ-გადმოჰყავდა ცხენი, შვრით მიხმობილი.

სამთა თანამავალთ კუდში მისდიეს იმას და მშვიდობიანად გავიდნენ; ვაგლახად შებრკოლდა მარტო ევდემონი, რომლისა ცხენსაც მუხლამდე ჩაუვარდა მარჯვენა ფეხი ერთი გულადმა გაწოლილი ოყრაყისა ფაშვში და ვერაგზით ვედარ ამოიღო, ვინემ გარგანტუამ თავისი არგნის წვერით წყალში არ



ჩაძირა იმა არამზადის შინაგნობისა დანაშთენი, და, რა ჩაძირა, ცხენმა განი-  
თავისუფლა ფეხი და განეკურნა კიდევაცა (მსგავსი რამ ჯერეთ არ მომხდარა  
ჰიპიატრიაში), თავისით მოსძვრა ზედ გამოსული ძვალკორძი: ეტყობა, რადგან  
მიეკარა, წამლად ექცა შიგნეული იგი.

თავი XXXVII

**ვითარ ჩამოივარცხნა გარგანტუამ თავში ჩარჩენილნი  
ბირთვნი ზარბაზნისა**

ფონსა გასულნი ვედისა წყალს ნაპირ-ნაპირ გაჰყვნენ და მალე მოიხი-  
ლეს კიდევ ციხე-დარბაზი გრანგუზიესი, რომელიცა წამისწამ იმათი მომლო-  
დინე იყო და მყის ნადიმად დასხა ყველანი. დასხა და, ქუდი ჭერსა ჰკრეს,  
იმისთანად, ტყუილია, არცროდის არვის მოუღბენია ქვეყანაზედ; ის კი არა,  
მომღვაწებელი Supplementum Supplementi Chronicorum<sup>1</sup>-ისა ამტკიცებს,  
გარგამელა სიხარულს გადაჰყვან. მე ჩემდა თავად, ღმერთი, რჯული, არა გა-  
მიგია რა და სულაც არა-მგამა.

ოდონდ ერთი უსაცილოდ ცხადყოფილია: ოდეს გარგანტუამ ტანსაცმე-  
ლი გამოიცვალა, მერმე ახლა ხელთ სავარცხელი მოივარგა (თავისა დასაფ-  
ხანი იგი სიგრძით ორი ადლი იყო, კბილებად ერთობილი სპილოს ეშვები  
ესხა) და თითო ჩამოვარცხნაზედ, სულ ცოტა, შვიდ-შვიდი მაინც ჩამოვარ-  
ცხნა ბირთვი ზარბაზნისანი, ვედისა ტყეში ბრძოლისა ჟამს თმაში ჩარჩენილ-  
ნი. ამისა შემყურე გრანგუზიემ იფიქრა, დასტურ მკბენარი დაჰხვევიაო, და  
უთხრა:

— შვილო, მონტეგიუს ტამაზლუხნი რამ მოგარეკინა? შენი იქ ყოფნა  
ეჭვადაც არა მქონია.

ამაზედ პონოკრატმა მიუგო:

— მეფე-ბატონო, ცუდად გიფიქრიათ. მონტეგიუდ სახელდებულ ტი-  
ლიან კოლეჟში რა მიმავანინებდა. ბარემ წმინდა ინოკენტის მთხოვართ მი-  
ვაბარებდი, რაღა მუნებურ სიდუხჭირესა და უწყალოებაში ჩამეგდო. მაგრანი  
და თათარნი კატორღელთ უფრორე კარგად ექცევიან, არცა დილეგში ჩა-  
ყრილნი მკვლელნი არიან უარესად და, რაღა თქმა უნდა, თქვენსა კარზედ  
ძაღლთ არ ეპყრობიან ისერიგად, ვინემ იქ მოხვედრილ ბედშავთ დღე ადგათ.  
არა მინდა რა, ერთი მეფედ დამსვა პარიზში, და ეშმაკისა კერძიმც მქნა,  
უკეთუ სულ არ ამოვბუგო ეგ რაღაც ოხერი კოლეჟია თავის უფროსიან-ზე-  
დამდგომელიანად, რომელთა თვალთა წინარეც ამისთანა სასტიკობა  
ხდება.

მერმე მან იქავ ძირს დავარდნილ ბირთვსა დაავლო ხელი და წართქვა:

— აი ამ ბირთვთ სტყორცნიდა მუხთალი მტერი შვილსა შენსა გარგან-  
ტუასა, როს სავალი გზა ვედის ტყეზედ ედო. თუმცაღა ძვირად კი დაუჭდა  
ვერაგობა, ყველანი დაქცეულმა ციხემ დაიტანა, ვითარცა სამსონისა მოხერ-  
ხებით დაღუპულნი ფილისტიმელნი, ანდა ის კაცნი, რომელთ სილოამის გო-

<sup>1</sup> დამატებანი „წელთაღწერის“ დამატებათა (ლათ.).

დოლი დაეცათ, რაზედაც თქმულია ლუკას სახარებისა მეცამეტე თავსა შინა. და რაღა გავაგრძელო, სანამ ბედი გვწყალობს, ვგონებ, უნდა ავდგეთ და დავედევნოთ, თორემ იღბალსა თმა შუბლზედ ასხია, წამიერ თუ არ წასწვდი, ხელითგან წასულს ვეღარას უზამ — უკანით ქაჩალია, პირით კი უკვე არღა მოგიბრუნდება.

— ეგრე იყოს, ოღონდ ეხლავ არა, — უთხრა გრანგუზიემ, — აწვე საღამოს პატივისცემა მწადს თქვენი.

ამის თქმა იყო, და მოიღეს ვახშამი, გარდა სხვა ათასი რამისა, შეწვეს და სუფრაზედ მოიტანეს თექვსმეტი ხარი, სამი დეკეული, ოცდათორმეტი მოზვერი, სამოცდასამი ციკანი, ოთხმოცდათხუთმეტი ჭედილა, სამასი ძუძუს გოჭი თავის ტყემლის საწებლიანად, ორას ოცი გნოლი, შვიდასი ცხრატყავა, ოთხასი ლუდენური და კორნუალური ყვერული, ექვსი ათასი ვარია და იმოდენივე მტრედი, ექვსასი ყრუნი, ათას ორასი კურდღელი, სამას სამი სავათი და ათას შვიდასი წყვილგამოსხმული ყვინჩილა. გარეული ნადირ-ფრინგლისა ხორცი ერთბაშად საკმარი ვერ მოიშოვეს, დაღათუმცა ტიურპენეს სააბატოს წინამძღვარმა თერთმეტი ტახი გამოუგზავნა, სენიორ დე გრანმონმა თვრამეტი დათვი შესძღვნა, სენიორ დეხესარმა ას ორმოცი ხობობი მართვა, კარგა ბლომად მოუგროვდათ ქედან-გვიძინიც, აგრეთვე წყლისა ფრინველი, იხვინჯა, ყარაულა, კრონშნები, მეჭვავია, ღურაჯი, დერღეტი, არ აკლდათ არცა დიდ ლიად და პრანწიად ხმობილნი ჩიტნი, გარიელი, ყერო და ყანჩა, თავის ჭუჭულ-ბუჭულიანად, წყლისა ქათამი, ოყარი, ყარყატი, სარსარაკი, წითელფრთიანი ფლამინგო (ანუ ფენიკოპტერი), ინდაური და კიდევ სხვაც უხვად იყო შემწვარ-მოხრაკულ-ჩახობილ-ჩაქაფული.

საჭმელი მრავლისა უმრავლესად მოდიოდა და მოდიოდა, მონადიმენი დია უქებდნენ ხელსა გრანგუზიეს მზარეულთ, სახელად ხვლებიას, ტვლებიასა და ლოკიასა.


ჟანო, მიქელი და ვერნეტი მწდგობდნენ, ერთმანეთსა ღვინისა დასხმას არ აცლიდნენ.

### თავი XXXVIII

#### პითარ შაყოლა გარბანტუამ სალათას ანუ ტაბუცუნსა მქვისი მწირი

აწ ჯერ არს დავდგე და ვიუბნო ამბავი ექვსი მწირისა, რომელნიცა სანსებასტიანიდან მოვიდნენ, ნანტის მახლობლად რომ არი, და მტერთაგან ზარხლომილნი ღამის გასათევად ბოსტანში ბარდას შეეფარნენ კომბოსტოსა და ყრდელს შუა. ზედდატანებით გარგანტუას ყელისა ჩასველება მოესურვა და შინაკაცთ ჰკითხა, სასალათედ ყრდელსა თუ ვიშოვითო. ხოლო პასუხად რა ესმა, დედამიწის ზურგზედ ყოვლის უფრორე უკეთესი და ყოვლის უფრორე დიდი ყრდელი ჩვენში გვარობს, ღორქლიავას და კაკლისა ხის ხელა ხარობსო, ადგა და თვითონ წავიდა, თავის გუნებისად გაგლიჯა. ყრდელსა თან ის ექვსი მწირიც გამოაყოლა, ყველანი შიშით გაყურსულ-გალურსულნი.

ჩაყარეს ყრდელი რუში გასარეცხავად, და აუტყდათ მწირთ ჩურჩულ-



კურკური: „რა ვქნათ, რა წყალში ჩავცვივდეთო? მეტსა რადას ჩავცვივით, ვიხრჩობით კიდევცაო. ხმა რომ ამოგველოო? ხმას ამოიღებ და, მსტოვარნი ვეგონებით, ოთხში ამოგვიღებენო“. სანამ ისინი განაბჭობდნენ, გარგანტუამ მოუსვა ხელი და ეგრევე ყრდელთან ერთად გადაუძახა სიტოურ კასრსავით უძირო სასალათეში, მერმე ზეთითა და ძმრით შეაგემა, მოაყარა მარილი და, სავახშმოდ ცოტა ღონეზედ მოვალო, ყბა მოუქნია, ყბისა ქნევა-ქნევაში კი მწირთაც თქლაფათქლუფი აუყენა, ხახაში მოიქცია ხუთნი. მეექვსესა ყრდელისა ფოთოლი აეფარებინა, თავს იმაღავდა, მაგრამ არგნისა წვერი გამოეშვირა. გრანგუზიემ თვალი შეასწრო და გარგანტუას უთხრა:

— ვგონებ, რქაა ლოკოკინასი, არ შეჭამო.

— ვითომ რატომაო? — სიტყვა ჰკადრა გარგანტუამ. — ძალიანაც გემრიელია ამ დროს.

თქმა და ქმნა ერთი იყო, გაიქანა არგანი პირში და მწირიანად მიირთვა ჩემს სახელობაზედა; ზედ ერთი გემრიელად უშუშუნა ღვინოც დააყოლა, ზღვად ჩაიქცია სტომაქში და დაჯდა პურისმტეთა თანა, ვახშამს დაუწყო ლოდინი.

ესეგვარად პირისა ღრანტეში ჩაყრილნი მწირნი ძლივს გადაურჩნენ კბილთა დოლაბთა ბრუნვასა და, როს გონს მოვიდნენ, იფიქრეს, სადლაც ჯურღმულში ვართ პატიმარქმნილნიო; ხოლო რაჟამს გარგანტუამ ღვინო გადაყლურწა, იმათ გული გაუსკდათ, დასტურ დავილუბეთო, და მართლაც, ცოტას გაწყდა, ღვინისა ნიაღვარმა გარგანტუას მუცლისა უფსკრულში არ ჩაიტანა ისინი. ჩატანით ჩაიტანდა კიდევაც, ოლონდ ცქვიტად მოიქცნენ და საბჯენელჯოხმომარჯვებულთ, ვით წმინდა მიქაელისა მწირთ, იმოდენი იხტუნეს ადგილ-ადგილად, როგორც იყო, თავი დააღწიეს ქვესკნელსა და კვალად კბილთ მიადგნენ. ეშმაკად, ერთი მწირთაგანი გზას არგნით იგნებდა, ემანდ სადმე ჩასავარდნი არ იყოსო, და ანაზდად შიგ ჭიან კბილში ჩაჰკრა, თანვე ლაწვისა ძვლის მგრძნობელ ძარღვსა მოსდო, და გარგანტუა ტკივილმა გააგიჟა, იმისთანა ღრიალი მორთო, მაღლა ცა ინგრეოდა, დაბლა დედამიწა. ეგებ ცოტა მაინც დავიამოო, იმავე წამს ტანტრაბეჩი მოატანინა, კაკალქვეშ გაიბოტა და უფალნი მწირნი წამისყოფით ამოიჩიჩქნა. პირველი რომელიცა მოხვდა, ფეხით დაითრია, მეორე ბეჭისთავითა, მესამე აბგით ამოაკონწიალა, მეოთხე მახალ-მანდიკითა, მეხუთეს აშურმაში გაუყარა. ის ბედშავი კი, ვინაც არგანი სდრუზა, საბიძლით დაზიდა. რალა ბევრი გავაგრძელო, შარი ხეირად ექცა, რამეთუ მწირმა ხელაღებ გამოურწყო ჩირქისა ბუდე, რომელმან ფრიად შეაღონა იმის მერე, რაც ანსენი გამოვლეს.

ამოჩიჩქნილნი მწირნი თავქუდმოგლეჯილნი გაეშვნენ ვენახ-ვენახ, გარგანტუას კი უმალ დაუამდა კბილი.

ზედ იმჟამად ევდემონმა სავახშმოდ უხმო, სუფრა უკვე გაშლილიაო.

— დაიცა, ჯერეთ სიმწრისა მომაფსმევინე, — გასძახა გარგანტუამ.

და იმისთანა გადააკოკისპირულა, მწირთ გზა გადაეჭრათ, რის ვაივაგლახით განვლეს ღვარ-გოჩგოჩინა. ფსელდიდობას გადარჩენილნი იქავ ნელინელ ტყისა პირს დაუყვნენ და ფურნილიეს გარდა ყველანი სამგლედ დარწყმულ სარეგვავში ჩაცვივდნენ. მახე-სარეგვავსა შიგან ბევრი იფხაკურეს, მაგრამ ერთადერთი, რამაც იხსნა, ჰკუა იყო ხსენებული ფურნილიესი, რომელსა ბედად ღონეც ეყო და დაწყვიტ-დაგლიჯა საბელ-საკოჭურნი. მერმე წავიდნენ,



კუდრეს შორიასლო ქოხი რამ ნახეს, ის დანარჩენი ღამე იქ დარჩნენ და მაშინ აღახვნა პირი ერთმა, ხელგვიანად სახელდებულმა, ტკბილი სიტყვით ნუგეშინი სცა ჭირში მყოფთ მოძმეთ, თანვე დაჭეშმარიტებით უთხრა, ყოველივე ჩვენი გარდასავალი დავითისა ერთ-ერთ ფსალმუნშია წინათვე ნაუბარიო:

— Cum exurgerent homines in nos, forte vivos deglutissent nos<sup>1</sup>, — როს მარლწაყრილ სალათას შეგვაყოლეს, იმაზედ უთქვამს; cum irasceretur furor eorum in nos, forsitan aqua absorbuisset nos<sup>2</sup>, — როს კარგა ბლომად გადაყლურწა, იმაზედ არი; torrentem pertransivit anima nostra<sup>3</sup>, — როს დიდროა გადმოვლახეთ, ის არი სწორედ თქმული; forsitan pertransivit anima nostra aquam intolerabilem<sup>4</sup> — შარდისასა მისისა, ოდეს გზა გარდაგვიჭრა. Benedictus Dominus, qui non dedit nos in captionem dentibus eorum. Anima nostra sicut passer erepta est de laqueo venantium<sup>5</sup>, — აქ სარეგვავი იგულისხმების; laqueus contritus est<sup>6</sup> მარჯვენითა ფურწილიესი, et nos liberati sumus. Adjutorium nostrum...<sup>7</sup> და სხვ.

თ ა ვ ი X X X I X

**პ ი თ ა რ მ ი ა გ ო ბ ე რ ს ა კ ა ტ ი ვ ი გ ა რ გ ა ნ ტ შ ა მ დ ა პ ი თ ა რ  
მ ნ ა მ ზ ე ო ბ ღ ა ბ ე რ ი ვ ა ხ შ ა მ ზ ე დ**

გარგანტუა სუფრას მიუჯდა თუ არა და გატეხა პური, გრანგუზიე პიკროქოლთან ომის ამბავსა და მიზეზს მოჰყვა და როს ისიც მიუთხრო, ვითარ სძლია მტერი ძმა ჟანმა ბდღვირისმდენელმა სააბატოს მამულის შეწევნისა ჟამსა, ღია აღიადა იგი და ვაჟკაცობით კამილოსსა, სციპიონსა, პომპეუსსა, კეისარსა და თემისტოკლეს დაამჯობინა. მაშინ გარგანტუამ მსწრაფლ მოყვანა ითხოვა ბერისა, ვკითხოთ ერთი, აწ რაღა ვქნათ, რა გზას დავადგეთო. წადილისამებრ მისისა, ბერის მოსაგვრელად სახლთუხუცესი გაეჩქარა და მალე ორივენი ერთად მოვიდნენ გულმხიარულნი. ძმა ჟანი გრანგუზიეს ჯორზედ იყო ამხედრებული და ხელთ ჯვრის ძელი ეჭირა.

ამას ვისა ვხედავთო, მოსულს ფრიადი სიხარულით შეეგებნენ, გულში იკრავდნენ, მიირქმევდნენ, ხელს ართმევდნენ, მოიკითხავდნენ:

— ვინც მოვიდა, გაუმარჯოს! მართლა კაცი ხარ, ძმაო ჟან! მოდი ერთი, გაკოცო, ძმაოსან!

— მოიწი, გადაგეხვიო!

— აი ნახავ, თუ არ დაგახრჩო, შე სახეძალლო, შენა!

ძმა ჟანი კი გულიანად კუჭკუჭებდა, მეორე იმისთანა ზნეკეთილი და ზრდილი ტყუილია!

1 რაჟამს კაცი აღდგებოდნენ ჩვენზედ, ცოცხლადვე გვშთანთქამდნენ ყოველთ (ლათ.).  
 2 რაჟამს გულისწყრომას განარისხებდნენ ჩვენზედ, წყალნი გვშთანთქამდნენ ეგრეთ (ლათ.).  
 3 ღვარსა განხდა სული ჩვენი (ლათ.).  
 4 განხდა სული ჩვენი წყალთა დაუდგრომელთ (ლათ.).  
 5 კურთხეულ არს უფალი, რომელმან არ მიგვცა ნადირად კბილთა მათთა. სული ჩვენთ ვითარცა სირი განერიდა მახესა მასა მონადირეთასა (ლათ.).  
 6 საბრხე შეიმუსრა (ლათ.).  
 7 და გადავრჩით (ლათ.).



— აბა-ჰა! — წართქვა გარგანტუამ. — სტუმარსა სკამი მომირთვით, აქავ დამისვით გვერდით.

— ნება თქვენია, — მიუგო ბერმა. — საცა მიბრძანებთ, იქ დავფერხდები. პაუო, წყალი მოიტა! დაასხი, შვილო, დაასხი! ცოტას ღვიძლზედ მარგებს. მომე, ბარემ ყელშიც გამოვივლებ!

— *Deposita cappa*, — უთხრა გიმნასტმა, — ჩოხა განიძარცვე!

— უჰ, ღმერთმა დამიფაროს! — შეიცხადა ბერმა. — ვერა, მაგას ვერ ვი-  
ზამ, მეუფეო, *in statutis Ordinis*<sup>1</sup>-ში მთელი ერთი თავია თქმული, არამც და არამც არ განიძარცვოთო.

— ჯანდაბას ეგ თქვენი თავი! — გაცხარდა გიმნასტი. — ხო უყურებ, ზეჭებში გიჭერს, განიგდე, რა ძალა გადგას!

— ვერა-მეთქი, ჩემო კეთილო, — ჰრქვა ბერმა, — მეცვას, ნუ გამახდე-  
ვინებ. ამიანად უფრორე კარგად მესმევა, ტანსაც უხარის. უკეთუ განვიძარ-  
ცვავ, უფალნი პაჟნი სულ საღეკვერთზედ დასჭრიან, ვითარცა ერთხელ უკვე  
დამემართა კულენში. უანაფოროდ კრიჭა მეკვრის, ანაფორიანად კი, ზიარებისა  
მადლმა, შენსა სადღეგრძელოსაც დავლევ და შენის ცხენისასაც! მამაზეცი-  
ერი გფარვიდეთ პატიოსან პურისმტეთ! ნავახში ვარ, მაგრამ რა ვქნა, მაინც  
გეახლებით, ჩემი მოკალული ფაშვი უძიროა, ვითა წმინდა ბენედიქტეს წალა,  
და ნიადაგ ხსნილია ჩასაყრელად, ვითა ქისა ვეჭილისა. თევზთაგან, ვიცი, კა-  
პარჭინაა კარგი, ოღონდ ის ვერ გამიგია, კაკბის ფრთა სჯობს თუ მოლოზნის  
ბარკალი? კაცია და გუნება! ჩვენი წინამძღვარი მარტოოდენ ყვერულისა  
თეთრი ხორცისთვის გიჟდება.

— მაგ ამბავში, — წართქვა გიმნასტმა, — სულ არა ჰგვანებია მელასა.  
ის არცა ყვერულისა თეთრ ხორცს მიირთმევს, არცა დედლისასა და ვარი-  
ისასა.

— ვითომ რატომაო? — ჰკითხა ბერმა.

— რატომა და, მზარეულნი არა ჰყვანან, ვერგის ახარშვინებს, — მიუგო  
ჯიმნასტმა. — ხორცი კი უკეთუ კარგად არ არი გაბოლვილი, წითელია და არა  
თეთრი. სიწითლე უცილოდ მოუხარშავი ხორცისა ნიშანია. განსხვავებული  
მხოლოდ ასთაკვია და კირჩხიბი, რომელთ ჯერ კარდინალად აკურთხებენ  
ხოლმე და მერმე ხარშავენ.

— ღმერთო დიდებულო! — შეჰლაღადა ცას ბერმა. — ალბათ იმ ჩვენი  
მონასტრისა მკურნალსაც ვერა აქვს თავი რიგიანად მგბარი, რამეთუ თვალნი  
დასწითლებია, ვითარცა ჯამნი მურყუნისა... ე კურდღლისა ბარკალი წამალსა-  
ვით არგებდა ნიკრისით სნეულსა. ბარკალზედ მომაგონდა, ნეტავ რის ბრალია,  
ქალიშვილ ქალთ რომ მუდამ გრილი აქვთ ბარძაყნი?

— ეგ ძნელი შესატყობია, — სიტყვა ჩაურთო გარგანტუამ. — მაგაზედ  
არ უფიქრია არცა არისტოტელესა, არცა ალექსანდრე აფროდისელსა, არცა  
პლუტარქესა.

— სამი რამ მიზეზისა გამოა, — განაგრძო ბერმა, — რომ მაგანი ალაგი  
ბუნებითად გრილია. *Primo*<sup>2</sup>, ოდეს წყალი ჩამოუდის იქავ; *secundo*<sup>3</sup>, უკე-

1 ორდენისა განწესებაში (ლათ.).

2 ჯერ ერთი (ლათ.).

3 მეორეც (ლათ.).



თუ ადგილი ესე ჩრდილიანი, უსიერი და დაბურულია, სად მზის სხივიც ვერ ატანს; და, მესამეც ისა, ქარნი თუ უქრიან მიწყივ, ხევთაგან მობერილნი, ანდა პერანგისა და მეტადრე საბიძლის ფრიალ-ფარფარით ამოვარდნილნი... აბა-ჰა, მიდი! თითო კიდევ დაგვისხი, პაჟო! ჭახ, ჭუხ, ჭახ! ღმერთს უნდა ვმადლობდეთ, ამისთანა საკმელსავით ღვინოს რომ გვასმევს!.. სხვასა არას ვინატრიდი, ოღონდ, ერთი იესო ქრისტეს ჟამსა მეცხოვრა, ღვთისა სახელს შემოვევლე, და, რა თითსაც დააკარებდნენ ისრაელნი გეთსიმანიისა მტილსა შინა, იმასაც ვნახავდი! თავსა საეშმაკოდ გავიხდიდი და მუხლთ მაინც დავალეწავდი უფალ მოციქულთ, რამეთუ დაფრთხნენ, კუდი ამოიძუეს შემდგომად მსუყე ვახშმისა და შეჭირვებული დაუტევეს ზნეკეთილი მოძღვარი თვისი! სამსალაზედ გარდამეტად მძაგს ზოგ-ზოგი კაცი, ვისაც გული არ ერჩის და სწორედ მაშინ გარბის, როს სატევარი უნდა ეშიშვლა. ეჰ, ფრანგთა მეფე მქნა ერთი ოთხმოცი ანდა ასი წელიწადი! რჯულისა მადლმა, დაუყვერავს არ გავუშვებდი არცვისა, ვინაც ზურგი აქცია პავიას! სახადიმც შეჰყრიათ ძაღლიშვილთ! იმის მაგივრად, რომ თავი დაედოთ, ვითომ რა ქნეს, რატომ დააგდეს ბედისა ანაბარად თავიანთი ქველი ბატონი? განა ბრძოლისა ველზედ სახელიანად მკვდარი არა სჯობს საძრახისად მეოტ ცოცხალსა?.. წლეულსა, ტყუილია, ბატისა ჭამა არ გვიწერია. მიდი, თუ ძმა ხარ, ღორი მომიჭერი!.. დამადი ჩამომივიდა! *Germinavit radix lesse<sup>1</sup>*. ჯამფილაც გაშრა და ყელიცა!.. აი ღვინო! პარიზში რასა სვაშდით? მთელი ნახევარი წელიწადი სადგომი ჩემი ღია იყო პარიზსა შინა, ვისაც უნდოდა შედიოდა და გადიოდა!.. ზემობარუელ ძმა კლავდიუსს თუ იცნობთ? პურისმტე აბა ის არი, აი! აწ რამ უკბინა, რა ეშმაკი შეუჯდა? რა ეშმაკი და, სწავლამ უყო, სხვა არღა ახსოვს რა. არცა ვსწავლობ და არცა ვწვალობ. ჩვენსა სააბატოში არცვინ არ ვემოძღვრებით, გვეშინის, განსწავლამ ყბაყურა იცისო. ღმერთმა აცხონოს, ჩვენი აბატი იტყოდა ხოლმე, რაღა სწავლული ბერი და რაღა სახადის ანგელოზიო. ვფიცავ დამბადებელსა, ჩემო კეთილო, *magis magnos clericos non sunt magis magnos sapientes...<sup>2</sup>* წლევანდელ წელიწადს რო კურდღელია, ზღაპრადაც არა თქმულა! ოღონდ ვერცა მიმინო მოვიშოვე სადმე და ვერცა სონღული. უფალი დე ლა ბელონიერი შავარდენს შემპირდა, წინებზე კი წიგნი მომწერა, ჭირი შეეყარაო. ამ წელს კაკაბიც მრავალთ უმრავლესი ჩანს, მაგრამ არ მიყვარს ეს ოხერი მახის დარწყმა და რა ვქნა! ფეხითგან ვცივდები. ჯდომას ისევ სირბილი მირჩევნია. საცა ერთი ძელ-ყორე და ბუჩქია, მუნვე სულ ჩემი ჩოხის ნაფლეთ-ნაგლეჯი ყრია. მწევარი მართლა კარგი რამე მყავს. ჯერეთ კურდღელი კი არა, ეშმაკი არ გაჰქცევია. უფალ დე მოლევრიეს მოჯალაბეს წავართვი. ვითომ რა, ურიგოდ მოვქცეულვარ?

— არა, ძმაო ჟან, არა, — უთხრა გიმნასტმა. — ეშმაკეულობის მადლმა, სულაც არა!

— რახან ეგრეა, მაშ, აბა ეშმაკთაც გაუმარჯოთ, სანამ პირში სული უდგათ! — თასი ასწია ბერმა. — ღმერთო, შენი სახელისა ჭირიმე, ნეტავ რა ოხრად უნდა იმ კოჭლ-მამაძაღლსა მწევარი! აი ერთი-ორი ხარი რო ვისმე ებოძებინა, ღმერთისა სამართალს ვენაცვალე, უფრორე გაახარებდა!

<sup>1</sup> გამოვიდა კვერთხი ძირისაგან იესესი (ლათ.).  
<sup>2</sup> ყოვლად სამღვდელონი ყოვლად სწავლულნი არ არიან (შუა საუკ. ლათ.).



— რა წარამარა ღმერთს ახსენებ, ძმაო ჟან? — ჰკითხა პონოკრატმა.  
 — სიტყვას ვალამაზებ, — მიუგო ბერმა. — ციცერონისა მჭევრობის ყვა-  
 ვილთ ვაწნავ.

თავი XL

**რისა გავო პრიღუბიან პრისკაცნი ბერ-მონაზონთ,  
 და რათა აქვთ მავანთა და მავანთ ზოგ-ზოგზედ უფრონი  
 დიდი ცხვირი**

— ქრისტიანობისა მადლმა, — ხმა აღიმალა ევდემონმა, — დია ჩამა-  
 ფიქრა ამა ბერისა ზრდილობამ! ისეთნაირად შეგვაქცია, მიკვირს და გამკვირ-  
 ვებია, რად უხმობენ ბერ-მონაზონთ ლხინისა მტერთ და რისთვის განადევებენ  
 ფსონით ყოველნი წარჩინებულნი, როგორც რომ ფუტკარნი სდევნიან სკათა-  
 გან მამალ ფუტკართ?

*Ignavum fucos pecus a presepihus arcent*<sup>1</sup>, —

უბნობს მარონი.

პასუხად გარგანტუამ მიუგო:


— უსაეჭვოა, საბერო ჩოხა-ბარტყულას ყოველგან ლანძღვა, წყევა და  
 კრულვა სდევს, ვითარცა კეკიად ხმობილ ქარსა ღრუბელი. უპირველესი მი-  
 ზეზი ამისა ის არი, რომ ბერნი კაცთა უწმინდურობით ანუ ცოდო-ბრალითა  
 ტყვრებიან და, როგორაც ნეხვისა მჭამელთ, განკერძოებით ამყოფებენ გარე-  
 მო ქვეყნისაგან მოშორებულ სავანეთა და სააბატოთა შინა, ვითა ფეხსა-  
 ლაგთა და სადგომ-სამკვიდრებელთ აშორებენ ერთმანეთსა. და კიდევ, უკეთუ  
 ჩახვედრილი ხართ, რისთვის ამასხარავებენ და აწვალებენ სახლეულნი მაი-  
 მუნსა, იმასაც ადვილად ჩახვდებით, რატომ ერიდებიან ბერ-მონაზონთ ყო-  
 ველნი, დიდიან-პატარიანად. მაიმუნი ძალდი არ არი, სახლზედ თვალი დააჭე-  
 რინო, ხარი არ არი, რძესა და მატყლს გამორჩე, ცხენი არ არი, ბარგი გადა-  
 ატანილო-გადმოატანილო. მაიმუნი მარტოოდენ სვრის და აფუჭებს ყველაფერ-  
 სა, რისა გამოც აპამპულავებენ და უჩაჩქუნებენ თავში. ბერისა საქმეც ესე-  
 გვარია (მუქთამჭამელი ბერისას ვამბობ), არცა მიწასა ხნავს გლეხისამებრ,  
 არცა მამულსა იცავს მეომრისამებრ, არცა სნეულსა სწამლობს მკურნალისა-  
 მებრ, არცა ერსა განასწავლებს და განანათლებს კარგი მქადაგებლისამებრ  
 და მოძღვრისამებრ, არცა ქვეყნისათვის სარგო და ფრიად საჭირო ნივთნი შემო-  
 აქვს დიდვაჭრისამებრ. აი რისთვის ძრახვენ და განაქიქებენ ბერ-მოწესეთ.

— რა ვიცი, ჩვენი გულისთვის კი ლოცულობენ და! — დაიბაყბაყა გრან-  
 გუზიემ.

— ლოცულობენ არა! — სიტყვა გაუტრიზავა გარგანტუამ. — დგანან და  
 ახლომახლო მსახლობელთ ყურთასმენას უგმირავენ თავიანთ ზართა ნაუ-  
 ნაუთი.

— დიად, — წართქვა ბერმა, — კარგად ჩამორეკილი ჟამისა წირვა, ცისკა-  
 რი და მწუხრი ნახევრად უკვე აღსრულებულია.

<sup>1</sup> ერეკებიან მამალ ფუტკართ სკათაგან გარეთ (ლათ.).



— მონაზონთ თუ უყურე, არცრის გაგება არ აქვთ, ისრე ჯიჯღვინებენ მრავალთ უმრავლეს მამათ-ცხოვრებასა და ფსალმუნსა, უთვალავჯერ იტყვიან, „Pater noster“-ო<sup>1</sup>, უანგარიშოდ ჩაურთავენ „Ave Maria“-ო<sup>2</sup>, მაგრამ ისემც რა ვუთხარი, იმათ რამე ესმოდეთ; ღვთის გმობასა ლოცვას უხმობენ. ნეტამც მართლა ჩვენი გულისთვის ილოცებდნენ და არა თავიანთი მუცლისთვისა. ყოველი ჭეშმარიტი ქრისტიანი, ვინაც უნდა იყოს და სადაც უნდა იყოს, მიწყვი ილოცავს, სულიწმინდა ლოცვითვე უმეოხებს, და უფალიც გარდმოუვლენს წყალობასა. დასტურ ესეგვარად იქცევა ჩვენი სახიერი თანამაჟანიცა. ამად უყვართ ამხანაგთა და მოძმეთ. არცა თვალთმაქცია და არცა გლახაკი. ფრიად ზრდილი, მხიარული, ჩაუქი და ვაჟკაცი პურისმტეა. ნიადაგ იღვწის, მიწასა ხნავს, ჩაგრულთ ესარჩლება, შეჭირვებულთ აღხენს, ძვირხილულთ ხელსა აღუპყრობს, სააბატოს ბაღ-ვენახთ იცავს.

— საქმე სხვაც ბევრია, — ჰრქვა ბერმა. — საცისკრო გალობაა თუ ლოცვა მიცვალებულთათვის, მგალობელთა გუნდში ვარ და ვმღერი, თანვე სამალისა ლამბსა და ლარსა ვძახავ, ისარბოძალთ ვმახვავ, საკურდღლე ბადესა და მახესა ვწნავ. არცროდის არა ვცუდაობ. აწ მოიტათ, დასალევი დავლიოთ! აბა-ჰა! ცოტა ხილ-ხული კი მოგვიხდებოდა! ეს წაბლი, ვატყობ, ეტროსის ტყისა უნდა იყოს. ოჰ, რას დავაყოლებდი ცივ-ცივ ნუნუასა. ჩამოასხით, რა წელი გწყდებათ, თქვე კაი ხალხო! თაჟმან თქვენმან, მებაჟისა ცხენივითა ვარ, სუყველა რუდან მივირთმევე.

მაშინ გიმნასტმა უთხრა:

— ძმაო ჟან, ცხვირზედ რაღაც წვეთი გცხია, მოიწმინდე.

— ჰა-ჰა! — გაიცინა ბერმა. — შენა გგონია, წყალი თუ ცხვირამდის მომწვდა, დავიხრჩე და ეგ არი, არა? ნუ იშიშვი, არ დავიხრჩობი. Quare? Quia<sup>3</sup> მოსვლით კი მომდის, ოღონდ უკან, ცხვირში აღარ მიმდის წყალი, რამეთუ შიგან ბალანი მიბიბინებს. არა მინდა რა, ძმაოსან, ერთი ვინმე გამოჩნდებოდეს და ამ ჩემის ცხვირის ტყავისასა წაღაწულას შეიკერავდეს, დადგეს მერე და იჭიროს რაოდენი ხამანწკაც უნდა, ფეხი სულაც არ დაუსველდება.


— ნეტავ, მაცოდინა, რათა აქვს ამ ჩვენსა ძმა ჟანსა ესდენ ლამაზი ცხვირი? — იკითხა გარგანტუამ.

— რათა აქვს და, ღმერთმა ინება ეგრე, — მიუგო გრანგუზიემ. — უფალსა რანაირიცა სწადს, იმნაირს გამოგაბამს ცხვირსა, მექოთნისა და ქოთნის ყურისა არ იყოს.

— რათა აქვს, მე მკითხე, — ჩაერია პონოკრატი. — ცხვირისა ბაზარზედ ყოვლისა უადრე ძმა ჟანი მისულა და თავის გუნებისად აურჩევია ლამაზიცა და ძმასებრ მოსწრებულიც.

— აბა, აბა, ეგენი არ იყოს, — პირში სწვდა ბერი. — თანახმად ჩვენი ჭეშმარიტი სამონასტრო ფილოსოფიისა, ამ ჩემის ცხვირის ამბავი ჩემივე ძიძის ფაფუკი მკერდის ბრალია. ოდეს ძუძუსა ვწოვდი, ცხვირი შიგან ისრე მეფლობოდა, თითქო კარაქიაო, ხოლო მერმე ნებისად მეზრდებოდა და მიფუვდებოდა, ვითა ცომი ფუვდება ვარცლში. მკვრივმა ძუძუ-მკერდმა კი

1 „მამაო ჩვენო“ (ლათ.).  
 2 „წმინდაო მარიამ“ (ლათ.).  
 3 რატომ? რატომ და (ლათ.).



პაჭუა ცხვირი იცის. თავ-პირი ნუ ჩამოგტირით! Ad formam nasi cognoscitur ad te levavi...<sup>1</sup> რაცა მქვია, ცხვირსა მცხია. მურაბას არ გეახლებით. პაჟო, ჩამოასხი! Item<sup>2</sup> მიდი, ბოღლიწოც მოაყოლე.

თავი XLI

**ვითარ დააძინა ბერმა გარგანტუა, და აგზავნი მისი კონდაკისა და ჟამნისა**

ნავახშმევს თათბირად დასხდნენ საშურველ საქმეთა გამო და, ბევრი ითათბირეს თუ ცოტა, შუალამისთვის მტრის დაზვერვა დაასკვნეს, სიფხიზლე და სიმარდე გავუსინჯოთო. მანამ კი თვალი წავატყუოთ, პატარა მოვლონიერდებითო. მაგრამ არ იქნა და გარგანტუას არა და არ მოეკიდა ძილი. ბერმა შეატყო ფხიზლობა და გადაულაპარაკა:

— არცროს ისე გულიანად არა მძინავს, როგორაც ქადაგებისა ანდა ლოცვისა ჟამსა. მოდი, აბა ერთად დავიწყოთ შვიდფსალმუნება და აი ნახავ, თუ ხელად არ ჩაგეძინოს.

გარგანტუას ჭკუაში დაუჭდა ბერისა ნათქვამი და პირველი ფსალმუნისა დასაწყისშივე, ისიტყვეს თუ არა Beati quorum<sup>3</sup>, ორთავეს ძილმა წაართვა თავი. თუმცა ბერსა სწორედ შუალამისა პირს გამოედვიდა, რამეთუ მონასტერში მიჩვეული იყო ამ დროს საცისკროდ ადგომასა. გამოედვიდა, და სხვანიც რაღას დაიძინებდნენ, ერთბაშად სიმღერა დააგუგუნა:

„ჰეი, რენო, ნულა გძინავს,  
ადე, რენო, გაიღვიძე“.

ოდეს სუყველამ გამოიფხიზლა, ბერმა სიტყვა გამოაგო:

— უფალნო! ნათქვამია, ცისკარი ჩახველებითაო, ვახშამი ჩახვევებითაო. ჩვენ კი ავდგეთ და პირიქითა ვქნათ, საცისკროდ ჩავიხვევოთ, ყელი ჩავისველოთ, ხოლო საღამო ჟამსა, სანამ ვახშმად დავსხდებოდეთ, ჩავახვევოთ და ამოვახვევოთ.

ამაზედ გარგანტუამ მიუგო:

— უთენებლივ დაღევა, ეგრევე ნამძინარევეზედ საპირისპიროა სამკურნალო სწავლისა. უწინარეს სტომაქი უნდა დაიცალოს სკორე-პატივისაგან.

— რის სწავლა, რა სწავლა! — შეესიტყვა ბერი. — ასმა ეშმაკმა დამხრას, თუ ძველნი ლოთნი მეტნი არ იყვნენ ქვეყანაზედ, ვინემ ძველნი მკურნალნი! ჩემი მადა ჩემივე ხელშია, პირშეუკვრელობისა პირი შევკარით, ერთადა ვწვებით და ერთადვე ვდგებით. შენ მიირთვი, რაოდენიც გენებოს, ეგ შენი ტანში გასაყვანი, მე ისევ ჩემსა სასაქმებელსა მოვივარგებ.

— რა სასაქმებელზედ უბნობ? — ჰკითხა გარგანტუამ.

— რაზედ და, ჩემს კონდაკზედ მოგახსენებ, — მიუგო ბერმა. — ბაზიერთ-უხუცესნი თვისთა ბაზიკთ ისე არ დააპურებენ, წინწინ ქათმის ფეხი თუ არ

<sup>1</sup> ცხვირზედ შემატუობ, ვითარ „შენდამი აღვიხილენ თვალნი ჩემნი“. (ლათ.). წინწკლებში ჩასმული სიტყვები 122-ე ფსალმუნის დასაწყისია.

<sup>2</sup> ბარემ, და კიდევ (ლათ.).

<sup>3</sup> ნეტარ არიან რომელთა [მიეტევნეს უსჯულოებანი] (ლათ.) 31-ე ფსალმუნის დასაწყისი.

გაწიწკნინეს, რათა ტვინი ლორწოსგან განეწმინდოთ და დაიმშენ. მეცა დილ-დილ ამა ჩემი მოუწყინარი კონდაკისა საწინწკარასა ვწიწკნი. დავწვდები, ვითს ჩავაწკრიალე, ფილტვებს ჩავიწმენდ, ჩავიწკრიალე, და მერმე გინდა ძაბრით ჩამასხი.

— რა წესსა და რიგს მისდევ, ოდეს ჟამნობ? — ჰკითხა გარგანტუამ.

— როდის რარიგ მომიმარჯვდება, იმას მივდევ, — მიუგო ბერმა. — ხან სამ-სამ ფსალმუნსა და საღვთო წერილის სამ-სამ ნაწილსა ვიჟამნი, ხან ერთისა თქმაც სიკვდილია. ჟამნსა გულს არ გავაწყალებინებ; კაცი კი არა ჟამნისთვისაო, ჟამნი კაცისთვისაო. მოკლედ, რაღა ჟამნი და რაღა ავყანდი, ორივე ერთია, მინდა დავაგრძელებ, მინდა დავამოკლებ: Brevis oratio penetrat celos, longa potatio evacuat cyphos.<sup>1</sup> ვისი თქმულია?

— მაგასა, ღმერთი, რჯული, ვერ გეტყვი, გენაცვალე, — უთხრა პონოკრატი. — ისე, მართლა ვაჟკაცი ყოფილხარ!

— შენი ალი-კვალი ვარ, — მიუგო ბერმა. — აწ, აბა venite apotemus<sup>2</sup>.

ამის თქმა იყო და, მოიღეს და მოიტანეს შემწვარ-მოხრაკული, თანვე ხარშო და ბოღლიწოც მოაყოლეს, და ბერი სმად გადაიქცა. ზოგ-ზოგთ მხარი მისცეს, ზოგნი განზედ გადგნენ. შემდგომ ყოველნი სალაშქრო სამზადისს შეუდგნენ, ტანთ საბრძოლველი საცმელი შეიმოსეს დაძმა ჟანსაც აბჯარი აასხეს, თუმცაღა პირველად დიდ უარზედ იდგა, რამე საჭურვლის გაგონებაც არ უნდოდა, მუცელსა ჩოხითაც შევიჯავშნო, ხელთ ჯვრისა ძელს დავიჭერო. მაგრამ თანამოსაგრეთ ხათრი ველარ გაუტეხა, თავით ფერხთამდის იარაღში ჩაჯდა, გვერდზედ ჯავარდნისა მახვილი მოიგდო, მოახტა ფეხმალ ნეაპოლურ ბედაურსა, და ფიცხლად მიჰყვნენ კვალზედ გარგანტუა, პონოკრატი, გიმნასტი, ევდემონი და კიდევ ოცდახუთი ყოვლისა უმამაცესი ყმა გრანგუზიესი, ყველანი სრულიად შეჭურვილნი, წმინდა გიორგისამებრ ამხედრებულნი და ხელთშუბ-მომარჯვებულნი, და თვითეულს უკან ცხენისა გავაზედ მოისარი უჯდა.

თავი XLII


**პითარ ამხნეველა ბერი თანამოსაგრეთ და რარიგ ჩამოკონწიალდა ხეზედ**

და, აჰა, მიდიან ლომგულნი მოსაგრენი, ეშურებიან ფათერაკიან გზასა ზედა და წინასწარვე დაუთქვამთ, როდის უნდა ყიყინა დასცენ, როდის უნდა უკუიქცნენ, ოდესცა ჩამოჰკრავს ჟამი დიდი და ცხარე ბრძოლისა. ბერი კი გასამხნევებელს ეძრახება:

— ნუ იშიშვით და ნუ ფრთხით, შვილნო! წალმართ სავალზედ შემიყენებინართ. ღმერთი და წმინდა ბენედიქტე ჩვენკენ არიან! ვაი რომ მკლავიცა გულივით არ მერჩის, თორემ სუყველა ჩვენს მტერსა და დუშმანსა, წყალსაც წაუღია ისინი, იხვებრ დავბტყვნიდი! თვინიერ ცეცხლსაჭურვლისა, არცრისა მეშინის. დაღათუმცა ერთმა ჩვენმა სააბატოს კანდელთმნემ ლოცვა რამ მას-

<sup>1</sup> მოკლე ლოცვა ცაში აღის, ხანგრძლივი სმა საწდესა ცლისო (ლათ.).

<sup>2</sup> ნაცვლად venite potemus „მოვედით, დავლიოთ“ (ლათ.). ხუმრობით შეცვლილი დასაწყისი ლოცვისა Venite adoremus „მოვედით, თაყვანი ვცეთ“.



წავლა, კაცსა ცეცხლს არ აკარებს, ოღონდ მე არასა მშველის, ვითარმედ არ ვერწმუნები. თუ რასმე ვიზამ, ისევ ამ ძელით ვიზამ! ღვთისა სახელსა ვფიცავ, არა მინდა რა, ერთი რომელიმემ კუდი ამოიძუოთ, ეშმაკისა კერძიმც გავხდე, თუ, ვინცა იქნებით, ბერობა არ გადმოგილოცოთ და ეს ჩემი ჩოხა არ ჩაგაცვათ, — ლაჩრობას ძაან უხდება, ეგრევე არჩენს. უფალ დე მერლის ხვალი მწევრისა ამბავი განა არა გსმენიათ? როცა აღარც შინა ვარგოდა და აღარც სანადიროდ გარბოდა, ადგნენ და ჩოხა გადააცვეს. ღვთის გვამისა მადლმა, იმ დღითგან არცა მელა გაჰქცევია, არცა კურდღელი და ახლომახლო ძუკნა არღა გაუშვა გადაუკლერტავი, მანამ კი არაფრისა თავი არა ჰქონდა, რამეთუ იყო დავარდნილი ანუ *de frigidis et maleficiatis*<sup>1</sup>.

ბერი გაჯავრებული უბნობდა სათქმელსა და ის იყო, ბოლოში ჩავიდა, რომ სოლეს გზაზედ ერთსა კაკლისა ხეს მიადგა და ჩაფხუტისა ზარადი კარგა მსხვილ ჩამოტეხილ ტოტსა წამოსდო. მაგრამ მაინც ავად ჰკრა დეზი ცხენსა, რომელსა ძალიან არ უყვარდა დეზისა კვრა და გაფრთხა; ბერმა, ზარადს ჩამოვაძრობო, სადავესა ხელი უშვა და ტოტსა წაეტანა, ამობაში კი ცხენი ლაჯთაქვეშ გამოეცალა. ამისა გამო ბერი ხეზედ ჩამოკონწიალდა და ყვირილი მორთო, მიშველეთ, ღალატიაო.

ევდემონმა პირველმა შეამჩნია იგი და გარგანტუას მიმართა:  
— აჰა, მეუფეო, მოიხილე კიდებული აბესალომი ესე!  
გარგანტუა მიეახლოვა, გახედ-გამოხედა, რარიგ ეკიდა ბერი, და მიუთხრო ევდემონსა:

— ეგ შედარება კარგად ვერ მოგივიდა. აბესალომი თმით ჩამოეკიდა, ბერი კი თავგადაპარსულია და ყურებსღა უჭირავს.

— მიშველეთ-მეთქი, ეშმაკეულნო! — უყვიროდა ბერი. — რა დროს ტრაკატრუკია! რაღა თქვენა და რაღა ის მქადაგებელ-დეკრეტალისტნი, რომელნიცა წარიტყვიან, ვინცავინ მოყვასი თვისი უზომო განსაცდელში ნახოს, ვინემ ხელს აღუპყრობდეს, ჯერეთ სამჯერ შეჩვენებისა შიშით აღსარებისა თქმა და მადლისა ნიმთხვევა შეაგონოსო. ერთი ვინმე მაჩვენა წყალში ჩავარდნილი იმ მქადაგებელთაგან და ვუშველო კი არა, მგონი, სასმენელნი გამოვუჭედო, იმსიგრძე ქადაგებას წავუკითხავ *de contemptu mundi et fuga seculi*<sup>2</sup>, და როს სულ გაფიჩხდება, მაშინღა ამოვიყვან.

— ფეხებს ნუ იქნევ, გენაცვალე, — უთხრა გიმნასტმა. — ეხლავ ჩამოგხსნი, ძმობამ, მართლა კარგი ბერი ხარ, კარგი *monachus*:

*Monachus in claustro  
Non valet ova duo;  
Sed quando est extra,  
Bene valet triginta.*<sup>3</sup>

<sup>1</sup> უილაჯო და ჯადონაქნარი (ლათ.).  
<sup>2</sup> ამა სოფლის უგულებელყოფისა და ამწუთქვეყნიურ საცდურთაგან ლტოლვისა გამო (ლათ.).  
<sup>3</sup> ბერი:

მონასტერში ბერსაო  
ფასს ვერ დასდებ ბევრსაო;  
გარეთ ნახე ბერიო,  
გარეთა ღირს ბევრიო.

(შუა საუკ. ლათ.)

ჩემს სიცოცხლეში ბარე ხუთასზედ მეტი ჩამომხრჩვალ მინც მინახავს, მაგრამ შენებრ უცხოდ ჯერ არცვინ არა ყოფილა ჩამოკინწიალებული. ეგრე კობტად რო ვეკიდო, მთელი ცხოვრება თავს არც ჩამოვიხსნიდი.

— ჰა, არ მორჩით მაგ ქადაგებასა! — ჩამოსძახა ბერმა. — ან ღვთის გულსათვის მიშველეთ, ან არადა, სხვა რამ იწამეთ! ამ ჩემი ჩოხისა მადლმა, სისხლს გარწყევინებთ *tempore et loco prelibatis*<sup>1</sup>.

მაშინ გიმნასტი ცხენიდან გარდახდა, ხეზედ აძვრა და ცალი ხელი ბერსა იღლიაში ჩაავლო, ცალით კი ზარადი ტოტსა განაშორა, რისა გამოც ბერსა ძირს ზღართანი გასძვრა, ხოლო გიმნასტი კობტად ჩამოხტა.

ქვედანარცხებულმა ბერმა წამისყოფით განიგდო ჯაჭვ-ჯავშან-აბჯარი და მთელი საჭურველი იქავ ველად მოფანტა, მერმე ჯვრისა ძელს სტაცა ხელი და ზურგზედ მოექცა თავის ჰუნესა, რომელიცა ევდემონს დაეჭირა.

მას უკანით არხეინად გაუყვნენ გზასა და სოლესკენ წარემართნენ.

### თავი XLIII

#### **ვითარ გადააწყდნენ პიკროქოლისა მზირნი გარბანტუას, და ვითარ მოაკვდინა ბერმა ჯართუფროსი ალაჯუნე, მერმე კი თავად წარტყვევნა მტერმა**

პიკროქოლმა რაჟამს მაცნეთაგან იმცნო, შენთა კაცთ ეშმაკნი დაგვერივნენ, გაგველიტეს, ტრიპეს შიგ მუცელში შვლიბეს, თითო-ოროლადა გადავრჩითო, გაცოფდა და გადაირია, მთელი ღამე ბჭობდა ბორგვენული; დაბდურამ და შატაბუტამ ბევრი არწმუნეს, მთლად ჯოჯოხეთისა ეშმაკეულობაც რომ დაგესიოს, შენსა ძლიერებას ვერ გაუძლებსო, მაგრამ პიკროქოლსა ეგრერიგ არ ეჯერებოდა და არცა დაუჯერებელი სჭირდა.

ასე იყო თუ ისე, ბოლოს მინც ადგა და გრაფ ალაჯუნეს თავკაცობით დასაზვერად გაგზავნა ათას ექვსასი მსუბუქად აღჭურვილი ცხენოსანი, სუყველა გულდადებით ნაკურთხწყალსხურებული და ყელზედ ოლარჩამოცმული: თუ ვინიცობაა, სადმე გზაში ეშმაკთ გადაეყრებოდნენ, გრიგორიანული წყლისა და ოლართა ზედმოქმედებით უწმინდურნი უცილოდ განქარდებოდნენ და გაქრებოდნენ. ბევრი იარეს თუ ცოტა იარეს, მალე თავად ლავოგიონი და მალანდრი მოიხილეს კიდევ, მაგრამ ვერცვისგან ვერა შეიტყეს რა, უკანვე გამობრუნდნენ და ახლა ზემოთა გზას გაუყვნენ. კუდრეს რომ მიუახლოვდნენ, იქავ, ერთ სამწყემსო ქოხსა თუ უფრორე ნაბინავარში, ხუთი მწირი იპოვნეს, ხუთივე წამერთ გათოკეს, არცა იმათი ტყება-ლადადება შეისმინეს, არცა ფიცილი, არცა ლოცვა-ვედრება და თან წარიტანეს ვით მსტოვარ-აეშაგნი. ოდესცა სეისკენ დაეშვნენ, გარგანტუამ იბედივ შეასწრო თვალი და თავის ხალხს უთხრა:

— ძმანო, აგერ მტრისა დარაჯა მოგვეახლოვა. ერთზედ ათი მოდის, რას იტყვიოთ, ხომ არ დაგვეცხო?

<sup>1</sup> თავის დროზედ და თავის ადგილას (ლათ.).

— ვითომ რატომაც არა, ეშმაკმა დალახვროს? — სიტყვა ჰკადრა ბერმა. — შენ ვაჟკაცობა მითხარი, თორემ ვინ რაერთია, რა ჰკუა აქვს? — და შეჰყვირა: — დავცხოთ, ეშმაკნო, დავცხოთ!

ამის გაგონება იყო და, მტრისა მხედართ გული შეუქანდათ, ეგენი არღა ხუმრობენ, მართლა კუდიანთა თესლისანი ჩანანო, მიუშვეს სადავენი და ადგილსა მოსწყდნენ ყოველნი, გარდა ალაჯუნესი, რომელმან შუბი ხიშტებრ მოცვარგა და ბერსა ძალთა-ძალით მკერდშიგან უგმირა, თუმცადა კი რკინის ბუნიკი შუბისა ეგრევე ზედ მიეჭეჭყა ბერისა საზარ ჩოხასა, თითქო აიღეს და გრდემლსა სანთელი დაჰკრესო. მაშინ ბერმა ჯვრისა ძელი დაადირა და ერთი იმისთანა დაუშვა კისრისა და საყელოს საშუალ, აკრომონად სახელდებულ სახსარში, რომ იმან სიტყვისა თქმაც ვერ მოასწრო და გონდაკარგული ცხენისა ფერხთით დაეცა. ბერმა ახლად შეამჩნია, აშურმა კი არა, ოლარი ჰქონია ყელზედ ჩამოცმულიო, და გარგანტუას მიუბრუნდა:

— ხუცესი ყოფილა, მოწყესისა ბევრი არა სცხებია რა. წმინდა იოანეს მადლმა, ბერი მე ვარ. დედას ვუტირებ, სულ ბუზებრ გავყუყავ.

თქვა და ქნა კიდევ, ცხენხეთქით მიეჭრა უკანმავალთ, ხან მარჯვნივ ეძგერა, ხან მარცხნივ და თავზედ წისქვილის ქვა დაუტრიალა.

გიმნასტმა მაშინვე ისა ჰკითხა გარგანტუას, ოტებულთ დავედევნოთ თუ არაო.

— არამც და არამც, — მიუგო გარგანტუამ. — ჰეშმარიტი სამხედრო სწავლისდა მიხედვით არცერთ ჟამსა არ ეგების სასოწარკვეთა მტრისა, რამეთუ ღონემიხდილსა და გასავათებულსა უსასოობა ამაგრებს და აგულადებს. თუ შეურვებულთ და შეჭირვებულთ ყოველგვარი იმედი ხსნისა ეკარგვით, სხვა ამაზედ უკეთესი რამ სახსარი გადარჩენისა არცრა ეპოვებათ. ვინ უწყის, რაოდენჯერ უძლევიათ ძლეულთ მძლეველნი მხოლოდ და მხოლოდ იმად, რომა ძლევამოსილთ, წინააღმდეგ საღი აზრისა, მტრისა დედაბუდიანად ამოწყვეტა სდომიათ და აზრადაც არ მოსვლიათ, ერთი ვინმე ამბისა მთხრობელი მაინც დაერჩინათ ცოცხალი! მტერსა მუდამჟამ ხსნილი დაუტევეთ ყოველი კარიბჭე და გზა-სავალი, ის კი არა, ვერცხლისა ხიდი გაუდეთ, რათა უკუდგომა ეადვილოს.

— ეგ კი ეგრეა, — ჩაურთო გიმნასტმა, — მაგრამ ის ჩვენი ბერი რომ უკვე გამოუდგა?

— ის ჩვენი ბერი გამოუდგა?! — გაიკვირვასავით გარგანტუამ. — მაშ, აბა, რჯულისა მადლმა, იმათ კარგი დღე არ დაადგებათ. რაც არი, არი, პატარა ხანს აქავ სადმე ჩრდილი ვიჩრდილოთ. მაგათ ამბავსა ჩახვედრილი ვარ, უფრორე ალალბედობისა სჯერათ, ვინემ საღი გულისხმისა.

სანამ ესენი კაკლიანში იდგნენ, ბერი კვალად მტერს მისდევდა, ვისაც მოიხელთებდა, ვაი იმისი ბრალი. დაბოლოს გზად მხედარი ვინმე დაინახა, ცხენისა გავაზედ ერთი უბედური მწირთაგანი დაეკრა, და რაწამს ძმა ჟანმა მახვილი მოიქნია, მწირმა ღალადყო:

— ვაჰმე, უფალო წინამძღვარო, ძმაო! უფალო წინამძღვარო! მიშველე, შენი ჭირიმე!

მუდარისა გაგონებაზედ მტერთ პირი იბრუნეს და როს დარწმუნდნენ,



ბერი მარტოდმარტო გვიტევსო, მისდგნენ და ჟაპაჟუბი აუყენეს, ვითომც გვერდებაქავებული ვირიაო. მაგრამ იმას სულაც არა სტკიოდა, რადგანაც, ჩონხა იქით იყოს, ტყავი ჰქონდა იმსისქე, ტყუილია. მერმე ბერსა დარაჯად ორი მოშვილდისრე დაუყენეს, თავად ცხენები მოატრიალეს და, რაკი სხვა არავინ ჩანდა, დაასკვნეს, გარგანტუა თავის რაზმიანად გაქცეულაო. წინ ნუარეტის ველი ედოთ და ყველანი იქით გაეჩქარნენ, რათა გარგანტუას დასწეოდნენ, ბერი კი ისევ იმ ორ მოშვილდოსანს ებარა.

გარგანტუას ცხენთა ფრუტუნი და თქარათქური რა შეესმა, ალლო აართვა მომხდურთა სიახლოვეს და თავის მოსაგრეთ მიმართა:

— ძმანო, ხმა მეყურება ჩვენზედ წამოსული მტრისა და ზოგ-ზოგთ კიდევაც ვხედავ, რარიგ მოჰქრიან. მაშ, დავეწყოთ წესისა და რიგისამებრ გზაზედ და მივაგებოთ სიკვდილი სასახელოდ ჩვენდა!

თავი XLIV

**რარიგ გამოაგო თავი ბერმა ებგურ-მოღარაჯეთ,  
და ვითარ მოისრნენ პიკროქოლის მზირნი**

ბერმა თვალი გაადევნა ფაცხაფუცხით გაჩქარებულ ავისა მდომთ და გულისხმაში ჩავარდა, დასტურ გარგანტუას და იმის დასტას გაეკიდნენო, და ფრიად შეწუხდა, რამეთუ ხელს ვერ აღუპყრობდა ამხანაგთ. მერმე დარაჯად მიჩენილნი შეათვალიერა და მაშინვე ინიშნა, ერთი ხელისა აქნევა უნდოდათ და გაიჭრებოდნენ, შეუერთდებოდნენ თავიანთ მხედრობას, ეგება ცოტა რამ ხეირი ჩვენცა ვნახოთო, — სხვა არცრა ახსოვდათ, იდგნენ და სულ ერთთავად იქით გაიციქირებოდნენ, საითაც იმათა ჯარი გზას გაუყვა. ბერი კი ესერიგად სჯიდა:

„ამა ჩემთა ებგურთ კოჭებში ეტყობათ, ბევრი არა გაეგებათ რა სამხედრო საქმისა, არცა ფიცი დამადებიანეს, არ გაგვექცეო, და არცა მახვილი ამართვეს“.

რახან აგრეაო, იშიშვლა იჩქითად მახვილი იგი და ჰკრა მარჯვნივ მდგომარე მოშვილდოსანსა, ჰკრა და გადაუჭრა კისრისა ძარღვნი და საძილე სისხლძარღვნი, ენისა კლიტეც ეგრევე ზედ მიაყოლა ორივ ნუშისდაგვარ ჯირკვლიანად. მეორედ კი ისეთნაირად დაჰკრა, ზურგისა ტვინი გადმოადინა მეორე მალასა და მესამე მალას შუა, და იმანაც გაჭიმა ტყავი.

მაშინ ბერმა მარცხნივ მიაბრუნა ცხენი და ახლა მეორე მოშვილდისარს წამოუარა; იმას თავზარი დაეცა, ამხანაგი მომიკლა, მე რაღა სიკეთეს დამაყრისო, და ბღავილი მორთო:

— ვაიმე, ვაიმე, უფალო წინამძღვარო, შენი ვარ! უფალო წინამძღვარო, შენ კი გენაცვალე, უფალო წინამძღვარო!

ბერი თავისას უყვიროდა:

— ეგ ცარიელი გენაცვალე ვერ გიშველის, მართლა უნდა გინაცვალო!

— ვაიმე, ვაიმე, — ვაებდა მოშვილდისრე. — მტლად დაგედე, უფალო წინამძღვარო, თავს შემოგეველე, ღმერთსა ვთხოვ, აბატიმც მეხილო.

— ამ ჩემი ანაფორისა მადლმა, ეხლავ კარდინალად გაკურთხებ! — განუცხადა ბერმა. — სამღვდელო პირთ ნეტავ დასახსნელსა თუ ართმევ ხოლმე? მაშ, აბა კარდინალისა წითელ თავსარქმელს მოგიბოძებ.



მშვილდოსანი კი კვალად ვაგლახებდა:

— უფალო წინამძღვარო, უფალო წინამძღვარო, უფალო აბატად სახილ-  
ველო, უფალო კარდინალო, უფალო ყველაყავ! ვაიმე! ვაჰმე! ვაიმე! უფალო  
წინამძღვარო, შენი სულისა ჭირიმე, უფალო წინამძღვარო, შენი ვარ, შენი!

— ჩემი კი ხარ, მაგრამ ეშმაკთა წილ-კერძს ვაგხდი, — უთხრა ბერმა.

უთხრა და თავთხლეც გადაადინა, თავისა ქალა ზედ საფეთქლისა ძვალთან  
გაუპო, თხემისა ძვალნი ისრისებრ ხიდთან ერთად უმეტეს შუბლისა ძვლიანად  
ჩაუნაჭუჭა, ტვინისა გარსნიც წამსვე შეუმუსრა, გვერდითა პარკუჭნიც, და  
ძვლისსაზრდელასლა შერჩენილი კეფა თავსარქმელსა ჰგავდა ექიმისას, გარე-  
გან შავსა, შიგან წითელსა. რალა გავაგრძელო, ამა მშვილდოსანმაც ჩვენი ჭი-  
რი წაიღო.

რაკილა მოდარაჯეთ სასუფეველი დაუმკვიდრა, ბერმა ცხენს ქუსლი ჰკრა  
და მტერთა კვალს მიჰყვა. მტერნი კი უკვე შეებმოდნენ შარაგზაზედ გარგანტუ-  
ასა და იმის ასაბიას და შეთხელებულიყვნენ, რამეთუ გარგანტუამ შავი ღლე  
აყარა თავისი უშველებელი ხისა შეწევნით, მიასია გიმნასტი, პინოკრატი, ეგ-  
დემონი და სხვა კაცნი, თავრეტი დაჰხვია და, თითქო წინ თავად სიკვდილი გა-  
დაუდგათო, ისინი აწ კუდამოდუებულნი იხევდნენ უკან.

და ვით სახედარი დაბუზარავდება ხოლმე, ოდეს კუდქვეშ იუნონას ბუ-  
ზანკალი ანუ ბუზი რამ უძვრება, და უგზო-უკვლოდ გავარდნილი საპალნეს  
გადმოიგდებს, აღვირ-ავშარას წაიყრის და უსუნთქებლივ რბის, შორით კი არც-  
რა ეტყობა, რა ჭირიცა სჭირს და რა დააჭენებს, — სწორედ ესეგვარად თავ-  
დაკარგულნი გარბოდნენ ის მზირნიცა და ანაზდი შიშით მიბნედილთ თვითო-  
ნაც როდი უწყოდნენ, რა მიაბენინებდათ.

ბერმა რა შეატყო, თვალი მარტოდენ გაქცევაზედ უჭირავთო, ცხენიდან  
გარდახდა, გზისა პირას აყუდებულ ლოდზედ აძვრა და თავგამომეტებით დაუ-  
შინა ლტოლვილთ თავისი საზარი მახვილი. და იმოდენი იქნია, იმოდენი ხალ-  
ხი დახოცა, ბოლო ჟამსა ზედ შუაზედ გადაუტყდა ხელისაპყრობი იგი. სისხ-  
ლისა ღვრა არღა ღირსო, იფიქრა მაშინ ბერმა, ზოგ-ზოგთ ღეე ამბავი წა-  
იღონო.

თუმცაღა ერთ მზედაბნელებულსა იქავ ცულ-თოხი აართვა, კვალად ავიდა  
ლოდზედ, მალლით გადახედა ერთმანეთში არეულ მკვდარსა და ცოცხალსა,  
ეჰეჰეიო, დასჭყვივლა ოტებულთ და მავანს შუბი დააგდებინა, მავანს დაშნა-  
კალდიმი, მავანსაც ჰოროლი და სიათა, ხოლო ვისაც შებოჭილნი მწირნი თან  
წარეტანა, ყველანი უნაგირთაგან გადმოყარა, ცხენ-ბედაურნი კი ხსენებულ  
მწირთ გარდასცა და იმათაც ტყისპირ უბრძანა დადგომა, როგორაც შატაბუ-  
ტას, რომელიცა წარტყვევნილი ჰყავდა.

თავი XLV

**ვითარ მიიყვანა თან ბერმა მწირნი, და რარიზ მშვენიერი  
სიტყვა უთხრა იმათ ბრანგუზივ**

ბრძოლა რა გასრულდა, გაბრუნდა გარგანტუა, გასწია შინისკენ თავის  
რაზმიანად, გარეშე ბერისა, და საღამო ხანსა უკვე მიეახლა გრანგუზიეს, რომე-  
ლიცა იმჟამად ქვეშსაგებელში იწვა და იმათ თავს უფალს ავედრებდა, უტკივ-

რად მიმყოფე, ძლევით შემიმოსეო. და როს საღსალამათნი იხილა, გულაჩუ-  
ყებულმა გადაკოცნა ყველანი და ბერი მოიკითხა, ის საღდა არისო. სხვას ვე-  
რას გეტყვით, მიუგო გარგანტუამ, ბერი უსაეჭვოდ მტერთა ჰყავთო.

— მაშ, აბა გაჩენისა დღეს აწყევლინებს იმათ, — წართქვა გრანგუზიემ,  
და მართალიც იყო. აკი ჯერ-აქამომდე იტყვიან კიდევ ჩვენში: ბერიმც  
გ ა დ ა გ კ ი დ ე ბ ი ა ო .

მერმე შინაკაცთ პურ-მარილისა გაშლა უბრძანა, ნამგზავრი ხალხი დამი-  
ნაყრეთ, ასვით და აჭამეთო. ოდეს ყოველი მოიღეს, უხმეს გარგანტუას, მაგ-  
რამ იმას დანა პირს არ უხსნიდა, ბერისა დაკარგვით შეჭირვებულსა არცაღა  
სმა უნდოდა, არცაღა ჭამა.

და ანაზღად საიდანდაც გაჩნდა ბერი, ალაყაფისა კარში გაიტოქა და ხა-  
ფად შესძახა:

— ძმაო გიმნასტო, ცივი ღვინისა ჩამომისხი, ცივი ღვინისა!

გიმნასტი გარეთ გავიდა, ვინ არი, ვინ მეძახისო, და ხელთ ძმა ჟანი შერჩა,  
თან ხუთი მწირი და ტყვევნილი შატაბუტა მოეყვანა. მსწრაფლ გამოეგება  
გარგანტუაც, გულში ჩაიკრა, გაიხარა და წაჰგვარა გრანგუზიეს, რომელმან გა-  
მოკითხვა დაუწყო, სად იყავ, რა გარდაგხდაო. ბერმა წვლილად უამბო, რა-  
რიგ წარტყვევნეს, რარიგ გამოაგო თავი დარაჯთაგან, რა ხოცვა-ჟლეტა გამარ-  
თა შარაგზახედ, რარიგ წარსტაცა მტერთ მწირნი და ტყვედ რაგვარ ჩაიგდო  
ჯართუფროსი შატაბუტა. მას უკანით დასხდნენ და ქუდი ჭერსა ჰკრეს.

შუა პურისა ჭამაში გრანგუზიე მწირთ ჩაეძია, სადაურნი ხართ, საიდან  
მოდიხართ და სად მიდიხართო.

ყველას მაგივრად ხელგვიანად სახელდებულმა გასცა პასუხი:

— მეფეთ მეფეო, თავად სენყნუელი გახლავარ, ბერიდგან, ეს ჩემ გვერ-  
დით პალუოელია, ის — ონზელი, იმის წინ არჟიელია, ეგ კი — ვილბერნენე-  
ლი. სან-სებასტიანში ვიყავით, მახლობლად ნანტისა, და აწლა ნელი-ნელ შინა  
ვბრუნდებით.

— კეთილი და პატიოსანი, — უთხრა გრანგუზიემ, — მაგრამ სან-სებასტი-  
ანში რა გინდოდათ?

— წმინდა სებასტიანს შევევედრეთ, ეგების შავი ჭირი გვაშოროს, — მი-  
უგო ხელგვიანამ.

— უჰ, — შეცბუნდა გრანგუზიე. — იქნება იმასაც ფიქრობთ, წმინდა სე-  
ბასტიანი გვემიზეზებო.

— გვემიზეზება და მერე როგორ! — ბეჭედი დაასვა ხელგვიანამ. — ჩვენ-  
თა ქადაგთაგან ვიცით.

— რაო? — შეჰყვირა გრანგუზიემ. — ის ცრუწინასწარმეტყველნი ქადა-  
გებენ ემაგ ამოღმორწმუნეობას? ისინი უგონებენ მაშ ათას რამ ოხრობას  
უფლისა წმინდა სათნომყოფელთ და მავნე სულთ ადარებენ, ცისქვეშე ოდენ  
უკეთურობისა მთესველთ, როგორაც რომ ჰომეროსი უგონებს აპოლონსა,  
ბერძენთა ლაშქარს მომსრველი სენი მოუვლინაო, და რარიგადაც სხვა მგო-  
სანთ მოიგონეს ფარა-ფარად ვეიოვისნი და ბოროტნი ღმერთნი? რაღა შორს  
მივდივარ, აქაცა გვყავდა, სინეში, ერთი მამაძალი ფლიდი ქადაგი, იდგა და  
სულ იმასა ტიტინებდა, წმინდა ანტონი ფეხებში წითელ ქარსა აჩენსო, წმინდა  
ევტროპი წყალმანკისა სათავეაო; წმინდა ჟილდასი — სიგიჟისაო, წმინდა ჟნუ  
კი — ნიკრისისაო. მოგეცათ ლხენა, მე ის ვავაგლახე, და მწვალეებლადაც შემ-  
რაცხა, მაგრამ ის იყო და ის, მეორე იმისთანა მზაკვარსა და მაიმუნსა ცხვირი

არცვის შემოუყვია ჩემსა საბრძანებელში. დია მიკვირს, ის თქვენი ხელმწიფე თავის ქვეყანასა შინა რატომ ერთხელ და სამუდამოდ არ აუკრძალავს იმათ ესდენ ჩმახვასა და ტარტარსა. უკეთუ მკითხავთ, ეგენი უფრორე არიან დასასჯელნი, ვინემ ისინი, ჟამიანობას რომ ჩამოაგდებენ ხოლმე გრძნებითა და ჩხიბვა-ჯადოსნობითა. ჭირი ხორცსა აკვდინებს, ეგ ეშმაკისა ფეხის მომჭმელნი კი სულს უწამლავენ საცოდავ უაზნო-უგვარდილო ხალხსა.

იგი ჯერეთ ამ ლაპარაკში იყო, რომ ბერი თავგაზვიადებული შემოვიდა და იკითხა:

— სადაურნი ხართ, ბედშავნო?

— სენჟნუელნი ვართ, ბატონო, — მიუგეს მწირთ.

— როგორა ვარო, რასა იქმს ის ლოთბაზარა აბატი ტრანშლიონი? — ჰკითხა ბერმა. — რას იტყვით, რას უფრო მიირთმევენ მოწესენი თქვენში? იარეთ, იარეთ ეგრე! ისე მე მიშველოს ღმერთმა, როგორც ისინი თქვენსა ცოლებს მიუცუცქდებიან!

— იჰ, ჯანდაბას! ჩემისა არ მეშინის, — ხელი ჩაიქნია ხელგვიანამ, — ვინცავინ ერთხელ დღე ნახავს, დამე ნახვას არლა ინდომებს.

— მნახველიც არი და მნახველიცა! — უთხრა ბერმა. — შენი ცოლი ეგება პროზერპინასავით მახინჯიც არი, მაგრამ იქავ სადმე ბერ-მონაზონნი თუ გაჩნდნენ, იცოდე, ისე არ გაუშვებენ. შენ ოსტატი მითხარ, თორემ მოურიგებელი არა დარჩება რა. რა ვქნა, ცუდი ჭირიმც შემეყაროს, უკეთუ შინმიბრუნებულთ გუნებანაქცევად არ დაგიხვდნენ დედაკაცნი, ვინათგან სააბატოსა შინა სამრეკლოსა ჩრდილიც კი ფრიად ნაყოფიერი რამ არის.

— ეგვიპტეში რომ ნილოსია, სულ იმის წყალივითა ყოფილა, თუ სტრაბონს დავუჯერებთ, — ჩაურთო გარგანტუამ. — ხოლო პლინიუსი მეშვიდე წიგნის მესამე თავსა შიგან ამტკიცებს, ნაყოფიერებასა დია უწყობს ხელს აგრეთვე საცმელი, აღნაგობა და ჭამადიო.

და გრანგუზიემ სიტყვა გამოაგო:

— წადით, რასლა უდგეხართ, თქვე ცოდვის შვილნო, თქვენა. თავად დამბადებელი იყოს მიწყვი თქვენი გამძლოლი, და კვალად ნულარ აიღებთ თავსა, ნუ ივლით ქვეყანაზედ ესრეთ უსაზმნოდ და წარამარად. გული დაჰყარეთ სახლ-კარობასა, თქვენ-თქვენსა საქმეს მიჰყეთ ხელი, წურთვნა არ მოაკლოთ შვილთა და იცხოვრეთ, ვითარ გასწავლით წმინდა მოციქული პავლე. მაშინ უკვე ღვთისაგან დაცულთ ხატ-ანგელოზნიც კეთილად გადმოგხედავენ და ვერცაღა ჭირი მოგერევათ, ვერცაღა სხვა რამ სახადი.

შემდგომ ისინი გარგანტუამ სატრაპეზოში შეიყვანა, მაგრამ მწირნი საჭმელად არც დამსხდარან, ვიშვიშებდნენ და შენატროდნენ გარგანტუასა:

— მეფე გვყავსო, თქვენ უნდა თქვათ! ბედნიერნი ხართ, ბედნიერნი. მაგისმა ლაპარაკმა უფრორე გვასწავლა და შეგვასმინა, ვინემ იმ ჩვენსა ქალაქში დღენიადაგ ნაქადაგებმა.

— სწორედ მაგას უბნობს პლატონიც, lib. v. De rep., — დასძინა გარგანტუამ. — სახელმწიფონი მხოლოდ მაშინ იქნებიან ბედნიერნი, ოდეს მეფენი ფილოსოფოსნი გახდებიან ანდა ფილოსოფოსნი მეფენიო.

მერმე მან ბრძანა და აბგა-მანდიკნი იმათი დაატენინა საგზლითა, ნატის სასმისნი კი ღვინით დაავსებინა და, დარჩენილი გზა გაიადვილონო, სუყველანი ცალ-ცალკე ცხენზედ შესვა და ცოტ-ცოტა ჯიბისა ფულიც უბოძა.

**ვითარ სულბრძელად მოქცა გრანგუზი  
ტყვემცენილ შატაბუტასა**


შატაბუტა მიჰგვარეს თუ არა, გრანგუზიემ პირველად ისა ჰკითხა, პიკრო-ქოლსა გულში რა უდევსო, რა განუზრახავს და რას ეპირება ამ უეცარი შფოთითაო. რასაო და, მიუგო შატაბუტამ, უკეთუ მოუხერხდა, სრულად შენი ქვეყნისა დაპყრობა უნდა, ჯავრისა ამოყრა სწადის, მეპურენი რად დამიღონაო.

— ცუდად აშლია საღერღელი,—წართქვა გრანგუზიემ.—ბევრისა მჭამელ-მაო, თქმულა, ცოტაც ვეღარა ჭამაო. აწ ის დროება როდია, ეგრერიგ დაულაშ-ქრო სამეფო და დასაკლისი საქმე შეახვედრო მოყვასსა შენსა და ძმასა ქრისტეს მოსავსა. ეტყობა, უწინდელთა ფეხისა ხმას აჰყოლია მბრძანებელი შენი, ყოველთა ძველთა ჰერკულესთა, ალექსანდრეთა, ჰანიბალთა, სციპიონთა, კეისართა და სხვათა წახედვით აულია ხელთ იარაღი, მაგრამ ესევეთარი ბაძილი საპირისპიროა საღმრთო სჯულისა, რომელიცა გვასწავლის, შენ შესავ საკუთარ მიწა-წყალს მოუარეო, დაიცავი და უპატრონეო, განაგეო, და არა სხვისას შეესიეო მტრულად. და რასაც სარკინოზნი და ბარბაროსნი გმირობისა სახელსა სდებდნენ, ეხლა ავკაცობასა და ავაზაკობას ვეტყვით. იმას ერჩივნა შინა მჯდარიყო და, ვითარცა მეფესა მართებს, ემართა ქვეყანა თვისი, ვინემ მე მომჭროდა და დავერბიე ჩემსავ ჰერქვეშ, რამეთუ ჯეროვანი მართვა-გამგებლობით უფრორე მოიგებდა, ჩემი იავარყოფით კი არცა თავად დაადგება ხეირი.

წა, ღმერთმა ხელი მოგიმართოს, მიჰყე სიმართლესა, ყოველივე თვისი შეცდომილება დაანახვე მეფესა შენსა და არამცა და არამც მართო ანგარებით არა ურჩიო რა, რადგან საზიარო საკუთრებასთან ერთად ნიადაგმცა კერძოც იღუპვის. სახსარ-გამოსახსნელზედ ნუ ვილაპარაკებთ, გამომრთმევი არაფრისა ვარ, ცხენსა და საჭურველსაც ეხლავ უკან მოვაცემინებ.

სწორედაც ესერიგად უნდა ვექცეოდეთ ერთმანეთსა მეზობელნი და ძველთუძველესნი მეგობარნი, მით უმეტეს, ცილობა ჩვენი ნამდვილ ომად არც გადაქცეულა, და სხვა რად გინდა, პლატონი მოიგონე, lib. v. De rep., ოდეს ბერძენთა შეხლა-შემოხლის ამბავსა ჰყვება, ომისა წილ კრტიმლობას ამბობს და შეგვაგონებს, უკეთუ უგვან შუღლისა ხიფათს ვერ გადაურჩით, დია იზომიერეთო. და თუკი ამა ჩვენსა უთანხმობას მაინც ომსა უწოდებ, მერწმუნე, გარეგნულად არის ომი, ჯერეთ გულს არ მოხვედრია და სული არ დაგვმძიმებია, რამეთუ ღირსება არ შეგვლახვია არცვის, და საერთოდ უწინარეს ხამს გამოვაკეთოთ ჩვენთა კაცთაგან, ანუ თქვენთა და ჩვენთა კაცთაგან, გაუსინჯაობით გამრუდებული საქმე; ისე კი, კარგად თუ ჩახვდით, არრად უნდა ჩაგეგდოთ ცდომილება იმათი, ვინადგან მოცილენი უფრო ზიზღისა ღირსნი იყვნენ, ვინემ ყურადღებისა და ზარალისა ზღვევაც კმაროდა, რაიც მოვიღონისძიე კიდევცა. დეე თავად ღმერთი იყოს უმართლესი მსაჯული ჩვენი, და ყაბულსა ვარ, გინდა სიკვდილისა ღირსიცა მქნას, მთლად მომისპოს სამკვიდრებელი, ოღონდ ნურას იწყენს ნურცა ჩემგან და ნურცა კაცთაგან ჩემთა.

რა გაასრულა სათქმელი, გრანგუზიემ მიიხმო ბერი და ყველას წინაშე ჰკითხა:



— ძმაო ჟან, კეთილო ჩემო, შენ წარტყვევნე ჯართუფროსი შატაბუტა?  
— თქვენო უდიდებულესობავ, — მიუგო ბერმა, — თავად წინ გიდგათ, ასაკსრული კაცია, გონებაზეა და თვითონვე გითხრათ ყოველივე.

და შატაბუტამაც უთხრა:

— დიახ, მეფეო, ეგ იყო, მაგან წარმტყვევნა, არა ვმალავ, მაგისი ტყვე ვარ.

— სახსარსა თუ სთხოვ რასმე? — შეეკითხა ბერსა გრანგუზიე.

— არა, არც მიფიქრია, — გაეპასუხა ბერი.

— წარტყვევნისათვის რასლა ისურვებდი? — ჰკითხა გრანგუზიემ.

— არც რასა, არც რასა, — წააყარა ბერმა. — არა მინდა რა.

მაშინ გრანგუზიემ ბრძანა, რახან მართლა ამას წარტყვევნია, შატაბუტას თანადასწრებით სამოცდაორი ათასი ოქრო ჩაუთვალეთო. და ხსენებული შატაბუტა კი ამოობაში ჭამად დასვეს და, სანამ იგი ჯერის თავს მიირთმევდა, გრანგუზიემ ჩაჰკითხა, ჩემს კარზედ დარჩენას ინებებ თუ შენსა ხელმწიფეს ეახლებიო.

რარიგადაც მიბრძანებთ, ისე მოვიქცევიო, სიტყვა ჰკადრა შატაბუტამ.

— მაშ, აბა წადი, — უთხრა გრანგუზიემ, — დაუბრუნდი შენსა ხელმწიფესა, და გფარვიდეს მამაზეციერი!

მერმე ადგა და მიუბოძა ერთი ზედ თვალდასარჩენი ვიენური დაშნა, ოქროს ქარქაშზედ ლერწგამოყვანილი, ერთიც ფარღული ოქროსი, რომლისა წონა შევიდას ორი ათასი მარკა იყო, სპეკალი კი ას სამოცი ათასი დუკატისა უსხდა, და კიდევ, ჩუქება თუა, ჩუქება იყოსო, ათი ათასი ეკიუ შესძღვნა. ამისა შემდგომ შატაბუტა თვის ცხენზედ ამხედრდა. გარგანტუამ ბადრაგად ოცდაათი აბჯროსანი და ას ოციც მშვილდოსანი გააყოლა გიმნასტისა მეთავეობით და დააბარა, უკეთუ საჭიროება იყოს, ზედ ლარომ-კლერმოს კარიბჭემდე მიჰყევიო.

ტყვევნილმა როს გზას გაუტია, ბერმა გრანგუზიეს უკანვე მისცა ბოძებული სამოცდაორი ათასი ოქრო და უთხრა:

— მეფე-ბატონო, აწ უდროოა ამდაგვარი ბოძებულება. დავაცადოთ, გასრულდეს ომი, არავინ უწყის, რას რა მოჰყვება, უფულ-უსახსროდ საგრობისა ბედი კი მხოლოდ ჯარისა სიქველზედ ჰკიდია. ფული ხმალამოღებული ხელმწიფეა.

— კეთილი, — მიუგო გრანგუზიემ, — გასრულდეს ომი, არავისას შევირჩენ რასმე, შენც გადაგიხდი და სხვათა ჩემთა ერთგულ ყმათაც ავაგსებ.

## თავი XLVII

### **ვითარ შუპრიბა ბრანგუზიემ თავის ლაშქართა გუნდნი, და რარიბ მოაკვდინა შატაბუტამ დაბლურა, მერმე კი თავადაც იქავ გაათავეს პიკროქოლისა ბრძანებით**

იმხანად ადგილი არ დარჩენილა ახლომახლო, საიდანაც მოციქული ვინმე არა სწვეოდა გრანგუზიეს. და დაიძრა ბესე, მარშე-ვიე, სოფელი სენ-ჟაკი, რენო, პარილე, რივიერა, რომ-სენ-პოლი, ვობრეტონი, პოტილი, ბრეემონი,


პონ-დე-კლანი, კრავანი, გრანმონი, ბურდი, ვილომერი, იუიმი, სერჟე, იუსე, სენ-ლუანი, პანზუ, კოლდრო, ვერონი, კულენი, შოზე, ვარენი, ბურგეილი, ილ-ბუშარი, კრულე, ნარსი, კანდი, მონსორო; მოვიდნენ, მოჯარდნენ ელჩნი, მოიხილეს გრანგუზიე და მოახსენეს, ყოველივე ვიუწყეთ, რარიგადაც დაგაზარალა პიკროქოლმაო, ძველთაძველი ერთხმობა და თანადგომა ჩვენი გვაღალღებულებს ყველანაირად გაგიმართოთ ხელი, არცა ხალხსა და ფულს დაგიჭერთ, არცა მხედრობისა სურსათ-საგზალსაო.

ფული, თანახმად პირობის წერილისა, სულ ას ოცდაათოთხმეტი მილიონ ორ-ნახევარი ოქროს ეკიუ მოგროვდა. ჯარ-მხედრობისა სათვალავში თხუთმეტი ათასი აბჯროსანი, ოცდაათორმეტი ათასი მსუბუქად შეჭურვილი ცხენოსანი, ოთხმოცდაცხრა ათასი მესიათე და ას ორმოცი ათასი მოხალისე იყო. აქავ ეანგარიშათ თერთმეტი ათას ორასი ზარბაზანი, უბრალოცა და ბრალიანიც, ბასილისკო და ფილთამეხი, და კიდევ ორმოცდაშვიდი ათას მიწის მთხრელსა ჰპირდებოდნენ; როქი და ნუზლი მთელი ამ უშქარი ლაშქრისა ექვს თვესა და ოთხ დღეზედ ევარაუდათ. გარგანტუა ამა შეძლევისა პასუხად არცა თანახმა გამხდარა და არცა უარზედ დამდგარა, მოციქულთ მადლი შესწირა და მიუთხრო, ომი ომია, მაგრამ იმდენს ვიზამ, ხალხსა ესდენ მრავლად არ დავიჭირებო. მარტო დევინიერი, შავინი, გრავო და კენკენე იკმარა, იქ რომ მიწყვი ლაშქართა გუნდნი ეყენა, იმათი მზადყოფნა ბრძანა. და დააწყეს საომრად ორი ათას ხუთასი აბჯროსანი, სამოცდაექვსი ათასი ქვეითი, ოცდაექვსი ათასი მესიათე, ორასი ქვემეხი, ოცდაორი ათასი მიწის მთხრელი და ექვსი ათასიც მსუბუქად ჭურვილი ცხენოსანი; ლეგიონთ ცალ-ცალკე მიუჩინეს ხაზინადარნი, მოფარდულ-მარკიტანტნი, მჭედელნი, მეიარაღენი და სხვა ოსტატნი, ომიანობისა ჟამს ფრიად საჭირონი, ხოლო თავად მეომარნი ისერიგად იყვნენ სალაშქროდ გაწაფულ-გავარჯიშებულნი, თავით ფეხთამდე ჩასილაღებულნი და ისე კარგად არჩევდნენ საკუთარ დროშას სხვათა დროშისაგან, ისე უმაღ უგებდნენ თავ-თავიანთ ჯართუფროსთ და ისე უსიტყვოდ ემორჩილებოდნენ, ისე ლაღად იცოდნენ სირბილი, ხელთ ისე მძიმე-მძიმედ აქნევდნენ და ისე ფრთხილობდნენ, უფრორე შეწყობილ საბერვლიან საკრავსა ანდა აწყობილ საჟამოსა ჰგავდნენ, ვინემ ჯარსა და სპა-ლაშქარსა.

შატაბუტამ მისვლისთანავე წვლილად უამბო პიკროქოლს, რაც ნახა და რაც თავს გარდახდა. ბოლოს უცხოდ ამჭერმეტყველდა და სცადა, ეგების პიკროქოლი როგორმე დავიყოლიო და დავაზავო გრანგუზიესო, რომელს აწ ყოვლისა უპატიოსნეს კაცად რაცხდა დედამიწისა ზურგზედ; მეზობელი კარისაო, სინათლეა თვალისაო, ტყუილუბრალოდ არცრა არ უნდა ვაწყენინოთ ჩვენთა ახლომდგომთ, რომელთაგან კარგის მეტი არა მოგვაგონდება რაო; უპირველესი აზრი კი იმის ლაპარაკისა ის იყო, რომ ომისა გამო ჭირსა და ვაგლახში ჩაცვივოდნენ, რამეთუ პიკროქოლს ილაჯი ჰქონდა გაწყვეტილი და გრანგუზიე იოლად მოერეოდა.

შატაბუტამ სიტყვისა გასრულება ვერც მოასწრო, რომ დაბდურამ ხმა აღიმალლა:

— ვაი იმ ხელმწიფისა ბრალი, ვისაც მართლა ამისთანა შატაბუტა ხალხი ახვევია, აგრე ადვილად მოსასყიდი; ზედ აწერია, დასტურ გვიღალატებდა თავად ვაჟკაცობანაღალატარი, მტრის ბანაკში ყოფნას ირჩევდა და თანამდგომთ შემოგვიტევდა, უკეთუ მტერი ისურვებდა და თავისთან დაიტოვებდა. მაგრამ



მარტო ქველსა და გულოვანს კი არ განადიდებდნენ ყოველნი, მტერი და მოყვარენი, მუხანათიც ეგრევე ერთნაირად სძაგს სუყველას, და თუ მტერი მუხთლობასა და ორგულობას გამოსარჩენად იყენებს ხოლმე, მუხთალი და ორგული კაცი იმასაც ეჯავრება.

ამას რას მაკადრიანო, ლამის გაგიჟდა შატაბუტა, წამერთ ამოიწოდა ხმალ-დელამფარი და მარცხენა ძუძუს ზევით უგმირა დაბდურას, რომელმან მსწრაფლ წერილი წაიღო საიქიოს, შატაბუტამ კი ცხედარს მახვილი ამოაძრო და რიხით წართქვა:

— სუყველას ამისი ბედი ეწევა, ვინცა ერთგულ შინაყმასა ცილს შესწამებს!

ფხასისხლიანი ხმლისა დანახვამ ანაზღად გააშმაგა პიკროქოლი და გაცეცხლებულმა შეჰყვირა:

— ნუთუ ეგ ხმალი იმად მოგცეს, რომ ჩემთა თვალთა წინ ესრეთ მუხანათურად მოგეკლა კეთილი მოყვასი ჩემი დაბდურა?

და უბრძანა თავის მშვილდოსანთ, ეხლავ აკუწეთ შატაბუტაო. ბრძანება და აღსრულება ერთი იყო, და თან ისე სასტიკად აღასრულეს, იქაურობა მთლად სისხლმა შეღება; მას უკანით დაბდურას ცხედარი დიდის პატივით მიაბარეს მიწას, შატაბუტას ნეშტი კი იქავ კოშკიდან ხრამში ისროლეს.

ამა საზარელი დასჯისა ამბავი მალე მთელ ლაშქარს მოედო. ზოგ-ზოგნი უკვე დრტვინავდნენ, ჩუმ-ჩუმად დედ-მამას უტრიალებდნენ პიკროქოლსა და ერთმა ყურძნისა ქურდად ხმობილმა შინაკაცმა უთხრა კიდევ პირში:

— მეფეო, ამა ჩვენსა განზრახვას რა მოჰყვება, ვერ გეტყვი, მაგრამ ერთი რამ ცხადია: ხალხი დაგვიძაბუნდა, სასმელ-საჭმლისა ეშინიათ, არ გვეყოფაო. იმ ერთი-ორჯერ ციხიდან გარეთ გასვლამაც ძლიერ შეგვათხელა, მტრის ლაშქარს კი ამაობაში ახალი მხედრობა შეეწევა, და ალყასა შიგან თუ მოგვაქციეს, ველარა გვიშველის რა, უცილოდ დავიღუპებით.

— არც ეგრეა, არც ეგრეა! — წართქვა პიკროქოლმა. — იმ ერთი თხუნელისა არ იყოს, თვალებს წინწინ ითხრით, ქვეყანა უნდა დაიქცეს, აღარ გათენდებაო. ნეტამც მოვიდოდნენ, არა მინდა რა!

თავი XLVIII

**ვითარ მიუხდა ბარბანტუა პიკროქოლს ლაროზ-კლეროზი და რარიზ შეშუსრა ჯარ-ჯარაგათი ხსენებული პიკროქოლისა**

გარგანტუამ თავად დაიკისრა უზენაესი მხედართმთავრობა. მამამისი ციხე-დარბაზში დაშთა, სპა-ლაშქარი კეთილი სიტყვით გაამხნევა და დაჰპირდა, ვინაც თავს ისახელებს, საბოძვარსა უხვად შევძღვნიო. მცირე ხანსა უკან მხედრობა ვედისა ფონს მიადგა, და ზოგნი ნავით, ზოგნიც ხელჩქარად გადებული ხილით ფიცხლავ წიად გახდნენ. მერმე მიდგნენ-მოდგნენ, მდებარეობა გაუსინჯეს ციხე-ქალაქსა, რომელიცა მაღალზედ იყო გაშენებული, მტრისაგან თავის დასაცავად მარჯვე ადგილას, და გარგანტუამ გარდაწყვიტა, დღეს რაღა იქნება და ხვალისა საქმნელს ამაღამ მოვიაზრებო. მაგრამ გიმნასტმა უთხრა:

— მეფეო, თავიანთი ბუნებითა და ზნითა ფრანგნი მარტოდენ პირველყო-




მად არიან ყოჩაღნი. პირველში ეშმაკთა უარესი საქმე იცოიან, ხოლო პატარათუ შედგნენ, მერე მორჩა, დიაცთაც ვერ გაუმკლავდებიან. მაშ, მიდი, ცოტასული მოათქმევიინე და ეგრევე დასძარ მტერზედ ლაშქარი.

გიმნასტის აზრი სუყველას ჭკუაში დაუჭდა. გარგანტუამ ჯარი მთლივ ერთ ტრიალ მინდორზედ გაშალა და გაღმა მთის გვერდაზედაც ჩაასაფრა ხალხი. ბერმა ექვსი ქვეითი რაზმი და ორასიც აბჯროსანი გაიყოლა, ჰაიჰარათი განვლო ჭაობ-ჭანჭრობნი და ლუდენის შარაზედ გავიდა, პიუი კი ქვევითკენ დარჩა.

იერიში კვალად გრძელდებოდა. პიკროქოლისა კაცთ არღა იცოდნენ, რა ექნათ, ციხიდან გამოსულიყვნენ და მტერს ხმალდახმალ შებმოდნენ თუ ფეხი არ მოეცვალათ და ციხე-ქალაქი დაეცვათ. ბოლოს ველარ მოითმინა პიკროქოლმა, სისხლი მოაწვა ყელში, აბჯროსანთა რაზმი იახლა და გალავანგარეთ გამოვიდა, მაგრამ იმისთანა ცეცხლი დაუშინეს, ზავითა და ზათქით გორი-გორ გადამავალი, რომ გარგანტუელნი ფიქრს მიეცნენ, ემანდ ჩვენვე არ შევაბრკოლოთ ჩვენივ ზარბაზან-ქვემეხნიო, და ისევ ტრიალ მინდორზედ უკუდგომა იზრახეს.

გალავანგარეთგამოსულნი მედგრად საგრობდნენ, ოღონდ იმათი ისარბოძალი მალლა-მალლა ქროდა და ვერცვისა ვერას აკლებდა. ვინცა ვინ ცეცხლსა გადაურჩა, გამმაგებულნი ეკვეთნენ ჩვენთა კაცთ, მაგრამ არა გამოუვიდათ რა, მსწრაფლ მოისრნენ ალყაშემორტყმულნი. დანარჩენთ ის იყო უკან წასვლა დააპირეს, რომ ბერმა უყელა, და ვინ საით გაიჭრა თავქუდმოგლეჯილი, არავინ უწყოდა. ზოგ-ზოგნი ჩვენებურნი ძალაზედ იდგნენ, გინდა თუ არა, ოტებულთ უნდა დავედევნოთო, და ბერმა შეაყენა, ვინადგან შიშობდა, მტრისა დევნა-დევნაში თავიანთ ლაშქარს განეშორებიან, მეციხოვნენი კი ამით ისარგებლებენ და წირვას გამოუყვანენო. კარგა ხანს უყურა ბერმა, უთვალთვალა და როს დარწმუნდა, ციხისა გარეთ ჯერჯერობით ალბათ არ გამოვლენო, ჰერცოგი ფრონტისტი გაუგზავნა გარგანტუას და დააბარა, უთხარ მარცხენა გორაკი დაიჭიროს და, ამრიგად, არამცა და არამც არ გაატაროს პიკროქოლი მარცხენა კარიბჭითაო. გარგანტუა წამიერ არ შეყოვნებულა, ადგა და სარდალ სებასტის ლეგიონთაგან ოთხი გუნდი ეგრევე გაგზავნა. მაგრამ ისინი გორაკამდის არც იყვნენ მისულნი, რომ პიკროქოლსა და იმის შეფერთხილ ლაშქარს გადააწყდნენ. ჩვენთა მეომართ არც აცივ-აციხელეს, ფიცხლად შეუტიეს და ზარალი ბევრი ნახეს, რადგანაც ციხის გალავნით ბირთვნი და ისარნი დააყარეს. სროლა მაშ, აბა აწ ჩვენიცა ნახეთო, შეუძახა გარგანტუამ, და ისეთი ბათქაბუთქი აუყენეს იმ გალავნის კედელსა, რომ მტერმა მთელი თავისი მხედრობა იქ მოაყარა.

ბერმა რა ირწმუნა, საითაც მე ჩემი ხალხითა ვარ, აქეთა მხრით ციხე-ქალაქსა არცვინ იცავსო, თან წარიტანა ნაწილი თავისი რაზმისა, გაქანდა უებრო ვაჟკაცობით აღძრული და გალავნისა კედელს ზედ მოექცა, რამეთუ ჰგონებდა, მტერსა შიშისა ზარს იმოდენად პირისპირ შებმულნი არა სცემენ, რაოდენადაც ანაზდად მისულნიო; თუმცა კრინტი მანამ არ დაუძრავს, სანამ ყოველნი მოსაგრენი კვალდაკვალ არ აჰყვნენ ქავციხეზედ, თვინიერ იმ ორასი აბჯროსნისა, რომელნიცა ძირსა დატოვა სავინიცობოდ. მერმე კი ერთბაშად მართო ღრიალი და აღრიალდნენ მოლაშქრენიც, წამისყოფით გადაქელეს იქაველამონთან მდგარნი მცველნი, რომელთ ხელიც არ გაუხმრევიათ, გახსნეს ალა-



ყაფისა კარი, გარეთ დარჩენილი ორასივე აბჯროსანი შიგ შეუშვეს და სუყვე-  
ლანი ერთად გაცვივდნენ, მიაწყდნენ აღმოსავლეთის ჭიშკარსა, სად ხელჩარ-  
თული ბრძოლის ცეცხლი ენთო, და უკანით ეტაკნენ მტრისა ჯარ-ჯარამათს,  
დაძალეს და ზურგზედ ბოლი ადინეს. პიკროქოლისა კაცთ რა დაინახეს, ყო-  
ველგნით გარშემორტყმულნი ვართო, და გარგანტუელნიც უკვე ციხე-ქალაქში  
იყვნენ, მოდრიკეს თავი და ბედსა დამორჩილდნენ. ბერისა ბრძანებით მტერსა  
მაშინვე აჰყარეს თოფ-იარაღი, შერეკეს ეკლესიასა შინა და კარი გამოუკეტეს,  
თუმცა ბერმა მაინც ჯარისკაცთ ჩააბარა იმათი თავი, დარაჯად დაუყენა, არსად  
წავიდნენო, და საცა ერთი ჯვრისა ძელი იყო, სულ იქ მოაგროვა; შემდგომ გა-  
ნაღო აღმოსავლეთის ბჭენი და გარგანტუას საშველად გაეჩქარა.

თავმოიმედე პიკროქოლმა კი იფიქრა, ციხე-ქალაქით ჩემდა შეწევნად კაც-  
ნი გამოუგზავნიათო, და წინ ისერიგად გაიწია, გარგანტუამ ხაფად შეჰყვირა:  
— ძმაო ჟან, შენი ჭირიმე, ძმაო ჟან, სულზედ მომისწარი!

აწ მართლა დავიღუპეთო, მიხვდა მაშინ თავის ხალხთან ერთად პიკროქო-  
ლი, და ვიეთნი აღმა გარბოდნენ, ვიეთნი დაღმა. გარგანტუამ ზედ ვიგოდრის  
კარამდე სდია ლტოლვილთ და უწყალოდ ჟლიტა, მერმე კი ჯარისა უკან გა-  
მობრუნება ბრძანა.

თავი XLIX

**რა თავი დღე დაადგა გზად პიკროქოლსა, და რაბლერ  
მოიქცა გარგანტუა ბრძოლისა შემდგომ**

იმედგადაწურულმა პიკროქოლმა ილ-ბუშარს მიაშურა; ბევრი იარა თუ  
ცოტა იარა, რივიერისა გზაზედ ცხენი წაუბორძიკდა და წაექცა, ამა ამბავმა კი  
ისერიგად დაბოდმა, უმაღ ხმლით დაკლა ცხენი იგი. რაკი არცა სხვა ცხენის  
მომრთმევი ჩანდა ვინმე და არცა მოახლე ჰყავდა, პიკროქოლი გულისხმას  
ჩახვდა, თავი მოიმოახლა და იქავ შორიახლო მეწისქვილისა ვირს დაადგა თვა-  
ლი. მაგრამ წისქვილსა მიტანებული არ იყო, გამოუცვივდნენ მესაფქვავენი,  
ერთი კარგა მიბეჟეს, რაც რამ ზედ ეცვა, გახადეს და ბრანძიძველა მოასხეს  
ტანტარასა.

და გზას ჩაქშეხეული, აბრანძული გაუდგა ბედშავი ბაბაყული; როს პორ-  
იუოსთან მდინარეს გახდა, წინ ერთი კუდიანი დედაბერი შემოეყარა, და ნა-  
მეფარმა წვლილად უამბო თავისი თავგადასახადი, დედაბერმა კი თავისა მხრით  
უკითხა, შენი საქმე წალმა წავა, როცა ვირი ხეზედ გავაო. ის დღეა, და პიკ-  
როქოლისა არცვის არა სმენია რა. ამას წინათ კი ყური მოვკარ, ლიონშია, დღი-  
ურად გამოდისო, რაც ბაიყუში და ბაბაყულიც იყო, ისევ ის არი, არ გამოც-  
ვლილაო, ვისაც თურმე სხვამხრელსა ხვდება, სუყველას იმას ეკითხება, სადმე  
ვირი ხეზედ ხო არ გასულაო; ჩანს, დედაბერმა რაც უმარჩიელა, გულს ჩარჩე-  
ნია და იმედიანობს, საბრძანებელს დავიბრუნებო.

მტერმა ზურგი უჩვენა თუ არა, გარგანტუამ ხალხი დაითვალა თვისი და  
დაინახა, რომ ბრძოლაში ცოტანი დაცემულიყვნენ, სახელდობრ რამოდენიმე  
ქვეითი აკლდა, ჯართუფროს ტოლმერის რაზმეღნი, და პონოკრატიც მკერდში  
იყო სიათისა ტყვიით დაკოდილი. შემდგომ გარგანტუამ დასვენება და დანაყ-

რება ბრძანა, ოღონდ თავისა ლაშქარს არვინ არ უნდა განშორებოდა, მესაუნჯეთ სასმელ-საჭმლისა ფული უკლებლივ უნდა ჩაეთვალათ იქაურ მკვიდრთათვის და, რახან ციხე-ქალაქი იგი კვალად გრანგუზიეს ხელთ იყო, მეკომურ-მსახლობელთა უპატიურობა არცვისაგან არ ეგებოდა. თვინიერ ამისა, ბრძანებისამებრ, ხასის ჯარი ნასადილევს ციხე-დარბაზისა წინარე ფორზედ გამოვიდოდა, რათა ჯარისკაცთ ექვესი თვისა საფასური წინწინ მიეღოთ, და მიიღეს კიდევ. მერმე ბატონიშვილმა იმავე ადგილას შეაყრევინა გადარჩენილი ხალხი პიკროქოლისა და დიდგვართა და მხედართმოდღვართა თანადასწრებით სეფესიტყვით მიმართა დაჯარულთ.


**თავი L**

**სეფე-სიტყვა გარბანტუასი, კლულთა  
წინაჲ თქმული**

„ცხონებულნი მამა-პაპანი ჩვენი, ბუნებითად ლომგულნი და ლომგმირნი, ოდეს ომსა თავიანთ სარგოდ გაასრულებდნენ და გამარჯვებასა ზეიმობდნენ, უმჯობესად რაცხდნენ, რომა ძლეულთა გულში კაცთმოყვარეობით დაედგათ დიდ-დიდნი ძეგლნი, აბჯარ-აბგრით შემკულნი, და არა დაპყრობილ მიწა-წყალსა ზედა თვალუწვდომი ხუროთმოდღვრული რამ აეგოთ სახსოვრად, რამეთუ ცოცხალი კაცობრივი სიტყვა უფრორე უღირდათ, ჩვენი უბოროტობისა ამბავსა არ წაშლისო, ვინემ მკვდარი ენა სვეტთა, თალთა და მურყვამთა, რომელთ, სხვა არა იყოს რა, არცა ავდარი ინდობს და არცა კიდევ ადამის შვილთა შური.

დასტურ საკმაოა მოგაგონოთ, რა გულჩვილობა გამოიჩინეს იმათ ბრეტონელთა მიმართ სენტ-ობენ-დიუ-კორმიეს ომში და პარტენეს დაქცევის ჟამსა. ჰაი, ჰაი, რომ გიკვირდათ აღტაცებულთ, რარიგ გულმოწყალედ მოექცნენ ისინი ესპანოლელ ბარბაროსთ, უმოწყალოდ რომ აიკლეს, დაარბიეს და გამარცხეს ნავთსაყუდელი ოღონი და სრულად ტალმონდის ზღვისპირა მხარე.

თქვენთა ბაგე-პირთაგან და მამათა თქვენთა ბაგეთაგან აღმომხდარი ქება-დიდება და მისალოცავი ღაღადება ცად ადიოდა, როს ალფარბალი, მეფე კანარიისა, ვინაც, პყრობას დახარბებული, ყაჩაღებრ დაესხა ონისა ქვეყანას, მეგობრისა საკადრად დააშინა ჭალაკნი არმორიკისა და იქავ გვერდმდებარე სამთავრონი, ბოლოსა და ბოლოს ზღვასა შინა თანასწორ ომში შემუსრა და წარტყვევნა მამამან ჩემმან, ვის თავად უფალი ღმერთი შეეწეოდა და იფარვიდა. და რა ქნა, არ იკითხავთ? რა ქნა და, განსხვავებით სხვა ხელმწიფეთაგან და იმპერატორთაგან, თავი რომ მოაქვთ, კათოლიკენი ვართო, და მაინც შავ დღეს აყრიან ტყვევნილთ, მზის შუქის ნატრულსა ხდიან და ზომისა უაღრეს გამოსახსნელ თეთრსა სთხოვენ, მამაჩემი კაცურად მიუდგა ალფარბალსა, მეგობრულად გამოსდო ხელი, მოიყვანა და თავის სასახლეში დაავანა, მერმე კი, ჩვეულებისამებრ, ენით უთქმელი გულკეთილობა გამოიჩინა, საჩუქრითა და წყალობით ალავსო, ათასგზის ტკბილი შეყრით აამა და, გზა დამილოცნიაო, გაუშვა, თავისუფლება უბოძა. ახლა ალფარბალმა რაღა ქნა, არ იტყვით? შინ მიბრუნდა თუ არა, მიიხმოდიდგვარნი და ქალაქთაგან რჩეულნი კაცნი თავისი სამეფო-ქვეყნისა, ყოველივე უამბო, ვითარ სულგრძელად მოეკიდნენ ჩვენში და დაავედრა, მსწრაფლ სხვათა



მისაბამეველი რამ ვიღონოთო, რათა ჩვენი კაცობისა და ზრდილობისა წილ კაცობითა და ზრდილობითავე მოეზლოთ. ადგნენ ისინიც და ერთხმად გადაწყვიტეს, რომ მთელი თავიანთი ადგილ-მამული და სამკვიდრებელ-საბრძანებელი ჩვენი საკუთრება გაეხადათ. მაშინ ალფარბალმა არღა დააყოვნა, თავისი ფეხით წამოვიდა, კვალად მოგვადგა და თან ცხრა ათას ოცდათვრამეტი უშველებელი ხომალდი მოიყოლა, სუყველა განძით დაყათრული, ოღონდ ოდენ პირადი საჭურჭლენი კი არ დაეცალა და არცა თავისი სამეფო გვაროვნების საუნჯენი, არამედ ყოველგნით მოეგროვებინა, რამეთუ ხომალდნი მისნი როცა დასავლეთ-ჩრდილო-აღმოსავლეთის ქარისა მოლოდინში სადმე ნაპირს მიადგებოდნენ, იქაურნი მსახლობელნი ერთმანეთსა აღარ აცლიდნენ, მოჰქონდათ და მოჰქონდათ ოქრო და ვერცხლი, ბეჭედ-სამკაულნი, ძვირფასიერება, ტკბილ-ტკბილნი საჭმელნი, სანელებელნი, სუნნელნი, ზოგთაც ნადირ-ფრინველნი მოჰყავდათ, ციბეტა და თუთიყუში, ვარხვი, მაიმუნი, გენეტა და მაჩვზღარბი. რა მოვიდა და ეახლა, ალფარბალმა მამასა ჩემსა ფეხთა დაკოცვნა მოუნდომა, მაგრამ მამაჩემმა არ დაანება, წამოაყენა და მოყვარესებრ მიირქვა. რაჟამს ალფარბალმა ძღვენზედ ჩამოუგდო სიტყვა, ეგ არ გამაგონოო, მეტისა მეტად დახარჯულხარო, უარზედ დადგა მამაჩემი. ალფარბალმა ნებაყოფლობით დედა-ბუდიანად მონა-მორჩილობა აღუთქვა, მამაჩემმა კი აშა ჰკრა, უსამართლობას ნუ მაქნევინებო. რჩეულთა კაცთა რჩევისამებრ იმან სრულად თავისი ადგილ-მამულისა და სამეფო-ქვეყნისა დათმობა უთხრა და საბოძრისა წიგნი მოართვა, ხელმოწერილი, ბეჭედდასმული და დამტკიცებული ყველასაგან, ვისაც საქმე ესე ეკუთვნოდა. გარნა მამაჩემი თანახმა არა და არ გაუხდა, ადგა და იმის მოტანილნი სიგელ-გუჯარნი ეგრევე ცეცხლსა მისცა. რაღა ბევრი გავაგრძელო, საქმე იმით გასრულდა, რომ ალაღად მოსულ კანარიელთა უზაკველმა სიტყვა-პასუხმა მამაჩემსა გული აუჩუყა და იმათი სიბრალულით ცრემლი ღვარად წასკდა. მერმე კი იმა შემთხვევის-და კვალად იენამზევა და სულ გააქარწყლა, რაც რამ კანარიელთა მიმართ მაღლი ექნა, ესევეთარი კეთილისმყოფლობა ჩალადაც არა ღირსო, გადამეტებულ სიქველესა ჩემსას ნუ იტყვითო, რის მოვალეც ვიყავ, ის გიყავითო. ალფარბალი კი თავისას მაინც არ იშლიდა, უმეტესად აღამალლებდა და ხოტბას ასხამდა მამაჩემსა. და რა გგონიათ, რა მოხდა? რა მოხდა და, აქაოდა ალფარბალისა გამო-სახსნელად შეგებლოთ უწყალოდ დიდძალი ფასი ანუ ორი მილიონი ეკიუ მოგეთხოვათო და კიდევ უფროსნი ვაჟნი მისნი, ვითარცა მძევალნი, არ გამოგეშვათო, კანარიელთ სამარადჟამოდ ჩვენდა მოხარკედ ცნეს თავი თვისი და ყოველწლიურად ოცდაოთხკარატიანი ორი მილიონი ოქროს ფულისა გადახდა იკისრეს. პირველ წელიწადსა არცა დაუკლიათ და არცა დაუმატებიათ, ზუზიგ ჩაგვიტვალეს, მეორე წელიწადსა თავიანთი ნება-წადილისამებრ ორი მილიონ სამასი ათასი მოგვართვეს, მესამედ — ორი მილიონ ექვსასი ათასი, მეოთხედ — ზუსტად სამი მილიონი, და ყოველ წელიწადსა გვიდიდეს და გვიდიდეს, სანამ სულ უარი არა ვთქვით ხარკზედ. დიახაც ესეგვარია თვისება მაღლიერებისა, რადგანაც ჟამი ქვეყნად ყოველივეს თუ იავარყოფს და აკნინებს, სამაგიეროდ კეთილსა საქმეს განადიდებს და განამრავლებს, რაკილა დამნახველ კაცსა არაოდეს არავისი ქველი მექმეობა არ ავიწყდება და იმა სიკეთესა ნიადაგ აღორძინებს თავის წმინდა გონებასა და გულში.

არამცა და არამც არცა მე ვაპირებ ჩვენი გვარის წესისა და რიგის ანუ გულკეთილობისა ღალატსა და გამიშვიხართ, დღეის წალმა თავისუფალნი გა-

მინდინართ კვალად. თვინიერ ამისა, ვიდრე ქალაქითგან გახვიდოდეთ, თვითეულსა იმოდენ ფულს მოგიბოძებენ, სამი თვე ოჯახისა შესანახად რომ გეყოთ, და რათა ჩვენთა მდაბიორთაგან გზად არავინ გადაგიდგეთ, თან ასაბიას გაგაფოლებთ, ექვსას აბჯროსანსა და რვა ათას ქვეითსა, რომელთ ჩემი მეჯინიბე, სახელად ალექსანდრე, უთავკაცებს და შინ მშვიდობიანად მიგიყვანენ. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი!

დია ვწუხვარ, რატომ პიკროქოლიც აქ არ არის, თორემ ავუხსნიდი, რომა თმი ესე ჩემდა დაუკითხავად ატყდა და აზრდაც არა მქონია ამდაგვარად ქონებისა და სახელისა მოხვეჭა. მაგრამ რახან მიწამ პირი უყო და არცვინ უწყის, სად გადაიკარგა, უნდა ავდგე და სამეფო ქვეყანა მისი შვილსავე შევძღვნა მისას, თუმცა ჯერეთ უსუარია (ხუთისაც არ გამხდარა) და სხვა გზა არ არის, დასამოძღვრავად და აღსაზრდელად თქვენივ ქვეყნისა ასაკმოსულ დიდმთავართ და მეცნიერთ მივუჩინ. ოლონდ ანგარიშგასაწევი ის არის, რომ ესდენ სიღარიბეში ჩავარდნილი სამეფო სულ ადვილად გაჩანაგდება, უკეთუ განმგებელთა გაუმადლობასა და სიწუწუკესა საზღვარი არ დაედო, და ამიტომ მეთვალყურედ პონოკრატს დავუყენებ, თანვე ჯეროვანი სრულშემძლებლობით აღვჭურავ და მანამ ეყოლება მეფისა მემკვიდრეს გვერდით, სანამ იგი თავისით არ შეიძლებს მართვა-გამგებლობასა და საქმის გაძლოლასა.

ცნობილია, რა ბიწიერი და განმრყენელი რამ არის ღვთისა გარეგანთა ნებაზედ მიშვება და მიტევება, რამეთუ ამით ჩვენდა სავნებლად ვაიმედებთ, მანც შეგიწყალებთო, და ისინიც უშიშრად სჩადიან ძვირსა და ბოროტსა.

ცნობილია აგრეთვე, რა უწყალოდ სჯიდა მოსე, იმაჟამინდელ კაცთაგან ყოვლისა უფრორე უწყინარი, მემამბოხეთა და შფოთის თავთ, ისრაელისა ამშლელთ.


და ისიც კარგად ცნობილია, რომ თავად მხედართმომღვარი იულიუს კეისარიც კი, ვინაც ციცერონს ათქმევინა, ბედმა ვერცრა ისეთი ვერ შესძინა, რაიცა იმას უკვე არა ჰქონდაო, და უბედნიერესი იგი მხოლოდ მაშინ იყო, უკეთუ ვისმეს უშველიდა და შეიწყალებდაო, ხანდახან სუყველას სისხლსა არწყევინებდა ხოლმე, ვისაც არეულობისა მოთავედ დაიგულებდა.

იმათი არ იყოს, ვინემ წახვიდ-წამოხვიდოდეთ, მოვითხოვ და უნდა მომგვართოთ, ჯერ ერთი, ის თქვენი საყვარელი მარკე, ვისი უგუნური დიდგულობაც ამათომისა საბაბი და პირველმიზეზი გახდა, მეორეცა, ამხანაგნი მომიყვათ მისნი, მებურენი, რომელთ ერთხელ არ დაუწიეს კალთა და არ უკიჟინეს, გიჟობას თავი გაანებეო, და ბოლოს სუყველანი აქ მოასხით პიკროქოლისა სამსჯავროს წევრნი, სარდალნი, ჯართუფროსნი და შინაკაცნი, ვინცავინ იმას ჭირსა სჭამდა, გუნდრუკს უკმევდა, ურჩევდა, აგულიანებდა, და იმანაც აკი დაუჯერა, საზღვარნი დაგვირღვია და ამისთანა დღეში ჩაგვყარა.

თავი LI

**პითარ დაჯილდოვდნენ ეკლეველი გარგანტუელი ბრძოლისა უმეღოე**

როგორც კი გარგანტუამ სიტყვა გაასრულა, უწინააღმდეგოდ მიჰგარეს მხუბისა ამშლელნი, ვისი მიგვრაც თავად ინება, თვინიერ შუშუბრიქასი, შლუ-



სი და ტინგიცასი, რომელთა ბრძოლისა დაწყებამდის ექვსი წამით ადრე ამო-  
 ეძუებინათ კუდი, ერთი ანიელისა ხეობაში გაქცეულიყო, მეორეს ვირისა ტა-  
 შირი აერჩია, მესამე კი ლოგრონოში გასულიყო, სულ თავ-პირის მტვრევითა  
 და ფხოჭა-გლეჯით ერბინათ ოტებულთ. და სათვალავს კიდევ ორი მეპურე  
 აკლდა, რამეთუ ბრძოლისა ველზედ წაეგოთ თავი. გარგანტუას არცვისთვის  
 მიგვრილთაგან ურიგო არა უქნია რა, მარტო ეგ იყო, სუყველას ცალ-ცალკე  
 დაზგა მიუჩინა თავის ახლად გახსნილ წიგნთსაბეჭდავში.

მერმე დახოცილთა დამარხვა ბრძანა, ნუარეტის ველსა და ბრიულვეის  
 ვაკესა შინა პატივით დაკრძალეთო. ხოლო დაჭრილ-დაკოდილნი თავის უმთავ-  
 რეს სასნეულოში გადააყვანინა, უწამლეთ და გამომართელეთო. შემდგომად  
 ამისა ყველაყა ზუსტად შეიტყო, რა ზარალიც ქალაქსა და იქაურთ მოსვლო-  
 დათ, და განკარგულება მოახდინა, ყოველივე უკლებლივ შეზღვეთ იმისდა კვა-  
 ლად, რის შეზღვევასაც ხალხი ზენარობით იტყვისო, და კიდევ ქალაქსა შიგან  
 აგება ისურვა ციხისა, სად მოდარაჯედ ანუ გუშაგად მეციხოვნე ლაშქარს ჩა-  
 აყენებდნენ, რათა ქალაქი შემდგომად უკეთ ყოფილიყო დაცული ანაზღვეული  
 თავდასხმის ჟამსა.

წასვლისა უწინარეს გარგანტუამ მადლობა შესძღვნა ნაბრძოლ-ნაომარ ჯა-  
 რისკაცთ და საზამთროდ დაბინავება ბრძანა სუყველასი, გარდა ფრიად გამორ-  
 ჩეული როქის სპისა და რამოდენიმე ჯართუფროსისა, რომელნიცა თან წარი-  
 ტანა გრანგუზიესთან.

და მივიდნენ ძლევით მოსილნი სასახლეში, მოიხილეს მადლცხებული მეფე  
 და დია გაუხარეს გული. იმანაც წამისყოფით იმისთანა დიდმშვენიერი, მდიდ-  
 რული და უხვი პურობა-დარბაზობა გაუმართა, რომლისა დარიც არცვის არ  
 ახსოვს არტაქსერქსე მეფისა დროითგან მოკიდებული. და სუფრასა რა აუმა-  
 ტეს, ადგა მეფე-ბატონი, გამოატანინა რაც კი რამ შინ ჭურჭელი მოეპოვებო-  
 და, მილიონ თვრამეტი ათას თოთხმეტი ოქროს ბეზანტის საერთო წონისა, და  
 სულ იმათ დაურიგა. ჰაი მრავლის უმრავლესი დიდ-დიდი ანტიკური ლანკანიო,  
 ჰაი უამრავი ლაგვინიო, ჰაი ბევრად ბევრი ფილჯამიო, ურდავი ფიალაო, თასიო,  
 ლაგვინარიო, შანდალიო, ფინჯანიო, ჰაი ურიცხვი ლარნაკიო, უზღვავი სატკბი-  
 ლეულო ფეშხუმ-ბარქაშიო, და სხვაც აუარებელი რამ მისთანანი შესძღვნეს  
 ძლევამოსილთ. თანაც კიდევ, არ დაგავიწყდეთ, სუყველაფერი ბაჯადლო ოქ-  
 როსი იყო და ოქროზედ უფრორე ძვირფასიანი სპეკალით, მინანქრითა და ჩუ-  
 ქურთმით შემკულ-მოოჭვილ-მონახჭული. მაგრამ გრანგუზიემ არცა მარტო ამას  
 დააჯერა, სალარონი დაახსნევინა და კაცისა თავზედ მილიონ ორასი ათასი ეკიუ  
 გაიღო, მერმე იქავ ბრძანებაც ზედ მიაყოლა და თვითეულსა სამუდამო სა-  
 კუთრებად ებოძა (უკეთუ უძეოდ არ გადაშენდებოდა) ცალკე ციხე-კოშკი და  
 ცალკე ახლომახლო ადგილ-მამული, ვინცა რის მოსურნე იყო.

პონოკრატმა ლაროშ-კლერმოს დაადო ხელი, გიმნასტმა — კუდრეს, ევ-  
 დემონმა — მონპანსიეს, ტოლმერმა — რივოს, იტიბოლმა მონსორო შეიხვედრა,  
 აკამასმა — კანდი, ქირონაქტმა — ვარენი, სებასტმა — გრავო, კენკენე ალექ-  
 სანდრეს ერგო, ლიგრე — სოფრონსა, და უწილკერძოდ კაცი არ დარ-  
 ჩენილა.

## თავი LII

**ვითარ ბრანა გარგანტუამ ბერისა სახელობაჲმ  
თელემის სავანისა ახეზა**

მარტო ერთი ბერიდა იყო უბოძვარი. გარგანტუამ იმას სეიის აბატობა დაუპირა, მაგრამ ბერი უარზედ დადგა. მაშინ გარგანტუამ ბურგეილისა და სენ ფლორანის სააბატონი შესთავაზა, რომელიცა გინდოდეს, აირჩიეო, თუ არადა, ორივე შენი პირისნახავი იყოსო. ბერმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, მაგას ნუ მიზამ, ბერ-მონაზონთ თავს ნუ მომახვევო.

— სხვას რარიგ მოვუვლი, — უთხრა ბერმა, — ოდეს საკუთარი თავისთვის ვერ მომივლია? უკეთუ საჩინო რამ სამსახური გამიწევია და, ჰგონებ, კვლავაც გამიწევსო, მაშ, სადმე ერთი სააბატო ჩემი გუნებისად ამაგებინე.

ბერისა სიტყვა ჭკუაში დაუჭდა გარგანტუას და სრულად თელემის მხარე მიუბოძა თვით ლუარამდის, პორ-იუოს უსიერი ტყიდან ორი ათასი ნაბიჯის სავალზედ. და ეაჯა ბერი, რახან აგრეა, ბარემ სავანეც იმისთანა დამადგმევინე, რომლისა ბადალიც მთლად ქვეყანაზედ არ იპოვებოდესო.

— მაშ, აბა უგალავნო აგვიგია, — მიუგო გარგანტუამ, — რამეთუ დანარჩენი სააბატონი მიუვალგალავნიანია სუყველა.

— დიახაც უგალავნო, — კვერი დაუკრა ბერმა, — რასაც გალავნისა კედელი არტყია, იქ შურ-მურმურია და ზაკვა.

— კიდევ ერთი რამ არ დაგავიწყდეს, — უბნობდა გარგანტუა. — ზოგ-ზოგ სავანეში წესად მოსდგამთ: უკეთუ დიაცი ვინმე შევა (სათნოსა და უმანკო დიაცს ვამბობ), სადაც ფეხს დაადგამს, ჩქარა-ჩქარა ასუფთავებენ იქაურობას, ჩვენი წესრიგისდა კვალად კი: ვინცავინ ბერი თუ მოლოზანი შემთხვევით სად-გურსა გვთხოვს და დავაყენებთ, მერმე გულდაგულ უნდა მივალაგოთ იმათი ნადგომი. ვინათგან სავანეთა შინა ყოველივეს ყოველგან საათობრივ ზომავენ, თვლიან და ნიშნავენ, სწორედ ამად უნდა ავკრძალოთ საყამონი და საათისა მაჩვენებელნი საყამოს ფიცარნიც. როდის რა საჭირო საქმე უფრო მარჯვედ მოვა, მაშინ უნდა მოვკიდოთ ხელი, რამეთუ საათისა ცქერა და დროის ანგარიში დასტურ წყალში ჩაყრაა ჟამისა. ანდა რა ხეირია მართლა? გიჟური საქმეა და მეტი არაფერი, ოდეს ზარისა რეკვითა საზრავ რასმე და არა სალი ჭკუა-გონებითა სჯი. Item<sup>1</sup>, ვინაიდან აწ დედათაგან თუ სადმე ვინმეა ელამი, კოჭლი, კუზიანი, გონჯი, პირნასი, რეგვენი, შერეკილი, გარყვნილი და დუხჭირი, მონასტერთ ისინი აწყდებიან, ხოლო მამათგან იქ მარტო ულონონი, უაზნონი, ბრიყვნი და სხვისი ხელისა შემყურენი არიან...

— ეგ კი ეგრეა, მაგრამ, — სიტყვა გააწყვეტინა ბერმა, — ცოტა ულამაზონი და ცოტა შტერნი დედანი სადლა წავიყვანოთ?

— ცოტა შტერნიც უცილოდ მონასტერში იქნებიან, — მიუგო გარგანტუამ.

— კეთილი და პატიოსანი, — თანახმა გაუხდა ბერი.

— მაშასადამე, — განაგრძო გარგანტუამ, — მამანიცა და დედანიც, ვისაც

<sup>1</sup> და კიდევ (ლათ.).



კი კარს გაუღებთ, სუყველა თვალ-ტანადობითა და ზრდილობით უნდა გამოიჩინოს.

Item, ვინაიდან დედათა სავანეთა შიგნით შიგან მამანი მხოლოდ მალვითა და პარვით შედიან, უნდა განაწესოთ და დედათ აეკრძალოთ მამათა კრძალვა, ხოლო მამათ — დედათა მორიდება.

Item, რადგანაც მამათაც და დედათაც ეკრძალვით მონასტრისა დატეგება ერთ წელიწადსა მორჩილად მსახურებისა შემდგომ და სამარადოდ მონასტრისა ჭერქვეშ უნდა დარჩნენ, თქვენისა წესდებულებისდა კვალად არცრა შეაფერხებთ და არცრა დააბრკოლებთ, ვის როდის მოენებოს, მაშინ ადგეს და განგმორდეთ, გინდა კაცი იყოს და გინდა ქალი.

Item, უკეთუ ბერნი ჩვეულებრივ უბიწოების, უპოვარებისა და ძმათა მორჩილების სამ აღთქმასა სდებენ, ჯერ არს საქვეყნიეროდ დათქვათ და არცვის არ დაუშალოთ არცა სჯულიერად ცოლისა შერთვა, არცა გამდიდრება და არცა კიდევ თავისუფლად მყოფობა.

შემომსვლელთა სავალდებულო ასაკისა გამო კი ვიტყვი, რომა ერთხელ და სამუდამოდ უნდა დადგინდეს ქალთათვის ათიდგან თხუთმეტ წლამდის, ხოლო ვაჟთათვის — თორმეტიდგან თვრამეტამდისა.

### თავი LIII

#### რარიგად და რა სახსრით ააგეს თელემისა სავანე

ასაგებად და გასამართავად სავანისა გარგანტუამ ნაღდ ფულად ორი მილიონი შეიდასი ათას რვაას ოცდათერთმეტი „ფაცახმატყლიანი სადგამი“ გაიღო და თანაც კიდევ აღუთქვა, ვინემ საქმეს სრულად არ გაარიგებთ, ყოველწლივ მდინარე დივას შემოსავლის ერთი მილიონ ექვსას სამოცდაცხრა ათას მზიან ეკიუს და იმოდენსავე ხომლიან თეთრსა არ მოგაკლებთო. სავანისა შესანახავად კი წელიწადში ორი მილიონ სამას სამოცდაცხრა ათას ხუთას თოთხმეტი ვარდიანი ნობილი განაწესა, მონასტრისა სალარო ამა ფულს უშრომლად მოიღვაწებს, ვითარცა უცილობელ მიწისა სარგებელსაო, და უტყუარი პირობისა წიგნიც იქავ მიუბოძა.

თავად შენობა ექვსკუთხედად ააგეს და თვითეულ კუთხეში თითო მაღალი მრგვალი კოშკი დადგეს. ყოველი კოშკი განივ სამოცი ნაბიჯი იყო და სიდიდითა თუ მოყვანილობით სუყველა ერთმანეთსა ჰგავდა. ჩრდილოეთით მდინარე ლუარა ჩამოუდიოდა და ზედ წყლისა პირას არქტიკად წოდებული კოშკი იდგა, აღმოსავლეთით მეორე კოშკი ჩანდა, კალაერად სახელდებული, მესამეს ანატოლია ერქვა, მომდევნოსა — მესემბრინა, მერმე ჰესპერია მოდიოდა და ბოლოს კრიერას კოშკი იყო. კოშკსა და კოშკს შუა სივრცე-სიშორე სამას თორმეტ ნაბიჯს უდრიდა. უკეთუ სარდაფსაც სათვალავში ჩავაგდებდით, შენობას შეიღსართულიანი ეთქმოდა. მეორე სართული მთლად კამაროვანი იყო და ყოველი კამარა კალათის ყურსა ჰგავდა. ქორედნი ანუ ზედა სართულნი ფლანდრიული თაბაშირით შეებათქაშებინათ და სარკმელ-სანათურთა საკეტ-საკვალთი კანდელ-სანათისებრ მოჩანდა. ლორფინ-ფიქლის ერდო-ბანზედ



ტყვია-ბრპენისაგან ქმნილნი პატარ-პატარა კაცნი და ნადირნი, თვალმიმტაცად ნახელავნი და მოოქროვილნი. ბანისა ბანით კი, სარკმელსა და სარკმელს შუა, კედელთაგან ოდნავ სიშორეზედ, წყალსადინარნი მილნი ჩამო-ეშვათ, ოქროთი და ლაჟვარდით ჯვარედინად მოჭედნი, ძირა სართულზედ იმ მილთაგან წყალი ჯერეთ განიერ სოლინართ შეერთვოდა და მერმე შენობისა ქვეშ კი — მდინარეს.

შენობა ესე ათასჯერ უფრო დიდმშვენიერი იყო, ვიდრე ციხე-დარბაზნი ბონივესი, შამბორისა და შანტილისა; აქ ერთიანად ცხრა ათას სამას ოცდათორმეტ სადგომ ოთახს ანგარიშობდნენ და თვითეულსა ცალკე ჰქონდა თავისი ფეხსალაგი, სენაკ-საჯდომი, საფარეშო, სამლოცველო და სუყველა თავ-თავისი კარით გადიოდა სეფე-დარბაზში. ერთი კოშკი მეორეს შიგნითგანვე უერთდებოდა კაცთა სადგომისა გავლითა და ხვეული კიბითა, რომლისა საფეხურ-ხარისხნი ნაწილი პორფირის ქვისა იყო, ნაწილი ნუმიდიის ქვისა, ნაწილი კი დრუნგალ-მარმარილოსი. თვითეული საფეხურისა სიგრძე ოცდაორ ფუტს უდრიდა, სიმაღლე — სამი თითის დადებასა; სართულით სართულამდის თორმეტი ამდაგვარი საფეხური უნდა აგველ-ჩაგველო. ყოველ კიბისა ბაქანზედ კიბისავე სიგანის ორ-ორი ანტიკური თალი იყო ამოყვანილი. იმ ორივე თალით შუქიც შემოდოდა და გინდ ღია აივანზედ გახვიდოდი გარეთ. კიბე კი ბანისა გვირგვინამდის ადიოდა და იქ უკვე ფანჩატურს მიადგებოდი. მეორე ამნაირივე კიბითა გზა სეფე-დარბაზისკენ იდო და იქიდან კი უკვე სადგომთა კარებს შეაღებდი.

არქტიკისა და კრიერის კოშკთა საშუალ დიდებულნი და ვრცელნი წიგნთ-საცავნი მოეწყოთ; თუ სადმე ერთი ბერძნული, ლათინური, ებრაული, ფრანგული, ტოსკანური და ესპანური წიგნი იყო, სულ იქ მოეგროვებინათ და თანაც თითო ენას თითო სართული ეჭირა.

შუაგულ ადგილას უცხოდ მშვენიერი კიბე ადიოდა, რომელსა გარეთა მხრით ჰქონდა მისასვლელი თალი ექვსი ტუაზის სიგანისა. კიბე ესე იმოდენად თანაშეზომილი და ფართე იყო, ექვსი შუბიანი აბჯროსანი ერთჟამიერად აივლიდა.

ანატოლიისა და მესემბრინის კოშკთა საშუალ დერეფან-შუშაბანდნი გაემართათ, სუყველა ფრიად საუცხოო და ხალვათი, და კედელთა ზედა ეხატა ძველთუძველეს გმირთა საქმენი, გარდასულ დროთა ამბავნი და ათასგვარი გადასახედ-გადმოსახედი. ამა კოშკთა შუაც იმისთანავე კიბე და კარიბჭე იყო, როგორცა მდინარის მხარესა. კარიბჭისა თავზედ კი მსხვილ ანტიკურ ასოთა რიგით ესეგვარი რამ ეწერა.

თავი LIV

**წარწერა თელემისა სავანის ჭიშკარ-ელაჟონისა**

მიბრძანდი, გონჯო, არ გვინდიხარ მოთნე და მრუდი,  
 მაცხილის კუდი, მუზმუზელა, ხელი, ჯაბანი;  
 წა, წირპლიანო მონაზონო, მურტალი გუთის  
 თუ ოსტროგუთის ტურტლიანი გახურავს ქუდი,



ტყუილის გუდით მოგივლია ვისაც მთა-ბარი  
და ტანთ ნაპარი შეგიმოსავს ჯუბა-კაბანი;  
სულით მდაბალი, ჭკუათხელი, ქლესა, ბენტერა  
ნურცავინ მოხვალთ, ჭერს ნუ ითხოვ აქ, ცრუპენტელავ!

სიცრუის პენტვა ჭირია,  
სიმართლის გასაჭირია  
და ნურცა გვჭირდეს ამიერ,  
ვილხინოთ მრავალჟამიერ.  
ლხინი სიმღერის ძირია,  
სიცრუის პენტვა ჭირია.

მიბრძანდი, ბრიყვო, არ გვინდიხარ ავი, ანჯახი,  
კლერკი, ჯანდაკი, მზის მოძულე, ტრფიალი ბნელის;  
ვის სისხლიანი ხელთ გიპყრია ჯალათს ნაჯახი,  
საქმე საჯაყი არ გელევა, არცა საძრახი,  
ვინცა ყაჩაღი გაჩენილხარ, მექრთამე, ტრელი,  
გაგირბის ხელი სხვის ქისაში, ზიზღისა მგვრელი,  
ღირსი ხარ ძელის და სახელად გქვია ვექილი,  
აქ ნუ მოიწევთ, შორს თაღლითი და გაქექილი!

გაქექილ კაცსა, თაღლითსა,  
ქვებუდანობით დაღლილსა,  
არღა შეგფერის ბერობა,  
სხვა დაიჭირე ხელობა,  
საბმური გინდა ძაღლისა  
გაქექილ კაცსა, თაღლითსა.

მიბრძანდი, ძუნწო, არ გვინდიხარ წუწუკი, ქვაწვია,  
ნავსო, ქაცვიავ, ქვის ხარშვაში არა გყავს ცალი,  
ფულმა კაცობა დაგიკარგა, ჭმუნვა გაწვია,  
დაბლა დაგწია და მამონას მონად გაქცია,  
მოგიღვაწია სარგებელი, ვით ნატვრის თვალი.  
ვის მხოლოდ ლარი გაგიხდია იმედად ხვალის,  
ვინ ოდენ ვალის, ვახშისა ხარ ქვეყნად მდომელი,  
ვერ შემოგიშვებთ, არცვინ გვინდა გაუძლომელი.

გაუძლომელი ვინც არი,  
გააძლობს ოთხი ფიცარი.  
ვერცვის ვიგუებთ მსუნაგსა,  
სიხარბით დასაწუნარსა.  
ჯამისა ლოკვით ვიცანით,  
გაუძლომელი ვინც არი.

მიბრძანდი, ლირფო, არ გვინდიხარ მთხრობელი ცილის  
და ჯილაგმწირი, იჭვიანი, შლეგი, ღლეული,

არ დაგინახოს ჩვენმა თვალმა ცვედანი, ძვირი,  
კერძი და წილი ეშმაკისა, ბედითად მზირი  
და ცუდი ჭირით დაკოდილი, ჭანჭალსნეული,  
მგზავრი ეული, სოფელ-სოფელ წანწალს ჩვეული,  
სმისგან ძლეული, ვინ ამოდ კარწინ გვიზიხარ,  
გასწი, გაგვმორდი, ვინ მრუში და სიძვის გიჟი ხარ.

გიჟი მივუშვათ ნებასა,  
თვით შეეყრება სნებასა.  
კარგია, ვინცა კარგია,  
არცა ფუჭი რამ ბარგია,  
მარგისათ ვიტყვით ქებასა,  
გიჟი მივუშვათ ნებასა.

მობრძანდი, პაჟო, შემოალე თამამად კარი,  
ირჩევი გვართ და ძველთაგან მოგდგამს ზრდილობა,  
აქა ვანია, სად ხმა ისმის ნიადაგ მტკბარი,  
ამო და წყნარი, აქ ვერცა ვინ იხილო მწყრალი,  
უგვანოს მგვანი, ფასი ადეგს გვარიშვილობას,  
აქ გულძვირობას ვერა ნახავ, ვერც უპირობას,  
უსატკივრობა დავიბედეთ, ვუხვობთ, ვპურადობთ,  
გვერდს ნუ აგვივლი, ურისხველო, კაცო გულადო!

გულადი კაცი წინ არი,  
სხვა ათას კაცში მჩინარი,  
დაედარება რკინასა,  
არცროს დავუჭერთ ბინასა,  
მოვა ლალი და მცინარი,  
გულადი კაცი წინ არი.

მობრძანდი, ვინცა სახარების იწამე ძალა,  
იფარე ფარად და მფარველი ექმენ პირველი,  
აქ დაივანე, სიყვარული დაგიცავს მარად,  
არ ივლი ცალად, ბოროტისგან გვემული კვალად,  
ზოგ-ზოგთა დარად ღვარძლიანი, ბილწი მწირველი.  
აქ საჭირველი არცრა გჭირდეს, არც საკვირველი  
და სახილველით გაიხარებ, ვითარ წესია,  
ოღონდ უწყოდე, ვინ კაცია და ვინ ლეშია.

ლეში უგულოს გვიქვია,  
სიავის თავიც იგია.  
აქ ხარობს ოდენ კეთილი,  
ავია ამოკვეთილი.  
უწყალო არცვინ გვიქვია,  
ლეში უგულოს გვიქვია.



მობრძანდი, ტურფავ, სახიერო, პირბადრო მთვარევე,  
 ამ არემარეს კვენესა-გმინვა არა სმენია;  
 მო, შენცა ჩვენებრ მოილხინე, ამლერდი ბარემ  
 და უკუყარე საფიქრალი, ლამაზო, მალე;  
 გამოიდარე, რასაც ხედავ, ცათა ძღვენია,  
 ყველა შენია, ნუ გვეკრძალვი, ნურცა გრცხვენია.  
 უხვად გვფენია მოწყალება, არცროს ვლონდებით,  
 ხელმწიფემ ჩვენმა მოგვიბოძა ოქროს ზოდები.

ოქროს ზოდები მეფისა,  
 სიკეთის მოიეფისა,  
 აროდეს გამოგველევა,  
 ურვა არ გამოგვერევა,  
 საურვოდ არ ეგებისა  
 ოქროს ზოდები მეფისა.

თავი LV

**რარიზ იყო მოწყობილი თელეფელთა  
 სამყოფელ-საცხოვრებელი**

შიგნითა ეზოს შუაგულ ადგილას უცხო რამ შადრევანი ჩუხჩუხებდა ალე-  
 ბასტრისა, სამი გრაციით დამშვენებული; თვითეულ გრაციას ხელთ უხვების  
 კოკა ეჭირა და სუყველას წყალი გადმოსჩქეფდა ძუძუთაგან, პირთაგან, ყურ-  
 თაგან, თვალთაგან და აგრევე სხვა ხვრელთაგან.

შინაგანი სახლის კედელთა სამყარ-სამაგრად ქალცედონისა და პორფირის  
 დიდ-დიდნი სვეტნი შეეყენებინათ, ყოველი სვეტისა და სვეტის საშუალ კოხ-  
 ტა ანტიკური თალი იყო ამოყვანილი, ხოლო იმ თალთა ქვეშე საუცხოო ტა-  
 ლანთ გაივლიდი, გრძელთა და განიერთ, სულ ერთიანად მოხატულთ, და იქა-  
 ურობის გასამშვენებლად ეკიდ-ელაგა აგრეთვე რქანი ირმისანი, ზღვისა და  
 ხმელის მარტორქისანი, შუან-ეშენი მდინარისა ცხენისანი ანუ ჰიპოპოტა-  
 მისანი, სპილოსანი, და რა საიასალოს არა ნახავდა იქა თვალი კაცისა.

დედათა სადგომ-სამყოფი არქტიკისა და მესემბრინის კოშკთა შუაში იყო  
 მოქცეული. დანარჩენგან მამანი იდგნენ. საქალებოს პირდაპირ, პირველ ორ  
 კოშკსა შუა, გასართობად მოეწყოთ ასპარეზი, ცხენთსარბიელი, სამღერალ-სა-  
 როკავი, აუზი საცურაო და რამოდენიმე იშვიათი რამ საბანელი, სამ-სამსარ-  
 თულიანი, სად არცრას მოისაკლისებდი, და ბლომად დიოდა კეთილსუნოვანი  
 ფისიან-დღვილიანი წყალი.

ზედ მდინარის პირას შუაგულლაბირინთიანი თვალწარმტაცი წალკოტი  
 ყვაოდა. მომდევნო კოშკისა და კოშკის საშუალ არა ერთი და ორი საბურთალი  
 იყო; ადგილ ბურთაობდნენ, ადგილ ლელო გაჰქონდათ. კრიერის კოშკისა გვერ-  
 დით მარტოდენ ხეხილი ჩაეყარათ, და ქეშად რგული ხილნარი ხილისა უნა-  
 ხავს გაგხდიდა. მერმე ხილნარსა გარემომცველი მალნარი მოსდევდა და ირგვ-  
 ლივ აუარებელი ნადირი ირეოდა.

კიდევ ორ მომყოლ კოშკსა შუა სასროლი მოედანი მოეწყობა; ხან მშვილ-  
დსა ისროდნენ, ხან სიათასა და ხანაც სამალს სტყორცნიდნენ ნიშანსა. ჰესპე-  
რიის კოშკისა გადასწვრივ მოსამსახურეთა შრამელ-სადგომნი ანუ სახლისა  
სახმართა დასაწყობნი დაედგათ, თითო-თითო სართულიანი; იმათ იქით საჯი-  
ნიბო იყო, შრამელ-სადგომთა წინარე კი საბაზიერო იდგა. საბაზიეროს ფრიად  
მეხელოვნე დამგერშველნი განაგებდნენ, და ყოველწლივ მოჰყავდათ და მოჰ-  
ყავდათ კრეტადან, ვენეციიდან და სარმატთა ქვეყნიდან ნაირ-ნაირნი ფრინველ-  
ბაზიკნი: არწივნი, სონლულნი, ქორნი, შავარდენ-მიმინონი, გავაზნი, ალალნი,  
კაპოეტნი და სხვა ამგვარნი, რომელთ ისერიგად იჩვევდნენ და წვრთნიდნენ, რომ  
კოშკსა სანავარდოდ მოწყვეტილნი გზად შეუპყრობელსა არას უშვებდნენ. სა-  
ძალღე მოშორებით იდგა, მალნარისა სიახლოვეს.

ყოველი დარბაზი, პალატი და საჯდომ-სენაკი უკლებლივ მოეფარდაგები-  
ნათ და წელიწადისა დროისდა კვალად ძველ ფარდაგ-ჯეჯიმთ სულ კეწკეწითა  
სცვლიდნენ. იატაკი მწვანე სკლატით იყო მოფენილი. საბან-გობანი ნაცური  
ზედსახურით გაეწყობა. რაოდენიც საპირფარეშო ჰქონდათ, სარკეც იმდენი  
ედგათ ბროლისა, სუყველას მურასად მოჭედილი ბაჯალლო ოქროს ჩარჩო შვე-  
ნოდა და ადამიანი შიგან მთელი ტანითა ჩანდა. საქალებოს წინარე მენელსა-  
ცხებლენი და დალაქნი იდგნენ, და მამათაგან ყველას იმათ ხელში უნდა გაეგ-  
ლო, ვინაც დედათა სადგომისკენ ვიდოდა. დილ-დილაობით საქალებოს მენელ-  
საცხებლენი მოიხილავდნენ ხოლმე, თან ინანთეული ანუ ვარდისა, ფორთოხლი-  
სა, მირტისა წყალი მიჰქონდათ და ხელთ მრავალფასი საცეცხლურნი ეჭირათ  
საკმეველაბოლებულნი.


## თავი LVI

### პითარ ეცვათ და ეხურათ თელემელ გერ-მონაზონთ

პირველხანად, სავანის დაარსებისა შემდგომ, დიაცნი თავიანთ ნებისად და  
გუნებისად იცვამ-იხურავდნენ. მერე და მერე კი ძველ წესზედ გული აიყარეს  
და ჩაცმა-დახურვის ახალ რიგს მიჰყვნენ.

ფეხთ უკლებლივ სუყველას ჭიაფერი ანდა ვარდისფერი კარაჭინი ემოსა,  
სრულად სამი თითისა დადებაზედ მუხლზევით ატანილი. კარაჭინისა ქობა  
ბაბთისა და მაქმანისა იყო. საკართულნი მრგვალნი ეკეთათ, ყურთმაჯისა ფერს  
შეხამებულნი. წულა-ჩაფულა, მაშია და ჩუსტი ოდენ ალისფერი, ხასყირმიში  
ან სოსანი ხავერდისა იცოდნენ, თანაც კიდევ ფუნჯფოჩიანი.

კვართისა ზედან ზარბაზისა სკლატის აზლულსა და მერდინისა ხაბარდას  
იმოსავდნენ; მერდინი ან თეთრი ფერისა იყო, ან წითელი, ან ყავისფერი, ან  
ნაცრისფერი. ხავერდისა კაბაზედ ჩიხორა ეცვათ, ოქრონემსული ზარქაშის  
მერდინისა, ბაბთით დაღარულ-დალიანდაგებული, ან არადა, ამინდისა თუ სურ-  
ვილისდა კვალად, ატლასისას, ჭიჭნაურისას, ხავერდისას იცვამდნენ, ხან ნარინ-  
ჯისფერსა, ხან თაფლისფერსა, ხან მწვანესა, ხან ფერფლისფერსა, ცისფერსა,  
ღია ყვითელსა, წითელსა, ცეცხლისფერსა, წყლისფერსა, ხოლო ბედნიერ დღეს  
უცილოდ ხალასად ნაკერი ფარჩისა ანდა ვერცხლმკედის ქვედატანი უნდა  
სცმოდათ, ზოგსა კლაპიტონით გაწყობილი, ზოგსაც ნაცურ-მოქარგული.



ხირდას, მოლსა და ლაბადას წელიწადის დროისდა შესაფერად ხმარობდნენ; ჟამითი ჟამად ოქროქსოვილისას წამოისხამდნენ, ვერცხლისა მკედით შემკულსა, ჟამითი ჟამად—წითელი ატლასისას, ოქროთი მოსირმულსა, და არცა კიდევ თეთრი, ცისფერი, შავი, წაბლისფერი მერდინისა აკლდათ, არცა აბრეშუმის სარჟისა, ხავერდისა, დიბისა, ზარქაშისა, ზეზისა და ოქროვანსახიანი ლარისა თუ ოქსინოსი.

ზაფხულობით საწვიმარსა მშვენიერ დოლბანდს ამჯობინებდნენ, ამავე ქსოვილთაგან ნაკერსა, არადა — ლილისფერი ხავერდისა მავრიტანულ მოსახამსა, ვერცხლის კლაპიტონითა და ოქრომკედით დამშვენებულსა, ანდა ოქროს ყაითნიანსა, ჭიოტა ინდური მარგალიტით მოოჭვილსა; თავსარქმელზედ მიწყვი ჯილა ედგათ, ყოშისა ანუ მაჯისპირის ფერისა და უთვალავ სამკაულასხმული. ზამთრობითა ფასს ქათიბსა სდებდნენ, ზემორეჩამოთვლილი ნაირნაირი ფერის მერდინისასა, და სუყველა ქათიბსა ფოცხვერის, შავი გენეტის, კალაბრიული კვერნისა თუ სიასამურის ბეწვი ჰქონდა გამოკრული.

სავარდ-კრიალოსანი, სამაჯურნი, ძეწკვნი და ფარღულნი მხოლოდ სპეკალისა უჩნდათ, სახელდობრ, ლალისა, ბადახშისა, იაგუნდისა, ბრილიანტისა, საფირონისა, ზურმუხტისა ანუ ქვაკაპოეტისა, ძოწისა, აქატისა, ბივრილისა და სულ დარჩეული ჭიოტა და ხოშორი მარგალიტისა.

თავსარქმელნი დროთა კვალობაზედ ეხურათ. ზამთრობით ფრანგული ქუდის დარქმა იცოდნენ, გაზაფხულობით — ესპანურისა, ზაფხულობით — ტოსკანურისა, ხოლო დღესასწაული რამე ანუ კვირაუქმე თუ იყო, უცილობლად ფრანგულ თავსამკაულს იბურავდნენ, რამეთუ თავსახური იგი უფრო დარბაისულია და სადა, ვინემ სხვაგნებური.

მამანი თავიანთ წესსა და რიგს მისდევდნენ. ფეხთ მატყლის ან სკლატისა წინდა-პაიჭი ეცვათ, ჯიგრისფერი, ვარდისფერი, თეთრი და შავი. საწმერთულთაგ ამავე ფერთა ქსოვილთაგან ანდა შეფარდებული ფერისას არჩევდნენ; ვიეთნი აქარგვინებდნენ კიდევ, ვიეთნი ჩაქიანს ეტანებოდნენ, ვისაც რარიგ სურდა; ჯუბანი ზარიანი ფარჩისა, ზარქაშისა, ხავერდისა, ატლასისა, ჭიჭნაუხტისა და მერდინისა ეწყობთ, ისევე ფერად-ფერადი, ჩაქით, ჩიგინითა და საკრამანგით გაწყობილი, ავ თვალს არ ენახვოდა; ყაითან-ჩაფარიში აბრეშუმისა უყვარდათ, სამოსლის ფეროვნებისა, ბალთა-აბზინდა — ოქროსი, მინანქრით მოჭედილი; კაბა-ახალუხს ქამხისას აკერინებდნენ ანდა ოქროქსოვილისასა, დიბისასა, ხავერდისასა, თავიანთ გემოვნებისად მოქარგულსა; ღურა-საკუხი სუყველას ერთრიგად დიდსასყიდლოვანი ესხა, ვითარცა დიაცთ — ლაბადა-საწვიმარნი; სარტყელნი ჯუბისა ფერისავე აბრეშუმისა ერტყათ; მახვილი ვადა-მოქროვილი თუ არ იყო, ისე არ კადრულობდნენ; ის კი არა, პირი ოქროსი უნდა ჰქონოდა, ფაქიზად ნაოსტატარი; ქარქაშნი საწმერთულისავე ფერის ხავერდისა ეკიდათ, ხანჯალ-სატევართაც დიდისა ამბით არჩევდნენ; სარქმელთ შავი ხავერდისას ირქვამდნენ, მრავლისა უმრავლესი დინ-კილოთი შემკობილსა. და ზედ ოქროსკილიტიანი თეთრი ფრთა შვენოდათ, ლალ-ზურმუხტითა და სხვა ძვირფასი ქვასპეკალით დახუნძლული.

რაღა თავი შეგაბეზროთ და ისერიგად იყვნენ მამრნი და მდედრნი შეხმატკბილებულნი, ტანთაც ერთნაირი ნაჭრისა და ერთნაირივე ფერისა სამოსს იცვამდნენ და, ემანდ არა შეგვეშალოს რაო, საგანგებოდ დანიშნულნი ჰყავდათ მიმომავალნი ყმაწვილნი, რომელთაც დილ-დილაობით ვაჟთათვის უნდა ეუწყე-

ზინათ, რის ჩაცმასაც იმ დღით ასულნი ეპირებოდნენ, ვინაიდან სავანესა შინა ყველაფერი იმათ ნება-სურვილსა მორჩილებდა.

ოღონდ არამცა და არამც არ იფიქროთ, რახან ესდენ კობჭიად და სალუქად იმოსებოდნენ, დროსაც ალბათ ბევრსა ხარჯავდნენო, — საგულისგულოდ შერჩეულნი მეტანსაცმლენი ყოველ დღით ნაირ-ნაირ სამოსელსა მზად ახვედრებდნენ, ჩამცმელ-დამხურავნი კი ისე იყვნენ გაწაფულნი, დიაცსა ერთ ლანდზედ შემოსავდნენ თავით-ტერფამდისა. ხოლო თელემელთ რათა არცროდის ჩასაცმელ-დასახური არ მოჰკლებოდათ, იქავ, თელემის ტყისა შორიახლო, ერთი უშველებელი ნათელი შენობა დადგეს ნახევარი მილის სიგრძისა და შიგ ათასგვარი რამ მოწყობილობა გამართეს, ჩასახლეს ოქრომჭედელნი, მთრაშველ-მეწახნაგენი, მქარგავნი, მეოქრომკედენი, მეხავერდენი, მეფარდაგემეხალიჩენი, ფეიქარნი, და თავისი საქმისა მეტი არცვის არა ახსოვდა რა, იდგნენ და თელემელ ბერ-მონაზონთათვის რუდუნებდნენ. ქსოვილ-ფართლესულით ვინმე სეფე ნავსიკლეტი თოფობრივ ამარაგებდა, მარგალიტისა და კანიზალის კუნძულთა ოქროს ზოდეულით, აბრეშუმის ყაჭით, მარგალიტითა და ძვირფასი ქვით დაყათრულ შვიდ ხომალდს უგზავნიდა ყოველწლივ. უკეთუ მარგალიტი თანდათან ბუნებრივ სისპეტაკესა კარგავდა, ოსტატნი მამალთ აყლაპებდნენ, ვითარცა შავარდენტ აყლაპებენ ხოლმე სასაქმებელ წამალსა, და სკინტლს გამოყოლილი თვალი პატიოსანი კვალად პირვანდელ ჯავარს იძენდა.

თავი LVII

**რა წესითა და რიგით ცხოვრობდნენ თელემელნი**

ისინი არცრა კანონსა მორჩილებდნენ და არცრა განწესებასა თუ განჩინებასა. ვისაც ქეიფად რა მოუვიდოდა, იმას იქმოდა. რაჟამს ადგომა უნდოდათ, ადგებოდნენ, ძილს აატანდნენ; რაჟამს მოინებებდნენ, დალევდნენ, იპურმარობდნენ, ხელს გამოიღებდნენ; რაჟამს კისერი საძილედ სტეხდათ, დაწვებოდნენ და მოისვენებდნენ; არცროს არვინ იმათ არ აღვიძებდა, არცროს არვინ სმას არ აიძულებდა, არცროს არვინ ჭამასა და ან კიდევ სხვასა რასმე. ესეგვარი ყოფაცხოვრება გაერიგებინა გარგანტუას. სჯულდებისა წიგნში ერთადერთი რამ ეწერათ:

**ჰქმენ უენის ნებისად,**

რამეთუ თავისუფალთ, კეთილშობილთა ჩამომავალთ, განსწავლულთ და წესიერ საზოგადოებაში გარეულთ დედისა მუცლითვე თანა ჰყვებათ ალლო და ძალა ლტოლვისა, მიწყევ სიქველისკენ რომ მიაქცევს და განარინებს ყოვლისაგან ბიწისა, და ამ ძალას ღირსებას უხმობენ. ოღონდ ოდეს იმავე კაცთ სულმდაბლად მიეძლავრებიან და აღმართს ახვნევიანებენ, ისინიც ავად ფიცხდებიან და მთელ თავიანთ ქველობასა, წინათ ნებაყოფლობით სათნოებას რომ ახარჯებდნენ, აწ უკვე კირთების უღლისა მოსახდელად იყენებენ, რადგანაც ოდითვე აღკვეთილსა მიელტვის კაცი და აკრძალული ხილი უფრორე გემრიელია.

თავისუფლებისა წყალობით თელემელთ საქებური რამ გრძნობა გაუჩნდათ თანაზიარობისა: როს ერთი რომელიმე რამეს მოისურვებდა, წამისად სუყვე-

ლა მხარს აუბამდა. უკეთუ მამათაგან ანდა დედათაგან იტყოდა ვინმე: „ჩავ-  
დლიოთო!“ — სუყველანი ჩაღვედნენ. უკეთუ ვინმე მოიწადინებდა: „ვითა-  
მაშოთო!“ — სუყველანი ითამაშებდნენ. უკეთუ მავანი და მავანი მოიხალისებ-  
და: „წავიდეთ, სადმე მინდვრად ვილალოთო!“ — სუყველანი ვიდოდნენ. უკეთუ  
ვინმე მწყერაობასა ანდა ჩიტბადეობას ახსენებდა, დედანი უმალ თოხარკ ბე-  
დაურთ შეაკაზმინებდნენ, ამხედრდებოდნენ და მეშწამოცმულ ხელზედ ანუ  
ხელსამფარეზედ მიმინოს, სონლულსა და ალაღს დაისვამდნენ, მამათ კი სხვა  
ბაზ-ფრინველი მიჰყავდათ.

ყველანი ფრიად ნასწავლნი იყვნენ და არცვინ არ ერიათ ისეთი, გინა ქა-  
ლი და გინა კაცი, რომ კითხვა, წერა, ძნობა ანუ სამუსიკო საკრავთ დაკვრა არა  
სცოდნოდა, ხუთ-ექვს ენაზედ არ ელაპარაკა და თვითეული ამ ენით კაფია არ  
შეეთხზა ანდა — სიტყვაკაზმული რამ ამბავი. ტყუილია, სხვაგან ვერსად ვერა  
ნახავდით ესდენ გულოვან და ზრდილ მხედართ, ესდენ დაუცხრომელთ ქვე-  
ითად რბოლა-ვლაში და გაწაფულთ ცხენოსნობაში, ესდენ შემძლებელთ,  
მკვირცხლთ, ესდენ მეხელოვნე მეთოფურთა და ჩუბინთ, ვისაც ყველაგვარი  
იარაღი მონებდა. ტყუილია, სხვაგან არც არსად არ იყვნენ ესოდენ აფერადე-  
ბულ-შემკულნი და მშვენიერნი, მუდამყამ მხიარულნი ასულნი, ჩინებულნი  
მეხელსაქმენი, ხელფურჩნი მკერვალნი, რომელთ ყველანაირი ქალური საქმ-  
ნელი ხელეწიფებოდათ, საპატიოცა და სამურეხოც.

სწორედ ამად, ოდეს ყმაწვილკაცთაგან ვინმე იძულებული იყო ან დედ-  
მამისა სურვილით, ან არადა სხვა რამ მიზეზით, დაეგდო სავანე იგი, ისე ფეხს  
არ მოიცვლიდა, თან რომელსამე ასულს თუ არ წაიყვანდა, წინ-წინ სწორ-  
ფრად შეგულეებულსა, ვისაც თავადაც გულში ჩავარდნოდა, და ჯვარს იწერდ-  
ნენ. სიტკბო და თანხმობა არცა თელემისა ჭერქვეშ აკლდათ, შეუღლებულნი  
კი მეტი სიკეთითა ცხოვრობდნენ; სამარისა კარამდის უყვარდათ ერთმანეთი  
და ისევე შესტროდნენ ერთურთსა, ვითარცა ქორწილის დღესა.

მართლა, ემანდ არ დამავიწყდეს, აქავ მოგახსენებთ ერთ გამოცანას, რომ-  
ელიცა სავანისა საძირკველში იპოვნეს სპილენძისა ფიცარზედ ამოჭრილ-  
ამოკვეთილი. ქვემოთ სიტყვასიტყვით გეტყვით, რაცა იქ იყო თქმული.

თავი LVIII


**წინასწარმეტყველური გამოცანა**

სიკვდილის შვილო, მეოცნებევ, ერთსა გთხოვ ძმურად,  
სულით გამხნევდი, გაიგონე და იხვენ ყურად.

უკეთუ გჯერა წუთისოფლის წაღმა ტრიალი  
და ცისა მნათობთ აზრს აართმევ ადამიანი,  
უკეთუ ფიქრით დაიყენებ თვალწინ ხვალინდელს,  
უკეთუ უწყი, მზე გამოვა და იამინდებს,  
ოდესმე მაშვრალს შეგეწევა თავად განგება,  
და გულით გწადის ამა ქვეყნად ყოვლის გაგება,  
უკეთუ ძველთა ბრძენკაცთაგან ნამდვილი თქმულა,



რომ მომავლისა საიდუმლოს შეიტყობ სრულად,  
 მაშ, მომისმინე, სიტყვას გეტყვი უცილოდ მართალს:  
 ამ შემოდგომით ანდა დასტურ პირველსავე ზამთარს  
 მოგვიხილავენ სხვაგნებურნი, კაცნი სხვამხრელნი,  
 მოვლენ და სხვა მეხს მოიტანენ მკაცრნი, მსახვრელნი,  
 დაგვანატრებენ ლხინს, სიხარულს, ღიმილს და ალერსს,  
 ტკბილს დაგვიქცევენ, შეგვასმევენ მაძღრისად მწარეს,  
 ღვარძლს ახარებენ, დაამყნობენ ძმობაზედ ძმაცვას,  
 მოგვალორებენ, გამეფდება პარვა და ძარცვა.  
 ბევრი გაებმის საცთუნებლად დარწყმულ ბადეში,  
 მამას თვისივე ძე გაჰყიდის, პაპას — ბადიში,  
 სადაც ტრფობაა, ბოროტება მტრობას დათესავს,  
 ერთმანეთს ავად გადაჰკიდებს ძმას და ნათესავს.  
 დაისადგურებს ჭმუნვა-ვიში, მოვა არჯალი,  
 ზურგს უკან დანა ილაპლაპებს, ცხვირწინ — ხანჯალი,  
 საგონებელი გაუჩნდებათ თვითონ მეფეთაც,  
 ვინ იცის, ვინ რას განუმზადებს, ვინ რას შეჰბედავს,  
 რამეთუ ურცხვად მოისურვებს ზოგი მეფობას,  
 ყველაფერს იზამს, არ დაზოგავს ოჯახს, მეგობარს,  
 არად ჩააგდებს, რა ერგება, რა არ ერგება,  
 შეერგება თუ საბოლოოდ არ შეერგება.  
 იქნება ერთი დალდალანი, შუღლი, ცილობა,  
 გაუტანლობა, უპირობა და გულძვირობა,  
 ქვეყანას კარი შეეხსნება, ვით სახლს ბოლდარას,  
 ხშირად ისეთი რამ მოხდება, რაც არ მომხდარა.  
 მრავალ კაი ყმას წამოუვლის ჟინი საგრობის,  
 მრავალმა უნდა ისახელოს თავი მაგრობით,  
 მაგრამ ვაი რომ ვერ ასცდება ვერვინ დამცრობას,  
 ბევრს ანანებენ გაჩენას და ყმაწვილკაცობას.  
 და ვის ბრძოლაში უწერია სიკვდილის ნახვა,  
 ველარ ჩააგებს სავალალოდ ამოწვდილ ლახვარს,  
 მიწყვივ იქროლებს ქარაშოტი ჯავრის და რისხვის,  
 ვინემ კრტიმლობას არ მოშლიან და იდენს სისხლი.  
 მართალი სიტყვა ეღირება მხოლოდლა ჩირად  
 და სიცრუე კი გასაღდება ყოვლისა ძვირად,  
 რადგანაც ფასი არ ექნება თავად გონებას,  
 ოდენ მაცდურთა საქებარი გაიგონება,  
 და ყოველივეს საზიზღარი სიხარბე წარყვნის.  
 დატრიალდება ქვეყანაზედ კვლავ სუნი წარღვნის!  
 დიაღაც სწორად მოგახსენებთ და სწორად ვამბობ,  
 წარღვნად მიცვნია, წარღვნას ვუხმობ ჯანყსა და ამბოხს,  
 უნაპიროა წარღვნასავით სულის ფლიდობაც,  
 ხელად წალეკავს არემარეს, ვით წყალდიდობა,  
 და მიმოტბორავს მაღალ-დაბალს, გავა ბოლომდე,  
 საგრობით გართულთ ისერიგად გააბოროტებს,



რომ არ ინდობდნენ კაცთ კი არა, უცოდველ ხვასტაგს  
 და მძულვარება პირუტყვისა მრავალ ჟამს გასტანს,  
 არცარა მწყემსი შეებრალვით, არცრა ნახირი,  
 საწყალობელთა შესძრავს ზეცას კვნესა-ზახილი,  
 ვითარცა ძველკაცთ არ უწყობდნენ ზორვა სხვარიგად,  
 კვალად საკერპოს შესწირავენ მროწლეს ტარიგად.  
 აწ ალბათ ჩახვდით, სახვალიოდ რა მოაქვს მყოფადს,  
 კარგს არ დაგვაყრის არც არავის ესდენი მტრობა,  
 სულ პაწაწინა გაუჩნდება რამე ნაბზარი,  
 და დამწუხრდება ბირთვი იგი უზარმაზარი!  
 ვისაც თავისიც ოხრად რჩება სოფლად ქონება,  
 ის მოუნდომებს დაპყრობას და დაპატრონებას  
 და რაოდენსაც მიუმატებს სამკვიდროს სიგრძეს,  
 უფრორე მეტად დაიჩემებს ჭკუას და სიბრძნეს  
 და ისეგვარად შეეწევა ერთბაშად ყველას,  
 გამჩინსა სთხოვენ უბედურნი ხსნასა და შველას.  
 და ბოლოს შავად გათენდება დილა ცრიატი,  
 ცას არ შეღებავს გარიჟრაჟი, არც განთიადი,  
 მზეს განაშორებს მიწისაგან ბინდის კედელი,  
 წყვდიადი შთანთქავს, უჩინი და განუჭვრეტელი,  
 ველარ გაარჩევს კაცის თვალი წყალსა და ხმელეთს,  
 თავს ვერ დააღწევს ხორციელი გაუვალ ბნელეთს  
 და გადიქცევა ცისქვეშეთი წამერთ იავარ.  
 ოლონდ სანამდის იხილავდეს ავბედ ნიაღვარს,  
 სანამ წარღვნიდეს უკუნეთი ნათელს სრულიად,  
 ატორტმანდება, უცაბედად იძვრის დუნია,  
 რარრიგაც ეტნა ატორტმანა ერთხელ კრონიდმა,  
 ოდეს ტიტანიდს დააკვეთა, დასცა ღონივრად,  
 ან როგორც მთანი ენარიის, დიდნი საზარად,  
 ვინმემ კი არა, ტიფონმა რომ შეაზანზარა,  
 ვინაც აიკლო იქავრობა, სწყურდა თარეში  
 და რაც ხელთ მოხვდა, გადუძახა ოკეანეში.  
 ესრეთ სამყაროს წაერთმევა ძველი იერი,  
 ერთსა ტაფაში დაიწვიან სუსტიც, ძლიერიც,  
 და თავად აზრი წაერთმევა ძალას, დიდებას,  
 ქვეყნად ყველაფერს სულ ფეხებზედ დაიკიდებენ.  
 გული კი ერთი იმედითლა იძგერებს მხოლოდ,  
 რომ ეგებ როსმე მტრობა-შურსაც მოედოს ბოლო,  
 ვინათგან ყველას აღმა-დაღმა წაიღებს ღვარი,  
 და წარიშლება ყოველგვარი მიჯნა. თუ ზღვარი,  
 მაგრამ ღვარამდის მეყსეულად შეამჩნევს თვალი,  
 ვით მოედება ცის კაბადონს ელვისებრ ალი,  
 რათა ააშროს აჩენილი მიწაზედ წყალი  
 და არღა დარჩეს ბოროტების ბედითი კვალი.  
 როცა გაივლის განსაცდელი, ვაი-ვაგლახი,

აბიბინდება ნახანძრალზედ როცა ბალახი,  
ზოგს ისევ უხვად მიეზოდოს ცისა მანანა  
და არცრა ჰქონდეს გარდასული ჭირად, სანანად,  
ზოგსაც კვალადვე მშიერ-მწყურვალს ამოსძვრეს სული.  
მე ჩემი ლექსი გავასრულე, წინასწარ თქმული,  
აწ თავად იცით, სატკივარი ვისაც რა ელმის  
და ვის რა ელის გარდუვალად კაცთაგან მერმისს.  
სიტყვა სიტყვაა. ო, სუყველას ჯვარი გწერიათ,  
ვინცა ბოლომდე თავს გაიტანს, ბედნიერია!

ამა საბუთისა კითხვას მორჩინენ თუ არა, გარგანტუამ ერთი ისეთი ამო-  
იხრა, ლამის გულიც თან ამოაყოლა და იქავ მყოფთ უთხრა:

— სახარების მოძღვრებისა ერთგულთ ოდითგანვე სდევნიან, მაგრამ მაინც  
ნეტარია იგი, ვის არცა დევნა შეაჭირვებს, არცა კიდევ ხორცი აცდუნებს და  
სწორის გზით მიელტვის აზრსა უფლისასა, რომელმან მოგვივლინა ძე თვისი  
საყვარელი და მისივე პირით გვამცნო ყოველი.

ბერმა კითხვა ჰკადრა:

— რასა ჰგონებ, რა არი, რას გამოხატავს გამოცანა ესე?

— რაო?—თავადაც დაეკითხა გარგანტუა. — ვგონებ კი არა, ჭეშმარიტე-  
ბას წარმოაჩინს ღვთაებრივსა და განამტკიცებს კიდევ.

— წმინდა გოდერანისა მადლმა, სულაც არ არი ეგრე, — თავი ველარ და-  
იჭირა ბერმა. — წინასწარმეტყველ მერლინის აღნაქვსია! გინდა ბრძნული რამ  
იგავი დაარქვით და გინდა უფრორე უარესი, სულ ერთია, ვერცვის ვერ გერწმუ-  
ნებით, რამეთუ მაგისა მთხზველსა მარტოდენ ბურთაობა აღუწერია და თანაც  
ძალიან ბნელად. სწორედაც რომ მობურთაღნი არიან მაცდუნებელნი და გამ-  
რყვნელნი ხალხისა, ერთმანეთში კი, გიყვარდეს, ძმაბიჭობენ. ორჯერ ჩაწოდე-  
ბა და ერთის გასვლა ზედ არი, თამაშსა მეორე იწყებს. ვინცა პირველი იყვი-  
რებს, ბურთმა თოკქვეშ გაიარა ანდა თოკზევითაო, იმისი სჯერათ. ნიაღვარი  
ოფლია, ჩოგნისა ბადეს მართლაც ცხვრისას ანდა თხის ნაწლავისასა წნავენ,  
უზარმაზარი ბიოთვი კი ბურთია და სხვა არრა. თამაშისა შემდგომად წესი:  
სუყველა ცეცხლაპირას უნდა გაშრეს, პერანგი გამოიცვალოს და გულისა სა-  
ამოვნოდ დაჯდეს ჭამად, ნამეტურ დიდი ღვინი მოგებულთ იციან. სუფრა აბა  
ის არი და!

### შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

გენიალური ფრანგი მწერლის ფრანსუა რაბლეს (1494—1553) რომანი — „გარგანტუა  
და პანტაგრუელი“ ევროპული აღორძინების უდიდესი ქმნილებაა. I—IV წიგნები („გარ-  
განტუა“ პირველი წიგნია) 1532—1552 წლებში გამოიცა, V წიგნი ავტორის სიკვდილის  
შემდგომ (1564 წ.) დაიბეჭდა.

ალკოფრიბას ნაზიე ფრანსუა რაბლეს სახელისა და გვარის ანაგრაამაა. მან ამ ფსევ-  
დონიმით პირველი და მეორე წიგნები გამოაქვეყნა.

კვინტესენციისა გამომხდელი — რაბლე აგდებულად უყურებდა ალქიმიკოსთ და ამას-  
თანავე თავის თავსაც „კვინტესენციისა გამომხდელს“ უწოდებდა. ლათინური quinta



essentia ანუ „მეხუთე არსი“ (სტიქია) ძველ ფილოსოფოსთა სიტყვით, არს ერთი ხუთთა კავშირთაგანი, კეთილად დაბადებული ღვთისაგან პირველსა დღესა. პირველ თხკავშირად იგულისხმება მიწა, წყალი, ჰაერი და ცეცხლი. შუა საუკუნეების ალქიმიკოსები კვინტესენციად ნივთის მთავარ არსს წარმოიდგენდნენ. მკითხველი ადვილად მიხვდება რაბლეს ირონიას.

7 გვ. ჰერაკლიდე პონტოელი — ბერძენი ფილოსოფოსი და ისტორიკოსი (ძვ. წ. IV ს.). ევსტათე — ფესალონიკელი არქიეპისკოპოსი (XII ს.). ლუციუს ანეუს კორნუტი — ბერძენი ფილოსოფოსი — სტოიკოსი (I ს.).

...ერთი ცუდმადი ანაფორიანი კი... — ინგლისელი დომინიკელი ბერი თომას უოლისი (XIV ს.), ცდილობდა კავშირი დაემყარებინა ოვიდიუსის „მეტამორფოზების“ გმირებსა და ბიბლიურ პერსონაჟებს შორის.

8 გვ. ეგ ზეთზედ უფრო მეტსა ხარჯავს, ვიდრე ღვინოზედაო — ბერძენი ორატორი დემოსთენე ხშირად ღამით მუშაობდა; მის მიერ წარმოთქმულ სიტყვებზედ ამბობდნენ, სანათის ზეთის სუნი ასდისო.

უნდა დიდ პანტაგრუელისეულ ქორონიკონსა ანუ წლისმრიცხველობას ჩახედოს... — ლაპარაკია რომანის მეორე წიგნზე, რომელიც პირველზე ადრე გამოქვეყნდა.

...ფლაკუსი — ჰორაციუსი (კვინტუს ჰორაციუს ფლაკუსი).

9 გვ. ...რომაელთ-ბერძენნი... — ბერძენებად იგულისხმება ბიზანტიის იმპერია.

აწლა კვალად ჩვენი ცხვრისა ამბავს მივუბრუნდები... — გამოთქმა აღებულია XVI საუკუნის ფარსიდან („ადვოკატი პატლენი“). მაშ შეწყვეტილ ამბავს დავუბრუნდეთ.

...ჟან ოდომ იპოვნა თავის საკუთარ სათიბსა შინა გოლოს მახლობლად... გეოგრაფიულ სახელთა უმრავლესობა, რომანში რომ გვხვდება (მეტადრე პირველ და მეორე წიგნებში), ავტორს ნასესხები აქვს თავისი სამშობლო ქალაქის შინონის სანახების ტოპონიმიკიდან. ასევე საკუთარი სახელებიც რაბლეს თანამემამულეთა სახელებია.

11 გვ. მასორეტნი — უძველესი დროის მეცნიერნი, რომელთაც შეადგინეს მასორა (მოძღვრება ძველი აღთქმის წიგნებზე).

13-14 გვ. გრანგუზიე (გრანგოზიე) — დიდი ყანყრატო, მუცელმერთა (ფრანგ.). გარამელა — ყრონტი (ფრანგ.).

16 გვ. ვისაცა უსვამს ბევრიო, ვინ არ გამხდარა მჭევრიო — ჰორაციუსი, „ეპისტოლენი“, 1, 5, 19.

17 გვ. ვითარცა მიწა ურწყავი — ფსალმუნი 142 (კათოლიკური ბიბლიით — 143) მუხ. 6.

მელინდა — ქალაქი აფრიკის ზღმოსავლეთ სანაპიროზე, ვასკო და გამას აღმოჩენილი.

18 გვ. მწყურის... ჯვარცმული იესოს სიტყვა (სახარება იოანესი, XIX, 28).

ქრისტეს ცრემლი — ერთ-ერთი ღვინის სახეობა.

19 გვ. ბრეტონულად ვყლუპოთ! — ბრეტონელნი ღვინის დიდ მოყვარულ ხალხად ითვლებოდნენ.

20 გვ. უმანკო სარწმუნოდ მიიღებს ყოველსა სიტყვასა — რაბლე ლათინურ სიტყვას (innocens) ათამაშებს და განმარტავს, როგორც „უმანკოს“, ნამდვილად კი „სოლომონის იგავთა“ აღნიშნულ ადგილას იგი „უგნურისა“ ნიშნავს.

21 გვ. სკოტელნი — ინგლისელი სქოლასტი ფილოსოფოსის ჯონ (იოანე) დუნს სკოტის (დაახ. 1265—1308) მიმდევარნი.

22 გვ. ოკამი უილიამი — ინგლისელი ფილოსოფოსი და ღვთისმეტყველი.

23 გვ. ბოლო წიგნში — იგულისხმება პლინიუს უფროსის მონუმენტური შრომის „სახუნებისმეტყველო ისტორიის“ ბოლო (XXVII) წიგნი.

24 გვ. მარკა — ძველებური წონის ერთეული, დაახლოებით 250 გრამი. სიყვარული არა ეძიებს სარგებელსა — „კორინთელთა მიმართ პირველი ეპისტოლე“ წმინდა მოციქულის პავლესი, XIII, 5.

მეფე ნეპეფსი — ძვ. წ. XII საუკუნის ეგვიპტის ფარაონი.

ვითარ სენლუანელნი კაბალისტნი ბრძანებდნენ — სენლუანი სააბატოა შინონის მახლობლად.



**ზურმუხტი ფიზონური...** — ფიზონი ძველი ალექსიის თანახმად ამქვეყნური სა-  
ზოთხის ერთ-ერთი მდინარეა, რომლის ნაპირებიც ძვირფასი ქვებით არის მოფენილი.

**„ფაცახმატყლიანი სადგამი“** — „ღვთის კრავის“ გამოსახულებიანი ძველი ფრან-  
გული ოქროს ფული.

**25 გვ.** „ფერთა ჰერალდიკა“ — მეფე ალფონს V არაგონელის ჰეროლდის სისილის  
ჩიჟრ 1458 წ. დაწერილი წიგნი, 1528 წ. დაისტამბა პარიზში.

**26 გვ.** **ოფიციალი** — საეკლესიო სამსჯავროს თანამდებობის პირი.  
**პორუს აპოლონი** — ავტორია იეროგლიფთა შესახებ დაწერილი წიგნისა, რომელიც  
ჰვიპტურიდან ბერძნულად ითარგმნა IV ან V საუკუნეში.

**სატრფიალო ზმანებათა წიგნი პოლიფილისა** — იტალიელი ფრანჩესკო კოლონას ლათინ-  
ური თხზულება, 1499 წელს გამოიცა „პოლიფილის ჰიპნეროტომაქიის“ (ზმანებისა და  
ეროტის ბრძოლა) სახელწოდებით. მის ფრანგულ თარგმანს „სჯა პოლიფილური ზმანებისა  
გამო“ ერქვა.

**...ადმირალი...** — იგულისხმება საფრანგეთის ადმირალი გიომ გუფიუ დე ბონივე  
(დაახ. 1488—1525). მისი დევიზი იყო: „დინჯად იჩქარე“, ხოლო ემბლემა — დელფინი  
(სისწრაფის სიმბოლო) და ღუზა (აუჩქარებლობის სიმბოლო).

**28 გვ.** **ქალაქი ალბა-ლონგა...** თავის გაჩენასა თეთრსა დედალორს უნდა უმადლო-  
დეს — ვერგილიუსი ამბობს, ენეის ვაჟმა ასკანიუსმა ქალაქი ალბა-ლონგა იმ ადგილას  
დააარსა, სადაც ოცდაათგოჭიანი თეთრი დედალორი დაინახაო („ენეიდა“, III,  
388—393).

**29 გვ.** **ტიტუს ლივიუსი (კანის ბრძოლის შემდგომ)** — ანუ თავისი წიგნის იმ ნა-  
წილში, სადაც იგი კანის ბრძოლის შემდგომ ამბავსა ჰყვება: ერთმა რომაელმა ქალმა  
ოდეს შეიტყო, ჩემი შვილის დალუპვის ამბავი ტყუილიაო, სინარულისაგან სული განუ-  
ტევა (XXII, 7).

**32 გვ.** **ბამეტი** — ფრანცისკელთა ორდენის მონასტერი ანჟერისა და ორ კილომეტრზე.  
რამდე იქ სწავლობდა.

**33 გვ.** **კაიუზაკი** (საფრანგეთის სამხრეთ-დასავლეთით) — ეპისკოპოს დ'ესტიისაკის  
ძმისწულს — რამდენს კეთილისმყოფელს ეკუთვნოდა.

**კანარიელთა ძლევისა შემდგომ...** — კანარია შუა საუკუნეების თქმულებათა  
ჯადოსნური ქვეყანაა.

**37 გვ.** „დონატი“ — IV საუკუნის რომაელი ფილოლოგის ალიუს დონატის ლათინური  
გრამატიკა. „ფაცეტი“ — ანონიმური „ზნეობის სასწავლებელი თხზულება“ ლექსად. „თეოდო-  
ლე“ — თეოდულუსის (ანუ ღვთისა მონის) ანონიმური თხზულება ლექსად, რომელიცა  
გმობს წარმართობას, შექმნილი უნდა იყოს IX საუკუნის პირველ ნახევარში. **ალანუსი**  
ალენ დელილი (XII ს.) — სახელგანთქმული ღვითსმეტყველი და ფილოსოფოსი, მრავალი  
თხზულების ავტორი, მასვე ეკუთვნის ზნეობის სასწავლებელ ლექსთა ანუ არაკთა კრებუ-  
ლი, ცნობილი „პარაბოლების“ სახელწოდებით. ზემოთ ჩამოთვლილი ოთხი წიგნი სახელ-  
მძღვანელოები იყო.

**კვინტალი** — წონის საზომი, 10 გირვანქას უდრიდა.

**38 გვ.** **პაპელიგოსას ქორიკოზსა ანუ ხელმწიფის მონაცვლესა** — პაპელიგოსა —  
ზღაპრული ქვეყანა.

**ევდემონი** — ბედნიერი, სვიანი (ბერძნ.).

**ემილიუსი** — ლუციუს ემილიუს პავლე, ძვ. წ. აღ. 182 და 162 წლებში კონ-  
სული იყო, მაკედონელნი დაამარცხა. მის ორატორულ ნიჭს დიდად აქებდა ციცერონი.

**39 გვ.** **პონოკრატი** — მძლავრი, მოუღლედი (ბერძნ.).

**ლანჟეს ახლორე რომ წმინდა მარსის სვეტია...** — რომელიდაც ძველი რომა-  
ული ნაგებობის ნანგრევები შინონის შორიახლო.

**ტენო** — ფრანცისკელი ბერი ჟან ტენო (XV ს. მეორე ნახევარი — XVI ს. დასაწყი-  
სი) — მოგზაური და მწერალი, ავტორი წიგნისა — „მოგზაურობა ზღვისიმიერ მხარეში“.

**41 გვ.** **ლეკოთია** — ნაცვლად ლუტეციასი, როგორც პარიზს უხმობდნენ გალიაში რო-  
მის ბატონობის ჟამს.



წმინდა ანტონის ორდენის შაშხ-აპოსტის კომანდორი — წმ. ანტონის ორდენის ბერები დოფინეს პროვინციაში გლეხთ შაშხსა და ლორს ახდევინებდნენ.

42 გვ. Baralipton — მნემონიკური სიტყვა, სილოგიზმის პირველი ფიგურის მოდუსების დასასამახსოვრებლად და აღნიშვნისათვის იყენებდნენ.

ქოჩორი იულიუს კეისრისა დარად გადაივარცხნა. — კეისარი მელოტი იყო.

43 გვ. ფილოტომიუსი — დაჭრის მოყვარული (ბერძნ.).

დილა მშვიდობისა — მაგისტრი სხაპასხუპით ლაპარაკობს, bona-ს ნაცვლად mna-ს ამბობს.

...აგრევე არცა ბრეულ ბორდოელთ... — საფრანგეთში მართლაც არის დაბა ლონდრი (ლონდონი) და სოფელი ბორდო.

და კაცი ბრძენი არა მოიძულეებს — ბიბლიური „წიგნი სიბრძნისა ისო ძისა ზირაქისა“-ს (XXXVIII, 4) რემინისცენცია. შეჭიკტიკებული მაგისტრის სიტყვა საუსეა ძველ და ახალ აღთქმათა რემინისცენციებით.

44 გვ. ქადაგებათა წიგნსა უდინისას — იტალიელი მქადაგებელი ლეონარდო მათეო უდინიდან იყო (XVI).

რაიცა დიდებული აქილეუსია — იმჟამინდელი სასკოლო ჟარგონით დამაჯერებელ საბუთსა ნიშნავდა.

45 გვ. პონტანუსი — ჯოვანი პონტანო (1426—1503), იტალიელი პოეტი და ისტორიკოსი, ლათინურად წერდა. თავისი დროის ყველაზე ნაყოფიერ და ნატიფ მწერლად იყო მიჩნეული.

დაგვემშვიდობეთ და ტაში შემოჰკარით, კალუპინო ვარ, შესწორებას მოვრჩი. — დაგვემშვიდობეთ და ტაში შემოჰკარით — ამ ფორმულით მთავრდებოდა რომაული კომედიები. ამბროჯიო კალუპინო (1435—1511) — რაბლეს დროინდელი ლექსიკოგრაფია, ოთხენოვანი (ებრაულ-ბერძნულ-ლათინურ-იტალიური) ლექსიკონი შეადგინა. სიტყვებს — „შესწორებას მოვრჩი“ შუა საუკუნეების გადამწერნი და ცენზორნი წიგნის ბოლოში სვამდნენ ნიშნად სამუშაოს დამთავრებისა.

სონჟეკრე — სცენური სახელია ცნობილი კომიკოსი მსახიობის ჟან დე ლ'ესპინისა, რაბლეს თანამედროვე იყო.

46 გვ. მცირე ლოგიკალიები! რას შეიძლება მოვუყენოთ სკლატი? უთავბოლოდ და არაპიროვნულად. — „წინათგანზრახვანი“ ტრატატ „მცირე ლოგიკალიების“ ერთ-ერთი ნაწილი იყო.

47 გვ. რაც გაჩენილია, უნდა მოისპოს. — უსწორო ადგილი რომაელი ისტორიკოსის სალუსტიუსის თხზულებიდან („ომი იუჭურტასთან“, II, 3).

...რაიცა ანდაზად იქცა დელფოელთ შორის... — ნახევრადლეგენდარული ბრძენის ქილონის ნათქვამი, თქმულებისამებრ, ოქროს ასოებით იყო ამოკვეთილი დელფოსში აპოლონის ტაძრის კედლებზე.

48 გვ. ამაოა აღდგომა თქვენი გაუთენებლივ — ფსალმუნი 126 (კათოლიკური ბიბლიით — 127), მუხ. 2. აქ განქიქებული არიან ისინი, ვინც გამორჩენის ძებნაში არც ძილი იციან და არც მოსვენება.

...ალმენის წმინდაკბილათი... — ჟაკ ალმენი XVI საუკუნის ფრანგი თეოლოგია.

50 გვ. იმ ერთი კომიკოსისა არ იყოს... — იგულისხმება რომაელი კომედიოგრაფი ტერენციუსი (ძვ. წ. აღ. 195—159 წლები) იხ. კომედია „საჭურისი“, 816.

54 გვ. ანტიკირული შხამა ანუ აპუნტრაკი — ამ მცენარეს ძველად ფსიქიურ დაავადებათა სამკურნალოდ იყენებდნენ. ძალზე ბევრი შხამა ჩრდილოეთ აფრიკის ქალაქ ანტიკირიდან შემოჰქონდათ.

ანაგნოსტი — წამკითხველი (ბერძ.).

56 გვ. ინგლისელი სწავლული ტუნსტალიც კი... — კეთბერტ ტენსტოლი (1474—1559), დერგემელი ეპისკოპოსი. რაზედაც ლაპარაკია, იმ წიგნს „თვლის ხელოვნებისათვის“ ერქვა.

...სხვა მათემატიკური მეცნიერებანიც... და მუსიკა-სახიობა... — უძველეს დროში და შუა საუკუნეებშიც სამუსიკო ჰარმონიის მოძღვრებას მათემატიკური მეცნიერების ნაწილად განიხილავდნენ.



57 გვ. მილონი — მილონ კროტონელი, სახელგანთქმული ბერძენი ათლეტი იყო ძვ. წ. აღ. VI ს.

58 გვ. სტენტორი — „ილიადაში“ ნახსენები ერთ-ერთი გმირი, უძლიერესი ხმა ჰქონდა.

რიზოტომი — მეძირხვენე (ბერძნ.).

59 გვ. აპოთერაპიული მიზნით... — აპოთერაპია სამედიცინო ტერმინია, საუკეთესო რეჟიმს ნიშნავს.

ლეონიკუსი — იტალიელი ჰუმანისტი ნიკოლო ლეონიკო ტომეო (1456—1531). ტრაქტატი დაწერა კამათლის თამაშის გამო, გამოქვეყნდა 1532 წ.

ლასკარისი იოანე (1445—1535) — ალორძინების ხანის ერთ-ერთი დიდი ბერძენი მეცნიერი. კონსტანტინეპოლის დაცემის შემდგომ დასავლეთში ცხოვრობდა და დიდხანს მსახურობდა საფრანგეთის მეფეთა კარზე.

61 გვ. ლერნეელ მეპურეთ... ქადა-ნაზუქი ჩაატარეს... — ლერნე სოფელია შინონის მახლობლად.

„პინო“, „ფიერი“, „მიუსკადო“, „ბიკანი“, „ფუარარი“ — ყურძნის ჯიშებია.

63 გვ. პიკროქოლი — ბერძნ. „პიკროს“ — მწარე და „პოლე“ — ნალღელი. ორიფლამა — ასე ერქვა მცირე ალამს, რომელიც საფრანგეთის სამეფო ლაშქართა მთავარი დროშა იყო.

66 გვ. წმინდა თომა ინგლისელი — თომას ბეკეტი (დაახ. 1118—1170), კენტერბერის არქიეპისკოპოსი. ინგლისის მეფის ჰენრი II ბრძანებით მოკლეს, წმინდანად შერაცხა რომაულ-კათოლიკურმა ეკლესიამ.

67 გვ. ემონის ოთხთა ძეთა გმირობის წიგნი — შუა საუკუნეების საფრანგეთში ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული საგმირო პოემა. შეთხზულია XIII ს.

71 გვ. იზაბელა — კოლუმბის მიერ დაარსებული ქალაქი ჰაიტის კუნძულზე.

72 გვ. ბეზანტი — ბიზანტიური ოქროს ანდა ვერცხლის ფული.

73 გვ. მობრძანდით და ინებეთ — ასე უპასუხა სპარტის მეფემ ლეონიდემ (ძვ. წ. აღ. VI ს. დასასრული — V საუკუნის დასაწყისი) სპარსეთის მეფეს არტაქსერქსეს, რომელმაც სპარტელთ იარაღის დაყრა შეუთვალა.

ფილიპე — ბერძნული ოქროს ფული, ზედ მაკედონელი მეფე ფილიპე იყო გამოსახული (ფილიპედ სახელდებულ ხუთ მაკედონელ მეფეთაგან რომელია, ცნობილი არ არის). ძველ დროში ეს სიტყვა ყველაგვარ ოქროს ფულს აღნიშნავდა.

75 გვ. სიბილას სრუტე — გიბრალტარი.

ბარბაროსა (მწითური წვერი) — ალჟირის სულთნისა და განთქმული მეკობრის ჰაირ-ედ დინის მეტსახელი, მთელი ჩრდილოეთი აფრიკა ხელთ ეპყრა. ოცდარვა წელიწადი იბატონა, მოკვდა 1546 წ.

76 გვ. ...ის საცოდავნი რაინდნი, ნაროდოსალნი... — 1522 წ. თურქებმა კუნძულ როდოსიდან გააძევეს წმ. იოანეს ორდენის რაინდნი, რომელთაც ის კუნძული ორას წელიწადზე მეტ ხანს ეპყრათ. 1530 წ. იმპერატორმა კარლოს V მალტაზე დასახლების ნება დართო.

ლორეტო — იტალიის ქალაქი, მთელი ქრისტიანული ევროპის სალოცავი ადგილი: ერთ იქაურ ტაძარში ინახებოდა ღვთისმშობლის სახლი, თითქოსდა ანგელოსთაგან ნაზარეთიდან გადმოტანილი.

იულიანე ავგუსტუსი — პიკროქოლი ლაპარაკობს რომის იმპერატორ ფლავიუს კლავდიუს იულიანეზე (განდგომილზე) (361—363 წწ.). დაიღუპა სპარსთა წინააღმდეგ ლაშქრობაში, ოღონდ წყურვილს არ მოუკლავს, მტრის ისარმა იმსხვერპლა.

77 გვ. ყარამანია — მცირე აზიის ერთ-ერთი მხარე.

ექეფრონი — კეთილგონიერი (ბერძნ.).

78 გვ. მოროლფი — ლეგენდარული ბრძენი, სოლომონ მეფის ბევრი თქმულების გმირი.

79 გვ. მიუიდი და ბუასო — ერთიცა და მეორეც საწყავია. შესაბამისად 270 და 13 ლიტრს უდრიდა.



სასმელი ოქრო — ამ არარსებულ სასმელს ძველი ექიმები ყველა სატკივრის წამლად მიიჩნევდნენ.

84 გვ. პიპიატრია — ცხენთა წამლობის მეცნიერება (ბერძნ.).

დამატებანი „წელთაღწერის“ დამატებათა — უნდა იგულისხმებოდეს ანონი-მური „დიადი და სახელდაუდებელი წელთაღწერა უშვერად დიდი ბუმბურაზის გარგან-ტუასი“, 1532 წ. გამოქვეყნებული.

86 გვ. სიტოურ კასრსავით უძირო სასალათეში... — სიტო სააბატოა ბურგუნდიაში. კასრი, რომელსაც რაბლე ახსენებს, დაახლოებით 80.000 ლიტრს იტევდა.

87 გვ. და გადავრჩით (და ჩვენ განვერენით)... — მწირი უსწოროდ წარმოთქვამს და თავისი ჭკუით განმარტავს 123-ე ფსალმუნს (კათოლიკური ბიბლიით 124-ეს).

88 გვ. ორდენისა განწესებაში — იგულისხმება ბერმონაზვნური ორდენი, რომელსაც შმა ჟანი ეკუთვნის.

89 გვ. დაუყვერავს არ გაუშვებდი არცვისა, ვინაც ზურგი აქცია პავიას! — პავიას ომში საფრანგეთის ლაშქარი კარლოს V გაანადგურა, მეფე ფრანცისკ I ტყვედ ჩავარდა (1525 წ.).

გამოვიდა კვერთხი ძირისაგან იესუსი — ოდნავ შეცვლილი ციტატა „წინასწარმეტყველ იესუს წიგნიდან“ (XI, 1).

90 გვ. ერეკებიან მამალ ფუტკართ სკათაგან გარეთ — ვერგილიუსი, „გეორგიკები“, IV, 106.

94 გვ. ამა სოფლის უგულებელყოფისა და ამწუთქვეყნიურ საყვედურთაგან ლტოლ-ვისა გამო — რომის პაპთა დეკრატელიების ანუ განკარგულებების კრებულის ერთ-ერთი კარის სახელწოდება.

...კიდებული აბესალომი ესე! — აბესალომი, ბიბლიური თქმულებისამებრ, დავით მე-ფის შვილია, მამას გადაუდგა. ერთ-ერთი ბრძოლა ტყეში მოხდა, ჯოჯორზე ამხედრებულმა აბესალომმა მუხის ტოტს თმა წამოსდო, ჯორი გაფრთხა, წინ გავარდა, და აბესალომი პაფრში დარჩა.

95 გვ. გრიგორიანული წყალი — ნაკურთხი წყალი. წყალკურთხევის წესი და რიგი საბოლოოდ პაპმა გრიგოლ დიდმა (დაახ. 540—604 წწ.) დაადგინა.

98 გვ. იუნონას ბუზანკალი — ერთი ბერძნული მითის მიხედვით, ეჭვიანმა ჰერამ (რომაული მითოლოგიით იუნონამ) ზევსის სატრფო ჯერ ძროხად აქცია და მერმე გააფუ-ბული ბუზანკალი მიუსია.

99 გვ. ბერიმც გადაგვიდებიაო — ესე იგი შავი დღეც დაგდგომიაო.

ვეიოვისი — ძველი რომაული ღვთაება, ვარაუდით — შურისძიების ღმერთი.

სინე — ეკლესიის სამწყსო ანტუან რაბლეს მამულის მახლობლად.

105 გვ. ფრონტისტი — მოაზროვნე (ბერძ.).

სებასტი — პატივცემული (ბერძ.).

106 გვ. ტოლმერი — თავგამოდებული (ბერძ.).

107 გვ. სენტ-ობენ-დიუ-კორმიეს ომში... — ბრეტონელთა და ფრანგთა სამეფო ლაშ-ქართ 1488 წ. 28 ივლისს იომეს; საფრანგეთის მეფის კარლოს VIII ჯარმა გაანადგურა ბრეტონელთა ლაშქარი.

პარტენე — ბრეტონელთა ციხე-სიმაგრე, დააქციეს 1486 თუ 1487 წ.

...ესპანიოლელი ბარბაროსები... — ესპანელმა კონკისტადორებმა თავიანთ აღმოჩე-ნილ ჰაიტის კუნძულს ესპანიოლა შეარქვეს. „ესპანიოლელნი ბარბაროსნი“ საფრანგეთის დასავლეთ სანაპიროს დაესხნენო — რაბლეს მონაგონია.

განსხვავებით სხვა ხელმწიფეთაგან და იმპერატორთაგან, თავი რომ მოაქვთ, კათო-ლიკენი ვართო, და მაინც შავ დღეს აყრიან ტყვევნილთ... — გადაკრულად ნათქვამია კარ-ლოს V მიმართ, მას თითქმის მთელი ერთი წელიწადი ჰყავდა ტყვედ ფრანცისკ I (პავიას ომში დამარცხების შემდგომ).

110 გვ. ანიელის ხეობა — იტალიის ზღვისპირა ალპებშია, ვირის ტაშირი ნორმან-დიაშია, ლოგრონიო მდინარე ებროს ნაპირზე გაშენებული ქალაქია ესპანეთში.

...იმისთანა დიდმშვენიერი, მდიდრული და უხვი პურობა-დარბაზობა გაუმართა, რომ-





ლისა დარიც არცვის არ ახსოვს არტაქსერქსე მეფის დროითგან მოკიდებული ბიბლიაში („ესთერის წიგნი“) ნათქვამია, სპარსეთის მეფემ აჰაშვეროშმა (ანუ არტაქსერქსემ) თავისი სამეფო კარისათვის ნადიმში გამართა და გადაბმულად ას ოთხმოცი დღე ილხინესო.

**იტიბოლი** — ჩუბინი (ბერძნ.). **აკამანტი** — მკლავმოულელი (ბერძნ.). **ქირონაქტი** — ხელფურჩი, მოფუსფუსე (ბერძნ.). **სოფრონი** — კეთილსაზრიანი (ბერძნ.).

**111 გვ. თელემის სავანე** — „თელემა“ ბერძნული სიტყვაა და სურვილს ნიშნავს. სახელწოდება შეესაბამება სავანის წესდებულებას („ქმენ, რაც გენებოს“).

**ბურგეილისა და სენ-ფლორანის სააბატონი** — ორივე ყველაზე მდიდარი სააბატო იყო საფრანგეთის დასავლეთით.

**112 გვ. დივა** — პატარა მდინარეა, ორიოდ კილომეტრზე ჩაუდის დევინიერას (ანტუან რაბლეს მამული იყო).

**ნობილი** — XIV ს. ინგლისური ოქროს ფული.

**არქტიკა** — ჩრდილო (ბერძნ.). **კალაერა** — ორი ბერძნული სიტყვისაგან შედგება: „კალოს“ (კარგი) და „აერ“ (ჰაერი). **ანატოლია** — აღმოსავლეთისა (ბერძნ.). **მესემბრინა** — სამხრეთისა (ბერძნ.). **ჰესპერია** — დასავლეთისა (ბერძნ.). **კრიერა** — ცივი (ბერძნ.).

**113 გვ. ბონივე, შამბორი, შანტილი** — ცნობილი ციხე-სიმაგრეები, ააშენეს (თუ ხელახლად გამართეს) XVI საუკუნის პირველ ნახევარში. შამბორი მეფეს ეკუთვნოდა, ბონივე და შანტილი — დიდებულ-წარჩინებულთ.

...თუ სადმე ერთი ბერძნული... **ტოსკანური... წიგნი იყო...** — ტოსკანური კილოკავი საფუძვლად დაედო თანამედროვე სალიტერატურო იტალიურ ენას.

**ტუაზა** — ძველი ფრანგული საზომი სიგრძისა, 1 მ. 95 სმ. უდრიდა.

**119 გვ. ნავსიკლეტი** — გემებით სახელოვანი (ბერძნ.). ასე უწოდებს ჰომეროსი „ოდისეაში“ ზღაპრულ ზღვაოსანთ — ფეაკებს (კუნძულ სქერიას მოსახლეობას).

**მარგალიტისა და კანიბალის კუნძულთა...** — მცირე ანტილის კუნძულები.

**120 გვ. აქავ მოგახსენებთ ერთ გამოცანას...** აქ მოყვანილი „წინასწარმეტყველური გამოცანა“ მთლიანად (რამდენიმე ტაეპის გარდა) პოეტ მელენ დე სენ-ჟელეს (1491—1558) ეკუთვნის.

**122 გვ. რარიგაც ეტნა ატორტმანა ერთხელ კრონიდმა, ოდეს ტიტანიდს დააკვეთა, დასცა ლონივრად...** — ბერძნული მითის მიხედვით, ზევსმა დაამარცხა ბუმბერაზი ტიფონი (მიწისქვეშა ვულკანურ ძალთა განსახიერება) და ტარტაროსში ჩააგდო, ზემოდან კი ეტნას მთა დაადგა. მაგრამ ტიფონი მაინც არა ცხრება, დროდადრო ცეცხლს აფრქვევს და არყევს დედამიწას. სწორედ მაშინ ხდება მიწისძვრა ხმელთაშუა ზღვის კუნძულებზე, კერძოდ, ენა-რიაზე (ამჟამად ისკია, პატარა კუნძული ნეაპოლიდან 28 კმ).

**123 გვ. მერლინი** — უძლიერესი ჯადოსანი, არტურ მეფისა და მრგვალი მაგიდის რაინდთა ციკლის გმირი.

